




USAID
აშშ-ის საგარეო
დახმარების აგენტობა

GEORGIA GOOD GOVERNANCE INITIATIVE

რეგულირების ზეგავლენის შეფასების
სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის



კონსულტანტი: ნორბერტო პინიატი



USAID
აშშ-ის საგარეო
დახმარების სააგენტო


ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute

GEORGIA GOOD GOVERNANCE INITIATIVE

რეგულირების ზეგავლენის შეფასების
სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის

მარტი, 2021



სახელმძღვანელო მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტ დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს ამერიკის შეერთებული შტატების, USAID-ის ან USAID GGI-ის შეხედულებებს.

სარჩევი

1. შესავალი	8
1.1. მაღალი ხარისხის საჯარო ინტერვენციები და რეგულირება	9
1.2. რა არის რეგულირების ზეგავლენის შეფასება?	11
1.3. როდის არის რეგულირების ზეგავლენის შეფასება სავალდებულო საქართველოს კანონმდებლობის თანახმად?	12
1.4. მინიმალური მოთხოვნის შესაბამისი სტანდარტული რეგულირების ზეგავლენის შეფასება და სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასება	14
2. რეგულირების ზეგავლენის შეფასების ლოგიკური სტრუქტურა	18
2.1. რეგულირების ზეგავლენის შეფასება – ეტაპობრივი და ინტერაქტიული პროცესი, რომელიც ხასიათდება მნიშვნელოვანი უკუკავშირის სქემებით	18
2.2. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია	19
2.2.1. კონსულტაციის დაგეგმვა	19
2.2.2. დაინტერესებული მხარეების ასახვა მატრიცაში	24
2.2.3. მეთოდები და კომუნიკაციის არხები	26
2.2.4. კონსულტაციის მიგნებების მართვა	28
2.2.5. პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან	29
2.3. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი	39
2.3.1. მონაცემთა შეგროვების დაგეგმვა	39
2.3.2. არსებული ინფორმაციის წყაროები	39
2.3.3. მონაცემთა არასაკმარისობის შემთხვევები	39
2.3.4. მონაცემთა შეგროვების მეთოდები	41
2.3.5. პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან	43
3. რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების პრინციპები	50
3.1. პრობლემის განსაზღვრა	50
3.1.1. რა იგულისხმება პრობლემის განსაზღვრაში და რატომ არის ის მნიშვნელოვანი?	50
3.1.2. პოლიტიკის კონტექსტი	51
3.1.3. როგორ განისაზღვრება პრობლემა	51
3.1.4. პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან	57
3.2. საბაზისო სცენარი	63
3.2.1. როგორ მუშავდება საბაზისო სცენარი	64
3.2.2. პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან	65
3.3. პოლიტიკის მიზნები	75
3.3.1. მიზნების სწორად განსაზღვრა	76
3.3.2. მიზნებისა და მათი შესრულების კავშირი	77
3.3.3. პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან	78
3.4. პოლიტიკის ალტერნატივები	89
3.4.1. რა შეიძლება განვიხილოთ შესაძლო ალტერნატივად?	89
3.4.2. როგორ ჩამოვაყალიბოთ ალტერნატივები	92
3.4.3. პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან	93

3.5.	ზეგავლენის იდენტიფიცირება და შეფასების ინდიკატორების შერჩევა	101
3.5.1.	ზეგავლენის ტიპები	101
3.5.2.	ინდიკატორები	110
3.5.3.	პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან	111
3.6.	რაოდენობრივი ზეგავლენის შეფასება, მონეტიზაცია და დისკონტირება	120
3.6.1.	რაოდენობრივი ზეგავლენის შეფასება	121
3.6.2.	მონეტიზაცია	122
3.6.3.	დისკონტირება	125
3.6.4.	კონკრეტული ან სექტორული ზეგავლენის შეფასება	125
3.6.5.	პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან	128
3.7.	ალტერნატივების შედარება და რეკომენდაცია	139
3.7.1.	სათანადო მეთოდოლოგიის შერჩევა	139
3.7.2.	თვისებრივი ანალიზი	142
3.7.3.	ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი	142
3.7.4.	ხარჯთეფექტიანობის ანალიზი	146
3.7.5.	მრავალკრიტერიუმული ანალიზი	148
3.7.6.	მრავალკრიტერიუმული ანალიზის შესრულების მატრიცის შედგენა	150
3.7.7.	პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან	152
3.8.	განხორციელების მექანიზმები	158
3.8.1.	პოლიტიკური, ეკონომიკური და პროცედურული გარემოებები	159
3.8.2.	მონიტორინგისა და შეფასების აქტივობების წინასწარ განსაზღვრა	160
3.8.3.	განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების გეგმის შედგენა	161
3.8.4.	პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან	164
4.	ანგარიშგება	171
4.1.	ზოგადი შენიშვნები	171
4.2.	რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში	171
	დანართები	182
დანართი 1	იმ საკანონმდებლო აქტების ნუსხა, რომლებშიც ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის მომზადებისას სავალდებულოა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის მომზადება	182
დანართი 2	ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში ფერმერთა სატელეფონო გამოკითხვის კითხვარი	183
დანართი 3	წყლის ხარისხის ჯაჭვური სქემა და ზედაპირული წყლის ხარისხის შეფასება ექსპერტების მიერ წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში	185
დანართი 4	ოჯახში დასაქმებულების კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში ოჯახში დასაქმებულების ონლაინ გამოკითხვისას გამოყენებული კითხვარი	186
დანართი 5	ოჯახში დასაქმებულების კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის ფარგლებში გამოყენებული პრობლემის ხე	192
დანართი 6	მრავალკრიტერიუმული ანალიზი – მეთოდოლოგიური არსი	193
დანართი 7	შერჩეული ბიბლიოგრაფია ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის შესახებ	200

აკრონიმები

AA	ასოცირების ხელშეკრულება
AC	ადმინისტრაციული ხარჯი
ALMP	აქტიური სამუშაო ბაზრის პოლიტიკა
APMA	სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
CBA	ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი
CE	ხარჯთეფექტიანობა
CEA	ხარჯთეფექტიანობის ანალიზი
CVS	სუბიექტური შეფასების მეთოდი
DALY	ქმედუნარობით კორექტირებული სიცოცხლის წლები
EC	ეფექტიანობა-ხარჯი
EMC	ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EU	ევროკავშირი
FAQ	ხშირად დასმული კითხვები
FSP	ფინანსური მომსახურების პროვაიდერი
GA	საქართველოს მელიორაცია
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)
GeoStat	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
GFA	საქართველოს ფერმერთა ასოციაცია
GIA	საქართველოს სადაზღვევო კომპანიების ასოციაცია
GNERC	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი)
GoG	საქართველოს მთავრობა
GWP	ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
IHS	შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკითხვა
IRBM	მდინარის აუზის ინტეგრირებული მართვა
LFS	სამუშაო ძალის გამოკითხვა
MCA	მრავალკრიტერიუმული ანალიზი
M&E	მონიტორინგი და შეფასება
MENRP	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

MoA	სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MOESD	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MoF	ფინანსთა სამინისტრო
MoIDPLHSA	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MNO	მობილური ქსელის ოპერატორი
MRDI	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
NARMA	სოფლის მეურნეობის რისკების მართვის ეროვნული სააგენტო
NBG	საქართველოს ეროვნული ბანკი
NEA	გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო
NFA	სურსათის ეროვნული სააგენტო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
NPV	წმინდა მიმდინარე ღირებულება
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PV	მიმდინარე ღირებულება
QALY	სიცოცხლის წლები ხარისხის გათვალისწინებით
RFF	რესურსები მომავლისათვის
RIA	რეგულირების ზეგავლენის შეფასება
SCM	ხარჯების სტანდარტული მოდელი
SDG	მდგრადი განვითარების მიზნები
SDR	დისკონტირების სოციალური განაკვეთი
SME	მცირე და საშუალო ზომის საწარმო
TEV	მთლიანი ეკონომიკური ღირებულება
UWSCG	საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია
VAT	დამატებითი ღირებულების გადასახადი
VLY	ცხოვრების წლების ღირებულება
VSL	საშუალო სტატისტიკური სიცოცხლის ღირებულება
WACC	კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება
WFD	წყლის ჩარჩო-დირექტივა
WTP	გადახდისთვის მზადყოფნა



1. შესავალი

საქართველომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) სამართლებრივი რეგულირება მოახდინა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის №35 დადგენილებით („რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ¹“). დადგენილების მიღება ემსახურება ნორმატიული აქტების შესახებ ორგანული კანონში 2019 წ. 29 მაისის² შესული #4607 ცვლილების განხორციელებას, რომელიც ქვეყანაში ხელს უწყობს ფაქტებზე დაფუძნებულ, ჩართულობით გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

აღნიშნულმა ოფიციალურმა ქმედებამ საბოლოოდ დაასრულა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ინსტიტუციონალიზაციის პროცესი, რომელიც რამდენიმე წლის წინ დაიწყო რამდენიმე საერთაშორისო დონორის მონაწილეობით, რომლის მიზანიც იყო საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარების პროცესში. წლების განმავლობაში საჯარო მოხელეების, სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური ინსტიტუტების წარმომადგენლების კომპეტენცია იზრდებოდა ტრენინგებით, პრაქტიკული საპილოტე პროგრამებით, დონორების მიერ დაფინანსებული გრანტებით, რათა შერჩეულ სარეფორმო ინიციატივებზე ჩატარებულიყო რეგულირების ზეგავლენის შეფასება.

მაშინ როდესაც ნორმატიული აქტების შესახებ კანონში გაწერილი დებულებები და მათთან დაკავშირებული განკარგულება გვაძლევს მონახაზს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში, ხოლო მეთოდოლოგიის დეტალური განხილვა მოცემულია დანართის სახით, **შესაბამისი დაინტერესებული მხარეები საჭიროებენ უფრო კონკრეტულ და პრაქტიკულ სახელმძღვანელოს, რითაც რეგულირების ზეგავლენის შეფასების პრაქტიკოსები იხელმძღვანელებენ ახალი საკანონმდებლო ცვლილებების დანერგვის დროს.**

პირველი სახელმძღვანელო რეგულირების ზეგავლენის შემფასებლებისათვის ეფუძნება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიას. სახელმძღვანელოში გამოყენებულია გასულ წლებში საქართველოს კონტექსტში დაგროვებული გამოცდილება და მიმართულია რეგულირების ზეგავლენის შეფასების პოტენციური პრაქტიკოსებისა და სხვა მხარეების დასახმარებლად, რომლებიც დაინტერესებული არიან როგორც საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის განხორციელებაში, ისე არსებულ და სამომავლო რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტებსა და ასეთ მეთოდოლოგიას შორის შესაბამისობის შეფასებაში.

ამგვარად, სახელმძღვანელო შედგება სამი მთავარი თავისაგან:

- **II თავი** განიხილავს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ლოგიკურ სტრუქტურასა და რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესს;
- **III თავი** განიხილავს რეგულირების ზეგავლენის შეფასების მოქმედების პრინციპებს;
- **IV თავში** მოცემულია რეგულირების ზეგავლენის შეფასების საბოლოო ანგარიშის სტრუქტურა.

II და III თავებში მოცემულია ქვეთავები, რომლებშიც ახსნილია ამ თავებში აღწერილი სხვადასხვა ანალიტიკური ეტაპის მნიშვნელობა და შესაბამისი ანალიზის განხორციელებისთვის საჭირო

¹ აქ და შემდეგ „RIA მეთოდოლოგია“.

² კანონი განსაზღვრავს საქართველოში მომზადებული ნებისმიერი ნორმატიული აქტის მოქმედების სფეროსა და იერარქიას.

ძირითადი მეთოდოლოგიების მონახაზი. გარდა ამისა, თითოეულ ქვეთავში მოცემულია მაგალითები რეგულირების ზეგავლენის შეფასების რეალური ანგარიშებიდან და გამოკვეთილია პრაქტიკული გამოცდილება, რაც დაგროვდა ამ ანგარიშებზე მუშაობის შედეგად. აღნიშნული „პრაქტიკული ქვეთავები“ შემუშავდა იმ მიზნით, რომ დაეხმაროს მკითხველს, შეაჯეროს თითოეულ ქვეთავში განხილული ცნებები, უშუალოდ გაეცნოს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიტიკოსების გამოწვევებს საქართველოს კონტექსტში რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების დროს, ასევე, იმ მიდგომებს, რომლებიც გამოიყენება ასეთი გამოწვევების გადასაღებად. იდეალურ შემთხვევაში ასეთი მიდგომა დაეხმარება მკითხველს პროცესის პრაქტიკულ აღქმასა და პროაქტიული და კრეატიული მიდგომის გამომუშავებაში (ამასთან, რამდენიმე პრაქტიკული გადაწყვეტილების მიწოდებით), რათა გაუმკლავდეს იმ გამოწვევებს, რომლებსაც ის შეიძლება წააწყდეს რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების დროს.

სახელმძღვანელოში მოცემულია ტექნიკური დანართებიც, მათ შორის, ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის შერჩეული ბიბლიოგრაფია.

შესავლის დარჩენილი ნაწილი მოკლედ მიმოიხილავს შემდეგს:

- კონცეფციები, რომლებიც უკავშირდება მაღალი დონის გადაწყვეტილების მიღების პროცესებსა და სამთავრობო ინტერვენციებს;
- რა არის რეგულირების ზეგავლენის შეფასება;
- რა მთავარი განსხვავებებია სტანდარტულ და სიღრმისეულ რეგულირების ზეგავლენის შეფასებებს შორის (როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით).

1.1. მაღალი ხარისხის საჯარო ინფორმაციები და ჩეხური

პოლიტიკის განხორციელების ხარისხი იზრდება ისეთი პროცესით, რომელიც პროგნოზირებადია, გამჭვირვალეა, ორიენტირებულია ჩართულობაზე და ანგარიშვალდებულია. ასეთი პროცესით ხდება ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ლეგიტიმური, გამართლებული, ეფექტური და თანაბომიერია.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ რეგულირება მხოლოდ ერთ-ერთი ინსტრუმენტია მთავრობის ხელში, რომლის საშუალებითაც ის ერევა საზოგადოებრივ წყობასა და ეკონომიკაში (იხ. ჩანართი 1 რეგულირების განმარტებისათვის). აღნიშნული ხედვა სრულადაა გაზიარებული №35 დადგენილების 30-ე მუხლში. 30-ე მუხლის თანახმად:

- თუ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის პროექტის შესაბამისად დადგინდა, რომ პრობლემის/საკითხის მოგვარების საუკეთესო ალტერნატივას მისი საკანონმდებლო დონეზე რეგულირება წარმოადგენს, ინიციატორი უწყების უფლებამოსილი თანამდებობის პირი იღებს გადაწყვეტილებას უწყების მიერ შემუშავებული კანონპროექტების მომზადების გეგმაში საკითხის შეტანის შესახებ;
- თუ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის პროექტის შესაბამისად დადგინდა, რომ პრობლემის/საკითხის მოგვარების საუკეთესო ალტერნატივას წარმოადგენს არამარეგულირებელი ქმედება ან მისი დარეგულირება კანონქვემდებარე ნორმატიული ან ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით არის მიზანშეწონილი, უწყების უფლებამოსილი თანამდებობის პირი შესაბამის უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს აძლევს დავალებას პრობლემის/საკითხის მოგვარების გეგმის შემუშავების შესახებ.

წინამდებარე სახელმძღვანელო გვეხმარება, გამოვიკვლიოთ საკითხი, რომელსაც სჭირდება ინტერვენცია, შევაფასოთ შესაძლო ზემოქმედება, გადავხედოთ და განვიხილოთ საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა ტიპის ინტერვენცია (არა მხოლოდ რეგულირება) როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე.

ჩანართი 1 – რა არის რეგულირება?

საჯარო პოლიტიკის ინტერვენცია გულისხმობს მოცემული იურისდიქციის ფარგლებში ინსტიტუციონალური ძალაუფლების მიზნობრივ გამოყენებას ცალკეული პირების, ჯგუფებისა და დაინტერესებული მხარეების ქცევაზე ზემოქმედების მიზნით. ასეთ ინტერვენციებს შეიძლება ჰქონდეს მარეგულირებელი ან არამარეგულირებელი სტატუსი.

წინამდებარე სახელმძღვანელოში რეგულირება გულისხმობს ნებისმიერ დებულებას, რომელიც მესამე მხარეებს აკისრებს იურიდიულად სავალდებულო მოთხოვნას. ამ განმარტებაში ერთიანდება საკანონმდებლო ღონისძიებები (კანონები), ასევე, განხორციელების წესებისა და კანონქვემდებარე აქტების (მაგ. განკარგულებები, დადგენილებები, სამთავრობო უწყისები, ა.შ.) მრავალი ფორმა.

საჯარო პოლიტიკის ინტერვენციების შეფასების დროს – ახალი ინტერვენციების შექმნისა თუ უკვე მოქმედი ინტერვენციების შემთხვევაში – კრიტიკულად უნდა განვიხილოთ მათი ყველა ფორმა. თუ ირჩევთ მარეგულირებელ ინტერვენციას, უნდა დაასაბუთოთ, რატომ.

მაღალი ხარისხის სახელმწიფოს ინტერვენციის განხორციელებაში რამდენიმე პრინციპი თამაშობს როლს. როდესაც საქმე ეხება რეგულირებას, განისაზღვრება მაღალი ხარისხის ღონისძიებები, რომლებიც იცავენ **კარგი რეგულირების პრინციპებს**:

- **აუცილებლობა** – ხელისუფლება აქვეყნებს მხოლოდ იმ რეგულაციებს, რომლებიც საჭირო ხდება დაუძლეველი საჯარო საჭიროების შედეგად, როგორიცაა საბაზრო ჩავარდნა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვისა თუ გაუმჯობესების პროცესში, გარემოს დაცვისა თუ კეთილდღეობის შენარჩუნების პროცესში. მეორეული რეგულაციები დაშვებული უნდა იყოს კანონით ან საჭირო უნდა იყოს კანონის ინტერპრეტაციისათვის.
- **ეფექტურობა** – რეგულაციამ უნდა შეასრულოს განსაზღვრული პოლიტიკის მიზნები და უპირატესობა მიანიჭოს სახელმწიფო პრიორიტეტებს. რეგულაცია გამყარებული უნდა იყოს არსებული საუკეთესო მტკიცებულებით.
- **თანაზომიერება** – რეგულაცია უნდა აბალანსებდეს ინტერვენციის სარგებელსა და ხარჯებს. ჩვეულებრივ, ეს უკანასკნელი უნდა იყოს მინიმალური, არ უნდა აჭარბებდეს ან, როგორც მინიმუმ, უნდა ამართლებდეს პირველს. შემოთავაზებული გადანყვეტილების ხარჯები და სარგებელი შედარებული უნდა იყოს მარეგულირებელ და არამარეგულირებელ ალტერნატიულ ღონისძიებებსა და ინტერვენციის გარეშე არსებული სიტუაციის ალტერნატივასთან.
- **პროგნოზირებადობა** – მარეგულირებელი ჩარჩო არის სტაბილური, ობიექტური და დროული გარემო, რომელიც, იმ მხარეებს, რომლებზეც გავლენას ახდენს ინტერვენცია, აძლევს საშუალებას, წინასწარ განსაზღვრონ სამომავლო გადანყვეტილებების კონტექსტი და თავდაჯერებულად მიიღონ გრძელვადიანი საინვესტიციო გადანყვეტილებები.

- **გამჭვირვალობა** – საზოგადოებას უნდა ჰქონდეს წვდომა არსებულ ინფორმაციაზე როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში გადადგმული ნაბიჯების, ისე მიღებული ინტერვენციის საფუძვლისა და ბუნების შესახებ.
- **ანგარიშვალდებულება** – უწყებები, რომლებიც ახორციელებენ მარეგულირებელ ინტერვენციას, ნათლად არიან გამოვლენილნი და იღებენ პასუხისმგებლობას ინტერვენციის სტრუქტურაზე, შეფასებასა და განხორციელებაზე. რეგულაცია უნდა იყოს გასაჩივრებისა და შესაძლო შესწორების საგანიც.
- **სიმარტივე** – რეგულაცია გამოსაყენებლად და გასაგებად უნდა იყოს მარტივი. ის უნდა იყოს საჭიროებისამებრ დეტალური და შეძლებისდაგვარად მარტივი.
- **მონაწილეობა** – გამჭვირვალობის პრინციპის პირველი მოთხოვნაა ინტერვენციის შემუშავების ეტაპზე ყველა დაინტერესებული თუ ჩართული მხარის მონაწილეობა და მათთან კონსულტაცია. უშუალოდ მონაწილეობის პრინციპი უნდა აკმაყოფილებდეს გამჭვირვალობის კრიტერიუმს.

1.2. ჩა არის ჩეგვლიჩეის ზეგავლენის შეფასება?

რეგულირების ზეგავლენის შეფასება წარმოადგენს რეგულირების ხარისხის შეფასების ძირეულ ინსტრუმენტს. ეს არის **სისტემური მიდგომა პოლიტიკური საკითხების სტრუქტურული განსაზღვრისა და ასეთი საკითხების მოგვარებისათვის შემოთავაზებული მარეგულირებელი და არამარეგულირებელი ალტერნატივების შესაძლო დადებითი და უარყოფითი შედეგების კრიტიკული შეფასებისათვის.**

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის მომზადება არის სტრუქტურული პროცესის შედეგი, რომელიც მიჰყვება გარკვეულ ეტაპებს. რეგულირების ზეგავლენის შეფასება ადგენს, ამოწმებს, ალაგებს და ამუშავებს **მტკიცებულებას**, რათა გაამყაროს მთავრობის გადაწყვეტილება საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური პრობლემების ბუნებაზე (ტიპი, მასშტაბი და განვითარება), ასევე, შესაძლო ალტერნატივების დადებით და უარყოფით მხარეებზე მათი შესაძლო ზემოქმედების შეფასებით (იხ. ჩანართი 2). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ **რეგულირების ზეგავლენის შეფასება ხელს უწყობს – და არ ანაცვლებს – პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესს.**

ჩანართი 2 – რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიტიკური ეტაპები

ჩვეულებრივ, რეგულირების ზეგავლენის შეფასება მიჰყვება შემდეგ ლოგიკურ ნაბიჯებს:

- პრობლემის გამოვლენა და განსაზღვრა;
- სასურველი მიზნების დადგენა;
- მარეგულირებელი და არამარეგულირებელი ალტერნატივების შემუშავება (მათ შორის, „უმოქმედობის“ ალტერნატივა);
- შესაძლო ხარჯების, სარგებლისა და განაწილების ეფექტის შეფასება (როდესაც შესაძლებელია, რაოდენობრივად);
- ალტერნატივების შედარება და სასურველი ალტერნატივის რეკომენდირება;
- მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების მოთხოვნების განსაზღვრა.

გარდა ამისა, რეგულირების ზეგავლენის შეფასების განუყოფელი ნაწილები, რომლებიც მიმდინარეობს რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების მთლიანი პროცესის დროს მისი დაწყებიდან დასრულებამდე, არის შემდეგი:

- ღია და საჯარო კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და ექსპერტებთან;
- სამაგიდო კვლევა და მონაცემთა შეგროვება.

რეგულირების ზემოქმედების შეფასების ანალიზი უნდა დაიწყოს ადრეულ ეტაპზე, რათა მიღებული გადაწყვეტილება მაქსიმალურად ინფორმირებული იყოს. ნათელია, რომ ამის ერთ-ერთი მთავარი მიზანი უნდა იყოს არსებული საჭიროების სწორად გამოვლენა – პრობლემის განსაზღვრა და არსებული მდგომარეობის ანალიზის ეტაპი – და არა ახალი საკანონმდებლო აქტის მიღება, რომელიც შეიძლება აცდენილი იყოს მიზანს და რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიზის შემდეგ დადგეს მისი შეცვლის საჭიროება. მეორე მიზეზი, თუ რატომ უნდა დაიწყოს რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესი ადრეულ ეტაპზე, არის ის, რომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის განხორციელება მოითხოვს დიდ ფინანსურ და ანალიტიკურ რესურსებს – შიდა და გარე ექსპერტებს; მონაცემთა შეგროვება, შემოწმება და დამუშავება. ამ ყველაფერს სჭირდება დრო, დაგეგმარება და მართვა. დაბოლოს, როდესაც რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიზი იწყება მას შემდეგ, რაც კანონპროექტის მომზადებისათვის დახარჯულია მნიშვნელოვანი რესურსები და დრო, მოსალოდნელია, რომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის გამოყენებას ექნება ნაკლები ეფექტი და სახეზე იქნება ძლიერი წინააღმდეგობა გასაუმჯობესებელი ცვლილებებისადმი.

1.3. როგორ აჩვენებს ანალიზის შედეგები საჭიროებას საკანონმდებლო აქტის შეცვლისა?

ოცდამეთხუთმეტე დადგენილების შედეგად, ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონში გაჩნდა ახალი, 17¹ მუხლი, რომელიც აწესებს პირობებს, როდის უნდა განხორციელდეს რეგულირების ზეგავლენის შეფასება. რეგულირების ზეგავლენის შეფასება სავალდებულოა:

- ა) საქართველოს მთავრობის დადგენილებით პერიოდულად განსაზღვრულ საკანონმდებლო აქტების ნუსხაში (იხ. დანართი 1) შემავალ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის მომზადებისას, თუ ამ კანონპროექტის ინიციატორი საქართველოს მთავრობაა;
- ბ) ცალკეულ შემთხვევებში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კანონპროექტის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების მიერ მომზადებისას.

რეგულირების ზეგავლენის შეფასება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ნორმატიული აქტის (მათ შორის, კანონქვემდებარე აქტის) პროექტის მომზადებისას ავტორის/ინიციატორის, საქართველოს მთავრობის ან საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო დაწესებულების გადაწყვეტილებით. ამ შემთხვევაში კონკრეტულ ინიციატივასთან დაკავშირებით რეგულირების ზეგავლენის შეფასების ინიციატორი უფლებამოსილი უნდა იყოს, შეიმუშაოს რეგულირების ზეგავლენის შეფასების სპეციფიური პროცესი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ დადგენილებას.

რაც შეეხება გამონაკლის შემთხვევებს, რეგულირების ზეგავლენის შეფასების საჭიროება არ ვრცელდება ისეთ კანონებზე, რომლებიც ეხება სახელმწიფო ბიუჯეტის (მათ შორის, წლიური საბიუჯეტო

კანონპროექტი), სახელმწიფო თავდაცვის, პენიტენციურ, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის საკითხებს. ასევე, რეგულირების ზეგავლენის შეფასება არ ეხება კანონით გათვალისწინებული თარიღის (ვადის) ან ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილებას, სხვა ტექნიკურ ცვლილებას ან კანონში არსებული ხარვეზის გამოსწორებას, რაც კანონის ზოგად პრინციპსა და ძირითად დებულებებს არ ცვლის და უზრუნველყოფს კანონის შესაბამისობას საქართველოს უზენაეს საკანონმდებლო აქტებთან, საქართველოს საკონსტიტუციო შეთანხმებებთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და/ან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებთან. დაბოლოს, გამონაკლისი შემთხვევები ვრცელდება იმ ჩასწორებებზე, რომლებიც წარმოადგენს საკანონმდებლო პაკეტის ნაწილს, რომელიც თან ახლავს კანონპროექტს და არ შეიცავს პაკეტში შემავალი მთავარი კანონპროექტით გაუთვალისწინებელ საკითხებს.

გარდა ამისა, დადგენილება განსაზღვრავს, რომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების ინიციატორ უწყებაში უნდა შედგეს სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფი შეიძლება შედგებოდეს „როგორც უწყების ერთ-ერთი კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლებისგან, ისე სხვა თანამშრომლებისგან, ასევე, სხვა სამინისტროების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლებისგან, თუ დასარეგულირებელი საკითხის თაობაზე მუშაობა მოითხოვს სხვა უწყებების ჩართულობას“. გარდა ამისა, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება იყვნენ მოწვევულები დაინტერესებული მხარეებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, ექსპერტები. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის კოორდინაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების ინიციატორ უწყებას.

დადგენილებაში ასევე გაწერილია შემთხვევა, როდესაც კანონპროექტის ინიციატორი უწყება საპარლამენტო მდივანს წარუდგენს დასაბუთებულ წინადადებას რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჩატარების ვალდებულებისაგან გათავისუფლების მიზანშეწონილობის შესახებ. საქართველოს მთავრობამ დასაბუთებული წინადადების საფუძველზე შეიძლება, მთლიანად ან ნაწილობრივ, გაათავისუფლოს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულება რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების ვალდებულებისგან.

ნორმატიული აქტების შესახებ ორგანული კანონის ჩასწორება განსაზღვრავს რეგულირების ზეგავლენის შეფასების კონკრეტულ მიზნებსა და რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშში გასათვალისწინებელ მთავარ საკითხებს. ეს საკითხები მოიცავს:

- ა) არსებული პრობლემის არსი და ანალიზი, გადაწყვეტილება, რომელსაც კანონპროექტი ისახავს მიზნად და მისი გამომწვევი მიზეზები;
- ბ) მიზანი, რომლის მიღწევა დაგეგმილია რეგულირებით;
- გ) მიზნის მიღწევის ალტერნატივები, მათი ანალიზი და ზეგავლენის შეფასება, მათ შორის, არანორმატიული გზებით საკითხის რეგულირების ან არსებული მდგომარეობის უცვლელად დატოვების მოსალოდნელი შედეგები;
- დ) არგუმენტები, რომლებიც ამტკიცებს მიზნის მისაღწევად შერჩეული ალტერნატივის უპირატესობებს; კანონპროექტის მოსალოდნელი ეკონომიკური, ფისკალური, სოციალური, გარემოს დაცვითი, უსაფრთხოების და/ან სხვა შედეგები და რისკები საკითხის არანორმატიული გზებით რეგულირების ან არსებული მდგომარეობის უცვლელად დატოვების მოსალოდნელ შედეგებთან შედარებით;
- ე) სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები და გარემოებები, რომლებმაც მოითხოვა კანონპროექტის მომზადება და რაზედაც კანონპროექტი იქონიებს ზეგავლენას;

- ვ) კანონპროექტის მომზადების პროცესის დეტალური აღწერა; კონსულტაციის პროცესის დროს გაუღებელი მთავარი შეხედულებების მოკლე ანალიზი და მათი გათვალისწინების და/ან გათვალისწინებლობის ზემოქმედების შედეგების შეჯამება;
- ზ) კანონის აღსრულების გზები, კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოების/დანესე-ბულებების როლი და ფუნქციები;
- თ) კანონის აღსრულების მონიტორინგისა და შეფასების გზები.

1.4. მინიმალური მოთხოვნის შესაბამისი სტანდარტული ჩაბუღიჩაბის ზაბაჰდენის შეფასება და სიღრმისეული ჩაბუღიჩაბის ზაბაჰდენის შეფასება

რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით, რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელება მოიცავს შემდეგ ეტაჰებს:

1. პრობლემის გამოვლენა და განსაზღვრა;
2. პოლიტიკის მიზნების განსაზღვრა;
3. ალტერნატივების შემუშავება;
4. ზეგავლენის რაოდენობრივი და თვისებრივი შეფასება;
5. ალტერნატივების შედარება;
6. მონიტორინგისა და განხორციელების გეგმის შედგენა.

აღნიშნულ ეტაჰებზე დახარჯული დროისა და რესურსების მოცულობა დამოკიდებულია რეგულირების ზეგავლენის შეფასების საგნის აქტუალობაზე, სირთულესა და მის რაობაზე.

ოცდამეთხუთმეტე დადგენილების თანახმად, რეგულირების ზეგავლენის შეფასება შეიძლება განხორციელდეს ორგვარად:

- სტანდარტული რეგულირების ზეგავლენის შეფასება (მინიმალური მოთხოვნა);
- სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასება.

ასეთი არჩევანის უკან დგას შემდეგი ლოგიკა: რესურსები შეზღუდულია, პოლიტიკური დღის წესრიგი მწვავეა და ყველა სამთავრობო ინიციატივას არ სჭირდება ერთი და იმავე ტიპის ანალიზი. ამგვარად, საჭიროა, რომ ანალიტიკური რესურსები მიმართული იყოს იმისაკენ, რომ დროისა და რესურსების დახარჯვა მოხდეს თანაბომიერად და მიმართული იყოს იმ საკითხებზე, რომელთა გადაჭრით ყველაზე მეტი შედეგი დადგება. რეგულირების ზეგავლენის შეფასება უნდა იყოს შეძლებისდაგვარად დეტალური, რათა დაინტერესებულ მხარეების მთავარ კითხვებს გაეცეს ნათელი პასუხები და მთავრობის გადაწყვეტილება მაქსიმალურად კომპეტენტური იყოს. რაც უფრო არსებითია მოსალოდნელი ზეგავლენა და/ან რაც უფრო გაურკვეველია და/ან სადავოა ზეგავლენა, მით უფრო სიღრმისეული უნდა იყოს ანალიზი და მოიცავდეს უფრო მეტ ძალისხმევას მონაცემთა შეგროვებისათვის, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციისა და ზეგავლენის რაოდენობრივად გამოხატვის პროცესებისათვის. შედეგად, ინიციატივის აქტუალობის ან მოსალოდნელი ზეგავლენის მასშტაბის საფუძველზე მთავრობა გადაწყვეტს, განახორციელოს თუ არა რეგულირების ზეგავლენის სრული (უფრო დეტალური) ანალიზი სავალდებულო სტანდარტულ „მსუბუქ“ შეფასებასთან ერთად. მოქმედების სფერო უნდა იყოს სტრატეგიული და თანაბომიერი, რეგულირების ზეგავლენის სრულმასშტაბიანი შეფასებები უნდა შემოიფარგლებოდეს ყველაზე მნიშვნელოვანი წინადადებებით, სავარაუდოდ, მთავრობის პრიორიტეტების საფუძველზე. 2030 წლის დღის წესრიგის მიზნები შეიძლება იყოს ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი ანალიზების პრიორიტეტული გადანაწილების პროცესში.

როგორც ასეთი, ყველა სამთავრობო დეპარტამენტმა უნდა ჩაატაროს სკოპინგის ანალიზი – რეგულირების ზეგავლენის „მსუბუქი“ შეფასება – რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, შეივსება უფრო სიღრმისეული, ანუ „სრული“ რეგულირების ზეგავლენის შეფასებით. როგორც წესი, საწყისი შეფასების დეტალიზაციის დონე უნდა იყოს შემოთავაზებული მარეგულირებელი ღონისძიების პოტენციური ზეგავლენის მასშტაბის თანაზომიერი. კონკრეტულად კი რეგულირების ზეგავლენის შემფასებლებმა მეტი დრო უნდა დახარჯონ დამატებით ანალიზზე, თუ მათ მიაჩნიათ, რომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების მიგნებების შედეგად განხორციელებული ცვლილებები მოიტანს დამატებით ზღვრულ სარგებელს.

- **სტანდარტული რეგულირების ზეგავლენის შეფასება** წარმოადგენს გამოვლენილი პრობლემის სიღრმისეულ ანალიზს. სტანდარტული შეფასება ტარდება, როდესაც პოლიტიკის მიზნის გამოვლენის შემდეგ საჭირო ხდება მიზნის მიღწევის შესაძლო მექანიზმების მოკვლევა. სტანდარტული შეფასების მიზანია, პოლიტიკის გამტარებლებს დაეხმაროს რეგულირება-არერეგულირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. სტანდარტული შეფასება განსაზღვრავს პოლიტიკის მიზნებს, აყალიბებს სახელმწიფოს წინაშე არსებულ პრობლემას და აკონკრეტებს გასათვალისწინებელი ალტერნატივების სპექტრს. რეგულირების ზეგავლენის შეფასება, რომლის მიზანია სკოპინგი, უნდა ითვალისწინებდეს დაინტერესებულ მხარეებსა და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ჯგუფებთან, მათ შორის, სხვა სამთავრობო უწყებებთან, გარკვეული დონის კონსულტაციას, რათა შეფასდეს თითოეული ალტერნატივის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მოსალოდნელი ზეგავლენა (თითოეული ალტერნატივის ხარჯები, სარგებელი და რისკები) შეფასებული უნდა იყოს თვისობრივად მაინც. ზოგადად, რაც უფრო ფართოა კონსულტაციის მასშტაბი, მით უფრო მაღალია იმ მხარეთა მხარდაჭერის მიღების ალბათობა, რომლებზეც რეგულირება ახდენს გავლენას, და მით უფრო დაბალია ისეთი ზეგავლენის გამოვლენის ალბათობა, რომელიც რეგულირების ზეგავლენის შეფასებისას არ იყო გათვალისწინებული. უფრო მეტიც, რეგულირების ზეგავლენის მსუბუქი შეფასება შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე უნდა გასატაროვდეს, რათა საკანონმდებლო საქმიანობის დასრულებამდე ხელი შეუწყოს დამატებით საჯარო განხილვებს და/ან გამოვლინდეს უფრო დეტალური (სრული) ანალიზის საჭიროება.
- **სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასება** ითვალისწინებს ყველა განსახილველი ალტერნატივის დეტალურ ანალიზს; სიღრმისეული შეფასების დროს ყურადღება ექცევა თითოეული ალტერნატივის სოციალურ, გარემოს დაცვით და ეკონომიკურ ხარჯებსა და სარგებელს და რისკებს იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც მიღებულია საწყისი კონსულტაციისა და მონაცემთა შეგროვებისა და ანალიტიკური ტექნიკების (მათ შორის, არა მხოლოდ ეკონომიკური ანალიზის) გამოყენების შედეგად. რეგულირების ზეგავლენის სიღრმისეული შეფასების მიზანი უნდა იყოს ზეგავლენის არა მხოლოდ რაოდენობრივი წარმოდგენა, არამედ მისი მონეტიზაცია.

დადგენილების მე-8 მუხლი არეგულირებს შემთხვევებს, როდესაც სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში უნდა მომზადდეს:

- ა) სტანდარტული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის მომზადებისას გამოვლინდა საკითხის სიღრმისეული შესწავლის აუცილებლობა, რომლის გარეშეც ანგარიშიდან საკმარისად ნათლად არ ჩანს რეგულირების მოსალოდნელი შედეგები;
- ბ) სტანდარტული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის მომზადებისას დადგინდა, რომ შერჩეული ალტერნატივის განხორციელების ხარჯი კანონის (მისი ძირითადი ნაწილის

- რეგულირების) ამოქმედებიდან მომდევნო სამი უწყვეტი წლის განმავლობაში 10 მილიონ ლარს აღემატება;
- გ) სტანდარტული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის მომზადებისას დადგინდა, რომ შერჩეულ ალტერნატივას განსაკუთრებულად დიდი ზეგავლენა აქვს რომელიმე დარგზე ან მის ქვესექტორზე;
- დ) საკითხმა/პრობლემამ გამოიწვია დაინტერესებულ მხარეებს შორის აზრთა არსებითი სხვაობა ძირითად საკითხებზე ან მოსალოდნელია ასეთის არსებობა.³

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიზის ჩატარების ტიპი, სიღრმე და მინიმალური მოთხოვნები მოცემულია 1-ელ ცხრილში:

ცხრილი 1. სტანდარტული რეგულირების ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის მომზადების მინიმალური მოთხოვნები

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის ნაწილები/თავები	სტანდარტული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის მინიმალური მოთხოვნები	სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში
I. ზოგადი ინფორმაცია ინიციატივისა და პასუხისმგებელი სამინისტროს შესახებ	სავალდებულოა	სავალდებულოა, რეგულირების ზეგავლენის შეფასების შედეგების „მოკლე შეჯამებით“
II. ა) პრობლემის განსაზღვრა	სავალდებულოა: - ძირითადი პრობლემის, მისი მიზეზებისა და მთავარი პირდაპირი შედეგების სავალდებულო განსაზღვრა - პრობლემის მასშტაბის თვისებრივი აღწერა	სავალდებულოა: - მთავარი პრობლემის, მისი მიზეზებისა და მთავარი პირდაპირი შედეგების სავალდებულო განსაზღვრა - პრობლემის მასშტაბის თვისებრივი და რაოდენობრივი აღწერა
II. ბ) უმოქმედობის ალტერნატივა (საბაზისო სცენარი)	სავალდებულოა: - სცენარის თვისებრივი აღწერა	სავალდებულოა: - სცენარის რაოდენობრივი ელემენტების აღწერა
II. მიზნები	სავალდებულოა: - ზოგადი და კონკრეტული მიზნების დასახვა	სავალდებულოა: - ზოგადი და კონკრეტული მიზნების დასახვა
II. დ) ალტერნატივების შემუშავება	სავალდებულოა	სავალდებულოა: - სულ მცირე, ერთი არამარეგულირებელი ალტერნატივის ჩართვა

³ სახელმძღვანელოს ინგლისურ ვერსიაში ეს მუხლი ზუსტად დადგენილების ოფიციალური ტექსტის იდენტურია, როგორც ის გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მიერ. მისი ინტერპრეტირება შეიძლება მოხდეს შემდეგნაირად: სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელება სავალდებულოა, თუ მოსალოდნელია რომ რეგულირების განხორციელების ხარჯი გადააჭარბებს 10 მილიონ ლარს რეგულირების ძირითადი ნაწილის ამოქმედებიდან 3 უწყვეტი წლის განმავლობაში.

II. ე) ზეგავლენის ანალიზი (თითოეული ალტერნატივისთვის)	სავალდებულო მახასიათებლები: - ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი, საჯარო ფინანსები და დარგისთვის სპეციფიკური ქვეკატეგორიები - პირდაპირი (და არაპირდაპირი, თუ შესაძლებელია)	სავალდებულო მახასიათებლები: - ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი, საჯარო ფინანსები და დარგისთვის სპეციფიკური ქვეკატეგორიები - პირდაპირი და არაპირდაპირი
	- პირდაპირი შესაბამისობის ხარჯებისა და საჯარო ფინანსების ხარჯების რაოდენობრივი შეფასება – თუ რაოდენობრივი შეფასება არ არის შესაძლებელი, უნდა მოხდეს ამ გადაწყვეტილების დასაბუთება და თვისებრივი შეფასება - სხვა პირდაპირი და არაპირდაპირი ზეგავლენის თვისებრივი შეფასება (ეკონომიკური, სოციალური, გარემოს დაცვითი და დარგისთვის სპეციფიკური ქვეკატეგორიები)	- ყველა პირდაპირი ხარჯისა და სარგებლის (ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი, დარგისთვის სპეციფიკური ქვეკატეგორიები) რაოდენობრივი შეფასება - ყველა არაპირდაპირი ხარჯისა და სარგებლის (ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი, დარგისთვის სპეციფიკური ქვეკატეგორიები) რაოდენობრივი შეფასება – თუ ზეგავლენის რაოდენობრივი შეფასება შეუძლებელია, მიზეზები ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი, ზეგავლენის შეფასება კი რაოდენობრივი შეფასების ალტერნატიული მეთოდებით უნდა მოხდეს
II. ვ) ალტერნატივების შედარება	სავალდებულო ანალიტიკური მეთოდები: - მრავალკრიტერიუმული ანალიზი	სავალდებულო ანალიტიკური მეთოდები: - მრავალკრიტერიუმული ანალიზი, სადაც გაერთიანებულია ხარჯთაშესაბამისი ან ხარჯთაშესაბამისი ანალიზის შედეგები
II. ზ) მონიტორინგისა და შეფასების გეგმა (სასურველი ალტერნატივისთვის)	სავალდებულო	სავალდებულო
III. საჯარო კონსულტაციების პროცესი	სავალდებულო: - პროცესის აღწერა - მიღებული ინფორმაციისა და მათი გათვალისწინების შედეგების შეჯამება	სავალდებულო: - პროცესის აღწერა - მიღებული ინფორმაციისა და მათი გათვალისწინების შედეგების შეჯამება
IV. აკრედიტაცია (ინიციატორი უწყების კომპეტენტური პირის ხელმოწერა)	სავალდებულოა	სავალდებულოა
V. ტექნიკური დანართები	ნებაყოფლობითი	ნებაყოფლობითი



2. ჩეხური რეგულირების მექანიზმების ლოგიკური სტრუქტურა

2.1. ჩეხური რეგულირების მექანიზმები – ეტაპობრივი და ინტეგრირებული პროცესი, როგორც სასაბუნების განვითარების უზრუნველყოფის სტრატეგია

მიუხედავად იმისა, რომ რეგულირების მექანიზმების შეფასება წარმოდგენილია როგორც გარკვეული ეტაპების თანმიმდევრული პროცესი, სინამდვილეში ის საკმაოდ განსხვავდება წმინდა წრფივი პროცესისაგან (იხ. გრაფიკი 1). მართალია, პრობლემის გამოვლენა და განსაზღვრა წინ უსწრებს პოლიტიკის მიზნების დასახვას, ალტერნატივების შემუშავებას, მექანიზმების შეფასებასა და ალტერნატივების შედარებას, მაგრამ სინამდვილეში ყველა ეს ეტაპი ერთმანეთთან დაკავშირებულია ურთიერთცალსახა – პირდაპირი და უმეტესწილად არაპირდაპირი – გზით. ამ პროცესში გაერთიანებულია დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად მიღებული უკუკავშირი, სამაგიდო კვლევა, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი.


პრაქტიკაში კი შემოხსენებული პროცესი გულისხმობს იმას, რომ პრობლემის გამოვლენისა და განხილვის შემდეგაც კი პრობლემის განსაზღვრება შეიძლება კვლავ შეიცვალოს, რათა აისახოს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად მიღებული უახლესი შეხედულებები, ახალი მონაცემები/ინფორმაცია, ანალიზის ახალი შედეგები.

თავის მხრივ, ამან შეიძლება მექანიზმების იქონიოს ოპერაციულ (ან ზოგად მიზნებზეც კი) მიზნებზე, ამოცანებზე თუ ინდიკატორებზე და შეიძლება მოითხოვოს უკვე შერჩეული ალტერნატივების შეცვლა უფრო რელევანტური და/ან განხორციელებადი ალტერნატივებით.

ამგვარად, რეგულირების მექანიზმების შეფასების ანალიტიკოსი ანგარიშის დასრულებამდე უნდა დარჩეს მოქნილი და ღია, რათა გაითვალისწინოს ახალი ინფორმაცია თავის შეფასებებში.

მიუხედავად ამისა, რეგულირების მექანიზმების შეფასების ეტაპების ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან თითოეული ეტაპი (როგორც ეს უფრო დეტალურად იქნება განხილული შემდეგ თავში) ყოველ მომდევნო ეტაპს აწვდის პირდაპირ და კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას.

გრაფიკი 1. რეგულირების მექანიზმების შეფასება მრავალმხრივი პროცესია



როგორც პირველ გრაფიკზე ნაჩვენები, კონსულტაციები, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი ხდება პირველივე წუთიდან, რაც თან ახლავს პირველ მცდელობებს, გამოვლინდეს და განისაზღვროს პრობლემა, მონიტორინგისა და განხორციელების გეგმის შედგენამდე; ამ პროცესებს უკიდურესად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სამუშაოს ყველა ფაზაში. მათი აქტუალობისა და ფართომასშტაბიანი ბუნების გამო, ამ პროცესებს უფრო დეტალურად განვიხილავთ მანამ, სანამ გადავალთ რეგულირების ზეგავლენის შეფასების მექანიზმის განხილვაზე.

2.2. დაინტერესებული მხარეებთან კონსულტაცია

დაინტერესებული მხარე შეიძლება იყოს:

- პირები, ჯგუფები ან ორგანიზაციები, რომელთა ინტერესებზე საკითხი ახდენს ზეგავლენას, რომელთა საქმიანობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საკითხზე და რომლებზეც პოტენციურმა ინტერვენციამ შეიძლება მოახდინოს გავლენა. დაინტერესებულ მხარეებს შეიძლება მიეკუთვნებოდეს სხვა სამთავრობო/საჯარო ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც (მაგ. სხვა სამინისტროები და/ან დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები);
- ისინი, ვინც ფლობენ ინფორმაციასა და რესურსებს და აქვთ ზემოქმედების შეფასებისათვის, სტრატეგიის ჩამოყალიბებისა და განხორციელებისათვის საჭირო კომპეტენცია; და
- ისინი, ვინც აკონტროლებენ განხორციელების შესაბამის ინსტრუმენტებს.

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია წარმოადგენს ჩართულობითი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის განუყოფელ ნაწილსა და ფუნდამენტურ კომპონენტს. კონსულტაცია გულისხმობს **დიალოგს**, მისი მიზანია, მოისმინოს მოსაზრებები ან მოიპოვოს მტკიცებულებები, რათა **განსაზღვროს და ზემოქმედება** იქონიოს პოლიტიკის მიზნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაზე, და უჩვენოს, რა ტიპის ინფორმაცია იქნა გათვალისწინებული და რა ღონეზე.

კონსულტაცია არის **ორმხრივი**, რაც ნიშნავს **როგორც** დაინტერესებული მხარეებისათვის ინფორმაციის მიწოდებას (მაგ. ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, რომ მზადდება კანონპროექტი, განიხილება სხვადასხვა მიდგომა, დაინტერესებულ მხარეებთან პოტენციური მიზნების, ასევე, სამაგიდო კვლევებისას გამოვლენილი დინამიკის განხილვა), **ისე** დაინტერესებული მხარეებისათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ გამოსატონ თავიანთი აზრი არსებულ საკითხთან დაკავშირებით, გაუზიარონ მათ ხელთ არსებული მონაცემები და გამოხატონ თავიანთი მოლოდინები და შენიშვნები როგორც არსებულ მდგომარეობასთან, ისე შემოთავაზებულ რეფორმასთან დაკავშირებით.

2.2.1. კონსულტაციის დაგეგმვა

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია არ უნდა იყოს და ვერც იქნება იმპროვიზებული. **„კონსულტაციის გეგმის“** შემუშავება საკვანძო როლს თამაშობს ამ აქტივობით მაქსიმალური სარგებლის მიღებაში. ამას, რა თქმა უნდა, სჭირდება დრო და ყურადღებით დაგეგმვა, რადგან რესურსები შეზღუდულია, მათი გადანაწილება კი ეფექტიანად უნდა მოხდეს.

კონსულტაციის გეგმა არის შიდა სამუშაო დოკუმენტი, რომელიც საფუძვლად უდევს კონსულტაციის მომზადებას და იძლევა საშუალებას, რომ ჩამოაყალიბოთ აზროვნების ლოგიკური ჯაჭვი როგორც **მიზნების** მიმართულებით, რომელთა მიღწევაცაა საჭიროა, ისე იმ **საშუალებების** კუთხით, რომელთა გამოყენებაც არის შესაძლებელი.

გეგმა შეიძლება მეტ-ნაკლებად გამართული იყოს, მაგრამ ნათლად უნდა პასუხობდეს შემდეგ ოპერაციულ კითხვებს:

- **როდის უნდა ჩავატარო კონსულტაცია?** – პასუხი: რაც შეიძლება ადრე, როგორც კი პოლიტიკის გამტარებელი მზადაა, საჭაროდ წარადგინოს საკმარისი ინფორმაცია ეფექტური და ინფორმირებული დიალოგის გასამართად. არასდროს ჩაატაროთ კონსულტაციები გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.
- **რის შესახებ უნდა იყოს კონსულტაცია?** – პასუხი: კონსულტაცია შეიძლება ჩატარდეს რეგულირების ზეგავლენის შეფასების კონკრეტული ელემენტების შესახებ, რათა გადამოწმდეს იდეები ან მოკვლეული იყოს დამატებითი ინფორმაცია; ან გასატარებელი პოლიტიკის საერთო შინაარსის შესახებ გამომდინარე იქიდან, თუ რა ეტაპზეა ანალიზის პროცესი. განურთ კონსულტაციის მიზნები/კონცენტრაცია მოახდინეთ თქვენს მიზნებზე.
- **ვისთან უნდა ჩავატარო კონსულტაცია?** – პასუხი: რეგულირება ზეგავლენას არ ახდენს ეკონომიკის ყველა სექტორზე, მოსახლეობის ყველა ქვეჯგუფებსა ან გეოგრაფიულ არეალზე, ან ისინი ყველანი თანაბრად არ არიან ჩართულნი ამ პროცესში. სამიზნე აუდიტორია უნდა იყოს ფართო და არა ვიწრო. იმ დაინტერესებული მხარეების ტიპების განსაზღვრის დროს, რომელთანაც გსურთ დაკავშირება, უნდა გაითვალისწინოთ ორი განსხვავებული, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად აქტუალური საკითხი:
 - პირველ რიგში, კონსულტაცია არის საშუალება, რათა საზოგადოება ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში; ამგვარად, კონსულტაცია არ უნდა გამორიცხავდეს არც ერთ მხარეს, რომელსაც აქვს ვალიდური ინტერესები;
 - მეორე მხრივ, კონსულტაცია უნდა ემსახურობდეს თქვენს მიზნებს, ანუ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის პროექტის გადამოწმებასა და განმტკიცებას. ასევე, უნდა იფიქროთ სტრატეგიულად თქვენი კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით.
- **რატომ უნდა ჩავატარო კონსულტაცია?** – პასუხი: მიუხედავად იმ ინფორმაციის მოცულობისა თუ შინაარსისა, რომელიც შეიძლება გამოცდილმა მკვლევარებმა მოიძიონ სამაგიდო კვლევებით და ნებისმიერ საკითხზე არსებული ლიტერატურის ანალიზით, იმ დაინტერესებულ მხარეებს, რომლებზეც პრობლემა ან შემოთავაზებული პოლიტიკა გავლენას ახდენს, როგორც წესი, შეუძლიათ მოგაწოდონ უნიკალური და მნიშვნელოვანი შეხედულებები, რაც ავსებს სხვა წყაროებს დაწვლილი შეაქვს მაღალი ხარისხის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შედგენაში. რადგანაც ყველა დაინტერესებულ მხარეზე არ მოქმედებს რეფორმა და ყველა დაინტერესებული მხარე არ ზემოქმედებს რეფორმაზე, მკვლევარებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არსებული რესურსები გამოყენებული იყოს ისე, რომ მხოლოდ რელევანტური დაინტერესებული მხარეები იყვნენ ჩართულნი კონსულტაციის პროცესში. ამის მიღწევა მარტივად შეიძლება ისეთი „მატრიცის“ შემუშავებითა და გამოყენებით, რომელიც ასხვავებს დაინტერესებულ მხარეებს მათი ინტერესების, შესაძლებლობებისა და ზემოქმედების დონის მიხედვით. 2.2.2 თავში განხილულია, როგორ შევადგინოთ და გამოვიყენოთ დაინტერესებული მხარეების მატრიცა, რათა უკეთ ჩამოვაყალიბოთ კონსულტაციის პროცესი.
- **როგორ უნდა ჩავატარო კონსულტაცია?** – პასუხი: სამიზნე დაინტერესებული მხარეების, პოლიტიკის ფორმულირების ეტაპისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით არსებობს კონსულტაციის მრავალი ფორმა და განსხვავებული არხი. ხშირ შემთხვევაში სასურველია შერეული მიდგომის გამოყენება. ასევე, სასურველია მარტივი ენის გამოყენება. 2.2.3. თავში განხილულია უფრო მეტი ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებისთვის გამოსაყენებელ მეთოდებსა და არხებზე.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად და კონსულტაციის პროცესის უკეთ დასაგეგმად რეგულირების

ზეგავლენის შეფასების გუნდს შეუძლია საწყის ეტაპზე გამოიყენოს მე-2 ცხრილი. ცხრილში მოცემულია დაინტერესებული მხარეების სრულყოფილი სია და მათი მოსაზრებები იმ საკითხსა თუ პრობლემაზე, რომელზედაც თქვენ მუშაობთ. ცხრილში მოცემული უნდა იყოს მათი ინტერესები, ოფიციალური/საჯარო პოზიცია განსახილველ პოლიტიკასთან დაკავშირებით; მათგან მისაღები მოსალოდნელი ინფორმაცია; და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ინტერესები გამოვლენილ პრობლემასთან დაკავშირებით (აქვე, აუცილებელია შესაძლო მიკერძოებასთან გამკლავება). დაინტერესებული მხარეების გამოვლენა შეიძლება შესაბამისი ლიტერატურის მოძიებით (მათ შორის, ანგარიშები და/ან კვლევები სხვა ქვეყნების შესახებ), ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრა, სამუშაო შეხვედრების ჩატარება და სფეროს წარმომადგენლებთან საუბარი. ეს ინფორმაცია უნდა დამუშავდეს გუნდის შიგნით და გადამოწმდეს კონსულტაციის პროცესის დროს. ცხრილის ბოლო სვეტი (მეოთხედი) ეხება დაინტერესებული მხარის პოზიციას დაინტერესებული მხარეების მატრიცაში (მოცემულია ქვემოთ). გამომდინარე იქიდან, თუ მატრიცის რომელ მეოთხედშია დაინტერესებული მხარე, რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა ასეთ დაინტერესებულ მხარესთან მიდგომა უნდა შეცვალოს. ეს ასპექტი დეტალურად იქნება განხილული, როდესაც საუბარი იქნება დაინტერესებული მხარეების მატრიცაზე.

ცხრილი 2. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის შექამება

დაინტერესებული მხარე	ინტერესი	ოფიციალური პოზიცია	ინფორმაციის ტიპი	ინტერესი/მიკერძოება	მეოთხედი (მიდგომა)
ორგანიზაცია A					
ორგანიზაცია B					
...					

უნდა გაითვალისწინოთ, რომ სრულყოფილი საჯარო კონსულტაცია შეიძლება არ იყოს საჭირო – ან არ იყოს ინტერაქციის სასურველი ფორმა, თუ თქვენი მიზანია **(სამეცნიერო) მტკიცებულების მოძიება**. ეს მნიშვნელოვანი საკითხი განხილულია მე-3 ჩანართში.

ჩანართი 3 – კონსულტაცია და მონაცემთა შეგროვება

მნიშვნელოვანია, რომ ფორმალურად განვასხვაოთ საჯარო კონსულტაცია და მონაცემთა შეგროვების, გადამოწმებისა და (მეცნიერული) კომპეტენციის გამოყენების პროცესი. არსებობს ორი განსხვავებული აქტივობა, ორივე ემსახურება სხვადასხვა მიზანს და რეგულირდება განსხვავებული პრინციპებით. პირველი აქტივობა ეხება ჩართულობასა და წარმომადგენლობას, ხოლო მეორე – როგორც წესი, ცდილობს, მოიპოვოს ყველაზე კარგი მტკიცებულება.

ორ პროცესს შორის განსხვავება ნათლად ჩანს, როდესაც ხდება ისეთი სამთავრობო ინტერვენციების შემუშავება და შეფასება, რომელთა მიზანია საზოგადოების ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვა. ამ შემთხვევებში **რისკის შეფასების** კვლევები, ძირითადად, ეფუძნება ფაქტებს, ხოლო რისკების მიღება საზოგადოების მხრიდან, სარგებელი-რისკი, ასევე, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები მიეკუთვნება პოლიტიკაზე დაფუძნებულ **რისკის მართვის** პროცესს.

როდესაც საქმე ეხება მონაცემთა და მეცნიერული დასკვნების შეგროვებას, ორი მთავარი გარემოება თამაშობს როლს:

- ერთი მხრივ, მარეგულირებლების მოსაზრება საჭიროა იმისათვის, რომ ნათლად ახსნან ის როლი, რასაც „მეცნიერება“ ითამაშებს გადაწყვეტილების მიღების დროს და, შესაბამისად, რა ტიპის მეცნიერული მტკიცებულება იქნება გამოყენებული. საერთაშორისო პრაქტიკით რეკომენდირებულია **მოწინავე მეცნიერული გამოცდილების** კრიტერიუმების შედგენა, ისეთი სტანდარტების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს სამეცნიერო მეთოდებთან შესაბამისობას და დაეცოდნება, მაგალითად, სისტემატური გადახედვის მექანიზმებს;
- მეორე მხრივ, კარგი მეცნიერული მართვა გულისხმობს ინტერესთა კონფლიქტისა და მიკერძოების სწორ მართვას სამეცნიერო გამოცდილების განცხადებისა და მიღებისას იმისათვის, რომ შემცირდეს პირადი ინტერესების გატარების რისკები. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული მეცნიერ-ექსპერტები უნდა მუშაობდნენ **მიუკერძოებლად**, ანუ ისინი უნდა მუშაობდნენ საჯარო ინტერესის სასარგებლოდ: მარეგულირებელ მეცნიერებაზე არ უნდა მოქმედებდეს კერძო ზრახვები, რწმენები, იდეოლოგიები თუ ინტერესები.

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს რამდენიმე კარგ პრაქტიკას, რათა კონსულტაცია იყოს ეფექტური, ინკლუზიური და შინაარსიანი. ასეთ პრაქტიკაში იგულისხმება:

- **ხელმისაწვდომობა** – საკონსულტაციო დოკუმენტები არის ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის; დოკუმენტები სტანდარტული, მარტივად გასაგები შაბლონებით არის აგებული; დოკუმენტები შედგენილია მარტივი (არა ტექნიკური), გასაგები ენით; დოკუმენტები ლაკონიურია და მათში მოცემულია ყველა საჭირო ინფორმაცია. იმისათვის, რომ საკონსულტაციო დოკუმენტები იყოს გასაგები, საჭიროა, რომ ნათლად განაცხადოთ, რას ეხება კონსულტაცია და რა არის თქვენი მოლოდინი დაინტერესებული მხარეებისაგან, მაგალითად, მათი ინფორმაციის მოცულობის, ტიპისა და შინაარსის კუთხით. ამ საკითხზე დამატებითი ინფორმაცია იხ. მე-4 ჩანართში. ასევე, ნათლად უნდა მიუთითოთ, როგორ შეძლებენ დაინტერესებული მხარეები წვლილის შეტანას როგორც მათთვის ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო არხების (ვებგვერდის ბმულები, ელ. ფოსტის მისამართები, ტელეფონის ნომრები ან საფოსტო მისამართები), ისე საკონსულტაციო პერიოდის ვადების კუთხით.

ჩანართი 4 – საკონსულტაციო პროცესის ახსნა

იმისათვის, რომ კონსულტაციაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა და კონსულტაციის ეფექტიანობა გაიზარდოს, საჭიროა დაინტერესებული მხარეების ინფორმირება საკონსულტაციო აქტივობის მიზნებისა და შინაარსის შესახებ. თქვენ მიერ მიწოდებული ინფორმაციის დონე და დეტალები დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ეტაპზეა რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესი. რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის ეტაპიდან გამომდინარე, შეგიძლიათ განიხილოთ ჩამოთვლილთაგან ერთ ან რამდენიმე ძირითად საკითხზე დაინტერესებული მხარეების ინფორმირება:

- **ამ კონსულტაციის შესახებ** – ამ ეტაპზე შეიძლება საზოგადოების მოწვევა კომენტარების გასაკეთებლად, ნათლად განუცხადოთ მათ, არსებობს თუ არა კონკრეტული და მიზნობრივი საკითხები, რომელთა შესახებაც საზოგადოების უკუკავშირი სასურველია; ასევე, მნიშვნელოვანია საზოგადოების მონაწილეობის წინასწარ დაფასება და მათთვის

პირობის მიცემა, რომ კომენტარების გაკეთების დასრულების შემდეგ მათ საჯარო პასუხით დაუბრუნდებით. ასეთი ინფორმაცია ყოველთვის უნდა იყოს წარმოდგენილი. გასაკვირი არაა, რომ მიწოდებული ინფორმაცია შეიცვლება კონსულტაციის პროცესთან ერთად, შესაბამისად, ჩნდება ახალი ინფორმაცია და ახალი კითხვები.

- **ამ რეგულირების მიზანი** – შეჯამების სახით დაინტერესებულ მხარეებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, თუ რის შესახებაა რეგულირება, რა პრობლემა წყდება და როგორ ეხმარება რეგულირება პრობლემის მოგვარებაში. ასეთი ინფორმაციის გაზიარება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, თუ უკვე არსებობს პრობლემის ბუნებისა და პოლიტიკის მიზნების წინასწარი განსაზღვრა. ამ ინფორმაციის გაზიარება დაინტერესებულ მხარეებთან დაგეხმარებათ, რომ მიიღონ ინფორმაციული უკუკავშირი უკვე ჩატარებული ანალიზის ხარისხისა და სრულყოფილების შესახებ, რითაც დაინტერესებულ მხარეებს მიეცემა შესაძლებლობა, რომ მიუთითონ მიკერძოებაზე, შეცდომებსა და/ან გამორჩენილ საკითხებზე. ასევე, ამით დაინტერესებულ მხარეებს ექნებათ შესაძლებლობა, რომ შემოგთავაზონ დამატებითი ალტერნატივები და/ან გზები, რითაც შეიძლება უკვე შერჩეული ალტერნატივების გაუმჯობესება/განმტკიცება.
- **დაინტერესებული მხარეები, რომლებზეც რეგულირება ახდენს ზემოქმედებას** – ამ ნაწილში ნათლად უნდა იყოს გამოვლენილი ის მთავარი დაინტერესებული მხარეები, რომლებზეც რეგულირება ზემოქმედებს. ამ ჯგუფში შეიძლება მოხვდნენ: კონკრეტული ინდუსტრია ან ეკონომიკის სექტორები, პროფესიონალთა ჯგუფი, მოქალაქეთა ჯგუფი, რეგიონები, სხვა სამთავრობო უწყებები ან მათი ერთობლიობა. ასევე, ამ ინფორმაციის მიწოდება შეიძლება მას შემდეგ, რაც პრობლემის ბუნება წინასწარ არის შეფასებული და პოლიტიკის ამოცანების წინასწარი განსაზღვრა უკვე არსებობს. დაინტერესებული მხარეებისაგან უკუკავშირის მიღება მნიშვნელოვანია, რათა არცერთი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დაინტერესებული მხარე არ გამოგრჩეთ.
- **მოსალოდნელი ზეგავლენა** – ამ ბოლო ნაწილში მარეგულირებელმა უნდა ახსნას, რა მოსალოდნელი ზეგავლენა ექნება შემოთავაზებულ რეგულირებას, როგორ იმოქმედებს რეგულირება წინა ნაწილში განსაზღვრულ დაინტერესებულ მხარეებზე; და მოხდა თუ არა სხვა ალტერნატივების (მარეგულირებელი თუ არამარეგულირებელი) განხილვა. ამ ინფორმაციის გაზიარება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩატარდება შერჩეული ალტერნატივების ზეგავლენის წინასწარი შეფასება. იდეალურ შემთხვევაში, წინასწარი შედეგები წარედგინება და განიხილება დაინტერესებული მხარეების ფართო ჯგუფთან, რათა შემომდეს, რომ არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი არაა გამორჩენილი, მიღებული უკუკავშირი გათვალისწინებულია სწორად და არ არის აზრთა არსებითი სხვადასხვაობა. ამ ეტაპზე გაუღერებული ყველა საკითხი საგულდაგულოდ უნდა გადაიხედოს და რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჯგუფის მიერ გათვალისწინებულ იქნეს საბოლოო ანგარიში.

- **ინკლუზიურობა** – აღნიშნულ აქტივობას აქვს საჯაროობის საკმარისი დონე. ყველა სამიზნე ჯგუფი დროულად არის ინფორმირებული და ყველას აქვს განსაზღვრული მინიმალური საკონსულტაციო პერიოდი, რათა მოემზადოს და ჩაერთოს მათი მოთხოვნებისა და საშუალებების გათვალისწინებით.
- **მიზნობრიობა** – კონსულტაციის ინსტრუმენტები და არხები ადაპტირებულია სამიზნე აუდიტორიისათვის. ეს გულისხმობს, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ჯგუფებისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის განხილვებსა და შეხვედრებზე ფიზიკურად დასწრებაში დახმარებას.

- **ანგარიშგება** – თუ არ მოქმედებს კონფიდენციალურობის მუხლი, დაინტერესებული მხარეების წვლილი უნდა იყოს გასაჭაროებული და უნდა მოხდეს მათთვის ოფიციალური მადლობის გადახდა ანგარიშში ან ერთობლივად, ან ცალ-ცალკე; ასევე, ანგარიშში ახსნილი უნდა იყოს, რა ინფორმაცია იქნა გათვალისწინებული, რა არა და რატომ.

ყველა ამ საკითხის გასათვალისწინებლად რეკომენდირებულია, რომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჭგუფმა მოამზადოს საკონსულტაციო კითხვარი დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა ჭგუფისათვის, რათა წარიმართოს უფრო სტრუქტურული დისკუსია. ეს, ასევე, დაეხმარება რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდს, რომ შეაჯამოს კონსულტაციის შედეგები (კონსულტაციის მეთოდების შესახებ დამატებითი დეტალები იხ. ქვემოთ).

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის სამუშაო ვერსიის მომზადების შემდეგ იწყება კონსულტაციების ახალი ფაზა, როდესაც საზოგადოებას წარედგინება შეფასების ანგარიშის პროექტი და ხდება მათგან დამატებითი უკუკავშირის მიღება. იმ შემთხვევაში, თუ მომზადებულია კანონპროექტი, გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ კანონპროექტის გატანა საჯარო კონსულტაციაზე საკმარისი არ არის და შეიძლება ამან საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს. სამართლის არმცოდნე პირებისათვის ტექსტი შეიძლება ზედმეტად რთული იყოს გასაგებად; შეიძლება კანონპროექტი არ ხსნიდეს და არ უჩვენებდეს ლოგიკასა თუ ანალიზს, ან ალტერნატივების სიღრმისეულ ახსნას; ეს შეიძლება აღქმული იყოს, როგორც „საკამათო“ პრაქტიკა. **ამ ეტაპზე ნამდვილად კარგი პრაქტიკაა, რომ კანონპროექტის სამუშაო ვერსიას თან ახლდეს რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროექტიც.**

მეხუთე ჩანართში მოცემულია დამატებითი რესურსები საკონსულტაციო გეგმის შესადგენად.

ჩანართი 5 – საკონსულტაციო გეგმის მომზადების ინსტრუქციების მაგალითები

- ევროკომისია – უკეთესი რეგულირება: სახელმძღვანელო ინსტრუქციები და ინსტრუმენტები. ხელმისაწვდომია აქ: http://ec.europa.eu/smart-regulation/guidelines/tool_50_en.htm
- ავსტრალია – კონსულტაციის საუკეთესო პრაქტიკების ინსტრუქციები. ხელმისაწვდომია აქ: <https://www.dpmc.gov.au/sites/default/files/publications/best-practice-consultation.pdf>
- კანადა – რეგულირების შესახებ ეფექტური კონსულტაციის სახელმძღვანელო ინსტრუქციები. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.tbs-sct.gc.ca/rtrap-parfa/erc-cer/erc-cer-eng.pdf>

2.2.2. დაინტერესებული მხარეების ასახვა მატრიცაში

კარგი კონსულტაციის პროცესი აერთიანებს ყველა დაინტერესებული მხარის შეხედულებებს, რომელთაც გააჩნიათ **მნიშვნელოვანი** ინტერესები, **შესაბამისი ინფორმაცია** და თამაშობენ როლს განხორციელების პროცესში.

ცუდი კონსულტაციის პროცესი **შემოიფარგლება** მხოლოდ გაბატონებული, ძლიერი ან კარგი კავშირების მქონე და/ან ერთგვაროვანი და პასიური დაინტერესებული მხარეებით.

კარგი კონსულტაციის პროცესის უზრუნველსაყოფად საჭიროა დაინტერესებული მხარეების ასახვა **დაინტერესებული მხარეების მატრიცაში**. დაინტერესებული მხარეების კლასიფიკაცია შეიძლება მატრიცის ოთხ მეოთხედში მათი „ზემოქმედების“ სტატუსისა (ინტერესი) და დამოუკიდებელი ადვოკატების (ზეგავლენის მოხდენის) შესაძლებლობის მიხედვით. მესამე ცხრილში მოცემულია

დაინტერესებული მხარეების მატრიცის მაგალითი და მათი დაჯგუფება ინტერესისა და ზეგავლენის მოხდენის საფუძველზე.

ცხრილი 3. დაინტერესებული მხარეების მატრიცა/ზეგავლენის ცხრილი (სავალდებულოა, №35 დადგენილების მიხედვით)

ინტერესი/ზეგავლენა	დაბალი გავლენა	მაღალი გავლენა
დაბალი ინტერესი	(ზოგადად) საზოგადოება	უჩინარნი (მაგრამ გავლენიანები)
მაღალი ინტერესი	დაინტერესებული მხარეები	პარტნიორები

როგორ გამოვიყენოთ ინტერესი/ზეგავლენის ცხრილი?

პირველ რიგში, ჩაწერეთ დაინტერესებული მხარე იქ, სადაც მათი ფაქტობრივი ადგილია, და არა იქ, სადაც მათ (ან თქვენ) გსურთ, რომ ის იყოს. დაინტერესებული მხარეების შესაბამის მეოთხედში მოთავსების შემდეგ დააკვირდით, რომელ კატეგორიაში ხვდება დაინტერესებული მხარე, და პროცესები მართეთ შესაბამისად.

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციისათვის გამოყოფილი დრო და რესურსები გამოყენებული უნდა იყოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ხარისხის მიხედვით (ჩართულობის მაღალი ხარისხიდან დაბალი ხარისხისაკენ მე-3 ცხრილის მეოთხედების გათვალისწინებით):

- პარტნიორები (ჩართეთ აქტიურად): დაწესებულებები და ცალკეული პირები მაღალი ინტერესითა და მაღალი ზეგავლენის დონით, რომელთაც აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული არჩევანი რეფორმის მიმართულების შესახებ; ჩვეულებრივ, მათ გააჩნიათ მნიშვნელოვანი ინფორმაცია არსებული საკითხის შესახებ და მნიშვნელოვანი ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეთ რეფორმის ფორმასა და მოსალოდნელ შედეგებზე (მაგ. სამთავრობო დაწესებულებები და გავლენიანი სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებულნი და ჩართულნი არიან შემოთავაზებულ რეფორმაში და აქვთ გავლენა);
- დაინტერესებული მხარეები (გაიარეთ კონსულტაცია): მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებულ მხარეებს ნაკლებად შეუძლიათ რეფორმის ფორმასა და მოსალოდნელ შედეგებზე ზეგავლენის მოხდენა, ისინი ძალიან კარგად იცნობენ საკითხს და შეუძლიათ დიდი წვლილი შეიტანონ პრობლემის ბუნების გაცნობიერებასა და შესაძლო გადაჭრის გზების მოძებნაში (მაგ. მცირე არასამთავრობო ორგანიზაციები, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დაინტერესებული მხარეები, კონკრეტული სფეროს ექსპერტები, კერძო კომპანიები);
- უხილავნი (საჭიროა დამატებითი ნაბიჯი): მართალია, ეს დაინტერესებული მხარეები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი არსებული საკითხით, მაგრამ მათთან კონსულტაცია და მათი ინფორმირება საჭიროა იმიტომ, რომ რეფორმის გათვალისწინებელმა გვერდითმა ეფექტმა შეიძლება ზეგავლენა იქონიოს მათ დამოკიდებულებაზე რეფორმის მიმართ და რეფორმის განხორციელების წარმატებაზე/წარუმატებლობაზე (მაგ. სხვა გავლენიანი სამთავრობო ორგანოები, ასევე, ძლიერი არასამთავრობო დაწესებულებები, რომელთა აქტივობის სფერო მხოლოდ ირიბად უკავშირდება არსებულ საკითხს, მაგრამ მათი საქმიანობა საკმაოდ ძლიერი ზეგავლენის მომხდენი შეიძლება იყოს);
- ფართო საზოგადოება (საჭიროა მათი ინფორმირება): გამომდინარე მათი დაბალი ინტერესიდან და ზეგავლენიდან, შეიძლება მათთან კონსულტაცია არ გაიაროთ საწყის ეტაპზე; და ჩართოთ ისინი ზეგავლენის შეფასების სამუშაო ვერსიის გასაჯაროების დროს, რათა უფრო მეტი უკუკავშირი მიიღოთ სამუშაო ვერსიის საბოლოო ვერსიად გარდაქმნამდე.

სხვადასხვა ტიპის პარტნიორების კონკრეტული მაგალითები მოცემულია 2.2.5 თავში.

2.2.3. მეთოდები და კომუნიკაციის არხები

რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის დაწყებისას შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა დამყარდეს კომუნიკაციის არხები და მათი გამოყენება უნდა ხდებოდეს მთელი კონსულტაციის პროცესის განმავლობაში.

დაინტერესებული მხარეების კონსულტაციის პროცესში ჩასართავად საჭიროა კომუნიკაციის სწორი მეთოდისა და არხის შერჩევა, რაც ზრდის კონსულტაციის პროცესის მიზნების მიღწევის ალბათობას. გამჭვირვალობა და ინკლუზიურობა გულწრფელი და წარმომადგენლობითი დიალოგის საწინდარია, რაც ზრდის ნდობის ხარისხს პოლიტიკის შექმნის პროცესში, მაგრამ იმისათვის, რომ თქვენი კონსულტაციის პროცესი იყოს სარწმუნო და ეფექტური, საჭიროა დაინტერესებული მხარეების იმ გზით ჩართვა, რომელიც მათთვის შესაბამისი და ხელსაყრელია.

მართალია, უნდა ცდილობდეთ, რომ გქონდეთ ღია და მრავლისმომცველი კონსულტაციის პროცესი, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში კონსულტაციის პროცესში ძალიან ღრმად შეჭრამ შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს თქვენი პოლიტიკის მიზნები. ზოგჯერ პლატფორმის სათანადო შერჩევის გარეშე ფართო აუდიტორიის მოცვამ შეიძლება უკუშედეგი გამოიღოს მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პლატფორმა ღია და მარტივად ხელმისაწვდომი შეიძლება ჩანდეს. მაგალითად, სოციალური მედია შეიძლება იყოს კარგი გზა დისკუსიისა და უკუკავშირის მიღებისათვის, მაგრამ ასეთი ფორმა შეიძლება არ იყოს მისაღები გარკვეული ჯგუფებისათვის. უფრო მეტიც, ასეთი კომუნიკაციის ფორმამ შეიძლება ხელი შეუშალოს მოსაზრებების არსებითად გაცვლის პროცესს, ან რთული გახადოს სპამის მართვა ან დაბლოკვა.

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის სამი ალტერნატივა

ზემოხსენებულის გათვალისწინებით აუცილებელია, სწორად იყოს დაცული ბალანსი კონსულტაციის არსებით პროცესსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს შორის.

შეგიძლიათ განიხილოთ კონსულტაციის შემდეგი სამი ალტერნატივა:

- **სრულყოფილი კონსულტაცია ფართო საზოგადოებასთან** – კონსულტაციის ყველაზე გავრცელებული ფორმა. იდეალურ შემთხვევაში ასეთი კონსულტაციის დადებითი მხარეა ის, რომ ზრდის გახსნილობისა და ნდობის ხარისხს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თქვენ უნდა შეარჩიოთ კონსულტაციის ყველაზე მართებული ფორმა. სრულყოფილი კონსულტაცია ფართო საზოგადოებასთან უფრო მარტივია და რეალისტურად ხორციელდება, როდესაც რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესი ადრეულ ეტაპზე იწყება და არსებობს საკმარისი დრო, რომ კონსულტაციის პროცესი დროულად დაიგეგმოს და განხორციელდეს, რათა მაქსიმალურად ინფორმირებულად მოხდეს პრობლემის განსაზღვრა. ალტერნატიულ შემთხვევაში, როდესაც რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესისათვის დრო შეზღუდულია, ასეთი საჯარო კონსულტაციები უნდა ჩატარდეს მაშინ, როდესაც პრობლემის განსაზღვრის პირველი სამუშაო ვერსია შემუშავდება.
- **მიზნობრივი კონსულტაცია** – როდესაც დაინტერესებული მხარეების ჯგუფი კონკრეტულად განსაზღვრულ გეოგრაფიულ ზონას ან კონკრეტულ კატეგორიას მიეკუთვნება, მიზნობრივი კონსულტაცია ყველაზე ხარჯთეფექტიანი გზაა თქვენი მიზნების მისაღწევად. ხშირად მიზნობრივი კონსულტაცია ტარდება არა სრულყოფილი კონსულტაციის ნაცვლად, არამედ დამატებით, ზუსტად იმ მიზნით, რომ მოიცვათ დაინტერესებული მხარეების ის კონკრეტული ტი-

პედი, რომლებიც შეიძლება სხვაგვარად გამორჩენილი ყოფილიყო. მიზნობრივი კონსულტაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც შეუძლებელია სრულყოფილი კონსულტაციის ჩატარება ფართო საზოგადოებასთან პრობლემის განსაზღვრის ეტაპამდე, რადგან მიზნობრივი კონსულტაციის საშუალებით ხდება დროისა და რესურსების დახარჯვა ყველაზე გავლენიან დაინტერესებულ მხარეებზე.

- **კონფიდენციალური კონსულტაცია** – სენსიტიური საკითხების შემთხვევაში საჭიროა კონსულტაციის ფრთხილი და გონივრული წარმართვა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს საკითხის სენსიტიურობის ხარისხი ან არასაჭირო შემთხვევების, დაბნეულობის ან გაუთვალისწინებელი შედეგების თავიდან აცილება. ასეთმა მიდგომამ არ უნდა შექმნას მიკერძოების რისკები და საჭიროებს ფრთხილ მართვას.

მე-4 ცხრილში შეჯამებულია აღნიშნული ალტერნატივები.

ცხრილი 4. კონსულტაციის ალტერნატივები

	აღწერა	კონსულტაციის ალტერნატივები
სრულყოფილი კონსულტაცია ფართო საზოგადოებასთან	• როდესაც გადანაცვებილების მიღების პროცესის გამჭვირვალობა და ფართო საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია, მაშინ ეს მიდგომა ავტომატურად უნდა იყოს გამოყენებული. • როდესაც გადანაცვებილების მიღების პროცესის მთლიანობა არ დაირღვევა საზოგადოების მიერ ადრეულ ეტაპზე კრიტიკით. • იდეალურ შემთხვევაში (საკმარისი დროისა და რესურსების არსებობის შემთხვევაში).	• საჯარო განხილვები და ბრიფინგები. • მოწვევა აზრების/მოსაზრებების წარმოდგენისათვის (მაგ. ონლაინ საშუალებებისა და ვებგვერდის გამოყენებით). • პირდაპირი კომუნიკაცია იმ პირებთან, რომლებზეც საკითხი ახდენს გავლენას. • მედია საშუალებები და რეკლამირება, მათ შორის, სოციალური მედიით აქტივობები.
მიზნობრივი კონსულტაცია	• როდესაც ის დაინტერესებული მხარეები, რომლებზეც საკითხი ახდენს გავლენას, მიეკუთვნებიან კონკრეტულად განსაზღვრულ გეოგრაფიულ ზონას, გააჩნიათ კონკრეტული სოციალური ფონი ან წარმომადგენენ ჯგუფს ან ბიზნესის სექტორს. • როდესაც კონსულტაცია უნდა იყოს მცირე მასშტაბის, რათა ძალისხმევა (და დრო) არ დაიხარჯოს იმ პირებზე, რომლებზეც პრობლემას ზეგავლენა არ აქვს.	• პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო ზარები ან გამოკითხვები/ინტერვიუები ქუჩაში. • ინდუსტრიის კონკრეტული დარგის წარმომადგენლებთან შეხვედრა და ბრიფინგები. • მიზნობრივი აქტივობები სოციალურ მედიაში. • მნიშვნელოვანი დაწესებულებების ან სხვა წარმომადგენლობითი ჯგუფების პირდაპირი საჯარო ჩართულობა.
კონფიდენციალური კონსულტაცია	• როდესაც საკითხის სენსიტიურობის დონე მოითხოვს ფართო საზოგადოების ყურადღების მიქცევის ან ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ინფორმირებას ფრთხილი და წინდახედული გზით, რათა თავიდან იყოს აცილებული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების შემთხვევა, ბრაზი ან დაბნეულობა.	• საზოგადოებრივი აზრის შემქმნელების ან მნიშვნელოვანი დაწესებულებების შერჩეულ ჯგუფებთან პრივატული კონსულტაცია. • ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების ზოგადი შეხედულებებისა და სავარაუდო პასუხების თვისებრივი კვლევა ან იმ სფეროების თვისებრივი კვლევა, სადაც ორმხრივი დიალოგი საჭირო არ არის. • კონსულტაციის ალტერნატიულ მეთოდებს უნდა მოჰყვეს უფრო ფართო კონსულტაცია განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით.

შეიძლება მოხდეს ისეც, რომ თქვენი ძალისხმევის მიუხედავად, კონსულტაციის დროს ვერ მიიღოთ ის უკუკავშირი ან ინფორმაცია, რაც გჭირდებათ. ან უკუკავშირის ან ინფორმაციის ხარისხი არ იყოს დამაკმაყოფილებელი. მე-5 ცხრილში მოცემულია შესაძლო პრობლემები და მათი გადაჭრის შესაძლო გზები.

ცხრილი 5. გამკლავება საჯარო კონსულტაციის გამოწვევებთან

პრობლემა	გადაჭრის შესაძლო გზა
პასუხების დაბალი რაოდენობა	პრობლემა, რომელსაც ვაწყდებით კონსულტაციის პასიური ფორმების დროს (მაგ. გამოკითხვა ფოსტით, აზრების/ მოსაზრებების წარმოდგენის მოთხოვნა). თუ გაქვთ დრო, აირჩიეთ უფრო პროაქტიული და დიალოგზე დაფუძნებული კონსულტაციის მეთოდი (მაგ. პირისპირ ინტერვიუ/ გამოკითხვები).
გაუგებარია მთავარი კითხვები	გამარტივეთ და გამართეთ მასალები კონსულტაციისათვის და წარადგინეთ თავიდან განმარტებებთან / ხშირად დასმულ კითხვებთან ერთად. გაითვალისწინეთ დაინტერესებულ მხარესთან პირდაპირი შეხვედრის შესაძლებლობაც.
პასუხები არარელევანტურია, სცდება კონსულტაციის ამოცანებს	ასეთი კონსულტაციისას მიღებული პასუხები გამოყავით ცალკე და შეჯამების სახით ახსენით, რატომ იყო ასეთი პასუხები არარელევანტური.
პასუხების დაბალი ხარისხი (დეტალები/არგუმენტი, სუბიექტური მოსაზრებები)	თუ არის დრო, დააკონკრეტეთ, რა გსურთ. თუ არ არის დრო, იპოვეთ ალტერნატივები (მაგ. სხვადასხვა გამოკითხვის შედეგები).

2.2.4. კონსულტაციის მიგნებების მართვა

თქვენი პასუხისმგებლობაა მიღებული შედეგების ეფექტიანად და ობიექტურად გამოყენება; ეს არც თუ ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. კონსულტაციის ჩატარებისას და მის შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოყენებისას უფროთხილდით გავრცელებულ შეცდომებს, რომლებმაც შეიძლება მიგიყვანოთ მიკერძოებამდე. კერძოდ:

- **განასხვავეთ ფაქტები მოსაზრებებისაგან:** როდესაც მონაცემების შეგროვებისას იყენებთ კონსულტაციის მეთოდს, ფრთხილად უნდა გადაამოწმოთ, რამდენად სწორი და შესაფერი-სია გამოყენებული მეთოდი და სანდოა შედეგები. მონაცემების ხარისხის მნიშვნელოვან გაზრდაში დაგეხმარებათ შედეგების გადახედვა თქვენი კოლეგების მიერ, მათი შედარება სხვა კვლევებთან და სენსიტიურობის ანალიზი. ასევე, უნდა შეისწავლოთ ის რისკები და შედეგები, რაც დაკავშირებულია იმ პოზიციებთან, რომლებიც ინტერესთა ჯგუფებს გააჩნიათ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, როდესაც ზოგიერთი დაინტერესებული მხარის პოზიცია ნათლად სუბიექტურია/მიკერძოებულია და ეწინააღმდეგება არსებულ მტკიცებულებებს, ასეთი მოსაზრებები წარმოდგენილი უნდა იყოს ანგარიშში, მაგრამ არ უნდა მოხდეს მათი ანალიზში მათი გათვალისწინება. ამ შემთხვევაში, როდესაც ასეთი აზრი/მოსაზრება არ არის გათვალისწინებული ანალიზში, საჭიროა სათანადო არგუმენტის წარმოდგენა, თუ რატომ არ მოხდა ეს.
- **შეწონილი წარმომადგენლობითი მოსაზრებები:** ყველა ინტერესთა ჯგუფი ვერ მიიღებს თანაბრად კონსულტაციაში მონაწილეობას ან ყველა ჯგუფის აზრი თანაბარი ხარისხით ვერ იქნება გამოხატული. ამრიგად, საჭიროა ძალისხმევა, რათა უზრუნველყოთ, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ იცოდეს კონსულტაციის შესახებ და შეძლონ თავიანთი წვლილის შეტანა. ამ შემთხვევაში რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა უნდა მოამზადოს რე-ფორმის მნიშვნელოვანი საკითხების მოკლე რეზიუმე და გაუგზავნოს იმ მხარეს, რომელთანაც

შემდეგ იქნება კონსულტაცია. ასევე, როდესაც პასუხების მცირე რაოდენობაა და ვიწრო ინტერესებს წარმოადგენს, დასკვნების გამოტანისას მეტი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ. ამავდროულად, პასუხს უნდა ჰქონდეს შესაბამისი წონა, როდესაც პასუხი მოქალაქეების ან დაინტერესებული მხარეების დიდ ნაწილს წარმოადგენს.

იმისათვის, რომ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის პროცესის შედეგებზე წვდომა უზრუნველყოთ, რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშში გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი ცხრილი:

ცხრილი 6. კონსულტაციის პროცესის შეჯამება (სავალდებულო – №35 დადგენილების მიხედვით)

დაინტერესებული მხარე/ დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	კონსულტაციის მეთოდი	პასუხების შეჯამება	კომენტარი
დაინტერესებული მხარის/ დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის სახელწოდება და ზომა	მაგალითად: ინტერვიუები (და როდის); საკონსულტაციო დოკუმენტების მიმოხილვა; გამოკითხვა	მონაცემების/ კონსულტაციის პროცესში შეგროვებული ალტერნატივების მოკლე აღწერა	იყო თუ არა პასუხი გათვალისწინებული/პასუხი არ იყო გათვალისწინებული და რატომ? ა.შ.

2.2.5. პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან

აღნიშნული ქვეთავი მომზადდა იმისათვის, რომ მკითხველს დაეხმაროს განხილული ცნებების კონსოლიდაციაში და მიეცეს საშუალება, გაიზიაროს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიტიკოსების გამოცდილება და მიდგომები, რაც მათ დააგროვებს და შეიმუშავებს საქართველოს კონტექსტში რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების შედეგად.

განმეორებით შეხვდით დაინტერესებულ მხარეებსა და ინსტიტუციებს, როდესაც საჭიროა.

ზოგჯერ იმისათვის, რომ გარკვეულ საკითხზე სრულყოფილი სურათი შეიქმნას და რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიზის ხარისხი გაიზარდოს, საჭირო ხდება რამდენიმე შეხვედრის გამართვა დაინტერესებულ მხარეებთან და/ან პირებთან, რომლებიც სხვადასხვა როლს თამაშობენ ერთსა და იმავე ორგანიზაციაში.

ასეთი შემთხვევა იყო, როდესაც ჩატარდა წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება. მე-6 ჩანართში განხილულია, თუ რამ განაპირობა რეგულირების ზეგავლენის შეფასებას განხორციელება, ხოლო მე-7 ჩანართში მოცემულია დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის პროცესი და ხაზგასმულია შემთხვევები, როდესაც რამდენიმე შეხვედრის ჩატარება გახდა საჭირო.

ჩანართი 6 – წყლის მართვის შესახებ კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

(განხორციელდა 2017 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ არსებობდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (MENRP))

საქართველოს მთავრობამ დაიწყო საქართველოს წყლის მართვის კანონმდებლობის შეცვლა, რათა შესრულებულიყო 2014 წლის ივნისში ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული აქტივობებიდან ერთ-ერთი ეხებოდა წყლის რესურსების მართვის ახალი კანონპროექტის შემუშავებას. კანონპროექტმა წყლის რესურსების მართვის სისტემაში რამდენიმე ცვლილება შეიტანა, კერძოდ:

- მდინარეების კლასიფიკაცია;
- წყლის ობიექტების ხარისხობრივი სტატუსის განსაზღვრა;
- წყლის გამოყენების ნებართვის სისტემის შეცვლა;
- მდინარეთა სააუზო მართვის სისტემის შემოღება.

საკითხის პირველადი ანალიზის შემდეგ რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდი მთავარ დაინტერესებულ მხარესთან (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო) შეთანხმდა, რომ ანალიზის დროს აქცენტი გაკეთდებოდა რეფორმის შემდეგი კონკრეტული ასპექტების (ყველაზე მეტად საინტერესო) ეკონომიკურ და სოციალურ ზეგავლენაზე:

- მდინარეთა სააუზო მართვის სისტემის შემოღება;
- წყლის რესურსების მართვის ახალი ეკონომიკური ინსტრუმენტების შემოღება;
- ნებართვების გაცემის სისტემაში ცვლილებები;
- მონიტორინგის პრაქტიკისა და პროცედურების ცვლილებები.

ჩანართი 7 – დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია წყლის მართვის შესახებ კანონის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში

საქართველოს წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონი ზეგავლენას ბევრ დაინტერესებულ მხარეზე იქონიებდა. სიმარტივისთვის, დაინტერესებული მხარეები ორ მთავარ ჯგუფად დაიყო: კერძო სექტორი (მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოება) და საჯარო სექტორი. გამოვლინდა მთავარი დაინტერესებული მხარეები და ისინი დაიყვნენ კატეგორიებად ზეგავლენისა და ინტერესის მატრიცის ფორმატის მიხედვით. მატრიცა ახლდებოდა ახალი დაინტერესებული მხარეების გამოვლენის და/ან მათი ინტერესის და/ან გავლენის შესახებ ახალი ინფორმაციის მოპოვების დროს.

ზეგავლენისა და ინტერესის მატრიცა

გავლენა/ინტერესი	დაბალი გავლენა	მაღალი გავლენა
დაბალი ინტერესი	- საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია - ადგილობრივი მუნიციპალიტეტები	- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო - ადგილობრივი მუნიციპალიტეტები - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - საქართველოს პარლამენტი
მაღალი ინტერესი	- მოქალაქეები - ინდუსტრიული წყლის მომხმარებლები - ჰესების მშენებლები - თბოელექტროსადგურები - ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი (GWP) - წყლის ადგილობრივი მიმწოდებლები - მდინარეთა აუზების გარემოსდაცვითი საერთაშორისო პროექტი - არასამთავრობო ორგანიზაციები	- გარემოს დაცვის ზედამხედველობის დეპარტამენტი - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო - სოფლის მეურნეობის სამინისტრო - გარემოს ეროვნული სააგენტო - საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია – სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანია - საქართველოს მელიორაცია – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია - სურსათის ეროვნული სააგენტო - ენერგეტიკის სამინისტრო

პრობლემის კომპლექსურობიდან გამომდინარე, რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდს მოუხდა, რამდენჯერმე გაემართა კონსულტაცია მთავარ დაინტერესებული მხარესთან, ანუ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან:

- დაინტერესებულ მხარესთან პირველი შეხვედრის მიზანი იყო კანონპროექტის მთავარი მიმართულებების მოკვლევა, არსებული პრობლემების გამოვლენა და რეგულირების ზეგავლენის შეფასების პოტენციური მიზნების დადგენა.
- პრობლემისა და ამოცანების განსაზღვრის ფაზების შემდეგ გაიმართა მორიგი შეხვედრა კანონპროექტის მიმართულებების განსაზღვრის მიზნით, რომელზეც რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდი მთავარ აქცენტს გააკეთებდა და პოლიტიკის მთავარ ალტერნატივებს მოიკვლევდა.

ზეგავლენის შეფასების ფაზაზე ჩატარდა დამატებითი შეხვედრები:

- რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამართა რამდენიმე შეხვედრა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს დაცვის ზედამხედველობის დეპარტამენტთან. დეპარტამენტის წარმომადგენლებმა კომპლექსურად მიმოიხილეს ახალი რეგულაციების ზემოქმედება მათი შიდა მართვის სისტემაზე, ასევე, ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ დაინტერესებულ მხარეთა მართვის სისტემებზე;

- ამ შეხვედრების შემდეგ რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამართა შეხვედრა ფინანსურ დეპარტამენტთან, რომლის დროსაც დეტალური ინფორმაცია მიიღეს იმ ყველა შესაძლო ხარჯის შესახებ, რომელიც დაეკისრებოდა საჯარო სექტორს შიდა მართვის სისტემის სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით; ასეთ ხარჯებში მოიაზრება: ახალი თანამშრომლების დაქირავება, რეფორმით შემოღებული დამატებითი აქტივობების უპრობლემო განხორციელების მიზნით ახალი აღჭურვილობის შესყიდვა, ა.შ.

დაბოლოს,

- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები იყვნენ პირველები, რომელთაც რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა ანალიზის მიგნებების სამუშაო ვერსია გააცნო. მათგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სამუშაო ვერსიაში შევიდა შესაბამისი ცვლილებები და გაუმჯობესებები.

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციისთვის საუკეთესო მეთოდების არჩევა (ერთი ან რამდენიმეს) და გამოყენება ოპტიმალური შედეგების მიღების მიზნით.

გამომდინარე იქიდან, თუ რა ტიპის ინფორმაციას ეძებთ და რა ტიპის დაინტერესებულ მხარეებთან მოგიწევთ ურთიერთობა, სასარგებლო იქნება, თუ შეიმუშავებთ საკონსულტაციო სტრატეგიას სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით. ასეთი არჩევანი გააკეთა რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა, რომელიც მუშაობდა ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის რეფორმის პროექტზე. რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის მთავარი მიზანი იყო საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა საქართველოში მელიორაციის სისტემის (ირიგაცია და დრენაჟი) რეფორმების პროცესში (დამატებითი დეტალები იხ. ჩანართში 8).

ჩანართი 8 – ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

(განხორციელდა 2015 წ. ნოემბერი - 2016 წ. თებერვლის პერიოდში)

მელიორაციის სისტემის რეფორმა გულისხმობდა სექტორის სტრატეგიის შემუშავებას, მელიორაციის შესახებ ახალი კანონის შემოღებასა და ირიგაციისა და დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის შედგენას.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესში მთავარი აქცენტი კეთდებოდა ირიგაციისა და დრენაჟის მომსახურებებისათვის ყველაზე შესაფერისი ტარიფის შეთავაზებაზე. ახალი მეთოდოლოგიის შემუშავების მთავარი მიზები გახლდათ წყალმომარაგების სისტემის სანდოობის გაზრდა, მელიორაციის მომსახურებების მიმწოდებლების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, ალტერნატიულ მომხმარებლებს შორის წყლის რესურსების ეფექტიანი გადანაწილება და საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდა ირიგაციისა და დრენაჟის სანდო მომსახურებების გონივრულ ფასად მიწოდების საშუალებით.

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის დროს გამოყენებული იყო სხვადასხვა მეთოდი. ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციის ყველაზე საგულისხმო ასპექტები შეჯამებულია მე-9 ჩანართში.

**ჩანართი 9 – დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია
ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის პროექტის
რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში**

ირიგაციისა და დრენაჟის მომსახურებების ტარიფების გამოთვლის მეთოდოლოგიაში ცვლილებები ზემოქმედებას მოახდენდა რამდენიმე აქტორზე, მათ შორის, ფერმერებზე, შპს „საქართველოს მელიორაცია“ და მთავრობაზე. გამოვლენილი დაინტერესებული მხარეები დაიყო კატეგორიებად ზეგავლენისა და ინტერესის მატრიცის ფორმირების მიხედვით. აღნიშნულ დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა, რათა ანალიტიკოსთა გუნდს მიეღო სრულყოფილი სურათი ირიგაციის არსებულ სისტემაზე, გამოეკლინა არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის შესაძლო გზები.

**ზეგავლენისა და ინტერესის მატრიცა ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის
მეთოდოლოგიის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში**

გავლენა/ინტერესი	დაბალი გავლენა	მაღალი გავლენა
დაბალი ინტერესი	ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები	საქართველოს პარლამენტი
მაღალი ინტერესი	- ფერმერები - საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA)	- საქართველოს მელიორაცია (GA) - მელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტი სოფლის მეურნეობის სამინისტროში - მელიორაციის რეფორმის სამუშაო ჯგუფი

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის პროცესის დროს გამოყენებული იყო მრავალი მეთოდი.

იმისათვის, რომ ფერმერებისაგან მიეღოთ ინფორმაცია მათი სურვილის შესახებ, გადავიდნენ ირიგაციის თანამედროვე ტექნოლოგიებზე, ასევე, ბუნებრივად (წვიმით) და ხელოვნურად მორწყული კულტურების საშუალო მოსავლიანობის შესახებ და ა.შ., ჩატარდა ფოკუს ჯგუფები და სატელეფონო ინტერვიუები მრავალ ფერმერთან.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა ჩაატარა **ორი ფოკუს ჯგუფის შეხვედრა** ახმეტისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების ფერმერებთან სოფლის მეურნეობის რეგიონული ცენტრების დახმარებით. დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის დღის წესრიგი მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- შეხედულებები არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით;
- მომსახურებით (წყალმომარაგებით) კმაყოფილების დონე;

- წარსულში წყლის სიმწირით გამოწვეული ზარალის შეფასება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- შენიშვნები სამომავლო შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებით, ფასების ცვლილებაზე მომხმარებლის რეაგირების შეფასება, ა.შ.

სატელეფონო გამოკითხვა ჩატარდა იმისათვის, რომ განსაზღვრულიყო, რამდენი იყო ფერმერთა ირიგაციის/დრენაჟის მომსახურებებაში გადახდისთვის მზადყოფნა. რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა სატელეფონო ინტერვიუ ჩაატარა საქართველოს ფერმერთა ასოციაციის დახმარებით. საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან შეთანხმების შემდეგ მომზადდა კითხვარი და გამოკითხვის შაბლონი; ამის შემდეგ ჩატარდა ფერმერთა გამოკითხვა.

გარდა ამისა, რამდენიმე (ზოგჯერ კი განმეორებითი) **სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა დაინტერესებულ მხარეებთან**, მათ შორის:

- საქართველოს მელიორაცია–სექტორის გამოწვევებისა და არსებული პრობლემების გაგება; ტარიფის გადახდასთან დაკავშირებული ხელისშემშლელი ფაქტორები და პრობლემები; კომპანიის შეხედულება ტარიფის გამოთვლის შემოთავაზებულ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით;
- გარე კონსულტანტი – საქართველოში არსებული მელიორაციის სისტემის განხილვა და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება მელიორაციის ტარიფებთან დაკავშირებით;
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო – შეხვედრის მთავარი მიზანი იყო მთავრობის შეხედულების გაგება რეფორმასთან დაკავშირებით.

შეგროვებულმა ინფორმაციამ შეავსო რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდთან მომუშავე ექსპერტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია და, ამგვარად, რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშში აღნიშნული ინფორმაცია წარმატებით იქნა გათვალისწინებული.

დაუბრუნდით უკვე ჩატარებულ კონსულტაციებს უნიკალური და სასარგებლო მონაცემების მისაღებად.

ზოგჯერ კონსულტაციების საწყის ეტაპზე თქვენ აცნობიერებთ, რომ თქვენი ანალიზისათვის სასარგებლო იქნება იმ მონაცემებსა და ინფორმაციაზე წვდომა, რაც ზოგიერთ დაინტერესებულ მხარეს აქვს. ასეთი შემთხვევა იყო მოსავლის დაზღვევის რეფორმის რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის დროს. აღნიშნული აქტივობის დროს სექტორის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის მიზნით გამოყენებული იყო ფოკუს ჯგუფის ინტერვიუები. რეგულირების ზეგავლენის შეფასების მიმოხილვა მოცემულია მე-10 ჩანართში.

ჩანართი 10 – მოსავლის დაზღვევის რეფორმის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

(განხორციელდა 2015 წლის ივნის-ნოემბრის პერიოდში)

მოსავლის დაზღვევის რეფორმის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიზანი იყო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის შემოღება შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- საქართველოში სოფლის მეურნეობის დაზღვევის ბაზრის განვითარება;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელშეწყობა და ფერმერთა კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
- სოფლის მეურნეობაში ჩართული მოქალაქეების შემოსვლის გაზრდა და მათი რისკების შემცირება.

რეფორმის საწყის ეტაპზე საქართველოს მთავრობამ (2014 და 2015 წლებში) განახორციელა ორი საპილოტე პროექტი, რომელთა ფარგლებშიც მოხდა სადაზღვევო პრემიების 94% და 55% სუბსიდირება. საპილოტე პროექტების პარალელურად მთავრობამ დაიწყო მოსავლის დაზღვევის მდგრადი გრძელვადიანი პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება. მოსავლის დაზღვევის რეფორმის რეგულირების ზეგავლენის შეფასების მიზანი იყო დაზღვევის ალტერნატიული მოდელების შეფასება და საუკეთესო პოლიტიკის ალტერნატივის რეკომენდირება.

მოსავლის დაზღვევის რეფორმის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის მიგნებები შეჯამებულია მე-11 ჩანართში.

ჩანართი 11 – დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია მოსავლის დაზღვევის რეფორმის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში

მოსავლის დაზღვევის რეფორმის შემოღება ზეგავლენას იქონიებდა რამდენიმე ჯგუფზე, რომლებიც მოიცავს: ფერმერები, სადაზღვევო კომპანიები, საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის ფარგლებში გამოვლინდა დაინტერესებული მხარეები და მოხდა მათი შესაბამის კატეგორიებში გადანაწილება ზეგავლენისა და ინტერესის მატრიცაში.

გავლენა/ინტერესი	დაბალი გავლენა	მაღალი გავლენა
დაბალი ინტერესი	• გარემოს ეროვნული სააგენტო	
მაღალი ინტერესი	• საქართველოს ფერმერთა ასოციაცია • ფერმერები • დონორი ორგანიზაციები (მაგ. USAID, KfW, SDC) • აგრობიზნესი	• სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო • სადაზღვევო კომპანიები • საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია (GIA)

დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა, რათა სრულყოფილი ინფორმაცია მიღებულიყო არსებული მდგომარეობის შესახებ და გამოვლენილიყო პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზები.

კონსულტაციის პროცესის დროს რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა ზოგიერთ დაინტერესებულ მხარესთან ჩატარა სიღრმისეული ინტერვიუ:

- გარე სადაზღვევო კონსულტანტი (ჩატარდა სამი სიღრმისეული ინტერვიუ) – სოფლის მეურნეობის რისკების მართვის ეროვნული სააგენტოს ფუნქციების განსაზღვრა, ამ სააგენტოს ხარჯებისა და სავალდებულო და ნახევრად სავალდებულო სადაზღვევო მოდელების განხილვა;
- სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (ჩატარდა ორი სიღრმისეული ინტერვიუ) – სააგენტოს მთავარი პასუხისმგებლობების განხილვა, როგორ ხედავს სააგენტო აგროდაზღვევის რეფორმის განვითარებას და რა უნდა იყოს მთავრობის როლი აგროდაზღვევის სექტორში;
- ინტერვიუები, ასევე, ჩატარდა ფერმერებთან და აგრობიზნესის წარმომადგენლებთან, რათა უკეთ გაგებულიყო მათი პრობლემები, რა პირობებით იქონიებენ ისინი დაზღვევას და რა კუთხით სჭირდებათ მათ სამთავრობო ინტერვენცია.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესში სადაზღვევო კომპანიები მთავარი დაინტერესებული მხარეა. რეფორმასთან დაკავშირებით მათი ხედვებისა და მოსაზრებების გაგების მიზნით საქართველოს სადაზღვევო კომპანიების ასოციაციის მხარდაჭერით ჩატარდა ფოკუს ჯგუფის შეხვედრები. ფოკუს ჯგუფის შეხვედრების დროს გამოირკვა, რომ რამდენიმე სადაზღვევო კომპანიას გააჩნდა მონაცემები მოსავლის დაზღვევის შემოღების წინა მცდელობებთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც მკვლევრებმა მოითხოვეს ასეთ მონაცემებზე წვდომა, რათა უკეთ განესაზღვრათ პრობლემა და შესაძლო ვარიანტები, სადაზღვევო კომპანიები დათანხმდნენ ამ მონაცემების გაზიარებაზე. რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდისათვის აღნიშნული მონაცემები სასარგებლო აღმოჩნდა პრობლემის განსაზღვრისთვის. მონაცემებმა რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდს მისცა შესაძლებლობა, რომ შეესწავლა, რატომ და როგორ ვერ გამართლდა წინა მცდელობები და განემტკიცებინა გუნდის დასკვნა, რომ სრულად კერძო სადაზღვევო ბაზრის (სამთავრობო ინტერვენციის არარსებობის შემთხვევაში) შექმნა იმ პერიოდისთვის შეუძლებელი იქნებოდა. ფოკუს ჯგუფის შეხვედრებები, ასევე, სადაზღვევო კომპანიების მიერ მოწოდებული მონაცემები გათვალისწინებული იქნა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშში.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა, ასევე, გამართა ორი სამუშაო შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან წინასწარი შედეგების გაზიარებისა და მათი მოსაზრებების/შეხედულებების მიღების მიზნით. პირველი შეხვედრის მიზანი იყო კონსულტაციის პროცესის შედეგების განხილვა მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან, პოლიტიკის ინტერვენციის კონკრეტული მიზნების განსაზღვრა და პოლიტიკის ალტერნატივების შერჩევა შემდგომი ანალიზისათვის. მეორე, საბოლოო სამუშაო შეხვედრისას კვლევის შედეგები წარედგინა დაინტერესებულ მხარეებს. ორივე სამუშაო შეხვედრისას მიღებული უკუკავშირი გათვალისწინებული იქნა რეგულირების ზეგავლენის შეფასების საბოლოო ანგარიშში.

მთავრით თქვენი სტრატეგია არსებულ შეზღუდვებსა თუ გამოწვევებს

ზოგჯერ შეზღუდვებისა და გამოწვევების გამო საჭირო ხდება დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის ინოვაციური გზების შემუშავება. მაგალითად, ასეთი შემთხვევა იყო, როდესაც რეგულირების ზეგავლენის შეფასება ხორციელდებოდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციაზე ოჯახში დასაქმებულების შესახებ (C189), რადგანაც რეგულირების ზეგავლენის შეფასება მიმდინარეობდა COVID-19 პანდემიის პირობებში. პანდემიის გამო შემოღებულმა შეზღუდვებმა აიძულა რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდი, შეეცვალა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის პროცესი – მათ მოუწიათ მთელი პროცესის დისტანციურად ჩატარება. მე-12 ჩანართში მოცემულია კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების მთავარი მიზნები, ხოლო მე-13 ჩანართში – კონსულტაციის ჩატარების პროცესი.

ჩანართი 12 – ოჯახში დასაქმებულების შესახებ კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

(განხორციელდა 2019 წლის ნოემბერი – 2020 წლის ნოემბრის პერიოდში)

ოჯახში დასაქმებულების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციის (C189) მიზანია ღირსეული სამუშაო პირობებისა და ფუნდამენტური უფლებების დაცვის უზრუნველყოფა ოჯახში დასაქმებულებისთვის, რომლებიც დასაქმებულები არიან დამქირავებლების სახლებში.

კონვენციის მიხედვით, საოჯახო საქმე განისაზღვრება როგორც „საქმე, რომელიც სრულდება ოჯახში/ოჯახებში ან ოჯახისათვის/ოჯახებისათვის“. ოჯახში დასაქმებული განისაზღვრება შემდეგნაირად: „ნებისმიერი პირი, რომელიც დაქირავებულია საოჯახო საქმის განხორციელების მიზნით შრომითი ურთიერთობის ფარგლებში“. ამგვარად, მთავარი განსხვავება საოჯახო საქმესა და სამუშაოს სხვა ტიპებს შორის არის სამუშაო ადგილი, რაც სახლს წარმოადგენს საოჯახო საქმის შემთხვევაში. ოჯახში დასაქმებულები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის საქმეს: საქმლის მომზადება, დალაგება, ბავშვის მოვლა, მოხუცთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოვლა, მეზღვრობა, მძღოლობა, ა.შ. საოჯახო საქმე, როგორც წესი, სათანადოდ არ ფასდება, ხოლო ოჯახში დასაქმებულები – რომლებიც ხშირად არაფორმალური ეკონომიკის წევრები არიან – ნაკლებად სავარაუდოა, რომ მიიღებენ სოციალურ უზრუნველყოფებს, რაც კანონითაა დადგენილი ოფიციალურად დასაქმებული პირებისათვის, და ექნებათ ღირსეული სამუშაო გარემო.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების პერიოდისათვის კონვენცია მიღებული იყო 29 ქვეყნის მიერ. საქართველოს კონვენციის რატიფიცირება არ მოუხდენია. რეგულირების ზეგავლენის შეფასების მიზანი იყო კონვენციის რატიფიცირების შესახებ სახელმწიფო დონეზე განხილვების მხარდაჭერა.

**ჩანართი 13 – დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია ოჯახში
დასაქმებულების კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების
ფარგლებში**

მოსალოდნელია, რომ C189 კონვენციის რატიფიცირებას მოჰყვეს მნიშვნელოვანი ზეგავლენა სხვადასხვა მხარეზე, მათ შორის, ოჯახში დასაქმებულებზე დასაქმების სააგენტოებსა და იურიდიული კონსულტაციის ცენტრებზე. რეგულირების ზეგავლენის შეფასების სამუშაო პროცესის დროს პირველ ეტაპზე განისაზღვრა დაინტერესებული მხარეები და მოხდა მათი კატეგორიზაცია ზეგავლენისა და ინტერესის მატრიცაში.

**ზეგავლენისა და ინტერესის მატრიცა ოჯახში დასაქმებულების კონვენციის რეგულირების
ზეგავლენის შეფასების ფარგლებში**

გავლენა/ინტერესი	დაბალი გავლენა	მაღალი გავლენა
დაბალი ინტერესი	• შრომის ბაზრის ექსპერტები • ადამიანთა უფლებების არასამთავრობო ორგანიზაციები/ფონდები (ადამიანთა უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია)	• სახალხო დამცველი • უფასო იურიდიული დახმარების მომსახურების ცენტრი
მაღალი ინტერესი	• კერძო დასაქმების სააგენტოები ოჯახში დასაქმებულებისთვის • ოჯახში დასაქმებულები • იურიდიული ექსპერტები	• შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი • შრომის პირობების ინსპექციის დეპარტამენტი • შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები • პროფესიული კავშირები • გაეროს ქალთა ორგანიზაცია

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის პროცესი, ძირითადად, მიმდინარეობდა 2020 წლის მაის-ივლისის პერიოდში. ამ პერიოდში COVID-19-ის პანდემიით განპირობებული შეზღუდვების გამო დაინტერესებულ მხარეებთან პირისპირ კომუნიკაცია შეუძლებელი იყო. ამიტომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდი ატარებდა ონლაინ კონსულტაციებსა და ინტერვიუებს Zoom-ის, Webex-ისა და სხვა ონლაინ პლატფორმების გამოყენებით. დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა, რათა მიღებულიყო ოჯახში დასაქმებულების სამუშაო პირობების სრულყოფილი სურათი, გამოვლენილიყო ოჯახში დასაქმებულების პრობლემები და განსაზღვრულიყო სამუშაო პირობების გამოსწორების შესაძლო გზები. იმისთვის, რომ ინტერნეტის კავშირის ხარვეზის გამო არ დაკარგულიყო ინფორმაცია, კეთდებოდა შეხვედრების ჩანაწერები (ნებართვის აღების შემდეგ) და იწერებოდა ინტერვიუების ტრანსკრიპტი.

უფრო მეტიც, ოჯახში დასაქმებულების ცნობიერების დონის, მოტივაციისა და დამოკიდებულის ანალიზის მიზნით რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა ჩაატარა ონლაინ გამოკითხვა. გამოკითხვის მთავარი მიზანი იყო, გამოეკვლიათ, როგორ აფასებდნენ ოჯახში დასაქმებულები მათ სამუშაო პირობებს და დამქირავებლებთან ურთიერთობებს, იცოდნენ თუ არა ოჯახში დასაქმებულებმა საკუთარი უფლებების შესახებ და რა დამოკიდებულება ჰქონდათ შემოთავაზებული ალტერნატივების მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხვა ხასიათდებოდა გარკვეული მიკერძოებით ახალგაზრდა თაობის მიმართ იმიტომ, რომ გამოკითხვა ტარდებოდა Facebook-ის საშუალებით. ეს ნაკლი ნათლად იყო აღნიშნული რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტში.

2.3. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

2.3.1. მონაცემთა შეგროვების დაგეგმვა

მას შემდეგ, რაც წარმოდგენა გაქვთ პრობლემის ბუნებისა და მასშტაბის, გასათვალისწინებელი ალტერნატივების ტიპის შესახებ და/ან მას შემდეგ, რაც იცით, რა ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს შერჩეულ ალტერნატივას, აუცილებელია, შეძლებისდაგვარად გაამყაროთ და განამტკიცოთ თქვენი არგუმენტები და ლოგიკური მსჯელობა. ამ მიზნით თქვენ გჭირდებათ მტკიცებულება და მონაცემები, რომლებიც შესაბამისი და სანდოა, ეს კი რეგულირების ზეგავლენის შეფასების არსებითი კომპონენტია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი შეფასებისათვის.

ალბათ, ყველაზე დიდ დროს მონაცემთა შეგროვება მოითხოვს. ამგვარად, თქვენი ძალისხმევა უნდა იყოს ინიციატივის მნიშვნელობის თანაზომიერი.

2.3.2. არსებული ინფორმაციის წყაროები

ხელმისაწვდომი ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- წინა ან მსგავსი პროგრამებისა და ინიციატივების მონიტორინგის ან შეფასების ანგარიშები;
- თქვენი დეპარტამენტის მიერ აქამდე განხორციელებული ანალიზი ან კონსულტაციის დოკუმენტები;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური მონაცემები (საქსტატი, ეუროსტატი⁴, სხვა);
- სამთავრობო და ევროკავშირის სააგენტოების მიერ ჩატარებული კვლევები;
- დაინტერესებული მხარეების წყაროები (მაგ. წინა განხილვები, კონფერენციები, პრესრელიზები);
- სახელმწიფო სააგენტოები და კვლევითი ინსტიტუტები, ასევე, SINAPSE⁵ (სამეცნიერო ინფორმაციისათვის);
- ონლაინ აკადემიურ მონაცემთა ბაზა (მაგ. JSTOR, ScienceDirect, Encol.it, ა.შ.);
- სხვა ქვეყნების, მესამე ქვეყნების ან საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგ. მსოფლიო ბანკი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)) მაგალითები და გამოცდილება.

ყურადსაღებია ბოლო პუნქტი: თუ საქართველოს შესახებ მონაცემები არ არსებობს, გაითვალისწინეთ და შეადარეთ მონაცემები და ანალიზები იდენტური ქვეყნებიდან. თუ არ იცით ასეთი ქვეყნების შესახებ, მოითხოვეთ შეძლებისდაგვარად სწრაფად დახმარება თქვენი დეპარტამენტიდან ან გარე ექსპერტებისაგან.

2.3.3. მონაცემთა არასაკმარისობის შემთხვევები

როგორ მოიქცეთ, თუ ხელთ არ გაქვთ მონაცემები?

⁴ <https://ec.europa.eu/eurostat/web/main/home>

⁵ სამეცნიერო ინფორმაცია პოლიტიკის მხარდასაჭერად ევროპაში (SINAPSE) არის პლატფორმა ელექტრონული საზოგადოებისათვის და ელექტრონული ბიბლიოთეკა ამა თუ იმ კომპეტენციის გამოყენებისათვის ევროკავშირის პოლიტიკის გატარებასა და მმართველობაში. იხ.: <http://europa.eu/sinapse/>.

ჩანართი 14 – როგორ განისაზღვროს უცნობი მონაცემები

ზეგავლენის საზომი ინდიკატორების ექსტრაპოლაციის რამდენიმე სტრატეგია არსებობს. ასე, მაგალითად:

გამოიყენეთ საცნობარო წყაროები

- შეამოწმეთ, როგორ გამოიყვანეს ციფრები იმ წყაროებით, რომელთაც თქვენ იყენებთ. სხვადასხვა წყარო შეიძლება სხვადასხვა ოპერაციულ განმარტებას იყენებდეს;
- გამოიყენეთ რამდენიმე წყარო, მაგრამ თქვენი შეფასებები უნდა იყოს თანმიმდევრული. ჩაატარეთ სენსიტიურობის ანალიზი, რათა შეამოწმოთ, ხომ არ ხდება სხვადასხვა მეთოდოლოგიით/ოპერაციული განმარტებით მიღებული სიდიდეებით მნიშვნელოვნად განსხვავებული დასკვნების მიღება. თუ ასეთ შემთხვევასთან გაქვთ საქმე, აირჩიეთ მეთოდოლოგია, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე შესაფერისია და ანგარიშში ყურადღება გაამახვილეთ შერჩეული მეთოდოლოგიის გამოყენების შედეგებზე;
- თუ შესაძლებელია, არ გამოიყენოთ წყაროები, რომლებშიც არ არის მითითებული ოპერაციული განმარტებები.

გამოიყენეთ გამოკითხვები

- სისტემატურად აწარმოეთ დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები;
- თუ არ არსებობს საკმარისი დრო/რესურსი საგანგებო გამოკითხვის ჩასატარებლად, მოძებნეთ სახელმწიფო/ადგილობრივი გამოკითხვები, რომლებიც რეგულარულად ტარდება ცნობილი ორგანიზაციების მიერ (კვლევითი ცენტრები, წამყვანი ჟურნალ-გაზეთები, ა.შ.). ყურადღება გაამახვილეთ კითხვების ფორმულირებაზე და **წინასწარ** გამოყავით ისინი, რომლებიც ყველაზე უკეთ შეესაბამება თქვენს საჭიროებებს. ანალიზი უნდა ერგებოდეს მონაცემებს და არა პირიქით (არასდროს აირჩიოთ მონაცემები ისე, რომ მხოლოდ თქვენი არჩევანი დაამტკიცოთ).

ვარაუდი/ექსტრაპოლაცია

- აბსოლუტური სიდიდის მისაღებად გამოიყენეთ კოეფიციენტი, რომელიც ღიდად არ განსხვავდება სხვადასხვა ადგილის მიხედვით (მაგალითად, სიკვდილიანობის რაოდენობის ვარაუდისთვის გაამრავლეთ სიკვდილიანობის მაჩვენებელი მოსახლეობის რაოდენობაზე – ნაცვლად იმისა, რომ მოიპოვოთ ფაქტობრივი ციფრები მოსახლეობის აღწერებიდან);
- მოიძიეთ, არსებობს თუ არა ფართოდ გავრცელებული პრაქტიკული წესები;
- გამოიყენეთ კოეფიციენტი, რომელიც აღწერს მსგავს ფენომენს;
- გამოიყენეთ ცნობილი ცვლადი, რათა გამოიცნოთ მეორე, როდესაც ასეთ ორ ცვლად შორის ურთიერთობა ცნობილია (მოსახლეობის ზრდა დროისა და წინა პერიოდში ზრდის კოეფიციენტის ფუნქციაა);
- შემოიღეთ შეზღუდვები სხვა ცვლადზე დაყრდნობით (იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც მოიხმარენ პამპერსებს, ვერ იქნება ოთხ წლამდე ასაკის მოსახლეობაზე მეტი);
- გამოიყენეთ ტრიანგულაცია, ანუ გამოიყენეთ რამდენიმე ცალკეული მიდგომა/მონაცემთა წყარო რაოდენობის დასადგენად და შედეგების შეფასებისათვის.

გამოიყენეთ ექსპერტთა მოსაზრებები

- გადაამოწმეთ ექსპერტთა კვალიფიკაცია/გამოცდილება;
- გამოიყენეთ მეთოდები მათი შეფასებების თავმოყრისთვის და შეცდომის ზღვრების შემცირებისათვის (მაგ. დელფის მეთოდი).

2.3.4. მონაცემთა შეგროვების მეთოდები

მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდი არსებობს. ერთ-ერთი მეთოდის არჩევისას გაითვალისწინეთ, რომ შერჩეული მეთოდი უნდა იყოს:

- ეფექტიანი (შერჩეული მეთოდის საშუალებით უნდა მოიპოვოთ საჭირო მოცულობის ინფორმაცია რელევანტური ხარჯის გაწევის შედეგად); და
- შეგროვებული ინფორმაცია უნდა იყოს ვალიდური (მონაცემები ასახავს იმას, რასაც მონაცემები უნდა ზომავდეს) და სანდო (უნდა მიიღოთ იგივე შედეგები მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების განმეორებისას).

განარჩევნ მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს. ზოგიერთი მათგანი აღწერილია მე-7 ცხრილში.

ცხრილი 7. მონაცემთა შეგროვების მეთოდები

თვისებრივი მეთოდები	აღწერა
არასტრუქტურული ინტერვიუები	ჩვეულებრივ, ეს მეთოდები გამოიყენება პოლიტიკის განსაზღვრისა და ფორმულირების საწყის ეტაპებზე და იძლევა წინასწარი კვლევისა და სკოპინგის შესაძლებლობებს. არასტრუქტურული მიდგომა იძლევა კითხვების შეცვლის ან რესპონდენტის განათლებაზე, მიდგომებსა თუ რწმენებზე მორგების შესაძლებლობას. სტრუქტურული გამოკითხვისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში მონაცემთა განმეორება და შედარება უფრო რთულია.
გონებრივი იერიში, DELPHI-ს მეთოდი	ეს მეთოდები მოითხოვს ექსპერტთა ჯგუფის შექმნას (შიდა და/ან გარე), რომელსაც მოეთხოვებათ სტრუქტურული მოსაზრებების გამოთქმა. ორივე მეთოდი გამოყენებადია პრობლემის განსაზღვრისა და ალტერნატივების გამოვლენის ეტაპზე. თუმცა გონებრივი იერიშის მიზანია ახალი იდეების გენერირება (კრიტიკა და შეფასება პრიორიტეტები არ არის), ხოლო DELPHI-ს მეთოდის მიზანია კომპლექსური ანალიზი კითხვარის დახვეწით და დაზუსტებით დისკუსიითა რამდენიმე რაუნდის შემდეგ. DELPHI-ს მეთოდის შესახებ მეტი ინფორმაციისათვის იხ. https://en.wikipedia.org/wiki/Delphi_method .
ფოკუს ჯგუფები	ეს მეთოდი გულისხმობს ჯგუფის წევრების თავისუფალ დისკუსიას შეზღუდული რაოდენობის კითხვებზე. ჩვეულებრივ, მოდერატორი წარმართავს დისკუსიას დღის წესრიგის მიხედვით, მაგრამ ჯგუფის წევრებს შორის ინტერაქცია ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მათი კომპეტენცია. ფოკუს ჯგუფები ხშირად გამოიყენება, რათა მოხდეს სხვადასხვა დაინტერესებული მხარისა თუ სხვადასხვა ექსპერტის შეპირისპირება. მოდერატორი აჯამებს პროცესს და მთავარ მიგნებებს.
შემთხვევების შესწავლა	ეს მიდგომა გამოიყენება, როდესაც პოლიტიკის მოქმედების სფერო შედარებით ვიწროა ან მონაცემებზე წვდომა შეზღუდულია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს მეთოდი იძლევა ჯვარედინი ანალიზის საშუალებას (ერთი საკვლევი შემთხვევის განსაზღვრებებისა და დასკვნების მორგება სხვა შემთხვევებზე, სადაც ნაკლები ემპირიული მტკიცებულება არსებობს). შემთხვევების შესწავლა იძლევა ექსტრაპოლაციისა და განზოგადების შესაძლებლობასაც; მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში გამოყენებული ვარაუდები და ლოგიკური არგუმენტაცია აუცილებლად ნათლად უნდა იყოს აღწერილი.
SWOT ანალიზი	SWOT: S – ძლიერი მხარეები, W – სუსტი მხარეები, O – შესაძლებლობები და T – საფრთხეები. ალბათ, ეს არის გონებრივი იერიშის ყველაზე გავრცელებული მეთოდი სტრატეგიული დაგეგმარებისათვის, სადაც ოთხივე ასპექტი მოცემულია მატრიცაში.

რაოდენობრივი მეთოდები	აღწერა
გამოკითხვები	გამოკითხვებით სისტემატურად ხდება პირველადი მონაცემების შეგროვება კითხვარის გამოყენებით ცალკეული პირების წინასწარ განსაზღვრული, წარმომადგენლობითი რაოდენობისათვის. კითხვარში, როგორც წესი, მოცემულია ღია და დახურული კითხვები. სისტემური და სტანდარტიზებული მიდგომა სტატისტიკური ტექნიკების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. გამოკითხვები უფრო ხშირად გამოყენებადი ხდება, რამდენადაც უფრო მეტად ხდება მათი უპირატესობების აღიარება.
სტატისტიკა	ზოგადად რომ ვთქვათ, სტატისტიკა გულისხმობს მონაცემთა შეგროვებას, დამუშავებას, ინტერპრეტაციასა და წარმოდგენას. აღწერითი სტატისტიკა გამოიყენება მონაცემების შეჯამებისა და აღწერისათვის. ეს მეთოდი მოიცავს ცენტრალური ტენდენციის საზომებს (საშუალო, მედიანა და მოდა); მონაცემთა გაფანტულობის საზომებს (სტანდარტული გადახრა და ვარიაცია) და ასოციაციის საზომ ერთეულებს (კორელაცია და რეგრესია). გამოყვანილი სტატისტიკა ეხება მონაცემთა ტიპური მაგალითების მოდელირებას შერჩევისა და პოპულაციის გამოყენებით ჰიპოთეზების შესამოწმებლად.

ინფორმაციული ტექნოლოგიების შთამბეჭდავმა განვითარებამ მკვლევარებს საშუალება მისცა, გამოიყენონ დამატებითი და საგრძნობლად ძლიერი ინსტრუმენტები რეალურ დროში ზუსტი მონაცემების დიდი რაოდენობებით შეგროვებისათვის უფრო სწრაფად, ვიდრე ამის შესაძლებლობას მონაცემთა შეგროვების ტრადიციული მეთოდები იძლეოდა. უფრო მეტიც, ამ მეთოდებით შეგროვებული ქცევითი მონაცემები უკიდურესად ღირებულია მკვლევარებისათვის, რამეთუ ასეთი მონაცემები ასახავს რეალურ ქცევას (როგორიცაა ექსპერიმენტული მონაცემები, მაგრამ უფრო დიდი მასშტაბის და მისი მოპოვება რეალურ კონტექსტში ხდება) გამოკითხვებით შეგროვებული პირადად მიწოდებული მონაცემებისაგან განსხვავებით. ასეთი ინსტრუმენტების მაგალითები მოცემულია მე-8 ცხრილში.

ცხრილი 8. მონაცემთა შეგროვების თანამედროვე მეთოდები

მეთოდი	აღწერა
მონაცემთა სკრეიპინგი (მონაცემთა ავტომატური აღება) და მონაცემთა მიღების სხვა მეთოდები	მონაცემთა სკრეიპინგი, ხშირად მოხსენიებული როგორც ვებ-სკრეიპინგი, წარმოადგენს ვებგვერდიდან ინფორმაციის იმპორტირების პროცესს კომპიუტერზე შენახულ ელექტრონულ ცხრილში ან ლოკალურ ფაილში. მონაცემთა აღება შეიძლება მრავალი წყაროდან (მაგ., რუკები, სურათები, ტექსტი). ღირებული მონაცემების მიღება შეიძლება ციფრული (და არაციფრული) წყაროებიდანაც, რომლებზეც ვებ-სკრეიპინგით თავისუფალი წვდომა არ არსებობს. მონაცემთა ასეთი ტიპი მოიცავს ინფორმაციას, რომლის მიღება სხვაგვარად რთული და ხარჯიანი იქნებოდა (მაგ. თანამგზავრის ფოტოების გამოყენება გაუტყვევების ტემპის მონიტორინგისათვის, ელექტროენერგიაზე წვდომა, ა.შ.).
სოციალური მედიის მონიტორინგი / მოსმენა	მკვლევრებს შეუძლიათ მონაცემები მიიღონ და გაანალიზონ სოციალური მედიიდანაც (Twitter, Facebook, ა.შ.). ასეთი ტიპის ტექნიკების გამოყენება სასარგებლოა „სენტიმენტების ანალიზის“ ჩასატარებლად – კომპანიის, ბრენდის, პროდუქტის ან პოლიტიკური საკითხის ირგვლივ არსებული დამოკიდებულებების შეფასება.
GPS-ით თვალის დევნება	ციფრული მოწყობილობებით ცალკეული პირების მოძრაობაზე თვალის დევნება მნიშვნელოვანი ხდება, რამეთუ მკვლევრები აცნობიერებენ, რომ ლოკაცია და კონტექსტუალური დინამიკა მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ფაქტორია მომხმარებლის მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს.
ვებგვერდზე თვალის დევნება	(მაგ. Cookies ან meters) ეს მეთოდი მკვლევრებს საშუალებას აძლევს, დააკვირდნენ ვებგვერდებს და ჩაიწერონ, რამდენ ხანს ატარებენ მომხმარებლები ვებგვერდზე, როდის სტუმრობენ მომხმარებლები გვერდს, რომელ ბმულებს იყენებენ და ა.შ. ამ მეთოდით მკვლევრები სიღრმისეულად ეცნობიან მომხმარებლების ქცევას ონლაინ.

სხვა პასიური საზომები	თითქმის ნებისმიერ თანამედროვე ელექტრონულ მოწყობილობას აქვს შესაძლებლობა, შეაგროვოს ინფორმაცია თავის მომხმარებელზე. ეს მეთოდი სასარგებლოა კონკრეტული საკვლევი კითხვების შესასწავლად ან ცალკეული პირის ქცევის კონკრეტული მიმართულებით მიმართვისთვის.
ტრანზაქციური მონაცემები	ფინანსური მომსახურების პროვაიდერები (FSP), მობილური ქსელის ოპერატორები (MNO), საცალო მოვაჭრეები, ა.შ. აგროვებენ ტრანზაქციური მონაცემების მრავალ ტიპს, რაც უკიდურესად ღირებული ინფორმაციაა ცალკეული პირის ქცევისა და ახალ პოლიტიკასთან დაკავშირებული ქცევითი ცვლილების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ.

2.3.5. პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან

აღნიშნული ქვეთავი მომზადდა იმისათვის, რომ მკითხველს დაეხმაროს განხილული ცნებების კონსოლიდაციაში და მიეცეს საშუალება, გაიზიაროს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიტიკოსების გამოცდილება და მიდგომები, რაც მათ დააგროვებს და შეიმუშავებს საქართველოს კონტექსტში რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის განხორციელების შედეგად.

საჭირო მონაცემების შეგროვებისას იყავით პროაქტიული და კრეატიული

ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის პროექტის (დეტალურად განხილულია მე-8 ჩანართში) რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესში მონაცემთა შეგროვების რამდენიმე მეთოდი იყო გამოყენებული, მათ შორის, მონაცემების შეგროვება სახელმწიფო უწყებებიდან (მაგ., საქართველოს მელიორაცია, სოფლის მეურნეობის სამინისტრო) და ადგილობრივი და საერთაშორისო ლიტერატურის, სახელმწიფო სტრატეგიების სამაგიდო კვლევა. თუმცა რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდს მოუხდა მონაცემთა შეგროვების სხვა მეთოდების გამოყენებაც, რათა მოეპოვებინათ მონაცემები, რომლებიც პირდაპირ ხელმისაწვდომი არ იყო (იხ. მე-15 ჩანართი გამოყენებული მეთოდების შეჯამებისთვის).

ჩანართი 15 – ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში გამოყენებული მონაცემთა შეგროვების მეთოდები

პრობლემის კომპლექსური სურათის მისაღებად რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოიყენა სხვადასხვა მეთოდი: სამაგიდო კვლევა, ოფიციალური მონაცემების მოთხოვნა, ფოკუს ჯგუფის დისკუსიები და სატელეფონო გამოკითხვა.

მონაცემები და ინფორმაცია	გამოყენებული მეთოდი / წყარო
ხარჯების ანაზღაურებისა და ირიგაციისა და დრენაჟისთვის წყლის ფასდადების საერთაშორისო გამოცდილება	სამაგიდო კვლევა
- ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა შესახებ გასული წლების მონაცემები დაფარვის არეალისა და რეგიონის მიხედვით - ირიგაციის ტარიფების ისტორიული მონაცემები - საქართველოს მელიორაციის ხარჯების ისტორიული მონაცემები - გადასახადების აკრეფის შესახებ ყოველწლიური მონაცემები, ირიგაციისა და დრენაჟის ტარიფების აკრეფის ეფექტიანობა	მონაცემების გამოთხოვა საქართველოს მელიორაციისაგან

• თითოეული წლისათვის სამთავრობო სუბსიდიების რაოდენობა და სამომავლო გეგმები	• მონაცემების გამოთხოვა საქართველოს მელიორაციისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან
• საქართველოს მელიორაციის განვითარების გეგმები	• მონაცემების გამოთხოვა საქართველოს მელიორაციისაგან
• საქართველოს მელიორაციის ადმინისტრაციული, ინფრასტრუქტურული, საოპერაციო და საექსპლუატაციო ხარჯები	• მონაცემების გამოთხოვა საქართველოს მელიორაციისაგან
• მელიორაციის სხვადასხვა სისტემისათვის გამოთვლილი სატარიფო განაკვეთი შემოთავაზებული კანონპროექტის მიხედვით	• მონაცემების გამოთხოვა საქართველოს მელიორაციისაგან
• მთავრობის გეგმები და ამოცანები საქართველოს მელიორაციის სისტემის განვითარებისათვის	• სამაგიდო კვლევა, კერძოდ კი საქართველოს მთავრობის 2020 წლის სტრატეგიისა და საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის (2015-2020) ანალიზი
• თერთმეტ სამიზნე მუნიციპალიტეტში რვა მთავარი კულტურის წილი მთლიან დამუშავებულ ფართობზე	• სამიზნე მუნიციპალიტეტებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრებიდან ინფორმაციის გამოთხოვა
• ფერმერების გადახდისთვის მზადყოფნა • ბუნებრივად (წვიმით) და ხელოვნურად მორწყული კულტურებით მიღებული საშუალო მოსავალი • მოსავლის ფინანსური საერთო მარჟა ქართველი ფერმერებისათვის • ფერმერების სურვილი გადავიდნენ ირიგაციის თანამედროვე ტექნოლოგიებზე	• სატელეფონო გამოკითხვა და ფერმერთა ფოკუს ჯგუფი • სამაგიდო კვლევა
• ირიგაციის ტექნოლოგიების დაახლოებითი ცვლილებები • ირიგაციის განსხვავებული ტექნოლოგიების საინვესტიციო ხარჯები • სხვადასხვა კულტურისათვის ოპტიმალური ირიგაციის შერჩევა • ირიგაციის სხვადასხვა ტექნოლოგიისათვის წყლის მოხმარება • მოსავლის მოყვანის ქცევაში პროგნოზირებული ცვლილება 2015-2020	• ინფორმაციის გამოთხოვა კონსულტანტისაგან

აქცენტები: სატელეფონო გამოკითხვა. პრობლემის ანალიზისათვის რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდს სჭირდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, აქვთ თუ არა ფერმერებს სურვილი გადაიხადონ ირიგაციის/დრენაჟის მომსახურებებისათვის. ასეთი მონაცემები საქართველოსათვის ხელმისაწვდომი არ იყო. ამიტომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა შეიმუშავა სატელეფონო კითხვარი იმისათვის, რომ ფერმერთა მიერ გადახდის მზადყოფნის შესახებ მოეპოვებინა ინფორმაცია. გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მხარდაჭერით. ამ პროცესში 119 ფერმერი გამოიკითხა. კითხვარში საერთო ჯამში მოცემული იყო 20 როგორც ღია, ისე დახურული კითხვა. კითხვები ეხებოდა ფერმერულ

საქმიანობას (რა კულტურები მოჰყავდათ ფერმერებს, დამუშავებული მიწის საშუალო ფართობი (ჰექტარი), შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან), ირიგაციის საჭიროებასა და მათ მზადყოფნას, გადაიხადონ სანდო ირიგაციის/დრენაჟის მომსახურებებისათვის. გამოკითხვის შედეგები გათვალისწინებული იქნა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშში. კითხვარის ტექსტი მოცემულია მეორე დანართში.

აქცენტები: კონსულტანტების/ექსპერტების მოსაზრებები. მოსალოდნელი გავლენის ანალიზისათვის გუნდს სჭირდებოდა ინფორმაცია საქართველოში ირიგაციის ალტერნატიული ტექნოლოგიების ხარჯების შესახებ, ასევე, ერთი ირიგაციის ტექნიკიდან მეორეზე გადასვლის მოსალოდნელი სარგებლის შესახებ. მთავარი მოსაზრება იყო ის, რომ ფერმერები მიიღებდნენ სარგებელს ტარიფის გაზრდით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნებოდა სანდო წყალმომარაგება, რაც მათ მოგებას – ირიგაციის ტექნოლოგიის გაუმჯობესების ხარჯების გამოკლებით – გაზრდიდა. ამიტომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდი დაეკითხა სოფლის მეურნეობის ექსპერტს, რათა არსებული ინფორმაცია მორგებულიყო საქართველოს შემთხვევას. ამან გუნდს მისცა შესაძლებლობა, მოეხდინა მოსალოდნელი ზეგავლენის ექსტრაპოლაცია საპროგნოზო დროის პერიოდზე იმ გარემოებების გამოვლენით, როდესაც ირიგაციის თანამედროვე ტექნოლოგიებზე (და ახალ კულტურებზე) გადასვლა იქნებოდა მომგებიანი და რეფორმის მოსალოდნელი წმინდა სარგებლის გაზომვა უფრო ზუსტი იქნებოდა.

წყლის მართვის შესახებ კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში (დეტალებისათვის იხ. ჩანართი 6) რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა შეაგროვა და გააანალიზა სხვადასხვა წყაროსაგან მიღებული მონაცემები, მათ შორის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო, ა.შ. თუმცა იმისათვის, რომ მომხდარიყო რეფორმის პოტენციური ზეგავლენის (განსაკუთრებით კი სარგებლის) მონეტიზაცია, რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდს უნდა შეესწავლა საქართველოს მდინარეების აუზების წყლის ხარისხი და წყლის მომხმარებლების მზადყოფნა, გადაეხადათ მაღალი ხარისხის წყალმომარაგებისათვის. ასეთი მონაცემები საქართველოსათვის ხელმისაწვდომი არ იყო, ამიტომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდს მოუწია სხვადასხვა მეთოდის გამოყენება ასეთი ინფორმაციის მოპოვებისათვის. რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში გამოყენებული მონაცემთა შეგროვების მეთოდები შეჯამებულია მე-16 ჩანართში.

ჩანართი 16 – წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში გამოყენებული მონაცემთა შეგროვების მეთოდები

პრობლემის ანალიზისათვის, წყლის არსებული ხარისხისა და რეფორმის ზეგავლენის შეფასებისათვის რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოიყენა სხვადასხვა მეთოდი საჭირო ინფორმაციის შეგროვების მიზნით.

მონაცემთა და კვლევის მეთოდების აღწერა

მონაცემები და ინფორმაცია	გამოყენებული მეთოდი / წყარო
• ქოროხი-აჭარისწყალი მდინარეთა აუზის სამოქმედო გეგმა, ბიუჯეტი	• სამაგიდო კვლევა
• მდინარეების აუზების ფარგლებში ეკონომიკური საქმიანობები სექტორების მიხედვით (წარმოება, ანაზღაურება, ბრუნვა, ა.შ.)	• საქსტატი
• ინფორმაცია წყლის რესურსების მართვის ხარჯების შესახებ	• სხვადასხვა სამინისტრო და სამთავრობო უწყება, ფინანსთა სამინისტრო – სახელმწიფო ბიუჯეტი
• შინამეურნეობების მიერ წყალმომარაგებისთვის გადახდილი ყოველთვიური ხარჯები • წყალმომარაგების ძირითადი წყაროები შინამეურნეობებისთვის	• შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკითხვა (HIS), საქსტატი (2004-2015)
• სოფლის მეურნეობაში გამოყენებული პესტიციდების ტიპი და მოცულობა	• სასოფლო-სამეურნეო სავარგულების აღწერა, საქსტატი (2015)
• წყლის მოხმარება სექტორების მიხედვით შავი/კასპიის ზღვის აუზებისთვის	• ყოველთვიური ბიულეტენი, გარემოს ეროვნული სააგენტო

აქცენტები: წყლის მთლიანი ეკონომიკური ღირებულების (TEV) შეფასება. მთლიანი ეკონომიკური ღირებულება გულისხმობს საქონლისა და მომსახურებების მაქსიმალურ რაოდენობას – ან თანხას – რის გადახდაზეც ინდივიდი თანახმაა (გადახდისთვის მზადყოფნა) იმისათვის, რომ მიიღოს ისეთი შედეგი, რაც მის კეთილდღეობას ზრდის. საქართველოს კონტექსტში მაღალი ხარისხის წყლისათვის გადახდისთვის მზადყოფნის შესახებ კვლევა არ ჩატარებულა, ხოლო შეზღუდული დროისა და რესურსების გამო საქართველოს მოქალაქეების გადახდისთვის მზადყოფნის პირდაპირი შეფასება სუბიექტური შეფასების მეთოდით გამოირიცხა. ამის ნაცვლად, საქართველოში გადასახადისთვის მზადყოფნის ექსტრაპოლაცია მოხდა 54 კვლევის მეტა-ანალიზის შედეგების საფუძველზე, რომელიც აჩვენებდა კავშირს წყლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გადახდისთვის მზადყოფნასა და რამდენიმე ქვეყნის მახასიათებლებს შორის მას შემდეგ, რაც ევროპის რამდენიმე ქვეყანაში შემოიღეს ევროკავშირის დირექტივა. რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა მეტა-ანალიზში გამოყენებული ყველა არარელევანტური ცვლადი (54 კვლევის დამახასიათებელი სპეციფიკური ცვლადები) დატოვა მუდმივი და მიაწოდა მათი საშუალო მნიშვნელობა; ხოლო რელევანტური საკონტროლო ცვლადებისთვის გამოიყენება აუზების შესაბამისი მნიშვნელობები:

- აუზში წყლის ხარისხის მოსალოდნელი ცვლილება (გამყარებულია წყლის ექსპერტების მოსაზრებებით);
- აუზში წყლის საბაზისო ხარისხი (გამყარებულია წყლის ექსპერტების მოსაზრებებითა და გარემოს ეროვნული სააგენტოს წყლის ხარისხის მონიტორინგის მონაცემებით);
- აუზში ირიგაციის მნიშვნელობა (სოფლად მცხოვრები ინდივიდების წილი – საქსტატის მონაცემები);
- აუზის ფარგლებში მცხოვრები ოჯახის შემოსავლის ნატურალური ლოგარიტმი (საქსტატის მონაცემები);
- აუზის ფარგლებში მცხოვრები მოსახლეობის ნატურალური ლოგარიტმი (საქსტატის მონაცემები);
- აუზის ფარგლებში არსებული ტბების მთლიანი ზედაპირის ფართობის (ჰა) ნატურალური ლოგარიტმი (საქსტატის მონაცემები).

აქცენტები: წყლის საბაზისო ხარისხის შეფასება. კარგი ხარისხის წყალში გადახდისთვის მზადყოფნის შეფასებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლადი იყო წყლის არსებული ხარისხობრივი სტატუსი (მონაცემთა სიმწირის გამო შეფასება ჩატარდა მხოლოდ ზედაპირულ წყლებზე). საქართველოს მდინარეთა აუზებზე არ არსებობდა ასეთი მონაცემები, ამიტომ წყლის ხარისხის შეფასებისათვის რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოიყენა რესურსები მომავლისათვის (RFF) მიერ შემუშავებული წყლის ხარისხის შკალა. RFF-ის წყლის ხარისხის შკალის მიხედვით, წყლის ხარისხი განისაზღვრება კონკრეტული რეკრეაციული აქტივობებისათვის წყლის ვარგისიანობით. წყლის ხარისხი ფასდება 0-დან 10-მდე ქულით – რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო უკეთესია წყლის ხარისხი. რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა სთხოვა წყლის ექსპერტებს, საქართველოს მდინარეთა აუზებისთვის მიენიჭებინათ ქულები 0-დან 10-მდე აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით. გუნდმა განაახლა წყლის მონიტორინგის სადგურებისაგან (გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო) მიღებული მონაცემებიც. ზედაპირული წყლის საერთო ხარისხი შეფასდა შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით: აზოტი, ფოსფორი და გახსნილი ჟანგბადი. წყლის ხარისხის შკალისა და ექსპერტთა შეფასებების შედეგების დეტალური აღწერა მოცემულია მესამე დანართში.

ოჯახში დასაქმებულების კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში (დამატებითი დეტალები იხ. მე-12 ჩანართში) რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდი იკვლევდა ოჯახში დასაქმებულების ცნობიერების დონეს, მათ მოტივაციასა და დამოკიდებულებებს. რადგანაც მონაცემები არ იყო ხელმისაწვდომი სხვა წყაროებიდან, რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გადაწყვიტა, ჩაეტარებინა ონლაინ გამოკითხვა, რათა მოეცვათ ოჯახში დასაქმებულები, მათ შორის ძიძები, მძღოლები, ა.შ. ოჯახში დასაქმებულების კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში გამოყენებული მონაცემთა შეგროვების მეთოდებისა და გამოკითხვის შესახებ დამატებითი ინფორმაციის შეჯამება მოცემულია მე-17 ჩანართში.

ჩანართი 17 – ოჯახში დასაქმებულების კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში გამოყენებული მონაცემთა შეგროვების მეთოდები

რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოიყენა სხვადასხვა მეთოდი, რათა მიეღო ოჯახში დასაქმებულების სამუშაო გარემოს სრულყოფილი სურათი, გამოევლინა მათი პრობლემები და დაედგინა მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესების შესაძლო გზები.

მონაცემთა და კვლევის მეთოდების აღწერა

მონაცემები და ინფორმაცია	გამოყენებული მეთოდი / წყარო
• ოჯახში დასაქმებულების სამუშაო პირობების შესახებ საერთაშორისო გამოცდილება	• სამაგიდო კვლევა
• ოჯახში დასაქმებულების რაოდენობა, სამუშაო პირობები, მათ შორის სამუშაო საათები, შემოსავალი, სამუშაოს ტიპი, ა.შ.; • ოჯახში დასაქმებულების სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მახასიათებლები	• სამაგიდო კვლევა, კერძოდ, სამუშაო ძალის აღწერის ანალიზი, 2017-2019 წწ. მონაცემთა ბაზა
• ოჯახში დასაქმებულების დაქირავების პროცედურები, დასაქმების სააგენტოების მიერ შეთავაზებული კონტრაქტის ტიპი და სამუშაო პირობები, ოჯახში დასაქმებულების პრობლემები, ა.შ. • ოჯახში დასაქმებულების სამუშაო პირობები დასაქმების სააგენტოებში, მათ შორის, საათობრივი ანაზღაურება, სამუშაო საათები, ანაზღაურებადი გაცდენები, ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურება, სააგენტოების საკომისიოები, ა.შ.	• დასაქმების სააგენტოებთან სიღრმისეული ინტერვიუები და მათი ვებსაიტებიდან მონაცემების შეგროვება
• დამსაქმებლების მიერ ოჯახში დასაქმებულების შეთავაზებული პირობები და ვადები: ყოველთვიური სამუშაო საათები, ყოველდღიური სამუშაო საათები, სამუშაო დღეების რაოდენობა კვირაში, საათობრივი ანაზღაურება და ხელფასი	• სამაგიდო კვლევა, კერძოდ ინფორმაციის მიღება Facebook-ის განცხადებებიდან დამსაქმებლის მიერ შეთავაზებული პირობების შესახებ
• ინფორმაცია ოჯახში დასაქმებულების შესახებ: მოტივაცია ოჯახში დასაქმებისათვის • სამუშაო პირობებით კმაყოფილების დონე, ოჯახში დასაქმებულების ს ქცევა მათი სამუშაო პირობების დარღვევისას • მათი დამოკიდებულება დამსაქმებლების მიმართ; საოჯახო საქმიანობის ფორმალიზების მიმართ მათი დამოკიდებულება; საშემოსავლო გადასახადის სასურველი განაკვეთი; დამოკიდებულება მათი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით, ა.შ.	• რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდის მიერ ჩატარებული ოჯახში დასაქმებულების ონლაინ გამოკითხვა
• ოჯახში დასაქმებულების მიერ წამოწყებულ დავების რაოდენობა და შინაარსი	• მონაცემთა გამოთხოვა სასამართლოებისაგან

აქცენტები: ონლაინ გამოკითხვა. რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდის მიერ შექმნილი და ჩატარებული გამოკითხვის მთავარი მიზანი იყო, დაედგინათ, როგორ აფასებდნენ ოჯახში დასაქმებულები მათ სამუშაო პირობებს და ურთიერთობას დამსაქმებლებთან, როგორი იყო მათი კანონიერი უფლებების გათვითცნობიერების დონე და დამოკიდებულება შემოთავაზებული პოლიტიკის ალტერნატივების მიმართ. კითხვარი გაზიარდა სოციალური მედიის საშუალებით (კერძოდ, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის Facebook გვერდის მეშვეობით მოხდა მისი რეკლამირება, რათა მოცულიყო ფართო აუდიტორია). საერთო ჯამში, გამოკითხვაში მონაწილეობა 184 რესპონდენტმა მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხვა ხასიათდებოდა სელექციური მიკერძოებით უფრო ახალგაზრდა თაობის მიმართ იმიტომ, რომ კითხვარი Facebook-ის საშუალებით გაზიარდა (გუნდმა გადაამოწმა ტენდენციურობის საკითხი და აღმოჩნდა, რომ შერჩეული რესპონდენტების საშუალო ასაკი თითქმის სამი წლით დაბალი იყო, ვიდრე სამუშაო ძალის გამოკითხვაში შერჩევის ასაკი – ეს სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია). ონლაინ გამოკითხვის კითხვარი მოცემულია მე-4 დანართში.

სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა და აისახა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშში.



3. რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების პრინციპები

3.1. პრობლემის განსაზღვრა

3.1.1. რა იგულისხმება პრობლემის განსაზღვრაში და რატომ არის ის მნიშვნელოვანი?

შეიძლება ითქვას, რომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესში პრობლემის განსაზღვრა ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია. თუ პრობლემის გადაჭრაა საჭირო, ის სწორად უნდა იყოს ფორმულირებული, რადგან პრობლემის განსაზღვრა ყველა შემდგომი ეტაპის წინაპირობაა. თუ პრობლემა ნათლად არ არის განსაზღვრული, ნაკლებ სავარაუდოა, რომ სწორი გადაწყვეტილებები მომზადდეს. პირიქით, ცუდად განსაზღვრულ პრობლემას მისი გაუარესება მოჰყვება. ვერც ერთი შემდგომი ანალიზი – რამდენადაც სრულყოფილი არ უნდა იყოს – ვერ შეძლებს ცუდად განსაზღვრული პრობლემის გამოსწორებას. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ამ ეტაპს დაეთმოს შესაბამისი დრო და რესურსები.

პრობლემის განსაზღვრის ეტაპი საკვანძოა იმ გაგებითაც, რომ ეს ეტაპი მნიშვნელოვნად ამცირებს დახარჯული დროისა და რესურსების რაოდენობას, თუ ამ ეტაპზე დადგინდება, რომ მტკიცება, რომ პრობლემა არსებობს, უსაფუძვლოა და/ან მთავრობის ინტერვენცია, ნაკლებ სავარაუდოა, რომ გამოიღებს სასარგებლო შედეგს საზოგადოებისათვის. შეიძლება დაინტერესებული მხარეები დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ პრობლემა არსებობს, მაგრამ სინამდვილეში ასე სულაც არ იყოს. დაინტერესებულ მხარეთა თითოეულ ჯგუფს თავისი ინტერესები და მოტივები აქვს. ის, რაც დაინტერესებული მხარისათვის წარმოადგენს პრობლემას, შეიძლება სასარგებლო იყოს საზოგადოების სხვა ნაწილისათვის. ანალიტიკოსებს არასდროს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების მიზანია საზოგადოებისათვის ყველაზე კარგი შედეგის მიღწევა. პრობლემის განსაზღვრის ეტაპზე შეიძლება მოხდეს ისე, რომ ანალიტიკოსმა მოაგროვოს საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესი აღარ გააგრძელოს. მაგალითად:

- როდესაც არსებული მონაცემებისა და ლიტერატურის მიმოხილვა პრობლემის არარსებობაზე მიუთითებს;
- როდესაც შესაბამის ლიტერატურაში არის მყარი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ სამთავრობო ინტერვენცია ვერ გააუმჯობესებს მდგომარეობას.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ამ ეტაპზე თქვენი ამოცანაა, გამოავლინოთ საჯარო პოლიტიკის კონკრეტული პრობლემა, რომლის გადაჭრასაც გეგმავთ, და შეაფასოთ ასეთი პრობლემის აქტუალობა, მასშტაბურობა და პრობლემაზე დაუყოვნებლივ რეაგირების აუცილებლობა. მნიშვნელოვანია პოლიტიკის კონტექსტის დახასიათებაც, რომლის ფარგლებშიც არსებობს პრობლემა. კარგი რეგულირების ზეგავლენის შეფასების, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრება, ასევე ასახულია ის მხარეები, რომელთა მდგომარეობაც უმჯობესდება და/ან უარესდება მდგომარეობის უცვლელად დატოვებისა და მდგომარეობის შეცვლის შედეგად, მიზანია საზოგადოებისათვის და არა კონკრეტული ინტერესთა ჯგუფისათვის ყველაზე კარგი გამოსავლის მოძებნა. თუ არ არსებობს პრობლემა, რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიტიკოსმა ეს ცხადად უნდა ასახოს.

ამ ამოცანის შესრულებაში შეიძლება დაგეხმაროთ შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა:

- რა პრობლემა ან დილემა წარმოიქმნა?
- ვინ ამტკიცებს, რომ პრობლემა არსებობს?
- არსებობს ამ მტკიცების დამადასტურებელი არგუმენტები?
- რა არის პრობლემის გამომწვევი მიზეზები?
- ვინ (თუ არსებობს ასეთი) იწვევს პრობლემას?
- ვისზე ახდენს პრობლემა ზემოქმედებას, რა ფორმითა და რა დონეზე?
- რა შედეგები მოყვება პრობლემას? რამდენად დიდი, მწვავე და სასწრაფოა?
- პრობლემის ბუნების გათვალისწინებით არსებობს საფუძველი იმისა, რომ საჯარო ინტერვენცია მოაგვარებს პრობლემას და გააუმჯობესებს არსებულ მდგომარეობას?

კითხვებზე პასუხის გაცემის დროს ნათლად უნდა აღნიშნოთ, როგორ უკავშირდება პრობლემა მდგრად განვითარებას და როგორ უშლის ხელს საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში (მაგ. 2030 წლის დღის წესრიგის ამოცანები და პრინციპები) სტრატეგიული მიზნების, საზოგადოებრივი მისწრაფებებისა და ვალდებულებების განხორციელებას.

3.1.2. პოლიტიკის კონტექსტი

რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის პრობლემის განსაზღვრის ქვეთავი უნდა დაიწყოს არსებული მდგომარეობისა და საკანონმდებლო ჩარჩოს (შესაბამისი სახელმწიფო და საერთაშორისო კანონმდებლობა), ასევე, მთავრობის გეგმებისა და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების მოკლე აღწერით. ასეთი მოკლე ქვეთავი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს, იძლევა საერთო სურათს და ეხმარება მკითხველს, უკეთ გაიგოს არსებული მდგომარეობის კონტექსტი. არსებული სიტუაცია უფრო დეტალურად გაანალიზდება უშუალოდ პრობლემის განსაზღვრის ქვეთავში.

3.1.3. როგორ განისაზღვრება პრობლემა

მიზეზ-შედეგობრივი კავშირის პოვნა

თუ პრობლემა არსებობს, მაშინ პრობლემის განსაზღვრა უნდა ითვალისწინებდეს როგორც მის მიზეზებს, ისე თანმდევ შედეგებს. ამ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა და იმის განსაზღვრა, თუ როგორ იწვევს ასეთი მიზეზები პრობლემას. ამ პროცესში უნდა დავადგინოთ **მიზეზ-შედეგობრივი კავშირი** პრობლემასა და მის გამომწვევ მიზეზებს შორის. ამ მიზნის მიღწევის ყველაზე პირდაპირი გზაა ე.წ. „**პრობლემის ხის**“ **მიდგომა**. ამ გრაფიკული მეთოდის გამოყენებით ხდება მიზეზებისა და თანმდევი შედეგების „განტოტება“.

პრობლემის ხის მიდგომა გეხმარებათ:

- ანალიზის კვლევის სფეროსთან დაკავშირებული ყველა არსებული პრობლემის დაკონკრეტებაში (აქცენტი რეალურად არსებულ და არა პოტენციურ თუ სამომავლო პრობლემაზე);
- განასხვაოთ პრობლემის მიზეზები და სიმპტომები, ანუ როგორ ვლინდება პრობლემა და როგორია მისი მოქმედება;
- გამოიკვლიოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი;
- გამოავლინოთ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ჯგუფები;
- შექმნათ პრობლემის იერარქია.

მე-18 ჩანართში მოცემულია, როგორ ააგოთ „პრობლემის ხე“.

ჩანართი 18 – „პრობლემის ხის“ მიდგომა პრობლემის განსაზღვრის მიზნით


ჩვეულებრივ, ხის აგება შეიძლება შემდეგი გზით:

- დაწერეთ თქვენი პრობლემა ცენტრში – ეს არის სიმპტომი – რომლის გადაჭრასაც გეგმავთ;
- მის ზემოთ ჩამოწერეთ პრობლემიდან გამომდინარე ყველა პირდაპირი თუ ირიბი თანმდევი შედეგი – ეს „ტოტები“ დაგეხმარებათ, ახსნათ, რატომ არის პრობლემა ნამდვილად პრობლემა (რასაც სჭირდება პოტენციური სახელმწიფო ინტერვენცია);
- პრობლემის ქვემოთ ჩამოწერეთ ყველა გამომწვევი მიზეზი – ესაა პრობლემის ხის „ფესვები“, რაც გეხმარებათ, გაიგოთ, რატომ არსებობს პრობლემა; „ფესვებში“ მოცემული მიზეზების მოგვარება საჭიროა პრობლემის გადაჭრისათვის.

რომელი მიზეზები უნდა გადაიჭრას რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესში, დამოკიდებულია თქვენს პრიორიტეტებზე, კომპეტენციასა და ხელთ არსებულ საშუალებებზე.

„პრობლემის ხის“ ილუსტრაცია რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშში სავალდებულო არაა. „პრობლემის ხე“ ეხმარება ანგარიშის დამწერს, ჩამოაყალიბოს პრობლემა და მისი მიზეზები, ამიტომ ანგარიშში გამოწვევები თხრობითი ფორმით შეიძლება აღინეროს. ქვემოთ გრაფიკზე მოცემულია პრობლემის ხის ზოგადი შაბლონი.

პრობლემის ხე



პრობლემის მიზეზები განსხვავდება მათი ბუნების მიხედვით. უმეტეს შემთხვევაში მიზეზები უკავშირდება ეკონომიკურ ასპექტებს, როგორიცაა საბაზრო სტრუქტურის ან ფუნქციონირების ჩავარდნები (იხ. ჩანართი 19).

ჩანართი 19 – საბაზრო და რეგულირების ჩავარდნის იდენტიფიცირება

„საბაზრო ჩავარდნა“ და „რეგულირების ჩავარდნა“ ხდება, როდესაც უშუალოდ ბაზარი ეფექტიანად ვერ ახდენს მომსახურებებისა და საქონლის გადანაწილებას იმ რაოდენობითა და ხარისხით, რასაც საზოგადოება ითხოვს ან არსებული მარეგულირებელი ჩარჩო ქმნის არასწორ მოტივაციას რესურსების გადანაწილებისათვის. ამას შედეგად მოჰყვება მოსახლეობის კეთილდღეობის დონის შემცირება. ბაზრისა და რეგულირების ჩავარდნის მთავარ ტიპებს შორის გამოიყოფა კონკურენციის ჩავარდნა, გარეგანი ეფექტები, საზოგადოებრივი საქონელი და ინფორმაცია.

ეკონომიკურ თეორიაში ბაზრისა და რეგულირების ჩავარდნად მიიჩნევა შემდეგი:

გარეგანი ეფექტები: გარეგანი ეფექტები ჩნდება, როდესაც პირი ასრულებს მოქმედებას, რომელიც იწვევს ირიბ ზეგავლენას სხვა პირებზე, რაც ვრცელდება საბაზრო სისტემის (ფასები) მოქმედების პრინციპებისაგან განსხვავებული მექანიზმებით. ყველაზე გავრცელებული მაგალითია სატრანსპორტო საშუალებებით გამოწვეული დაბინძურება. სატრანსპორტო საშუალებების მფლობელები ყიდულობენ ბენზინს, რომლის ფასი არ ითვალისწინებს CO₂-ის ემისიით გარემოზე მიყენებულ ზიანს. ამ შემთხვევაში, სოციალური კუთხით, წარმოებული და მოხმარებული ბენზინის რაოდენობა სასურველზე მაღალია.

საზოგადოებრივი საქონელი: საზოგადოებრივ საქონელს გააჩნია ორი ძირითადი მახასიათებელი: არაკონკურენტულობა და არაგამორიცხადობა. არაკონკურენტულობის პრინციპი გულისხმობს, რომ, როდესაც ადამიანი მოიხმარს საქონელს, ეს არ გამორიცხავს თანადროულად სხვა ადამიანების მიერ ამ საქონლის მოხმარებას. არაგამორიცხადობის პრინციპი გულისხმობს, რომ კონკრეტულ პირებს ვერ აეკრძალებათ საქონლის მოხმარება. ამ მიზეზით ბაზარს ეს საქონელი არასაკმარისი რაოდენობით მიეწოდება, რადგანაც შეუძლებელია გამოირიცხოს ისინი, ვისაც საკმარისი წვლილი არ შეაქვთ დაფინანსებაში. საზოგადოებრივი საქონლის მაგალითია ქუჩის განათება.

ასიმეტრიული ინფორმაცია: წარმოიქმნება, როდესაც მომხმარებლების გადაწყვეტილება არაეფექტიანია იმიტომ, რომ მათ აქვთ არასრული ან არასწორი ინფორმაცია ზოგიერთი პროდუქტის შესახებ. ხშირად ხდება, როდესაც მომხმარებლებს არა აქვთ საკმარისი ინფორმაცია, რათა განასხვავონ სხვადასხვა თვისების მქონე პროდუქტები და მომსახურებები, ამგვარად მათი სურვილი, გადაიხადონ ფული უკეთესი ხარისხის მქონე მომსახურებებში ან პროდუქტებში, ნაკლებია, ვიდრე მათ ექნებოდათ იმ შემთხვევაში, თუ ექნებოდათ სრულყოფილი ინფორმაცია; ამგვარად, კომპანიები კარგავენ ინტერესს, გააგრძელონ ამ პროდუქტების შეთავაზება, და იქმნება სტიმული, რომ საქონლის საშუალო ხარისხი შემცირდეს.

არასრულყოფილი კონკურენცია: ბაზარზე არის არასრულყოფილი კონკურენცია, როდესაც მწარმოებლების თავისუფალ კონკურენციას ხელი ეშლის, ანუ არსებული საბაზრო სტრუქტურა ხელს უწყობს მომწოდებელთა ჭარბ კონცენტრაციას, რაც მწარმოებლებს არ აძლევს საკმარის სტიმულს, რათა ერთმანეთს კონკურენცია გაუწიონ. ამ შემთხვევაში ხშირია, როდესაც რამდენიმე მრეწველობის წარმომადგენელი იყენებს საბაზრო ძალაუფლებას, რათა ხელი შეუშალოს ახალი მწარმოებლების შესვლას ბაზარზე. ამ კუთხით სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს ეკონომიკური რეგულაცია, რათა გააუმჯობესოს ბაზრების ეფექტიანობა, ასევე, აღკვეთოს უსამართლო

პრაქტიკები, რაც ვნებს კეთილდღეობას, უპირატესობა მიანიჭოს დინამიურ ბაზრებს, რაც დააკმაყოფილებს მომხმარებლების საჭიროებებს. საბაზრო ჩავარდნის სხვა შემთხვევებში (გარეგანი ეფექტები, საზოგადოებრივი საქონელი და ასიმეტრიული ინფორმაცია) სახელწიფოს შეუძლია გამოიყენოს სოციალური რეგულირება.

არაეფექტიანი/ხელშემშლელი რეგულაცია: რეგულაცია განისაზღვრება როგორც არაეფექტიანი/ხელშემშლელი, როდესაც ის ვერ ახერხებს სათანადოდ მოაგვაროს საბაზრო ჩავარდნის პრობლემა და/ან იწვევს ეკონომიკის ფუნქციონირების არაეფექტიანობასა და გადასხვაფერებას, რის შედეგადაც ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებს ეკისრებათ დამატებითი ხარჯები, რომელსაც ვერ გადაწონის მასთან დაკავშირებული სარგებელი ან უფრო მაღალი სოციალური (არაეკონომიკური) სარგებლის მიღების საჭიროება.

თუ არ იცნობთ ეკონომიკის შესახებ ლიტერატურას ან ეკონომიკურ თეორიას, მაშინ უმჯობესია, უზრუნველყოთ, რომ თქვენს გუნდში იყოს სულ მცირე ერთი გამოცდილი ეკონომისტი (იდეალურ შემთხვევაში მაგისტრის ხარისხით და რამდენიმეწლიანი გამოცდილებით). იმის დადგენა, არსებული მდგომარეობა ხასიათდება თუ არა ბაზრის/რეგულირების ერთი ან რამდენიმე ჩავარდნით, შეიძლება არ იყოს მარტივი ეკონომიკაში განსწავლული პირებისათვისაც. და მაინც, ამის დადგენა მნიშვნელოვანია პრობლემის ბუნების სწორი განსაზღვრისათვის. ეკონომისტების დახმარებით უფრო მარტივად ხდება იმის განსაზღვრა, საჭიროა თუ არა პრობლემის შემსუბუქებისათვის და/ან გადაჭრისათვის ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება და რომელი ინსტრუმენტები იქნება ყველაზე კარგი ამ მიზნებისათვის.

ყოველთვის არის რეკომენდირებული იურისტების ჩართულობაც, რამეთუ ისინი მნიშვნელოვნად ეხმარებიან გუნდს, სრულად გაიგონ არსებული კანონებიდან გამომდინარე შედეგები და განსაზღვრონ ალტერნატივები, განსაკუთრებით კი რეგულირების ალტერნატივები. თუ არის ეჭვი, რომ პრობლემის ნაწილი გამომდინარეობს რეგულირების ჩავარდნით (მათ შორის, ხარვეზებია არსებულ კანონმდებლობებში), იურისტების ჩართვა უკიდურესად მნიშვნელოვანი ხდება.

პრობლემის ბუნებიდან გამომდინარე, სასარგებლო იქნება კონკრეტული სფეროს ექსპერტების ჩართულობა თქვენს გუნდში. მაგალითად, როდესაც საუბარია წყლის მართვის რეფორმაზე, საჭიროა გუნდში წყლის ექსპერტების ჩართვა. როდესაც პრობლემის მიზეზებს მიყვავართ „ქცევით პრობლემებამდე“ (როგორ იქცევია ადამიანები გარკვეულ სიტუაციებში), გუნდში ქცევითი ექსპერტის ჩართულობა იქნება საჭირო (ფსიქოლოგები და/ან სოციოლოგები და/ან ქცევის ეკონომისტები). რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის დაწყებისას და პრობლემის განსაზღვრის ეტაპზე (როდესაც ახალი ინფორმაცია ჩნდება) ყურადღებით უნდა ჩამოაყალიბოთ თქვენი გუნდის შემადგენლობა.

სიტუაციის ანალიზი

პრობლემის განსაზღვრის მეორე მნიშვნელოვანი ნაწილია, დეტალურად აღიწეროს კონტექსტი, რომელშიც პრობლემის ხის მიდგომით გამოვლენილი კაუზალური დინამიკა მუშაობს. სიტუაციის ანალიზი ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, რამეთუ ის ხდება საბაზისო სცენარის მოკვლევის საფუძველი (იხ. თავი 2.2.). სიტუაციის ანალიზი შეიძლება შემოიფარგლოს გარკვეული თვისებრივი

ინფორმაციით. მაგალითად, ეს ხდება **არსებული პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს** მიმოხილვის დროს.

ამ კუთხით დაგეხმარებათ შემდეგი კითხვები:

- არსებული კანონმდებლობა მიესადაგება ამ საკითხს?
- წარმოადგენს ის უფრო ფართო ჩარჩოს ნაწილს?
- გამოვლინდა განხორციელების პრობლემები?
- არსებობს ხარვეზები არსებულ კანონმდებლობაში და/ან ინსტიტუციურ მოწყობაში?
- ქვეყანაში არათანაბარი განხორციელების პროცესი მიმდინარეობს?

ასევე, უნდა გახსოვდეთ, რომ პრობლემა შეიძლება იყოს გამოწვეული და სხვადასხვაგვარად მოქმედებდეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფსა და ეკონომიკის სხვადასხვა სეგმენტზე. თქვენ მიერ ჩატარებულ სიტუაციის ანალიზში ეს ფაქტორი გათვალისწინებული უნდა იყოს. ქვემოთ მოცემული ცხრილი დაგეხმარებათ, გაითვალისწინოთ მოქმედი პირების სხვადასხვა ტიპოლოგია, რაც პრობლემის განსაზღვრის ნაწილია.

ცხრილი 9. სხვადასხვა ტიპის მოქმედი პირები

საზოგადოებრივი განსხვავება				ეკონომიკური განსხვავება
ასაკობრივი ჯგუფები	შემოსავლის მქონე ჯგუფები	დისკრიმინაციის მსხვერპლი ან სხვა სოციალურად არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ჯგუფები	გეოგრაფიული ჯგუფები	
მაგალითი: • ბავშვები და ახალგაზრდები • ხანდაზმულები • კონკრეტული ასაკობრივი დიაპაზონი	მაგალითი: • დაბალი შემოსავლის მქონე პირები • ეკონომიკურად არააქტიური პირები • უმუშევრები • პირები, რომლებსაც მუშაობა არ შეუძლიათ ჯანმრთელობის გამო	მაგალითი: • ადამიანების შეზღუდული შესაძლებლობებით / სწავლის პრობლემებით • იძულებით გადაადგილებული პირები • ადამიანები, რომლებიც თავშესაფარს ითხოვენ • მოგზაურები • ოჯახები, სადაც მხოლოდ ერთი მშობელია • გენდერულად განსხვავებული პირები და სხვა მარგინალიზებული ჯგუფები • შავკანიანთა და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფები (დასაკონკრეტებელია) • რელიგიური ჯგუფები (დასაკონკრეტებელია)	მაგალითი: • ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ გარემოში, სადაც ცუდი ეკონომიკური და/ან ცუდი ჯანმრთელობის ნიშნებია • ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ იზოლირებულ/ მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში • ადამიანები, რომელთაც არა აქვთ წვდომა მომსახურებებზე • მესამე ქვეყნების მოქალაქეები	მაგალითი: • წარმოების კონკრეტული სექტორები • ეკონომიკური სუბიექტების სიდიდე (მაგ. მულტინაციონალური კორპორაციები, მცირე და საშუალო მენარმეები (SME), ინდივიდუალური მენარმეები) • ადგილი ღირებულებათა ჯაჭვში (მაგ. მწარმოებლები, გადამამუშავებლები, დამმუშავებლები, საცალო მოვაჭრეები) • მომხმარებლები • ადგილობრივი და უცხოური ოპერატორები • იმპორტთან და ექსპორტთან დაკავშირებულები

სიტუაციის ანალიზის ჩატარებისათვის ყველაზე ფართოდ გამოყენებული ანალიტიკური ინსტრუმენტებია დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი და პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციოლოგიური, ტექნოლოგიური, საკანონმდებლო და გარემოს დაცვითი ფაქტორების ანალიზი (**PESTLE**).

საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვისას შესაძლოა ინფორმაცია მივიღოთ სხვა ქვეყნებში ჩატარებულ ანალიზსა და გამოვლენილ მსგავს პრობლემებზე, ასევე, პრობლემების გადაჭრის გზებსა და, თუ შესაძლებელია, მიღებული შედეგების იდენტიფიცირებაზე. ზეგავლენის შეფასების პროცესის უმეტესი ნაწილისათვის ეს ინფორმაცია სასარგებლო იქნება ორი მთავარი მიზეზის გამო: ა) მწირი ემპირიული მტკიცებულებები, რაც საჭიროა პრობლემის მასშტაბის რაოდენობრივი გამოსახვისათვის და ბ) დაგვეხმარება პრობლემის ზეგავლენის ან ალტერნატივების ანალიზის ექსტრაპოლაციის გაკეთებისათვის, თუ ამის გაკეთება საჭიროა.

როდესაც საქმე ეხება **პრობლემის გადაჭრის გადაუდებელ აუცილებლობას**, უნდა გაითვალისწინოთ გაუთვალისწინებელი მდგომარეობის დადგომა: აქამდე შეუმჩნეველი პრობლემის უცარი ესკალაცია ან შემთხვევითობა. პრობლემის გადაჭრის გადაუდებელი აუცილებლობა შეიძლება შეფასდეს იმით, თუ რა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს აღნიშნული საკითხი საზოგადოებაში, ანუ რა დონით ეხება საკითხი საერთო საზოგადოებრივ ინტერესს, ხალხის უსაფრთხოებას ან არის თუ არა დაინტერესებული მხარეების პოზიციები კონფლიქტური, თუ არსებობს საკითხზე კონსენსუსი დაინტერესებულ მხარეებს შორის. გადაჭრის გადაუდებელი აუცილებლობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი საკითხის პოლიტიკური მნიშვნელობაა. მაგალითად, ასახავს თუ არა საკითხი მთავრობის სტრატეგიულ პრიორიტეტს და საჯარო განცხადებებს.

უნდა ეცადოთ, რომ თქვენი არგუმენტები გაამყაროთ რაოდენობრივი კვლევით, წარმოადგინოთ გამოყენებული მტკიცებულების წყაროები. ეს მოიცავს სტატისტიკის ან ანალიზის გამოყენებას, რომელიც უკვე არსებობს ან რომელთა ჩატარებაც მოგიწევთ.

მაგალითად, **პრობლემის მასშტაბის** შეფასება სხვადასხვა გზით შეიძლება. მასშტაბის გამოსახვისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა ინდიკატორი, როგორიცაა:

- ბიზნესების რაოდენობა, რომლებზეც პრობლემა გავლენას ახდენს (ბიზნესების საერთო რაოდენობა ან კონკრეტულ ეკონომიკის სექტორში ბიზნესების საერთო წილი);
- მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, რომელზედაც პრობლემას გავლენის მოხდენა შეუძლია;
- მოსახლეობის რაოდენობა, რომელზეც პრობლემამ გავლენა მოახდინა.

შემდეგ შეგიძლიათ შეაფასოთ მასშტაბი. მაგალითად, შეგიძლიათ თქვათ, რომ პრობლემა „მცირეა“, თუ ის არ ეხება საქართველოში რეგისტრირებულ 15,000 აქტიურ ბიზნესზე მეტს; პრობლემა „საშუალოა“, თუ ის ეხება 90,000-მდე რეგისტრირებულ აქტიურ ბიზნესს, ხოლო პრობლემა „დიდია“, თუ ზემოქმედების ქვეშ ექცევა 90,000-ზე მეტი რეგისტრირებული ბიზნესი⁶. პრობლემის მასშტაბის შესახებ განხილვა უნდა შემოიფარგლოს შეზღუდული რაოდენობის ინდიკატორებით (არ უნდა მოხდეს ზედმეტად სიღრმისეული ანალიზი), რაც განხორციელდება შემდეგ ქვეთავში (საბაზისო სცენარის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია 3.2 ქვეთავში).

⁶ საქსტატის მონაცემებით, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში რეგისტრირებულია 763,400 ბიზნესი (კომერციული და არა საჯარო), რომელთაგანაც 188,900 აქტიურია.

3.1.4. პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან

აღნიშნული ქვეთავი მომზადდა იმისათვის, რომ მკითხველს დაეხმაროს განხილული ცნებების კონსოლიდაციაში და მიეცეს საშუალება, გაიზიაროს რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის ანალიტიკოსების გამოცდილება და მიდგომები, რაც მათ დააგროვებს და შეიმუშავებს საქართველოს კონტექსტში რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის ჩატარების შედეგად.

წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების დროს რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოავლინა მთავარი პრობლემა, მისი გამომწვევი მიზეზები და თანმდევი შედეგები შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვის, მონაცემთა ანალიზისა და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული კონსულტაციის საფუძველზე. რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის თანახმად, მართალია, პრობლემის გადაჭრის გადაუდებელი აუცილებლობა არ იგრძნობოდა, მაგრამ არსებობდა ნათელი მტკიცებულება, რომ პრობლემა არსებობდა და მისი გადაუჭრელობა გამოიწვევდა მნიშვნელოვან გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ ხარჯებს საზოგადოებისათვის. რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის პოლიტიკის კონტექსტისა და პრობლემის განსაზღვრის ქვეთავების მოკლე რეზიუმე მოცემულია მე-20 ჩანართში (მთლიანი ტექსტისათვის, გთხოვთ, იხილოთ **დოკუმენტი**).

ჩანართი 20 – წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების პრობლემის განსაზღვრის ქვეთავი

პოლიტიკის კონტექსტი

საქართველოში მოქმედებს კანონები და რეგულაციები, რომლებიც არეგულირებს წყლის რესურსების გამოყენებას. აღნიშნული კანონები და რეგულაციები მიღებულია 90-იანი წლების ბოლოს და ნაწილობრივ ჩასწორებულია 2003 წლის შემდეგ. თუმცა ცვლილებები არ ხდებოდა ნათელი და თანმიმდევრული სტრატეგიის საფუძველზე. შედეგად, გაეროს ევროპის ეკონომიკურმა კომისიამ (2016) საქართველოს წყლის სექტორის რეგულაციები შეაფასა როგორც „მუშაობისათვის გამოსადეგარი და დანაწევრებული სისტემა“. საქართველოს მთავრობამ დაიწყო არსებული კანონმდებლობის შეცვლა, რათა დაეკმაყოფილებინა 2014 წლის ივნისში ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნები.

პრობლემის განსაზღვრა

კანონმდებლობაში ცვლილებები შემოქმედებას იქონიებდა მრავალი კუთხით; თუმცა რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით აქცენტი გააკეთა საქართველოს წყლის მართვის სისტემის ხარვეზებზე, რაც ხელს უშლიდა წყლის რესურსების ეფექტიან მიწოდებას. არსებული ლიტერატურის, მონაცემთა ანალიზისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის, ასევე, ექსპერტების შეფასებების საფუძველზე, რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა პრობლემა შემდეგნაირად განსაზღვრა: **საქართველოს წყლის მართვის სისტემის მუშაობა არ არის გამართული, რათა საზოგადოება უზრუნველყოს მდგრადი და ეფექტიანი წყალმომარაგებით.**

გამომწვევი მიზეზები

საქართველოში წყლის მართვის სისტემის გამოწვევების მიზეზები, როგორც აღმოჩნდა, გამომდინარეობს ქვეყნის, მისი წარსულისა და ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურებიდან და უფრო ზოგადი ხასიათისაა. საქართველოს კონტექსტში გამოწვევების სიღრმისეულ ანალიზამდე რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოავლინა და განიხილა ის სოციალური, ფიზიკური და ეკონომიკური ელემენტები, რაც წყალს განსაკუთრებული რესურსის სტატუსს აძლევს და წარმოქმნის წყლის მართვის სისტემებისათვის გამოწვევებს მთელს მსოფლიოში:

- **წყლის სოციალური ხასიათი:** 1992 წელს გამართულ წყლისა და გარემოს საერთაშორისო კონფერენციაზე დადგინდა, რომ სუფთა წყალსა და კანალიზაციის სისტემებზე წვდომა ხელმისაწვდომ ფასად ყველა ადამიანის ძირითადი უფლებაა.
- **წყლის ფიზიკური ბუნება:** რთულია წყლის იდენტიფიცირება და გაზომვა იმიტომ, რომ ის „მოძრავია“. წყალი მიედინება, ორთქლდება და შეიძლება მოხდეს სისტემიდან მისი გაჟონვა.
- **წყლის გამოყენების ეკონომიკური მახასიათებლები:** წყლის ზოგიერთი ეკონომიკური სარგებელი (როგორიცაა, ნარჩენების ასიმილაცია, თევზებისა და ცოცხალი ბუნების საცხოვრებელი გარემო, ესთეტიკური და რეკრეაციული სარგებელი) შეიძლება მიჩნეულ იყოს როგორც საზოგადოებრივი საქონელი (საქონელი, რომლის გამოყენება არ უკავშირდება კონკურენციას და არ გამორიცხავს სხვა ჯგუფებს მოხმარებისგან – გამოყენება ხდება სულ მცირე გონივრულ ფასად); ამგვარად, ადამიანებს მცირე მოტივაცია აქვთ, რომ წვლილი შეიტანონ წყლის მართვის სისტემების ხარჯებში.

საქართველოს კონტექსტში რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოავლინა პრობლემის შემდეგი მთავარი გამომწვევი მიზეზები:

- **გამართულად ფუნქციონირებადი ინფრასტრუქტურის სიმწირე,** რათა მოხდეს წყლის რესურსების შეკრება და ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე;
- **წყლის ეფექტიანად გადანაწილებისა და გამოყენების უზრუნველსაყოფად საჭირო სტიმულების არარსებობა** – დაბალი ტარიფები, რაც არ არის საკმარისი ხარჯების ასანაზღაურებლად, ფიქსირებული ტარიფი, რაც წყლის მომხმარებლებისათვის არ წარმოქმნის წყლის ეფექტიანად მოხმარების სტიმულს;
- **გაუნმენდავი მუნიციპალური და ინდუსტრიული წყალარინების** წყალჩადინების შედეგად მიღებული დაბინძურება;
- **დაბინძურებაზე გადასახადების არარსებობა;**
- **წყლის მოძველებული კანონმდებლობა,** რომელიც არ ასახავს თანამედროვე საჭიროებებს;
- **წყლის მართვის სისტემის დანაწევრება,** რაც ხასიათდება რამდენიმე ადმინისტრაციული ორგანოს არსებობით, რომლებიც პასუხისმგებლები არიან წყლის რესურსის მართვის სხვადასხვა ასპექტზე და მათი როლი არ არის ნათლად განსაზღვრული არსებული მარეგულირებელი ჩარჩოთი.

სისტემის ხარვეზები დადასტურდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციის შედეგად.

მოსალოდნელი შედეგები

წყლის მართვის გამართული სისტემის არსებობის მნიშვნელობა არ განიხილება მწვავე პრობლემად წყლის უხვი რესურსების არსებობისა და ქვეყნის დაბალი ეკონომიკური განვითარების პირობებში. თუმცა ბოლო ტენდენციებით (წყლის მოხმარების ზრდა – წყლის მნიშვნელოვანი დანაკარგების ფონზე – რასაც თან ახლავს წყლის ობიექტების ხარისხის შემცირება) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის წყლის ხარისხი და წყლის არსებობა საკვანძო იქნება, რამეთუ ის თანაბარ წნეხად დააწვება ფირმებსა და შინამეურნეობებს. არსებული ტენდენციების ზრდა ინტერვენციის გარეშე გამოიწვევს (ზოგიერთ შემთხვევაში უკვე გამოიწვია) არსებითად უარყოფით შედეგებს, მათ შორის:

- მოქალაქეების შედარებით დიდ რაოდენობას არ ექნება წვდომა სუფთა წყალზე;
- მიწისზედა და მიწისქვეშა წყლების ჭარბი რაოდენობით მოპოვებამ შეიძლება შეამციროს წყლის საერთო მოცულობა ყველა სათვის;
- გაუნმენდავი წყლის წყალარინების გაგრძელება გაზრდის წყლის ხარისხის დონის შემცირების ტემპს;
- წყლის მართვაზე პასუხისმგებელი სამთავრობო უწყებებს შორის არაკოორდინირებულ თანამშრომლობას მივყავართ წყლის რესურსების ნაკლებად ეფექტიან მართვამდე.

კონსულტაციის პროცესის დროს სექტორის დაინტერესებული მხარეების ჩართულობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პრობლემის განსაზღვრის დროს ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში. ამ საკითხის გადაჭრის გადაუდებელი აუცილებლობა მკვეთრად საგრძნობი იყო დაინტერესებული მხარეებისათვის, განსაკუთრებით კი საქართველოს მთავრობისა და საქართველოს მელიორაციისათვის. რეგულირების ზეგავლენის შეფასების პოლიტიკის კონტექსტი და პრობლემის განსაზღვრის ქვეთავის მოკლე რეზიუმე მოცემულია 21-ე ჩანართში. სრული ტექსტისთვის იხ. ორიგინალი დოკუმენტი.

ჩანართი 21 – ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის რეგულირების ზეგავლენის შეფასების პრობლემის განსაზღვრის ქვეთავი

პოლიტიკის კონტექსტი

საქართველოს კანონი „მიწების მელიორაციის შესახებ“ 2010 წლის დეკემბერში გაუქმდა. ამის შემდეგ საქართველოს მელიორაციის სექტორი რეგულირდებოდა სამი დადგენილების საფუძველზე: სემეკის №2 დადგენილება „მელიორაციის ტარიფების დადგენის“ შესახებ, საქართველოს მთავრობის №409 დადგენილება „მელიორაციის სისტემების მელიორაციის ოპერირების ტექნიკური რეგლამენტის“ შესახებ და საქართველოს მთავრობის №31 დადგენილება „ირიგაციის მიზნებისათვის გამოყენებული რეზერვუარების ექსპლუატაციის ტექნიკური რეგლამენტი“. სექტორის რეფორმის ფარგლებში საქართველოს მთავრობამ მიიღო მელიორაციის შესახებ ახალი კანონი, რაც გულისხმობს ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის დონისა და სტრუქტურის ცვლილებებს.

პრობლემის განსაზღვრა

საკითხის გულდასმით შესწავლისა და საქართველოს მელიორაციის წარმომადგენლებთან კონსულტაციის შემდეგ რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოავლინა და შემდეგნაირად განსაზღვრა მთავარი პრობლემა: საქართველოში არსებული ირიგაციისა და დრენაჟის ტარიფები იმდენად დაბალია, რომ ვერ უზრუნველყოფს მელიორაციის მომსახურების მიმწოდებლის ხარჯების ამოღებას. პრობლემა გამწვავებულია იმით, რომ ტარიფის აკრეფის დონე ქვეყანაში დაბალია.

გამომწვევი მიზეზები

მელიორაციის სექტორი ხასიათდება ინვესტიციის, ოპერირებისა და ექსპლუატაციის მაღალი ხარჯებით. უფრო მეტიც, სოფლად საკვებისა და სიღარიბის დონის შემცირების უზრუნველსაყოფად მთავრობა დაბალ ტარიფს აწესებდა. დაბოლოს, ფერმერებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა გადაეხადათ მაღალი ფასი მომსახურებებისათვის.

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციამ რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდს მისცა შესაძლებლობა, სრულყოფილად წარმოედგინა საქართველოში ირიგაციისა და დრენაჟის სექტორისათვის დამახასიათებელი პრობლემების სურათი.

მეორე მხრივ, საქართველოს მელიორაციასთან კონსულტაციამ რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდს მისცა შესაძლებლობა, გამოეკვეთა კომპანიის გამოწვევები, პრობლემის მიზეზები და მათი მოგვარების გზები.

სხვა მხრივ, ფერმერთა ასოციაციის წევრებთან ფოკუს ჯგუფებმა და სატელეფონო ინტერვიუებმა გამოამჟღავნა ფერმერების უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოს მელიორაციის მიერ მოწოდებულ მომსახურებასთან დაკავშირებით და მათი სურვილი, გადაიხადონ უკეთესი ხარისხის ირიგაციის მომსახურებებისათვის (იმ დროს საფასური შეადგენდა 300 ლარს ჰექტარზე წელიწადში).

პრობლემის იდენტიფიცირების პროცესის დროს რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოავლინა მთავარი ფაქტორები, რაც პრობლემატურს ხდის საქართველოს მელიორაციისათვის გადასახადების აკრეფას:

- წყლის მომხმარებელთა ასოციაციების არარსებობა, რომლებიც მართავენ შემკრებ და მეორეულ/მესამეულ არხებს;
- საბჭოთა მემკვიდრეობა, რომ წყალი უფასოა, რთულს ხდის ირიგაციის/დრენაჟის მომსახურების საფასურის აკრეფას;
- არხები, ძირითადად, ღიაა და ბეტონით ნაშენი, რაც ნებისმიერისათვის მარტივს ხდის, გადაეჩოს წყალი მათთვის საკუთარი ტუმბოებისა და მილსადენების გამოყენებით გარკვეული შეზღუდვების გარეშე;
- მიწის რეგისტრაციის პრობლემები ქმნის გაურკვევლობას ფერმერებსა და საქართველოს მელიორაციას შორის.

შედეგები

ყველა ეს ფაქტორი ნეგატიურად მოქმედებდა საქართველოს მელიორაციის საქმიანობაზე, რაც მას წამგებიან კომპანიად აქცევდა, რომელსაც მუდმივი სუბსიდირება სჭირდებოდა მთავრობისაგან, რათა გადახდისუნარიანი კომპანია ყოფილიყო; ამას შედეგად მოჰყვებოდა ზედმეტი წნეხი სახელმწიფო ბიუჯეტზე. უფრო მეტიც, ფინანსური რესურსების არარსებობა რისკის ქვეშ აქცევდა ირიგაციის ინფრასტრუქტურის მდგომარეობას, რაც პოტენციურად იწვევდა ირიგაციის მომსახურებების ხარისხის გაუარესებას.

უფრო მეტიც, არსებული ტარიფის სტრუქტურა მოსახლეობას არ აძლევდა წყლის ეფექტიანად გამოყენების მოტივაციას. ეს, თავის მხრივ, წარმოადგენდა პრობლემას იმიტომ, რომ მოსარწყავი ტერიტორიების გაზრდასთან ერთად სარწყავების, ტექნიკური წყლის მომხმარებლებს, ჰიდროელექტროსადგურებსა და სასმელი წყლის მიმწოდებლებს შორის კონკურენცია მწვავედ ბოდა და ფუჭად გახარჯული წყლის ეკონომიკური ხარჯების იზრდებოდა.

დაბალი ტარიფისა და საფასურის აკრეფის დაბალი დონის გამო სექტორი არ იყო მიმზიდველი კერძო ინვესტორებისათვის, რაც შეუძლებელს ხდიდა საქართველოს მელიორაციის პრივატიზაციას.

პრობლემის განსაზღვრის ფარგლებში რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოავლინა საზოგადოების მთავარი ჯგუფები, რომლებიც მოექცეოდნენ ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის ცვლილებების ზეგავლენის ქვეშ:

- ფერმერები (მათ შორის კომერციული ფერმერები, SME ფერმერები (ფერმები, რომელთაც შინამეურნეობები ფლობდნენ და მართავდნენ), ა.შ.);
- სათევზე მეურნეობა;
- ტექნიკური წყლის მომხმარებლები; და
- ჰიდროელექტროსადგურები.

ოჯახში დასაქმებულების შესახებ კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების დროს რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდს ეხმარებოდა იურისტი, რათა გაანალიზებულიყო საკანონმდებლო ჩარჩო და გამოვლენილიყო ის გამოწვევები, რომელთა გადაჭრა საჭირო იყო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 189-ე კონვენციის რატიფიცირებისათვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს წინაშე არ დგას კონვენციის რატიფიცირების გადაუდებელი აუცილებლობა. თუმცა არსებული მდგომარეობის ანალიზის დროს გამოჩნდა, რომ მნიშვნელოვანია ოჯახში დასაქმებულების პრობლემების მოგვარება ახლა, განსაკუთრებით ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების გათვალისწინებით. იურიდიული კონსულტანტის დახმარებით, ლიტერატურის მიმოხილვის, მონაცემთა შეგროვებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოავლინა მთავარი პრობლემა, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები. რეგულირების ზეგავლენის შეფასების პოლიტიკის კონტექსტისა და პრობლემის განსაზღვრის ქვეთავები მოკლედაა შეჯამებულია 22-ე ჩანართში. ამ ზეგავლენის ფარგლებში ჩამოყალიბებული პრობლემის ხე წარმოდგენილია მე-5 დანართში.

ჩანართი 22 – ოჯახში დასაქმებულების შესახებ კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების პრობლემის განსაზღვრის ქვეთავი

პოლიტიკის კონტექსტი

საქართველოს შრომის კოდექსში საოჯახო საქმე არ არის განსაზღვრული. ამიტომ ამ კუთხით კანონის ჩასწორება არსებითი მნიშვნელობის იყო ოჯახში დასაქმებულების კონვენციის რატიფიცირების მიზნით. უფრო მეტიც, კონვენციაში მოცემული იყო რამდენიმე საკითხი, რაც საქართველოს შრომის კოდექსით არ იყო გათვალისწინებული, კერძოდ: ანაზღაურება, ანაზღაურების გამოთვლა და გადახდის პერიოდულობა, საკვებისა და განთავსების უზრუნველყოფა საჭიროების შემთხვევაში; პრობაციის პერიოდი და რეპატრიაციის პირობები საჭიროების შემთხვევაში, შრომითი ურთიერთობის განწყვეტის პირობები და ვადები, მათ შორის, დამსაქმებლის ან ოჯახში დასაქმებულის წინასწარ შეტყობინების პერიოდი. ამას ემატებოდა ცვლილებები დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონსა და შრომის ინსპექციის შესახებ კანონში, რაც აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ოჯახში დასაქმებულებს ესარგებლათ იმავე უფლებებითა და პრივილეგიებით, რითაც სხვა ტიპის მუშაკები სარგებლობდნენ.

პრობლემის განსაზღვრა

ოჯახში დასაქმებულები ვერ სარგებლობენ იმავე სამუშაო პირობებით, როგორც სხვა მუშაკები და დასაქმებულთა ყველაზე მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენენ. რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში მთავარი პრობლემა განისაზღვრა შემდეგნაირად: **საქართველოში ოჯახში დასაქმებულების ცუდი და არასაიმედო სამუშაო პირობები საჭიროებს გაუმჯობესებას, რათა ამ ტიპის დასაქმებულთათვის უზრუნველყოფილი იყოს ღირსეული სამუშაო პირობები.**

გამომწვევი მიზეზები

საერთაშორისო ლიტერატურის მიმოხილვამ და რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის პროცესმა ცხადყო ის ფაქტორები, რაც იწვევს საქართველოში ოჯახში დასაქმებულებს ცუდ და/ან არასაიმედო სამუშაო პირობებს. ასეთი პირობების დაყოფა შეიძლება ოთხ ძირითად კატეგორიად:

- არასაკმარისი და არაეფექტური დაცვა საკანონმდებლო დონეზე;
- მოლაპარაკებების დროს ოჯახში დასაქმებულების არახელსაყრელი პოზიცია;
- სექტორის არაფორმალურობა (COVID-19-ის კრიზისმა ცხადყო, როგორ შეიძლება ოჯახში დასაქმებულების შრომითი ურთიერთობების არაფორმალურმა ბუნებამ გამოიწვიოს მათი ჯანმრთელობის პრობლემები, თუ ოჯახში დასაქმებულები და მათი დამსაქმებლები არ აღიარებენ, რომ მათ შორის არსებობს შრომითი ურთიერთობა);
- ოჯახში დასაქმებულები ვერ აცნობიერებენ თავიანთ სამოქალაქო და შრომით უფლებებს.

შედეგები

როდესაც ოჯახში დასაქმებულების ვერ სარგებლობენ ღირსეული სამუშაო პირობებით, მათი კეთილდღეობა და ჯანმრთელობა რისკის ქვეშაა და ეს საზოგადოებაზეც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს:

- ძალადობისა და ექსპლუატაციის გაზრდილი ალბათობა;
- უსამართლო და დაბალი ანაზღაურება;
- აუნაზღაურებელი ზეგანაკვეთური საათები, საფრთხის შემცველი სამუშაო პირობები;
- კონტრაქტის ვადის გაურკვევლობა და შემოსავლის სხვა წყაროების მუდმივი ძებნის სტრესი;
- მოწყვლადობა, რაც განპირობებულია კრიზისებით, სიღარიბით, ასაკითა და ჯანმრთელობის პრობლემებით.

სექტორში არსებული მდგომარეობის ანალიზმა აჩვენა, რომ ოჯახში დასაქმებულების სამუშაო პირობებთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება ახლა საჭიროა საქართველოში მიმდინარეო სოციალურ-ეკონომიკური პირობების ცვლის გათვალისწინებით, რაც, მოსალოდნელია, რომ გამოიწვევს ოჯახში დასაქმებულებზე მოთხოვნის გაზრდას, რაც გაზრდის პრობლემის მასშტაბს. რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში გამოვლენილი ცვლილებები ზემოქმედებას იქონიებს საზოგადოების რამდენიმე ჯგუფზე, კერძოდ ოჯახში დასაქმებულებზე, მათ დასაქმებულებსა და სხვა დამსაქმებლებზე, ოჯახებსა და დასაქმების სააგენტოებზე.

3.2. საბაზისო სცენარი

რა არის სცენარი?

სცენარი არ არის მხოლოდ ალბათობის უბრალო პროგნოზი ან ჰიპოთეზური კონცეფცია. **სცენარი წარმოადგენს მომავლის შესაძლო მდგომარეობის აღწერას, ასევე, იმ მოვლენების განვითარების ეტაპებს, რის შედეგადაც ასეთი მდგომარეობა დადგა.** სცენარი წარმოადგენს კავშირს კრიტიკულ განუსაზღვრელობას, წინასწარ განსაზღვრულ ტენდენციებსა და ინდივიდების მოსალოდნელ ქცევას შორის. სცენარში აქცენტი კეთდება მომავლის ვარაუდებისა და შეფასებების არგუმენტებზე: სცენარი შერჩეული და მორგებულია იმ გარდაუვალ განუსაზღვრელობას, რომელიც მომავლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშში „საბაზისო სცენარის“ მიზანია, ახსნას, როგორ განვითარდება არსებული მდგომარეობა **დამატებითი საჯარო ინტერვენციის გარეშე** – ეს არის „უმოქმედობის ალტერნატივა“ / „სტატუსკვო“. საბაზისო სცენარი პასუხობს კითხვაზე: რა მოხდება, თუ დამატებით არაფერი გაკეთდება იმის გარდა, რაც უკვე გაკეთდა ან განსაზღვრულია, რომ გაკეთდეს გათვალისწინებული პოლიტიკის ალტერნატივისგან დამოუკიდებლად.

რატომ არის ეს ეტაპი მნიშვნელოვანი?

რეგულირების ზეგავლენის შეფასება არის შედარებითი პროცესი, რომლის ფარგლებშიც ხდება ორი ვითარების შედარება: რა შეიძლება მოხდეს სამთავრობო ინტერვენციასთან ერთად და რა მოხდება, თუ მთავრობა არ ჩაერევა საკითხის მოგვარებაში. ლოგიკურია, რომ თქვენ რეკომენდაციას მისცემთ მთავრობას, განახორციელოს ქმედება, თუ არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ ასეთი ქმედების შედეგად მიიღება უკეთესი სცენარი, ვიდრე სტატუსკვო. ალტერნატივების განხორციელების სასურველობა და ეფექტიანობა შეფასდება თითოეული ალტერნატივის სტატუსკვოსთან/საბაზისო სცენართან შედარებით.

საბაზისო სცენარის განსაზღვრა ძირითადად უკავშირდება „პრობლემის განსაზღვრას“, რადგანაც ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარება მომდევნო პერიოდებში განპირობებულია წარსულის ტენდენციებით, მათ შორის, იმ ფაქტორებით, რომლებმაც წარმოქმნეს პრობლემა. პრობლემის ბუნების განსაზღვრის შემდეგ უნდა განსაზღვროთ, როგორ განვითარდება მოვლენები და საჭიროა თუ არა სახელმწიფო ინტერვენცია. გარდა ამისა, უნდა აჩვენოთ, რომ მთავრობას აქვს შესაძლებლობა, მოახდინოს წარმატებული ინტერვენცია.

3.2.1. როგორ მუშავდება საბაზისო სცენარი

არსებული მდგომარეობის განვითარების შეფასების დროს, როდესაც განსაზღვრული პრობლემის მოგვარებისათვის არ არსებობს კონკრეტული პოლიტიკა, საბაზისო სცენარი ნიშნავს „პოლიტიკის არარსებობის“ მდგომარეობის გაგრძელებას. როდესაც არსებობს გარკვეული პოლიტიკა, **საბაზისო სცენარი ნიშნავს არსებული პოლიტიკის გაგრძელებას ცვლილებების გარეშე**, ანუ ახალი თუ დამატებითი ინტერვენციის გარეშე. ამგვარად, უმოქმედობის ალტერნატივა გულისხმობს იმ კანონმდებლობის მოსალოდნელ შედეგებს, რომელიც მიღებულია, მაგრამ არ არის განხორციელებული.

გახსოვდეთ, რომ **გარკვეული ინიციატივები შეიძლება უკვე არსებობდეს**, რომლებიც განხორციელებულია, მაგალითად, ევროკავშირის ან მეზობელი ქვეყნების მიერ, და მათ შეუძლიათ გავლენა იქონიონ პრობლემის განვითარებაზე. გაითვალისწინეთ ის ინიციატივებიც, რომლებიც მთავრობამ განხორციელა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ინიციატივების ფარგლებში, როგორიცაა დღის წესრიგი 2030; აღნიშნულ ინიციატივებსაც შეუძლია ზემოქმედება იქონიოს თქვენს პრობლემაზე. თუ ასეთი ინიციატივები არსებობდა, საჭიროა მათი აღნიშვნა საბაზისო სცენარის ანალიზში. ისიც უნდა მიუთითოთ, რა ტიპის ზეგავლენა ექნება მათ. გაითვალისწინეთ, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და ინიციატივებზე ხელმოწერა არ ნიშნავს, რომ კანონმდებლობა მიღებულია ან განხორციელებულია.


საბაზისო სცენარის შემუშავება შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემას გულისხმობს:

- პრობლემა თითქმის მოგვარებულია თუ უფრო გამწვავდება (როდის? და რატომ)?
- რა არის ამ სცენარის ალბათობები?
- არსებობს შეუქცევადი შედეგები, რაც არსებულ პრობლემას ხდის უფრო მწვავეს ან სასწრაფოს?
- რა ფაქტორები მოქმედებს პრობლემისა და მისი შედეგების განვითარებაზე?
- რა არის ინტერვენციის არ განხორციელების რისკები?
- შეეცადა თუ არა ბიზნესები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (CSOs) ან უბრალო მოქალაქეები ამ პრობლემის გადაჭრას აქამდე? რა შედეგით? რა შეიძლება ვისწავლოთ მათი გამოცდილებიდან?
- შეეცადა მთავრობა პრობლემის გადაჭრას? რა შედეგით? რა შეიძლება ვისწავლოთ ამ გამოცდილებიდან?

სცენარების განსაზღვრის მეთოდები

სცენარები განისაზღვრება არსებული ტენდენციის განვითარებით უკვე არსებული მონაცემების ექსტრაპოლაციის საფუძველზე (იხ. გრაფიკი 2).

გრაფიკი 2. ტენდენციების ექსტრაპოლაცია



არსებობს მრავალი მიდგომა სამომავლო ტენდენციების ექსტრაპოლაციისათვის⁷. მაგალითად, შეგიძლიათ:

- გამოიყენოთ ისტორიული მონაცემები და დაუშვათ, რომ არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ შეიცვლება მომავალში;
- გამოიყენოთ ანალოგიები, ანუ აიღოთ მონაცემები მსგავსი სიტუაციებიდან და/ან ეკვივალენტური პირობებიდან;
- გააკეთოთ სიმულაციები მონაცემთა გენერირებით (მაგ. „საველე ტესტები“ ან საკონტროლო ცდები), ტენდენციურობისა და ჩარევის კონტროლით;
- შედარება „უკიდურეს შემთხვევებთან“, ანუ კრიტიკული განუსაზღვრელობის გამოვლენა და ყველაზე კარგი და ყველაზე ცუდი სცენარების შედგენა.

არ არის აუცილებელი, რომ მონაცემთა ტენდენციები და ექსტრაპოლაცია იყოს გრაფიკული და/ან ციფრებით გამოსახული. მისაღებია ტენდენციების თვისობრივად განხილვაც, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ანალიზის შედეგად არგუმენტები და დაშვებები იქნება ლოგიკურად წარმოდგენილი, იქნება ინფორმაცია ძირითადი ცვლადების შესახებ განხორციელებულ დაშვებებზე და გამოკვეთილი იქნება არსებული კავშირები დაშვებებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის.

3.2.2. პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან

აღნიშნული ქვეთავი მომზადდა იმისათვის, რომ მკითხველს დაეხმაროს განხილული ცნებების კონსოლიდაციაში და მისცეს საშუალება, გაიზიაროს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიტიკოსების გამოცდილება და მიდგომები, რაც მათ დააგროვეს და შეიმუშავეს საქართველოს კონტექსტში რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების შედეგად.

⁷ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სასარგებლო ლიტერატურა:

— <https://www.researchgate.net/publication/258510126>

— <https://www.oecd.org/site/schoolingfortomorrowknowledgebase/futurestinking/scenarios/>

საქართველოში მოსავლის დაზღვევის რეფორმის რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების დროს საბაზისო სცენარის შემუშავების ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო 2014-2015 წლებში განხორციელებული საპილოტე პროექტების მონაცემები. გარდა ამისა, რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გაითვალისწინა საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციებისაგან მიღებული ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიების ზარალის კოეფიციენტის შესახებ, ისევე, როგორც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსაგან მიღებული ინფორმაცია მიწის დაზღვეული ფართობების შესახებ. რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა ასევე გააკეთა დაშვებები იმისათვის, რომ განესაზღვრა არსებული მდგომარეობის განვითარების შესაძლო ტენდენციები ახალი ინტერვენციების გარეშე. აღნიშნული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შემუშავებული საბაზისო სცენარის მოკლე მიმოხილვა მოცემულია 23-ე ჩანართში. რეგულირების ზეგავლენის შეფასების საბაზისო სცენარის შესახებ დამატებითი დეტალების შესახებ იხ. სრული დოკუმენტი.

ჩანართი 23 – საბაზისო სცენარის ქვეთავი მოსავლის დაზღვევის რეფორმის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშიდან

ძირითადი მონაცემები საბაზისო სცენარის შემუშავებისათვის

რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გააანალიზა სადაზღვევო ბაზრის წარსული გამოცდილება (რაც განსაკუთრებულად საინტერესო იყო საბაზისო სცენარისათვის) – სასოფლო-სამეურნეო დაზღვევიდან სადაზღვევო კომპანიების მიერ მიღებული შემოსავალი სადაზღვევო პრემიებიდან და მათ მიერ ანაზღაურებული ზარალი – საპილოტე სადაზღვევო პროექტის დაწყებამდე (როგორც ნაჩვენებია ცხრილში ქვემოთ).

სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა საქართველოში 2004-2010 წლებში

წელი	სადაზღვევო შენატანებიდან მიღებული შემოსავალი (ლარი)	ანაზღაურებული ზარალი (წელი)	ტექნიკური შედეგი (ლარი)
2004	143,225	38,487	104,737
2005	214,069	108,961	105,108
2006	151,354	80,983	70,370
2007	144,237	61,542	82,694
2008	102,995	68,464	34,532
2009	39,373	36,045	3,328
2010	76,933	84,805	-7,872

წყარო: საქართველოს სადაზღვევო კომპანიების ასოციაცია

შენიშვნა: ცხრილში მოცემული მონაცემები წარმოადგენს ორი სადაზღვევო კომპანიის მონაცემების ჯამს, რომლებიც მოცემულ პერიოდში ახორციელებდნენ სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის მომსახურებას.

2014 წელს საქართველოს მთავრობამ გადანყვიტა სექტორში ინტერვენცია და დაიწყო საპილოტე პროგრამა. საწყის ეტაპზე მხოლოდ ოთხი სადაზღვევო კომპანია (GPI Holding, ALDAGI, IC Group და

IRAO) ჩაერთო საპილოტე პროგრამაში. საპილოტე პროგრამა 2015 წელსაც გაგრძელდა მცირედი ცვლილებებითა და უფრო მეტი სადაზღვევო კომპანიის ჩართულობით. რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გააანალიზა ორივე წელს სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სადაზღვევო პაკეტები, დაზღვეული კულტურების ტიპები, დაზღვეული კულტურების ღირებულება, მთავრობის მიერ გაცემული სუბსიდია, დაზღვეული მიწის ფართობი, ა.შ.

საბაზისო სცენარის განვითარების ანალიზი

რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა შეაფასა, თუ როგორ განვითარდებოდა მდგომარეობა ინტერვენციის არარსებობის შემთხვევაში მომდევნო 10 წლის განმავლობაში. ამ მიზნით გუნდმა გააკეთა რამდენიმე დაშვება:

- მთავრობის სუბსიდიის წილი არ იცვლება 2016-2015 წლებში (რჩება 50-70% ფარგლებში, რაც საშუალოდ 65%-ს წარმოადგენს);
- მთავრობა არ ახორციელებს ინვესტიციას ცნობიერების ამაღლების კამპანიებში;
- სადაზღვევო კომპანიებს არ ეკისრებათ ვალდებულება, გააფართოვონ გაყიდვები და მომსახურება;
- სადაზღვევო კომპანიების შემოსავალი სადაზღვევო პრემიებიდან (სუბსიდია + ფერმერთა მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიები) შეადგენს მთლიანი სადაზღვევო თანხის 15%-ს (სადაზღვევო პრემიის ექსტრაპოლაცია მოხდა საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით);
- საწყის წელს სადაზღვევო კომპანიების საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები მიღებული სადაზღვევო პრემიების 24%-ს შეადგენს (მათ შორის, ზარალის დაკორექტირების ხარჯები), ხელახალი დაზღვევის ხარჯები კი სადაზღვევო პრემიების 5%-ს შეადგენს. შედეგად მიღებული მოგების მარჟა 16%-ია (სამიზნე 55%-იანი ზარალის კოეფიციენტის გათვალისწინებით). დროთა განმავლობაში სადაზღვევო კომპანიების ხარჯების სტრუქტურა შეიცვლება, რადგან უფრო მეტი ფერმერი იქნება დაზღვეული. რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა დაუშვა, რომ 2025 წლისთვის საოპერაციო ხარჯები სადაზღვევო პრემიების 27%-ს შეადგენს და ეს მოხდება ეტაპობრივი ზრდით 10 წლის განმავლობაში. ხელახლა დაზღვეულთათვის გადახდის პროცენტული წილი არ შეიცვლება. ამგვარად, გეგმის თანახმად, 2025 წელს სადაზღვევო კომპანიების მოგების მარჟა 13% იქნება;
- სადაზღვევო კომპანიები მიიღებენ ხელახალი დაზღვევის საკომისიოებს ხელახალი დაზღვეულებისაგან, რაც, შეფასების თანახმად, ხელახალი დაზღვევის გადახდების 20%-ს შეადგენს;
- არ არის შეზღუდვა სახელმწიფოს მიერ გადახდილი სუბსიდიის მაქსიმალურ მოცულობაზე;
- არ არის შეზღუდვა მიწის მაქსიმალურ ფართობზე, რომლის სუბსიდირებაც შეიძლება.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიზისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ფერმერთა ჩართულობის დონე და დაზღვეული მიწების მთლიანი ფართობი. რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გააკეთა დაშვება, რომ სოფლის მეურნეობის დაზღვევაზე მოთხოვნის გაზრდა მოხდებოდა ინფორმაციის გავრცელებით ფერმერთა წრეებში, ცნობიერების ამაღლების კამპანიებში დიდი ინვესტიციების გარეშე. შეფასების გუნდმა ივარაუდა, რომ მცირე ფერმერთა 10% უარს იტყვის ცვლილებებზე და არ დაეზღვევა; დამატებით 10%-ისთვის ფინანსურად არ იქნება ხელმისაწვდომი დაზღვევა (სუბსიდირების 93,5%-იანი დო-

ნის შემთხვევაშიც). ამგვარად, მცირე ფერმერთა მოთხოვნა დაზღვევაზე შეფასდა 80%-ით (რაც ნიშნავს, რომ დაზღვეული მიწის მაქსიმალური ფართობი 259,381 ჰა იქნება). რაც შეეხება მსხვილ ფერმერებს, ისინი უფრო გათვითცნობიერებულები არიან, ასევე, უფრო მეტად სენსიტიურები ხარისხისა და ინფორმაციის მიმართ და უფრო მეტად მიდრეკილნი ახალი სამეწარმეო გადაწყვეტილებების მიმართ, ვიდრე მცირე ფერმერები. ამიტომ, სუბსიდირების მაღალი დონის მიუხედავად, მსხვილი ფერმერები არ იქნებიან დაზღვეულები, თუ ისინი არ იქნებიან კმაყოფილნი სადაზღვევო პაკეტებით ან არ ექნებათ საკმარისი ინფორმაცია სადაზღვევო პაკეტების შესახებ. ეს გამოიკვეთა ფერმერთა ასოციაციასთან კონსულტაციის შედეგად. 2014 წლის მონაცემებამაც დაადასტურა მსხვილი ფერმერების უფრო მაღალი ჩართულობა მცირე ფერმერებთან შედარებით. ამგვარად, შეფასების გუნდმა ივარაუდა, რომ მსხვილი ფერმერების მოთხოვნა დაზღვევაზე იქნებოდა მხოლოდ მათ საკუთრებაში არსებული მიწის 63%. მსხვილი ფერმერების მხრიდან დაზღვევაზე მოთხოვნა შეფასდა 138,111 ჰა, ხოლო ჯამური მოთხოვნა – 397,943 ჰა (259,831 ჰა+138,111 ჰა).

ანალიზის დროს შეფასდა მცირე და მსხვილი ფერმერების პოტენციური მოთხოვნა 2014-2015 წლების საპილოტე პროექტებიდან მიღებული ყველა ინფორმაციის გამოყენებით, რათა შემუშავებულიყო მარტივი მოდელი, რომელიც (დაახლოებით) ასახავდა კავშირს მოთხოვნაში ცვლილებებსა და ფერმერების მიერ გადახდილ სადაზღვევო პრემიებში ცვლილებებს შორის. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე მოხდა დაშვება, რომ მცირე ფერმერები ორჯერ უფრო მეტად არიან მოტივირებულნი, ვიდრე მსხვილი ფერმერები, ანუ სადაზღვევო პრემიაში ცვლილებას ჰქონდა ორჯერ მეტი ეფექტი (დადებითი ან უარყოფითი) მსხვილი ფერმერების მოთხოვნაზე. აღსანიშნავია, რომ ამ დაშვების ცვლილებას, სუბსიდირების მოცულობის ცვლილებისადმი მცირე ფერმერების რეაქციის დონის გაზრდას თუ შემცირებას არ ჰქონია მნიშვნელოვანი ზემოქმედება დაზღვეულ ჰექტრებსა თუ ფერმერებზე.

შემოხსენებული ვარაუდების საფუძველზე რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა დაასკვნა, რომ 2025 წლისათვის:

- არსებული სუბსიდირების მოცულობისა და დაზღვევის ხარისხის გათვალისწინებით, მაქსიმალური ჩართულობის დონე დაზღვეული მიწის ფართობთან მიმართებით იქნებოდა 13.93% (მცირე ფერმერების მიერ დაზღვეული მიწის ფართობი იქნებოდა 31,607 ჰა, მსხვილი ფერმერების მიერ დაზღვეულ 44,149 ჰა-თან შედარებით);
- ფერმერთა მაქსიმალური ჩართულობის დონე იქნებოდა 9.40% (დაზღვეულ მცირე ფერმერთა რაოდენობა იქნებოდა 66,017, ხოლო მსხვილი ფერმერების – 2,213);
- სადაზღვევო კომპანიების მიერ მიღებული სადაზღვევო პრემიების საერთო რაოდენობა გაიზრდება ყოველ წელს და იქნება 68.2 მილიონი ლარი 2024 წლისათვის (ანალიზის დროს არ გათვალისწინებულა ფერმერები, რომლებიც მზად იყვნენ დაზღვეულიყვნენ მთავრობის სუბსიდიების გარეშე, რადგან მათი კომპენსაცია მოხდებოდა 2026 წელს);
- სადაზღვევო კომპანიების მოგების მარჟა შემცირდებოდა საერთო სადაზღვევო პრემიების 16%-დან 13%-მდე;
- მთავრობას მოუწევდა სუბსიდირების მოცულობის ეტაპობრივი გაზრდა და ის შეადგენდა 44.3 მილიონ ლარს 2024 წლისათვის, რადგან დროთა განმავლობაში უფრო მეტი ფერმერი მოინდომებს პროექტში ჩართვას.

საბაზისო სცენარის შემუშავების შედეგები წარმატებით იქნა გამოყენებული ზეგავლენის შეფასების პროცესში.


ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების მიზნებისათვის რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გააანალიზა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მორწყული/დრენირებული მიწის ფართობის არსებული მონაცემები, ასევე, სექტორში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები. უფრო მეტიც, იმისათვის, რომ გამოვლენილიყო, როგორ აფასებდნენ მელიორაციის სისტემას მომხმარებლები, ჩატარდა ფერმერთა გამოკითხვა და ფოკუს ჯგუფები. რეგულირების ზეგავლენის შეფასების საბაზისო სცენარის მიმოხილვა მოცემულია 24-ე ჩანართში. დეტალური ინფორმაცია რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის საბაზისო სცენარის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ სრულ დოკუმენტში.

ჩანართი 24 – საბაზისო სცენარის ქვეთავი ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშიდან

ძირითადი მონაცემები საბაზისო სცენარის შემუშავებისათვის

რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდი საბაზისო სცენარის შემუშავების დროს მონაცემების არაერთ წყაროს დაეყრდნო. პირველ რიგში, გუნდმა გააანალიზა საბჭოთა კავშირის პერიოდიდან ანალიზის პერიოდამდე მორწყული/დრენირებული მიწის ფართობების ზრდის დინამიკა (რამდენადაც შესაძლებელი იყო არსებული მონაცემების პირობებში). როგორც ქვემოთ გრაფიკზე ჩანს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მორწყული/დრენირებული მიწის ფართობი უწყვეტად კლებულობს. ტენდენცია ოდნავ შეიცვალა 2012 წლის შემდეგ. ანალიზის დროს გამოიკვეთა ამ ცვლილების მიზეზიც – 2012 წელს დაარსდა საქართველოს მელიორაცია და მთავრობამ დაიწყო ინვესტიციების განხორციელება მელიორაციის ინფრასტრუქტურაში.

მორწყული და დრენირებული მიწის ფართობების განვითარება საქართველოში (1988-2014 წწ)



წყარო: საქართველოს მელიორაცია

კვლევის დროს ასევე გაანალიზდა შემდეგი: წლების განმავლობაში მელიორაციაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები, საქართველოში კონტრაქტებისა და მორწყული/დრენირებული ფართობების განაწილება რეგიონულ ქრილში. საბაზისო სცენარის ფარგლებში აღინერა სხვადასხვა რეგიონის კლიმატისა და რელიეფის თავისებურებები, რადგან ისინი პირდაპირ

კავშირშია მორწყული და დრენირებული მიწის ნაკვეთების ფართობებთან საქართველოს რეგიონებში.

გარდა ამისა, რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა ჩაატარა ფერმერთა გამოკითხვა და ფოკუს ჯგუფები (ფერმერთა ასოციაციის დახმარებით, როგორც აღწერილია მე-15 ჩანართში) იმ მიზნით, რომ შეფასებულიყო მომხმარებლების დამოკიდებულება საქართველოს მელიორაციის მომსახურებებთან დაკავშირებით, რაც საშუალებას აძლევდა მათ, გაეკეთებინათ დასკვნები გადასახადების აკრეფის მოსალოდნელი ტენდენციების შესახებ.

საბაზისო სცენარის განვითარების ანალიზი

რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა შეაფასა, როგორ შეიცვლებოდა სტატუსკვო (მომდევნო 4 წლის განმავლობაში), თუ არ მოხდებოდა მთავრობის მხრიდან ჩარევა, ანუ არ იქნებოდა მიღებული ტარიფის გამოთვლის ახალი მეთოდოლოგია, მთავრობა გააგრძელებდა საქართველოს მელიორაციის ზარალის დაფინანსებას საქართველოს მელიორაციის სანდოობის გაზრდაში ინვესტიციების განხორციელების გარეშე. ამ ანალიზისათვის გაკეთდა შემდეგი დაშვებები:

- მთავრობა არ დაასუბსიდირებდა ფერმერებს, რათა გადასულიყვნენ ირიგაციის თანამედროვე ტექნოლოგიებზე, როგორიცაა წვეთოვანი და მოსხურების მეთოდით ირიგაცია;
- წვრილი ფერმები განისაზღვრა როგორც ფერმები, რომელთაც გააჩნიათ 5 ჰა-მდე მიწის ფართობი, ხოლო მსხვილი ფერმები – 5 ჰა და მეტი ფართობის მქონე ფერმები;
- ფერმერები აირჩევდნენ ირიგაციის იმ მეთოდებს, რომლებიც მათ მოუტანდა მოგების ყველაზე დიდ მარჯას მოყვანილი კულტურისათვის;
- დაზღვევის სისტემაში ჩართულობის კოეფიციენტი და ირიგაციის მეთოდების შერჩევა შეიცვლებოდა ირიგაციით მიღებული ზღვრული (წმინდა) მოგებიდან გამომდინარე (ანუ ფერმერები მორწყავდნენ იმ შემთხვევაში, თუ ირიგაციით მიღებული მოგება – ტარიფის გამოკლებით – იქნებოდა გადახდილ ტარიფზე მაღალი). იგივე კრიტერიუმი იყო გამოყენებული დრენირების შემთხვევაში;
- მომხმარებლები შემოსავალს იღებენ კულტურათა რვა მთავარი ჯგუფის მოყვანით: თხილი, კარტოფილი, ბოსტნეული, ხეხილი, ყურძენი, ლობიო, სიმინდი, ხორბალი;
- ირიგაციის და დრენაჟის ტარიფი იქნებოდა უცვლელი: დასავლეთ საქართველოში 75 ლარი ირიგაციისათვის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 45 ლარი ირიგაციისათვის და 40 ლარი დრენაჟისათვის;
- ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს მელიორაციის ხარჯების რეალური ღირებულება (საოპერაციო, საექსპლუატაციო, ადმინისტრაციული და სხვ.) იქნებოდა უცვლელი;
- ცვეთის კოეფიციენტი განისაზღვრა 3.1%-ით;
- ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს მელიორაციის მიერ გადახდილი მოგების გადასახადი იქნებოდა 15%.

ფერმერთა გამოკითხვისა და მათთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების საფუძველზე, სამუშაო ჯგუფმა გააკეთა დაშვება, რომ ირიგაციის მომსახურებების სანდოობა პირდაპირ კავშირშია ფერმერთა გადახდისთვის მზადყოფნასთან. სანდოობის გაზრდა შეიძლება ინფრასტრუქტურის

განახლებასა და რეაბილიტაციაში, ასევე, ახალი რეზერვუარების მშენებლობაში ინვესტიციების განხორციელებით.

ზემოხსენებული დაშვებების საფუძველზე, რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა ჩამოაყალიბა საბაზისო სცენარის განვითარება 2020 წლისათვის:

- განხილული ხუთი ირიგაციის სისტემის მიერ დაფარული საერთო ფართობი შეადგენს 35,600 ჰა-ს;
- ხუთი დრენაჟის სისტემის მიერ დაფარული საერთო ფართობი შეადგენს 16,340 ჰა-ს;
- მორწყული მიწის ფართობი გაიზრდება 9,967 ჰა-მდე;
- დრენირებული მიწის ფართობი გაიზრდება 111,767 ჰა-მდე;
- საქართველოს მელიორაციის ხარჯები მნიშვნელოვნად გადააჭარბებს შემოსავლებს, მაგრამ კომპანიის წმინდა სარგებელი არ იქნება უარყოფითი, რადგან მთავრობა გააგრძელებდა კომპანიის ბარალის სუბსიდირებას.

წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების დროს შეფასების გუნდმა გააანალიზა მონაცემთა მრავალი წყარო, რათა გამოეკვლინა წყლის მოხმარების ტენდენციები, ასევე, წყლის ობიექტების გარემოსდაცვითი მდგომარეობა საქართველოში. რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის საბაზისო სცენარის ქვეთავის მოკლე შეჯამება მოცემულია 25-ე ჩანართში, დეტალური ინფორმაცია საბაზისო სცენარის შესახებ კი შეგიძლიათ იხილოთ რეგულირების ზეგავლენის შეფასების სრულ დოკუმენტში.

ჩანართი 25 – საბაზისო სცენარის ქვეთავი წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშიდან

ძირითადი მონაცემები საბაზისო სცენარის შემუშავებისათვის

საბაზისო სცენარის შემუშავების დროს რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოავლინა წყლის მთავარი მომხმარებლები, შინამეურნეობების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სექტორების მიერ მოხმარებული წყლის მოცულობა, ასევე, წყალარინების და წყლის დანაკარგები წლების განმავლობაში (როგორც ქვემოთ ცხრილშია მოცემული).

წყლის მოპოვება, წყლის მოხმარება და წყალარინება (მლნ. კუბური მეტრი)

	2012	2013	2014	2015
წყალალევა წყლის ბუნებრივი ობიექტებიდან, ჯამი*	29,209.5	28,632.1	32,080.8	30,615.9
მათ შორის მიწისქვეშა წყლები	367.8	403.2	399	498.5
წყლის მოხმარება, ჯამი*	28,570.9	27,436.8	30,407.8	29,831.5
შემდეგი საჭიროებებისათვის:				
შინამეურნეობა	330.2	448.2	434.4	381.5
მრეწველობა	362.5	324.6	1,924	354.8

ირიგაცია, სოფლის მეურნეობა და სხვა*	27,878.2	26,664	28,049.5	29,095.2
მათ შორის მხოლოდ ირიგაციისათვის (არსებული მონაცემები რამდენიმე წლისთვის)		155.642	226.047	425.18
წყალარინების ზედაპირულ წყლის ობიექტებში, სულ*	27,235.1	27,144	30,090.6	29,202.4
მათ შორის დაბინძურებულია*	475.3	438.2	477.7	93.4
დანაკარგები წყლის მიწოდებისას	445.1	395.5	486.9	725.9
ბრუნვითი და მეორადი წყალმომარაგება	224	309	316	226.8
* მოიცავს ჰიდროელექტროსადგურების მიერ წყალაღებასაც				

წყარო: საქსტატი

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით წყალზე წვდომა არ განიხილებოდა პრობლემად, იმავეს თქმა შეუძლებელი იყო საქართველოს ყველა რეგიონისათვის. ამგვარად, რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა საქსტატის შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკითხვის მონაცემების გამოყენებით მოიკვლია სასმელი და სანიტარულ-ჰიგიენური წყლის მიწოდების ძირითადი წყაროები მთელი ქვეყნის მასშტაბით, ასევე, ცალ-ცალკე გაანალიზა სასოფლო და არასასოფლო დასახლებების ქრილში. ანალიზის პროცესში გუნდმა დაინახა იმ გარემოსდაცვითი ტენდენციების გამოვლენის საჭიროება, როგორიცაა წყალარინება, წყლის ხარისხის მონიტორინგის შედეგები, ასევე, შავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზებში მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია. ანალიზი ჩატარდა საქსტატისა და გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაცემების გამოყენებით. არსებული ტენდენციების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ყველაზე პრობლემური საკითხებია წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის ცუდი მდგომარეობა.

საბაზისო სცენარის განვითარების ანალიზი

საბაზისო სცენარში აღწერილი ტენდენციების განვითარების შეფასებისათვის რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გააკეთა შემდეგი დაშვებები:

- წყალზე მოთხოვნა გაიზრდებოდა მშპ-ის ზრდის ტემპით (2018 წლისათვის მშპ-ის ზრდის საწყისი სიდიდე – 4%, საბოლოო სიდიდე 2040 წელს – 2%);
- ინფლაციის დონე დარჩებოდა 3% საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის შესაბამისად;
- მოსახლეობის რაოდენობა გაიზრდებოდა გაეროს მოსახლეობის ზრდის პროგნოზების შესაბამისად – 2030 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა იქნებოდა 3,868 ათასი (ამ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშისათვის მხოლოდ 2031 წლამდე პროგნოზებია გათვალისწინებული);
- რაც შეეხება წყლის ობიექტების ხარისხობრივ მდგომარეობას, გამოითქვა ვარაუდი, რომ არსებული ტენდენციები დარჩებოდა უცვლელი (წყლის ხარისხობრივი მდგომარეობა დარჩებოდა ისეთივე, როგორიც მოცემულია მე-3 დანართში, ცხრილი A3.2).

გემოსხენებული დაშვებების საფუძველზე, მოსალოდნელი იქნებოდა, რომ ინტერვენციის არარსებობის შემთხვევაში წყლის ხარისხი, ასევე, აბონენტების მიერ გადახდისათვის მზადყოფნა უცვლელი დარჩებოდა. ასევე, წყალმომარაგება არ შეიცვლებოდა, ხოლო მოთხოვნა ეტაპობრივად გაიზრდებოდა, რაც პოტენციურად შეამცირებდა არსებულ წყლის რესურსებს.

ოჯახში დასაქმებულების შესახებ კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის ფარგლებში ინფორმაციის მთავარი წყარო გახლდათ საქსტატის სამუშაო ძალის აღწერის შედეგები. დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა შეიმუშავა და განახორციელა ოჯახში დასაქმებულების ონლაინ გამოკითხვა. გამოკითხვამ გუნდს მისცა შესაძლებლობა, მიეღო ინფორმაცია ოჯახში დასაქმებულების შეხედულებების შესახებ შრომის ბაზრის თაობაზე. რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში დამუშავებული საბაზისო სცენარის მოკლე შეჯამება მოცემულია 26-ე ჩანართში. დეტალური ინფორმაცია საბაზისო სცენარის შესახებ მოცემულია რეგულირების ზეგავლენის შეფასების სრულ დოკუმენტში.

ჩანართი 26 – საბაზისო სცენარის ქვეთავი ოჯახში დასაქმებულების შესახებ კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშიდან

ძირითადი მონაცემები საბაზისო სცენარის შემუშავებისათვის

სამწუხაროდ, რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა ვერ გამოიყენა შინამეურნეობის ინტეგრირებული აღწერის მონაცემები, რადგან შერჩეული ჯგუფის ზომა არ იყო საკმარისად დიდი ოჯახში დასაქმებულების შესახებ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაღებად. ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ შეფასების გუნდმა ვერ შეძლო გრძელვადიანი ტენდენციების კვლევა.

ამის ნაცვლად, საქართველოში ოჯახში დასაქმებულების რაოდენობის შეფასებისათვის, ასევე, მათი დემოგრაფიული მახასიათებლების განსაზღვრისათვის რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოიყენა საქსტატის მიერ განხორციელებული სამუშაო ძალის აღწერა (2017-2019 წლებისთვის). სამუშაო ძალის აღწერაში მოყვანილი ინფორმაცია იძლევა ზოგად სურათს ქვეყანაში ოჯახში დასაქმებულების ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლებისა და სამუშაო პირობების შესახებ. მაგალითად, შეფასების გუნდმა შეძლო შეეფასებინა ოჯახში დასაქმებულების რაოდენობა და მათი წილი მთლიან დასაქმებაში, როგორც ეს ქვემოთა ცხრილშია წარმოდგენილი.

ოჯახში დასაქმებულების შეფასებული რაოდენობა და მათი წილი საქართველოში დასაქმებულთა შორის

	2017	2018	2019
ოჯახში დასაქმებულების საერთო რიცხვი	14,191	19,430	17,994
დასაქმებულთა შორის ოჯახში დასაქმებულების წილი	0.8%	1.1%	1.1%

წყარო: ავტორების გამოთვლები სამუშაო ძალის აღწერის მონაცემების საფუძველზე

სამუშაო ძალის აღწერის მონაცემებიდან შესაძლებელი გახდა შემდეგი ინფორმაციის მიღება ოჯახში დასაქმებულების შესახებ: ოჯახში დასაქმებულების დემოგრაფიული მახასიათებლები (ოჯახური მდგომარეობა, განათლების დონე, საცხოვრებელი არეალი (სოფლად/ქალაქად), ოჯახის წევრები, ა.შ.); სამუშაო დატვირთვა (სრული განაკვეთი თუ ნახევარი განაკვეთი, 40 საათზე მეტი მუშაობა კვირაში, ა.შ.) და ანაზღაურება. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 20-23%-მა უარი თქვა ყოველთვიური ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე. შედეგად, რეგულირების

შეფასების გუნდს არ შეეძლო ეთქვა, რომ ოჯახში დასაქმებულების ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია რეპრეზენტატული იყო ქვეყნის მასშტაბით. ამ ხარვეზის გამოსწორებისათვის რეგულირების შეფასების გუნდმა გაანალიზა კავშირი გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებსა და ანაზღაურებას შორის, რათა განსაზღვრულიყო ოჯახში დასაქმებულების საათობრივი ანაზღაურება.

ამასთან ერთად, იმისათვის, რომ გაანალიზებულიყო ოჯახში დასაქმებულთა ცნობიერების დონე, მოტივაცია და დამოკიდებულება, რეგულირების შეფასების გუნდმა ჩაატარა მათი ონლაინ გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგები დაეხმარა რეგულირების შეფასების გუნდს, შეეფასებინა ოჯახში დასაქმებულების სამუშაო პირობები, მათი ურთიერთობა დამსაქმებლებთან და მათი კანონიერი უფლებების შესახებ ცოდნა.

საბაზისო სცენარის განვითარების ანალიზი

საბაზისო სცენარის შესაძლო განვითარების შეფასებისათვის რეგულირების შეფასების გუნდმა გააკეთა რამდენიმე დაშვება:

- საბაზისო სცენარის ფარგლებში ოფიციალურად ოჯახში დასაქმებულების წილი არ გაიზრდებოდა და დარჩებოდა 4%, რაც, სამუშაო ძალის 2017-2019 წწ. აღწერის მიხედვით, შეადგენდა წერილობითი კონტრაქტის მქონე ოჯახში დასაქმებულების საშუალო წილს;
- იმისათვის, რომ დადგენილიყო ქალი ოჯახში დასაქმებულების რაოდენობა, რომელთაც ეკუთვნით დედობის შეღავათები, რეგულირების შეფასების გუნდმა ჩაატარა შემდეგი ანალიზი: რადგანაც შობადობის კოეფიციენტი არ იზრდებოდა სწრაფად და არ გამოირჩეოდა დიდი მერყეობით 2017-2019 წლებში, მოხდა გასული სამი წლის განმავლობაში არსებული შობადობის კოეფიციენტის ექსტრაპოლაცია 2021-2025 წლებისათვის იმ დაშვებით, რომ შობადობის კოეფიციენტი არ შეიცვლებოდა მითითებულ პერიოდში. ასაკის მიხედვით შობადობის კოეფიციენტისა და ქალი ოჯახში დასაქმებულების წილის დადგენამ, რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდს საშუალება მისცა, შეეფასებინა იმ ქალი ოჯახში დასაქმებულების რაოდენობა, რომლებიც ამ პერიოდში გააჩენდნენ ბავშვს და ექნებოდათ ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებული დახმარების მიღების უფლება. მიგნებების მიხედვით, მოსალოდნელია, რომ ქალი ოჯახში დასაქმებულების მხოლოდ 2% გააჩენდა შვილს 2021-2025 წლების ნებისმიერ პერიოდში;
- დეკრეტული შვებულების ანაზღაურება, რასაც მთავრობა გადაიხდიდა, დარჩებოდა იგივე (1000 ლარი);
- საქართველოს ეროვნული ბანკის სამიზნე მაჩვენებლების მიხედვით, ინფლაციის დონე დარჩებოდა 3%;
- წერილობითი კონტრაქტის მქონე ყველა ოჯახში დასაქმებულს ექნებოდა დაგროვებითი პენსია და ოჯახში დასაქმებულთა მხოლოდ 16%-ს, რომელთა ასაკი 40 წელზე მეტია, ექნებოდა სურვილი, რომ ჰქონოდა საპენსიო დანაზოგი (ზემოხსენებული ონლაინ გამოკითხვის შედეგების მიხედვით).

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების გათვალისწინებით, რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა დაასკვნა, რომ მოსალოდნელი იყო ოჯახში დასაქმებულებზე მოთხოვნის ზრდა. აღნიშნული ცვლილებები გულისხმობს:

- ეკონომიკური ზრდა (რაც ზრდის ოჯახების ფინანსურ შემოსავალს, რათა დაიქირაონ ოჯახში დასაქმებულები) – საქსტატის მონაცემებით, გასული ორი ათწლეულის განმავლობაში შინამეურნეობის რეალური შემოსავალი დაახლოებით 5-ჯერ გაიზარდა, ხოლო 2019 წელს ის 1,030 ლარს შეადგენდა;
- ერის დაბერება – დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტი (ხანდაზმული მოსახლეობის (65 წელი და ზემოთ) შეფარდება სამუშაო ასაკის მოსახლეობასთან (15-დან 64 წლამდე)) იზრდება წლების განმავლობაში. 2002 წელს ეს თანაფარდობა 20%-ს შეადგენდა, 2014 წელს – 21%-ს და პროგნოზირებულია, რომ გაიზრდება 29%-მდე (2030) (ბრუიჯინი და ქითანავა, 2017);
- მზარდი ურბანიზაცია – საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, 2020 წელს საქართველოს მოსახლეობის 59% ურბანულ ზონებში ცხოვრობდა და ტენდენცია იზრდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ, თუ დადასტურდებოდა სახელმწიფოს მხრიდან სოციალური სერვისების მიწოდების შეზღუდვა, ოჯახში დასაქმებულებზე მოთხოვნა კიდევ გაიზრდებოდა. ამგვარად, თუ ოჯახში დასაქმებულების ცუდი და არასაიმედო სამუშაო პირობების პრობლემა დროულად არ გადაიჭრება, მისი მასშტაბი გაიზრდება.

3.3. პოლიტიკის მიზნები

პოლიტიკის მიზნების განსაზღვრა რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის განუყოფელი ნაწილია. მიზნები გულისხმობს ძირეულ განცხადებებს, რაც ყველა მარეგულირებელ და არამარეგულირებელ ალტერნატივას უდევს საფუძვლად. მიზნები თამაშობს მნიშვნელოვან როლს ალტერნატივების ეფექტურობისა და ეფექტიანობის კუთხით წინასწარი შეფასების დროს. ასევე, მათ საფუძველზე ხდება პოლიტიკის ინტერვენციების მიმართულების განსაზღვრა, მათი განხორციელების, ეფექტურობის, ეფექტიანობის განსაზღვრა ინფორმირებული შუალედური და განხორციელების შემდგომი ანალიზისთვის.

რატომ არის ეს ეტაპი მნიშვნელოვანი?

იმის ნათელი წარმოდგენის გარეშე, თუ რას უნდა მიაღწიოს სამომავლოდ პოლიტიკამ, რთულია, განისაზღვროს განსახორციელებელი აქტივობები, და კიდევ უფრო რთულია, გამოვლინდეს ყველაზე შესაფერისი ალტერნატივა. ნათლად განსაზღვრული მიზნები გვეხმარება გავამყაროთ სამომავლო აქტივობები.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ნათლად გამოიკვეთოს და განისაზღვროს მიზნები, რადგან ისინი შემდგომ განსაზღვრავს ალტერნატივის სარგებლიანობას და გადაჭრის გზების შერჩევას. ნებისმიერ ინტერვენციას თან უნდა ახლდეს ნათელი მიზნები, რაც პირდაპირ უკავშირდება გამოვლენილი პრობლემების გადაჭრას და, ამავდროულად, თანხვედრაშია მთავრობის სტრატეგიულ და პროგრამულ მიზნებთან.

ამრიგად, მიზნების გაწერა:

- გვეხმარება, დავინახოთ და უზრუნველვყოთ პოლიტიკის ერთმანეთთან თავსებადობა და ლოგიკურობა;

- გვეხმარება მოქმედების შესაძლო მიმართულებისა და შესაბამისი პოლიტიკის ალტერნატივების განსაზღვრაში, ისევე, როგორც მათ შედარებაში;
- შესაძლებელს ხდის, განვახორციელოთ მონიტორინგი პოლიტიკის განხორციელებაზე და ადრეულ ეტაპზე შევაფასოთ, რამდენად არის სასურველი შედეგები მიღწეული – რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გამოვასწოროთ გადაცდენები. შედეგების სრულად დადგომის დროს კი სათანადოდ შევაფასოთ შერჩეული პოლიტიკის ალტერნატივის ზეგავლენა.

3.3.1. მიზნების სწორად განსაზღვრა

პრობლემის შესაძლო გადაჭრის გზები უნდა შეფასდეს ე.წ. **შესრულების ინდიკატორების** მიხედვით. განსახორციელებელი ალტერნატივისათვის (ან სტატუსკოს შემთხვევაში) თქვენ უნდა განსაზღვროთ მისაღწევი მიზნები გაზომვადი შესრულების ინდიკატორების სახით.

დადგენილების მიხედვით, რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესში უნდა გაიწეროს **ზოგადი, კონკრეტული და ოპერაციული** მიზნები. ამ გზით მიზნების დაყოფის დროს უზრუნველყავით, რომ არსებობდეს ნათელი კავშირი:

- მიზნებს, პრობლემასა და პრობლემის გამომწვევ მიზეზებს შორის;
- უშუალოდ მიზნებს შორის, რათა ისინი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდეს.

ცხრილი 10. მიზნების ტიპები

ზოგადი მიზნები	• უკავშირდება პოლიტიკის მთავარ პრობლემას; • წარმოადგენს პოლიტიკის ზოგად მიზნებსა და სასურველ საბოლოო შედეგებს, რაც ასახავს პრობლემის გადაჭრის გზის საბოლოო შედეგს; • მიზნებმა უნდა მოახდინოს პოლიტიკის სტიმულირება; • ითვალისწინებს ურთიერთშემავსებელი პოლიტიკების სრულ სპექტრს, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფენ საბოლოო შედეგების მიღწევას. ზოგადი მიზნების მაგალითები შეიძლება იყოს: საქართველოში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება; მოწყვლადი ჯგუფებისთვის სოციალურ-ეკონომიკური ფონის გაძლიერების ეფექტური უზრუნველყოფა; საგზაო შემთხვევებით გამოწვეული მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის მოცულობის შემცირება.
კონკრეტული მიზნები	• უკავშირდება პრობლემის გამომწვევ მიზეზებს; • ითვალისწინებს განსახილველი პოლიტიკის ინტერვენციის კონკრეტულ ბუნებასა და კონკრეტულ სფეროს; • წარმოადგენს პოლიტიკის უშუალო მიზნებს – რაც პირველად უნდა იყოს მიღწეული იმისათვის, რომ შემდეგ მიღწეულ იქნეს ზოგადი მიზნები. კონკრეტული მიზნების მაგალითები შეიძლება იყოს: ბიზნესის რეგულირების პროცედურების გამარტივება საქართველოში საინვესტიციო ხარჯების შემცირების მიზნით; შრომის ბაზრის საგანგებო პოლიტიკის შემუშავება და შემოღება, რაც მიმართულია მოწყვლადი სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფებისადმი; მძღოლების ცნობიერების ამაღლება გზებზე რისკების შესახებ.
ოპერაციული მიზნები	• განსაზღვრულია შედეგებისა და მოქმედების მიზნების მიხედვით. მათი შემუშავება, როგორც წესი, ხდება მას შემდეგ, რაც გამოვლენილია სასურველი გადაჭრის გზა; • ასეთი მიზნები, ჩვეულებრივ, განისაზღვრება როგორც შედეგი – საქონელი და მომსახურებები – რომლებიც მომდინარეობს პირდაპირ კონკრეტული აქტივობებიდან. კონკრეტული მიზნების მაგალითები შეიძლება იყოს: გადასახადებისა და მოსაკრებლების შემცირება 30%-მდე ან სტარტაპის რეგისტრაციისათვის მინიმალური ვადების დაწესება (მაგ. 3 სამუშაო დღე; შრომის ბაზრის საგანგებო პოლიტიკაში ჩართული მოწყვლადი პირების რაოდენობის/წილის განსაზღვრა; იმ ინიციატივების რაოდენობის განსაზღვრა, რომლებიც საჭიროა ცნობიერების ამაღლებისათვის ან ჩართული პირების რაოდენობის განსაზღვრა.

იმისათვის, რომ რესურსების მობილიზება და მათი მიმართვა მოხდეს ეფექტიანად, უნდა არსებობდეს მიზნების შეზღუდული რაოდენობა. ბევრი მიზანი გაფანტავს მწირ რესურსებს და პოლიტიკის პროცესის განხორციელება ხარჯიანი იქნება.

როგორც ემპირიული წესი, პრობლემის ხის მიდგომის გამოყენებით უნდა განსაზღვროთ თქვენი ზოგადი მიზნები ხის ცენტრში მოცემული პრობლემის მიხედვით. შემდეგ თქვენი კონკრეტული მიზნები დაკავშირებული იქნება ცალკეულ გამომწვევ მიზნებთან.

მიზნების განსაზღვრის დროს მნიშვნელოვანია, ყოველთვის გახსოვდეთ საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების ძირითადი მიზნები, რომლებიც განერილია, მაგალითად, დღის წესრიგი 2030-ში.

3.3.2. მიზნებისა და მათი შესრულების კავშირი

„რისი გამოშვაც შეიძლება, იმის გაკეთებაც შესაძლებელია!“ – მიზნებმა უნდა მოიცვას სამიზნე დონეები და განხორციელების ვადები. იმისათვის, რომ აკონტროლოთ, დროულად და ეფექტიანად განხორციელდება თუ არა თქვენ მიერ განსაზღვრული მიზნები, მნიშვნელოვანია მათი გამოსახვა **შესრულების ინდიკატორების** სახით. ასეთი ინდიკატორები უნიკალურია და შემუშავებული უნდა იყოს თითოეული მიზნისათვის ცალ-ცალკე.

თქვენი ინდიკატორების განსაზღვრის დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობს მონაცემთა შეგროვების სიმარტივე. აქედან გამომდინარე, ოპერაციული მიზნები (და, თუ შესაძლებელია, კონკრეტული მიზნები), გარდა იმისა, რომ შესაბამისობაში უნდა იყოს გადასაჭრელ პრობლემებთან, ასევე მათი მდგრადობა უნდა შემოწმდეს **S.M.A.R.T. მოდელის მიხედვით**, რომლის თანახმადაც:

- **S – კონკრეტული** – მიზნები უნდა იყოს კონკრეტული, უნდა აღწერდეს მისაღწევ შედეგს კონკრეტული საკითხის შესახებ და ხელს უწყობდეს პრობლემის გადაჭრას;
- **M – გამოშვადი** – მიზნები გამოსახული უნდა იყოს რიცხობრივად, რაოდენობრივად გარკვეული სტანდარტის ან ვადის შესაბამისად, შესაძლებელი უნდა იყოს პროგრესის აღრიცხვა მიზნის მიღწევის მიხედვით;
- **A – მოქმედებაზე ორიენტირებული** – მიზნები უნდა იძლეოდეს მოქმედების მოტივაციას; მიზანი უნდა აღწერდეს, რა უნდა გაუმჯობესდეს, გაიზარდოს, გაძლიერდეს, ა.შ.;
- **R – რეალისტური** – მიზანი უნდა იყოს რეალისტური ვადებისა და არსებული რესურსების შესაბამისად;
- **T – ვადებში განწერილი** – მიზნის მიღწევა განწერილი უნდა იყოს კონკრეტული ვადების მიხედვით.

პოლიტიკის მიზნების შეჯამებისათვის და იმისათვის, რომ S.M.A.R.T. მატრიცით განისაზღვროს ყველა ოპერაციული მიზანი, გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

ცხრილი 11. პოლიტიკის მიზნების შეჯამება (სავალდებულო)

მიზანი	ინდიკატორი	პასუხისმგებლობა	დრო
კონკრეტული მიზანი 1 - ...			
ოპერაციული მიზანი 1.1...			
ოპერაციული მიზანი 1.2...			
კონკრეტული მიზანი 2 - ...			
ოპერაციული მიზანი 2.1. ...			
ოპერაციული მიზანი 2.2. ...			

3.3.3. პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან

აღნიშნული ქვეთავი მომზადდა იმისათვის, რომ მკითხველს დაეხმაროს განხილული ცნებების კონსოლიდაციაში და მიეცეს საშუალება, გაიზიაროს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიტიკოსების გამოცდილება და მიდგომები, რაც მათ დააგროვებს და შეიმუშავებს საქართველოს კონტექსტში რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების შედეგად.

ოჯახში დასაქმებულების კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების დროს რეგულირების შეფასების გუნდმა გამოავლინა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 189-ე კონვენციის რატიფიკაციის ზოგადი, კონკრეტული და ოპერაციული მიზნები, რომელთა დადგენა არსებითად მნიშვნელოვანი იყო ძირითადი მიზნის მიღწევისათვის. რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში გამოვლენილი პოლიტიკის მიზნები მოცემულია 27-ე ჩანართში.

ჩანართი 27 – ოჯახში დასაქმებულების შესახებ კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის ფარგლებში განსაზღვრული პოლიტიკის მიზნები

ზოგადი მიზანი

რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა რეფორმის ზოგადი პოლიტიკის მიზანი განსაზღვრა შემდეგნაირად: **ოჯახში დასაქმებულებისთვის ღირსეული სამუშაო პირობების უზრუნველყოფა.**

ოპერაციული და კონკრეტული მიზნები

ზოგადი მიზნის მიღწევისათვის რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოვლინა პოლიტიკის ოთხი კონკრეტული მიზანიც:

- ოჯახში დასაქმებულებისთვის მოლაპარაკების ძალაუფლების გაზრდა;
- ოჯახში დასაქმებულების ექსპლუატაციისა და ცუდად მოპყრობის რისკების შემცირება;
- ოჯახში დასაქმებულებისთვის სოციალური შეღავათების და სოციალური დაცვის არსებობის უზრუნველყოფა;
- ოჯახში დასაქმებულების ცნობიერების ამაღლება მათი კანონიერი უფლებების შესახებ.

თითოეული კონკრეტული მიზნისათვის რამდენიმე ოპერაციული მიზანი განისაზღვრა. ოპერაციული მიზნების შესრულება ხელს შეუწყობდა როგორც კონკრეტული, ისე ზოგადი მიზნების მიღწევასაც. ოპერაციულ მიზნებთან ერთად განისაზღვრა შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი უწყებები და ვადები. თითოეული კონკრეტული მიზნის შერჩეული ოპერაციული მიზნები მოცემულია ქვემოთ ცხრილში. პოლიტიკის ყველა ოპერაციული მიზნის სრული ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ რეგულირების ზეგავლენის შეფასების სრულ დოკუმენტში.

პოლიტიკის კონკრეტული და ოპერაციული მიზნების შეჯამება

მიზანი	ინდიკატორი	პასუხისმგებლობა	დრო
კონკრეტული მიზანი 1 - ოჯახში დასაქმებულებისთვის მოლაპარაკების ძალაუფლების გაზრდა			
ოპერაციული მიზანი 1.1. ოჯახში დასაქმებულების ლეგალურად აღიარება	შესაბამისი ცვლილებები შრომით კანონმდებლობაში – ოჯახში დასაქმების განსაზღვრა და მისი შრომითი ურთიერთობის ფორმად ცნობა	საქართველოს პარლამენტი საქართველოს მთავრობა	მაქსიმუმ 2 წელი (ერთჯერადად)
ოპერაციული მიზანი 1.2. კოლექტიური მოლაპარაკებების ძალაუფლების განვითარების ხელშეწყობა	- ოჯახში დასაქმებულების პროფესიული კავშირების რაოდენობა - არაფორმალური ოჯახში დასაქმებულების რაოდენობა - ოჯახში დასაქმებულების პროფესიულ კავშირებში განევრიანების დონე (ოჯახში დასაქმებულების რა პროცენტია განევრიანებული პროფესიულ კავშირებში) - ოჯახში დასაქმებულების არაფორმალური ასოციაციების რაოდენობა - ოჯახში დასაქმებულების არაფორმალური ასოციაციებში განევრიანების დონე (ოჯახში დასაქმებულების რამდენი პროცენტია განევრიანებული არაფორმალურ ასოციაციებში) - კოლექტიური მოლაპარაკებების შედეგიანობის კოეფიციენტი (ოჯახში დასაქმებულების წილი, რომელთა ხელფასი და პირობები განისაზღვრება კოლექტიური შეთანხმებებით)	საქსტატი	ყოველწლიურად
კონკრეტული მიზანი 2 – ოჯახში დასაქმებულების ექსპლუატაციისა და ცუდად მოპყრობის რისკების შემცირება			
ოპერაციული მიზანი 2.1. უზრუნველყოფა იმისა, რომ ოჯახში დასაქმებულებს ჰქონდეთ ზეგანაკვეთური ანაზღაურება, ყოველკვირეული დასვენება, ანაზღაურებადი შვებულება ავადმყოფობის გამო, ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულება და პირადი სივრცე	შესაბამისი ცვლილებები შრომით კანონმდებლობაში – ყოველკვირეული დასვენების, ანაზღაურებადი ზეგანაკვეთური საათების, წლიური შვებულებისა და პირადი სივრცის გარანტია	საქართველოს პარლამენტი საქართველოს მთავრობა	მაქსიმუმ 2 წელი (ერთჯერადად)
	- ოჯახში დასაქმებულების წილი, რომლებიც ამბობენ რომ მუშაობენ ზეგანაკვეთურად (კვირაში 40 საათზე მეტი, %) - ოჯახში დასაქმებულების წილი და რაოდენობა, რომელთა ზეგანაკვეთური საათები ანაზღაურებულია (მათ შორის, ვინც ზეგანაკვეთურად მუშაობს) - ოჯახში დასაქმებულების წილი და რაოდენობა, რომლებიც ამბობენ, რომ მათი უფლებები ირღვევა ანაზღაურებად ზეგანაკვეთურ სამუშაოსთან, ყოველკვირეულ დასვენებასთან, ყოველწლიურ ანაზღაურებად შვებულებასა და პირად სივრცესთან დაკავშირებით	საქსტატი	კვარტალურად

ოპერაციული მიზანი 2.2. ოჯახში დასაქმებულების სამუშაო გარემოს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებული აქცენტი შევიწროებაზე	- ოჯახში დასაქმებულების მიერ შრომის ინსპექციაში შეტანილი საჩივრების რაოდენობა - ოჯახში დასაქმებულების მიერ სამუშაო პირობების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ წამოწყებული სასამართლო დავების რაოდენობა	შრომის ინსპექციის სამსახური საქალაქო სასამართლოები	წლიურად
კონკრეტული მიზანი 3 – ოჯახში დასაქმებულებისთვის სოციალური შეღავათებისა და სოციალური დაცვის არსებობის უზრუნველყოფა			
ოპერაციული მიზანი 3.1. ოჯახში დასაქმებულებისთვის კრიზისის დროს დახმარების გაცემის უზრუნველყოფა	ოჯახში დასაქმებულების წილი, რომლებიც იღებენ სახელმწიფო დახმარებას	საქართველოს მთავრობა საქსტატი	წლიურად
ოპერაციული მიზანი 3.3. ოჯახში დასაქმებულების მიერ დეკრეტული შვებულებით სარგებლობის უზრუნველყოფა	ოჯახში დასაქმებულების წილი, რომლებსაც აქვთ დეკრეტული შვებულებით სარგებლობის უფლება.	საქსტატი საქართველოს მთავრობა	წლიურად
კონკრეტული მიზანი 4 – ოჯახში დასაქმებულების ცნობიერების ამაღლება მათი კანონიერი უფლებების შესახებ			
ოპერაციული მიზანი 4.1. ოჯახში დასაქმებულებისთვის ადამიანთა უფლებებისა და ღირსეული სამუშაოს ქონის უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება	- სოციალური რეკლამების რაოდენობა და სიხშირე - პასუხისმგებელი სამინისტროების მიერ სოციალური მედიითა და ოფიციალური არხებით გაზიარებული პოსტების რაოდენობა - ოჯახში დასაქმებულების შესახებ სატელევიზიო შოუების რაოდენობა, მათი ხანგრძლივობა და დაფარვის არეალი - პასუხისმგებელი სამინისტროების მიერ რეგიონების მიხედვით გამართული/ ჩატარებული კონსულტაციების/ შეხვედრების რაოდენობა - ოჯახში დასაქმებულების წილი და რაოდენობა, რომლებმაც იციან თავიანთი უფლებების შესახებ (გამოკითხვა)	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წლიურად

ოპერაციული მიზანი 4.2. ოჯახში დასაქმებულებისთვის სოციალური დიალოგის მექანიზმის ჩამოყალიბების ხელშეწყობა	• ოჯახში დასაქმებულებს შორის გამართული შეხვედრების რაოდენობა (სახელმწიფო, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე) • ოჯახში დასაქმებულებსა და ყველა დაინტერესებულ მხარეს, როგორიცაა არასამთავრობო ორგანიზაციები და ადამიანთა უფლებების დაცვის ორგანიზაციები, შორის გამართული შეხვედრების რაოდენობა.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო პროფესიული გაერთიანებები	წლიურად
---	---	--	---------

ოჯახში დასაქმებულების შესახებ კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასებისაგან განსხვავებით, საქართველოში მოსავლის დაზღვევის რეფორმის რეგულირების ზეგავლენის შეფასება განხორციელდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის მიღებამდე. ამ მიზეზით ამ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში პოლიტიკის მიზნების ქვეთავის სტრუქტურა განსხვავებულია ოჯახში დასაქმებულების შესახებ კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასებისაგან. ამ შემთხვევაში რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდს არ განუსაზღვრავს კონკრეტულად პოლიტიკის ზოგადი მიზნები, ხოლო კონკრეტული და ოპერაციული მიზნები ჩვეულებრივ იყო განსაზღვრული. მოსავლის დაზღვევის რეფორმის რეგულირების ზეგავლენის შეფასების პოლიტიკის მიზნების სექცია მოცემულია 28-ე ჩანართში.

ჩანართი 28 – მოსავლის დაზღვევის რეფორმის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის ფარგლებში განსაზღვრული პოლიტიკის მიზნები

ზოგადი მიზანი

მართალია, რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტში სამთავრობო ინტერვენციის ზოგადი მიზანი არ იყო კონკრეტულად და ცხადად განსაზღვრული, მაგრამ კონკრეტული და ოპერაციული მიზნების, ასევე, პრობლემის ბუნების გათვალისწინებით, ზოგადი მიზანი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: **საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისა და ამ სექტორში მოღვაწე ცალკეული პირების კეთილდღეობის ხელშეწყობა გამართულად ფუნქციონირებადი სოფლის მეურნეობის სადაზღვევო ბაზრის განვითარებით.**

ოპერაციული და კონკრეტული მიზნები

ზოგადი მიზნის მიღწევისათვის რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოავლინა რეფორმის სამი კონკრეტული მიზანი:

- საქართველოში სოფლის მეურნეობის სადაზღვევო ბაზრის განვითარება;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა, ფერმერთა და აგრარულ ბიზნესთა კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
- სოფლის მეურნეობის საქმიანობაში ჩართული პირების შემოსავლის გაზრდა და მათი რისკების შემცირება.

თითოეული კონკრეტული მიზნისათვის რამდენიმე ოპერაციული მიზანი განისაზღვრა. ზოგიერთი ოპერაციული მიზანი, ასევე, დაკავშირებული შესრულების ინდიკატორი, პასუხისმგებელი უწყება და ვადები მოცემულია ცხრილში ქვემოთ (უფრო დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ რეგულირების ზეგავლენის შეფასების სრულ დოკუმენტში).

პოლიტიკის კონკრეტული და ოპერაციული მიზნების შეჯამება

მიზანი	ინდიკატორი	პასუხისმგებლობა	დრო
კონკრეტული მიზანი 1 – საქართველოში სოფლის მეურნეობის სადაზღვევო ბაზრის განვითარება			
ოპერაციული მიზანი 1.1. სოფლის მეურნეობის დაზღვევაზე მოთხოვნის გაზრდა	- დაზღვეული მიწების რაოდენობა (ჰა) - დაზღვეულ ფერმერთა წილი (%) - გაყიდული სადაზღვევო პოლისების რაოდენობა	ხელისუფლება სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია	არ არის განსაზღვრული
ოპერაციული მიზანი 1.2. ფერმერთა და აგრო ბიზნესებისათვის ფინანსურად ხელმისაწვდომი სადაზღვევო პაკეტების შემუშავება	- სუბსიდიის დონე (%) - სადაზღვევო პრემია(%)	ხელისუფლება სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია	არ არის განსაზღვრული
ოპერაციული მიზანი 1.3. სოფლის მეურნეობის სადაზღვევო ბიზნესის გაფართოება	- სოფლის მეურნეობის დაზღვევიდან კომპანიების მიღებული მოგების ცვლილებები (%) - საერთო პორტფელში აგრო დაზღვევის საშუალო წილი (%)	სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია	არ არის განსაზღვრული
კონკრეტული მიზანი 2 – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა, ფერმერთა და აგრო ბიზნესთა კონკურენტუნარიანობის გაზრდა			
ოპერაციული მიზანი 2.1. სოფლის მეურნეობის ნაწარმის ღირებულების გაზრდა	- დაზღვეულ მიწაზე მოსავლიანობის ზრდა (%) - დაზღვეულ მიწაზე მოსავლიანობის საშუალო ღირებულების გაზრდა (%)	ხელისუფლება ფერმერები აგრო ბიზნესები	არ არის განსაზღვრული
ოპერაციული მიზანი 2.2. გაზრდილი წვდომა დაფინანსების წყაროებზე	- საბანკო უზრუნველყოფაში არსებული მიწა(ჰა) - დაზღვეული მოსავალი საბანკო უზრუნველყოფისთვის	კომერციული ბანკები მიკროსაფინანსო ორგანიზაციები	არ არის განსაზღვრული
კონკრეტული მიზანი 3 – სოფლის მეურნეობის საქმიანობაში ჩართული პირების შემოსავლის გაზრდა და მათი რისკების შემცირება			
ოპერაციული მიზანი 3.1. ფერმერთა ფინანსური მოწყვლადობის შემცირება	- ზარალის კოეფიციენტი (%) - ანაზღაურებული ზარალის ღირებულება (ლარი) - ზარალის დროული ანაზღაურება	ხელისუფლება სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია	არ არის განსაზღვრული
ოპერაციული მიზანი 3.2. სოფლის მეურნეობის სფეროში შემოსავლის არასტაბილურობის შემსუბუქება	ფერმერთა შემოსავლის მერყეობის გაზომვა	ხელისუფლება სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია	არ არის განსაზღვრული

ზემოთ განხილული რეგულირების ზეგავლენის შეფასების მაგალითის მსგავსად, ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში ნათლად არ გამოვლენილა ზოგადი მიზანი. თუმცა ამ შემთხვევაშიც რეფორმის ზოგადი მიზნის გამოვლენა შეიძლება კონკრეტული და ოპერაციული მიზნების, ასევე, პრობლემის ბუნების გათვალისწინებით. მოკლე განხილვა მოცემულია 29-ე ჩანართში.

**ჩანართი 29 – ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის
პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის ფარგლებში
განსაზღვრული პოლიტიკის მიზნები**

ზოგადი მიზანი

აღნიშნულ სექტორში სამთავრო ინტერვენციის ზოგადი მიზანი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: **საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის ეფექტიანობის გაზრდა, ასევე, წყლის რესურსების უფრო მდგრადად გამოყენება წყლის ეფექტიანი ტარიფების დანერგვით.**

კონკრეტული და ოპერაციული მიზნები

რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოავლინა ოთხი კონკრეტული პოლიტიკის მიზანი:

1. სანდო წყალმომარაგების უზრუნველყოფა ინფრასტრუქტურის განახლებისა და რეაბილიტაციის გზით;
2. მელიორაციის მომსახურების პროვაიდერების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა (მათი პირდაპირი სამთავრობო სუბსიდიებისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირების უზრუნველყოფა);
3. ალტერნატიული დანიშნულებით წყლის რესურსების ეფექტიანი გადანაწილება;
4. საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდა ირიგაციისა და დრენაჟის მომსახურებების გონივრულ ფასად მიწოდების გზით.

ზემოხსენებული კონკრეტული და ზოგადი მიზნების მიღწევისათვის განისაზღვრა ოპერაციული მიზნებიც, რომელთა ზოგადი მიმოხილვა მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

პოლიტიკის კონკრეტული და ოპერაციული მიზნების შეჯამება

მიზანი	ინდიკატორი	პასუხისმგებლობა	დრო
კონკრეტული მიზანი 1 – სანდო წყალმომარაგების უზრუნველყოფა ინფრასტრუქტურის განახლებისა და რეაბილიტაციის გზით			
ოპერაციული მიზანი 1.1. მელიორაციის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, განახლება და რეაბილიტაცია მომსახურების სანდოების უზრუნველყოფისა და წყლის დანაკარგების შემცირების მიზნით	• მთავარ არხებზე ინვესტიციების გაზრდა (ლარი) • მორწყული მიწის ფართობის გაზრდა (%) • გადასახადების აკრეფის ეფექტიანობის გაზრდა (%) • კონტრაქტების რაოდენობის ზრდა • დაკონტრაქტების ეფექტიანობის გაზრდა (%)	საქართველოს მელიორაცია საქართველოს მთავრობა	არ არის განსაზღვრული
კონკრეტული მიზანი 2 – მელიორაციის მომსახურების პროვაიდერების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა (მათი პირდაპირი სამთავრობო სუბსიდიებისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირების უზრუნველყოფა)			
ოპერაციული მიზანი 2.1. ისეთი სატარიფო მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ტარიფის გამჭვირვალობას, მენეჯმენტის ანგარიშვალდებულებას და საქართველოს მელიორაციის საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის სათანადო მუშაობას	• კანონპროექტის მიღება • საქართველოს მელიორაციის მიერ დადგენილი ტარიფები (ლარი) • მორწყული/დრენიებული ფართობი (ჰა)	საქართველოს მელიორაცია საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტი	არ არის განსაზღვრული
ოპერაციული მიზანი 2.2. მთავრობის მხრიდან გონივრული საინვესტიციო გადაწყვეტილებების უზრუნველყოფა ეკონომიკური შედეგიანობის გაზრდის მიზნით	• ერთ ჰექტარზე წყლის საშუალო მოხმარება • წყლის რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა (%) • ინვესტიცია ინფრასტრუქტურაში (ლარი)	საქართველოს მთავრობა საქართველოს მელიორაცია	არ არის განსაზღვრული
კონკრეტული მიზანი 3 – ალტერნატიული დანიშნულებით წყლის რესურსების ეფექტიანი გადანაწილება			
ოპერაციული მიზანი 3.1. წყლის შეზღუდული რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის სტიმულების შექმნა	• ფერმერების/მიწების წილი, რომლებიც იყენებენ ირიგაციის ოპტიმალურ ტექნოლოგიებს (%) • ირიგაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისათვის ტარიფის საშუალო ფასდაკლება (%)	საქართველოს მთავრობა	არ არის განსაზღვრული
ოპერაციული მიზანი 3.2. ირიგაციისათვის წყლის გამოყენების ალტერნატიული შესაძლებლობის ხარჯების შესახებ ცნობიერების ამაღლება	• დაკონტრაქტების ეფექტიანობა (%) • გადასახადების აკრეფის ეფექტიანობა (%)	საქართველოს მთავრობა საქართველოს მელიორაცია	არ არის განსაზღვრული

კონკრეტული მიზანი 4 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდა სანდო ირიგაციისა და დრენაჟის მომსახურებების გონივრულ ფასად მიწოდების გზით

ოპერაციული მიზანი 4.1. საქართველოს ფერმერების ცნობიერების გაზრდა წვეთოვანი და მოსხურების ირიგაციის სისტემების გამოყენების შესახებ ჰექტარზე მოსაყვანი კულტურების მოსავლის გაზრდის მიზნით	- ფერმერების/მიწების წილი, რომლებიც ირიგაციის ოპტიმალურ ტექნოლოგიებს იყენებენ (%) - მოსავლიანობის გაზრდა	საქართველოს მთავრობა საქართველოს მელიორაცია	არ არის განსაზღვრული
---	---	---	----------------------

წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება წარმოადგენს რეფორმის მიზნების განსაზღვრის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მაგალითს. ამ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებშიც გარკვევით არ განსაზღვრულა ზოგადი მიზანი, მაგრამ კონკრეტული და ოპერაციული მიზნები დეტალურად იყო განსაზღვრული. თუმცა შესაძლებელია ზოგადი მიზნის აღწერა პრობლემასა და კონკრეტულ და ოპერაციულ მიზნებზე დაყრდნობით. რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში პოლიტიკის მიზნების მოკლე მიმოხილვა მოცემულია 30-ე ჩანართში.

ჩანართი 30 – წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის ფარგლებში განსაზღვრული პოლიტიკის მიზნები

ზოგადი მიზანი

რეფორმის ზოგადი მიზანი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: **წყლის მართვის სისტემების მუშაობის გაუმჯობესება და საზოგადოების ხარისხიანი წყლის რესურსებით უზრუნველყოფა ეფექტიანად და მდგრადად.**

კონკრეტული და ოპერაციული მიზნები

რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოავლინა რეფორმის ხუთი კონკრეტული მიზანი:

1. წყლის ყველა ობიექტისათვის კარგი ხარისხობრივი სტატუსის უზრუნველყოფა;
2. მოსახლეობისათვის სასმელი წყლის უწყვეტი მიწოდებისა და კანალიზაციის სისტემაზე წვდომის უზრუნველყოფა;
3. ყველა პოტენციური მომხმარებლისათვის წყლის რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა;
4. ალტერნატიული დანიშნულებით წყლის რესურსების ეფექტიანი განაწილება;
5. ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ზემოხსენებული კონკრეტული და ზოგადი მიზნების მისაღწევად რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა განსაზღვრა რამდენიმე ოპერაციული მიზანი თითოეული კონკრეტული მიზნისთვის, რომელთა შეჯამება მოცემულია ქვემოთ ცხრილში

პოლიტიკის კონკრეტული და ოპერაციული მიზნების შეჯამება

მიზანი	ინდიკატორი	პასუხისმგებლობა	დრო
კონკრეტული მიზანი 1 – წყლის ყველა ობიექტისათვის კარგი ხარისხობრივი სტატუსის უზრუნველყოფა			
ოპერაციული მიზანი 1.1. წყლის მონიტორინგის ქსელის გაფართოება	წყლის ობიექტების წილი (%), რომელთაც გააჩნიათ სრულყოფილი და გამართულად ფუნქციონირებადი მონიტორინგის სისტემა	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მდინარეთა სააუზო მართვის ორგანიზაციები, გარემოს ეროვნული სააგენტო	2025
ოპერაციული მიზანი 1.2. წყლის ტარიფში წყლის გამწმენდი ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და ოპერირების ხარჯების გათვალისწინება	წყლის გამწმენდი ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და ოპერირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების %	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულ კომისია ადგილობრივი თვითმმართველობები ადგილობრივი წყლის რესურსების მიმწოდებელი კომპანიები	2025
ოპერაციული მიზანი 1.3. წყლის ობიექტების რაოდენობა, რომლებსაც აქვთ კარგი სტატუსი	წყლის ობიექტების წილი (%), რომლებსაც მიენიჭათ კარგი სტატუსი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მდინარეთა სააუზო მართვის ორგანიზაციები, გარემოს ეროვნული სააგენტო	2025
კონკრეტული მიზანი 2 – მოსახლეობისათვის სასმელი წყლის უწყვეტი მიწოდებისა და კანალიზაციის სისტემაზე წვდომის უზრუნველყოფა			
ოპერაციული მიზანი 2.1. ნებისმიერ დროს წყლის რესურსების (გაცემული ნებართვების) გადანაწილებამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობისათვის უწყვეტი წყალმომარაგების მიწოდება	ერთ სულ მოსახლეზე „განკუთვნილი“ სასმელი წყლის მოცულობა საკმარისია გამოვლენილი მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის	ადგილობრივი თვითმმართველობები ადგილობრივი წყლის რესურსების მიმწოდებელი კომპანიები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მდინარეთა სააუზო მართვის ორგანიზაციები	არ არის განსაზღვრული

ოპერაციული მიზანი 2.2. მდინარის ყოველ აუზში სრულად არის განვითარებული კანალიზაციის ქსელი	მდინარეთა აუზების წილი (%), რომლებშიც სრულად არის განვითარებული სანიტარულ-ჰიგიენური სისტემები	ადგილობრივი მთავრობები ადგილობრივი წყლის რესურსების მიმწოდებლები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მდინარეთა სააუზო მართვის ორგანიზაციები	არ არის განსაზღვრული
კონკრეტული მიზანი 3 – ყველა პოტენციური მომხმარებლისათვის წყლის რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა			
ოპერაციული მიზანი 3.1. ყველა პირს ან კომპანიას, რომელიც ითხოვს წყლის გამოყენებას და რომელიც მზადაა, გადაიხადოს მოთხოვნილი ტარიფი/ გადასახადი და დაიცვას შესაბამისი რეგულაციები, აქვს ამის შესაძლებლობა	პირების და/ან ფირმების პროცენტული წილი (%), რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მიცემული, რომ გამოიყენონ წყლის რესურსები, თუ ისინი მზად არიან, გადაიხადონ მოთხოვნილი ტარიფი/ გადასახადი და დაიცვან შესაბამისი რეგულაციები	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულ კომისია ადგილობრივი თვითმმართველობები ადგილობრივი წყლის რესურსების მიმწოდებელი კომპანიები	არ არის განსაზღვრული
ოპერაციული მიზანი 3.2. წყლის რესურსებზე წვდომის მოთხოვნიდან (ან შესაბამისი ნებართვის მოპოვებიდან) წყლის რესურსებზე წვდომის მიღებამდე საშუალო ვადა არ უნდა აღემატებოდეს კონკრეტულ მაქსიმალურ ვადას (მაგ. 3 თვე)	წყლის რესურსებზე წვდომის მოთხოვნიდან წყლის რესურსებზე წვდომის მოპოვებამდე საშუალო ვადა	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულ კომისია ადგილობრივი თვითმმართველობები ადგილობრივი წყლის რესურსების მიმწოდებელი კომპანიები	არ არის განსაზღვრული
კონკრეტული მიზანი 4 – ალტერნატიული დანიშნულებით წყლის რესურსების ეფექტიანი განაწილება			
ოპერაციული მიზანი 4.1. წყლის მოხმარებისა და წყლის მოპოვების ტარიფები გამოითვლება გამჭვირვალე, ეფექტიანობაზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის მიხედვით	წყლის მოხმარებისა და მოპოვების ტარიფების წილი (%), რომელიც გამოითვლება გამჭვირვალე, ეფექტიანობაზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის მიხედვით	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მდინარეთა სააუზო მართვის ორგანიზაციები საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულ კომისია	2022

ოპერაციული მიზანი 4.2. წყლის ძირითადი მომხმარებლებისა (განსაზღვრული მაჩვენებელი) და შინამეურნეობის მიერ მოხმარებული წყლის მოცულობა ზუსტად იზომება	• შინამეურნეობის წილი (%), რომელთაც აქვთ წყლის მრიცხველი მიწოდების წერტილში • წყლის ძირითადი მომხმარებლების წილი (%), რომელთაც აქვთ წყლის მრიცხველი მიწოდების წერტილში	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მდინარეთა სააუზო მართვის ორგანიზაციები საქართველოს ენერგეტიკისა წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულ კომისია ადგილობრივი თვითმმართველობები ადგილობრივი წყლის რესურსების მიმწოდებელი კომპანიები	არ არის განსაზღვრული
კონკრეტული მიზანი 5 – ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა			
ოპერაციული მიზანი 5.1. სააუზო მართვის ორგანიზაციები შექმნილია, დაკომპლექტებულია და აღჭურვილია	• მდინარეთა სააუზო მართვის ორგანიზაციების რაოდენობა	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო საქართველოს მთავრობა	2024
ოპერაციული მიზანი 5.2. მდინარის აუზთა მართვის გეგმების დამტკიცებული	• მდინარეთა ინტეგრირებული სააუზო მართვის განახლებული გეგმების რაოდენობა	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მდინარეთა სააუზო მართვის ორგანიზაციები, მდინარეთა აუზის საბჭო საქართველოს მთავრობა	2024
ოპერაციული მიზანი 5.3. მდინარეთა სააუზო მართვის საბჭოს შექმნა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა მდინარის აუზის მართვის გეგმის შემუშავების პროცესში	• მდინარის აუზის ინტეგრირებული მართვის გეგმების შესახებ კონსულტაციის პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების რაოდენობა	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მდინარეთა სააუზო მართვის ორგანიზაციები საქართველოს მთავრობა	2024
ოპერაციული მიზანი 5.4. ტრანსსასაზღვრო მდინარის აუზის მართვის შესახებ შეთანხმებები	• გაფორმებული ტრანსსასაზღვრო შეთანხმებები აზერბაიჯანთან, თურქეთთან, რუსეთსა და სომხეთთან	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო საქართველოს მთავრობა, საგარეო საქმეთა სამინისტრო	არ არის განსაზღვრული

3.4. პოლიტიკის აღმართი

მიზნების განსაზღვრის შემდეგ უნდა განსაზღვროთ და მოიკვლიოთ ის ინსტრუმენტები და განხორციელების მექანიზმები, რომლებიც ყველაზე უკეთ დაგეხმარებათ მიზნების მიღწევაში. ინსტრუმენტები შეიძლება იყოს კომბინირებული და წარმოადგენდეს პოლიტიკის ალტერნატივას, რომლითაც შეიძლება გამოვლენილი პრობლემის გადაჭრა.

ალტერნატივები წარმოადგენს მთავრობის რეაქციას პრობლემაზე. ალტერნატივები მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს პრობლემის გამომწვევ მიზეზებსა და მიზნებს, ანუ ისინი უნდა აგვარებდეს პრობლემის ძირეულ მიზეზებს და არა მის გამოვლინებასა და თანმდევ შედეგებს. ყველა პოლიტიკის ალტერნატივა ვერ იქნება განხორციელებადი ან სასურველი შეზღუდული ბიუჯეტის, პოლიტიკური სენსიტიურობის, ეთიკური გარემოებებისა თუ სხვა მიზეზების გამო. თუმცა პოლიტიკის ალტერნატივების ქვეთავის დასაწყისში ნახსენები უნდა იყოს პოლიტიკის ყველა ალტერნატივა, მათ შორის ისინიც, რომლებიც პროცესის დროს გამოირიცხა. რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს პოლიტიკის ალტერნატივების გამორიცხვის მიზეზებიც.

რატომ არის ეს ეტაპი მნიშვნელოვანი?

ინსტრუმენტების სპექტრის განხილვა უფრო მეტ გამჭვირვალობას სძენს რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესს; იძლევა შერჩეული კურსის უფრო მტკიცე დასაბუთებასაც, უჩვენებს რა პოლიტიკის შემქმნელებსა და დაინტერესებულ მხარეებს, რომ ალტერნატიული გადაჭრის გზები იყო განხილული, მაგრამ არ იქნა შერჩეული რიგი მიზეზების გამო.

3.4.1. რა შეიძლება განვიხილოთ შესაძლო ალტერნატივად?

პოლიტიკის განხორციელება შეიძლება რიგი პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით. შესაძლო ინსტრუმენტების გამოვლენა გულისხმობს პრობლემის გადაჭრასა და მიზნების მიღწევაზე სხვადასხვა კუთხით მსჯელობას. **მართალია, პრობლემა გამოვლენილ იქნა, მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ საჭიროა ახალი რეგულაციის შემოღება.** ხშირად ხდება, რომ გარკვეული ალტერნატივა უკვე წარმოადგენს გადაჭრის გზას, როგორცაა ინფორმაციის გაზიარება და საგანმანათლებლო კამპანია. ზოგიერთ შემთხვევაში ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელება შეიძლება რამდენიმე პოლიტიკის ინსტრუმენტის გაერთიანებით.

ჩანართი 31 – სამთავრობო ინსტრუმენტების შესაძლო ტიპები

არ არსებობს უნიკალური მეთოდი, რომელიც შეიძლება ყველა სიტუაციაში გამოყენებულ იქნეს პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზად. შესაძლო პოლიტიკის ინსტრუმენტების სპექტრი მრავალფეროვანია და შეიძლება, ერთი მხრივ, გულისხმობდეს სახელმწიფოს მიერ სექტორის მკაცრ რეგულირებას, ხოლო, მეორე მხრივ, ბაზრებისა და ინდივიდუალური არჩევანის თავისუფლების განმტკიცებას.

- **ბრძანებისა და კონტროლის რეგულაცია:** მართალია, ერთი შეხედვით ყველაზე მარტივი და პერსპექტიული გადაჭრის გზაა (ნათელი, სტანდარტიზებული და პროგნოზირებადი ბუნების გამო), მაგრამ ამ ტიპის რეგულაციას შეიძლება მოჰყვეს რეგულაციის დაცვის მნიშვნელოვანი ხარჯები, სიმკაცრე და ოპორტუნისტული ქცევა (მორალური საფრთხე).

მაგალითები: გამონაბოლქვის კონტროლის ტექნოლოგიების შემოღება (მაგ. კატალიზატორები); პროექტირების ან ტექნოლოგიის სტანდარტები; ან კონკრეტული ნივთიერებების გამოყენების აკრძალვა.

- **შესრულებაზე დაფუძნებული რეგულაცია:** ინსტრუმენტის ეს ტიპი აწესებს სტანდარტებს, რომლის საშუალებითაც ხდება სამიზნე აუდიტორიისთვის წაყენებული მოთხოვნების შესრულების კონტროლი. ეს რეგულაცია დეტალურად არ აღწერს, როგორ უნდა მოხდეს ქმედების სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანა, მაგრამ აკონკრეტებს კრიტერიუმებს, რომელთა დაცვითაც შესაძლებელი ხდება სტანდარტების დაკმაყოფილება. სტანდარტები უნდა იყოს მოქნილი, რაც იძლევა გაერთიანების ან კომპენსირების შესაძლებლობას სხვადასხვა საწარმოებსა თუ აგენტებს შორს, რეგიონულ თუ სახელმწიფო დონეზე იმ პირობით, რომ ეს არ იმოქმედებს საერთო შედეგზე.

მაგალითები: შიდა სახანძრო სისტემები (საჭარო შენობები), სამუშაო უსაფრთხოების სტანდარტები.

- **თვითრეგულირება და თანარეგულირება:** ეს მიდგომები მოიცავს (სექტორულ) ნებაყოფლობით შეთანხმებებს და სტანდარტებს, რასაც ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტები და/ანსამოქალაქოსაზოგადოებისმოთამაშეები აწესებენ თავად, რათა უზრუნველყონ მათი საქმიანობის რეგულირება და ორგანიზება. ასეთი ტიპის რეგულირება არ მოითხოვს საკანონმდებლო აქტს, მაგრამ მოითხოვს ნდობასა და კონსენსუსს სუბიექტებსა და მათ კლიენტებს შორის. თვითრეგულირების შემთხვევაში სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისა და აღსრულების ფუნქციებს ასრულებენ არასამთავრობო ორგანოები. თვითრეგულირება უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე პროცესი, რადგანაც შეიძლება მოხდეს შეთქმულებითი მოქმედება კონკურენტებს შორის (კარტელი). ამ შემთხვევაში თვითრეგულირებისა და თანარეგულირების გაუთვალისწინებელი შედეგი შეიძლება იყოს კონკურენტუნარიანობის შემცირება. თანარეგულირების რეჟიმი გულისხმობს უფრო ძლიერ პარტნიორობას ეკონომიკურ სუბიექტებს (ისინი, ვინც განსაზღვრავენ თავიანთ წესებს) და მთავრობას შორის. ეს უკანასკნელი მხარს უჭერს წესებს და პასუხისმგებელია მათ აღსრულებაზე. ეს სისტემა ნაკლებად იძლევა კონკურენციის შემცირებისაკენ მიმართული ქმედებების განხორციელების შესაძლებლობას, მაგრამ შეიძლება უფრო მტკიცე და ხისტი აღმოჩნდეს.

მაგალითები: პროფესიული ქცევის წესები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (მაგ. ნოტარიუსისათვის, ექიმებისათვის, ბუღალტრებისთვის, ა.შ.), რეკლამირების სტანდარტები, ხარისხის უზრუნველყოფის სქემები.

- **უკეთესი აღსრულება და განხორციელება:** ამ ალტერნატივის განხილვა უნდა მოხდეს, როდესაც უკვე არსებობს კანონმდებლობა, მაგალითად, გაუმჯობესებული განხორციელებისა თუ ინსპექტირების სახელმძღვანელო ინსტრუქციების მეშვეობით.

მაგალითები: ინსპექტირების სამსახურის საქმიანობის ფუნქციური გადახედვა; „პირველადი რეკომენდირების პრინციპი“, რისკზე დაფუძნებული მიდგომა; განხორციელების შემდგომი შეფასებები.

- **დერეგულირება და გამარტივება:** ხშირად ივიწყებენ, რომ რეგულირების პოლიტიკის ერთი ალტერნატივა ამარტივებს არსებული ეროვნული რეგულაციების მთელ რიგს მთავრობის სხვადასხვა დონეზე.

მაგალითები: გილიოტინა, კოდიფიცირება.

- **საინფორმაციო, საგანმანათლებლო, შესაძლებლობების გაძლიერების კამპანიები** (დაფინანსებულია საჯარო ხელისუფლების მიერ): სამიზნე აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინების მიზნით, საგანმანათლებლო ინსტრუმენტები ეფექტიანად გამოიყენება შესაბამისობისა და მართვის პრაქტიკების გასაუმჯობესებლად. მთავრობას, ასევე, შეუძლია „უბიძგოს“ სამიზნე ჯგუფ(ებ)ს ქმედებისაკენ მათი განათლებით და ინფორმირებით იმის შესახებ, თუ რა მოჰყვება, თუ ისინი ქცევას არ შეცვლიან. ცალკეული პირებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის მცირე ცვლილებებს შესაძლოა მოჰყვეს დიდი შედეგები რეგულირებისათვის.

მაგალითები: „დალიე და ატარე“ საგანმანათლებლო კამპანიები; ორგანოთა დონაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიები, „ეკო-მარკირება“, ან „ბიძგება“.

- **ეკონომიკური და ბაზარზე დაფუძნებული მექანიზმები:** ინსტრუმენტები, როგორებიცაა საკუთრების უფლებების განსაზღვრა, ახალი ბაზრების შექმნა, არსებული ბაზრების ფუნქციონირების გაძლიერება, ვალდებულებების დაკისრება, ა.შ. ზეგავლენას ახდენს ბაზრის მოთამაშეების ქცევაზე (დადებითი/უარყოფითი) მონეტარული სტიმულების მიწოდებით და/ან თამაშის ძირითადი წესების გარანტირებით. გადასახადები, მოსაკრებლები, ა.შ. პოტენციურად ეფექტიანი პოლიტიკის ინსტრუმენტებია კერძო პირების ქცევაზე ზეგავლენის მოხდენისთვის, პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. ისინი უზრუნველყოფენ მოქნილობასა და ხარჯთეფექტიანობას და გამოიყენება იმისათვის, რომ მომხმარებლებმა გადაიხადონ წარმოებისა და მოხმარების სოციალური ხარჯები.

მაგალითი: CO₂ გამონაბოლქვის ვაჭრობადი ნებართვები, გარემოსდაცვითი გადასახადები და/ან სუბსიდიები (მაგ. მზის ელემენტები), აქციზები თამბაქოს ნაწარმზე.

3.4.2. როგორ ჩამოვყალიბოთ ალტერნატივები

ალტერნატივების შემუშავება იწყება ალტერნატივების გრძელი სიით – მარეგულირებელი და არა-მარეგულირებელი – სადაც გაწერილია ის ალტერნატივები, რომლებსაც შეუძლია მიზნების მიღწევა. თავდაპირველი სია ეტაპობრივად ვიწროვდება თითოეული ალტერნატივის შესაძლო ზეგავლენისა და მათი განხორციელებადობის შეფასებით და საბოლოოდ მიიღება მოკლე სია, რომელსაც უფრო სიღრმისეული ანალიზი უტარდება. ალტერნატივების შემუშავება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა მეთოდით, როგორცაა შედეგების ანალიზი, რესურსების ანალიზი, SWOT ანალიზი, გონებრივი ანალიზი, ანალოგიები, ექსპერტის მეთოდი (DELPHI მეთოდი, ექსპერტთა ინტერვიუები, ექსპერტთა პანელები, ექსპერტთა გამოკითხვა, ა.შ.). თავდაპირველად ცალ-ცალკე განხილული ზოგიერთი ალტერნატივა შეიძლება გაერთიანდეს, რათა მაქსიმალურად მოხდეს მათი ერთობლივი ძლიერი მხარის გამოყენება და მათი დადებითი ზემოქმედების მაქსიმალურად გაძლიერება.

პოლიტიკის ალტერნატივების შემუშავების დროს გასათვალისწინებელია შემდეგი კრიტერიუმები:

- რეგულირების ზეგავლენის შეფასების ყველა კარგ დოკუმენტში დეტალურად განიხილება ყველა განხორციელებადი ალტერნატივა. თქვენს ანალიზში წარმოდგენილი ალტერნატივების რაოდენობა უნდა იყოს განსაზღვრული პოლიტიკის პრობლემის მასშტაბის თანაბრობით.
- ყველა განხილული ალტერნატივა უნდა იყოს პრაქტიკული და განხორციელებადი, ხოლო ალტერნატივების გამორიცხვა არ უნდა ხდებოდეს იმ მიზეზით, რომ აქამდე ისინი არ იყო განხილული ან არსებობს მათთან დაკავშირებული რისკები.
- ყველა განხილული და გაანალიზებული ალტერნატივა უნდა იყოს რეალისტური. ანალიზისას მხოლოდ „უმოქმედობის“, „სასურველი“ ალტერნატივა და/ან „უკიდურესი, არარეალური“ ალტერნატივა არ უნდა იყოს განხილული.
- პროპორციულობის პრინციპის მიხედვით, უნდა იხელმძღვანელოთ იმ მიდგომით, რომ უნდა შეარჩიოთ ისეთი ალტერნატივა, რომელიც ყველაზე ნაკლებად აწესებს რეგულაციებს და ყველაზე მეტად იცავს ბაზრებსა და ინდივიდუალურ არჩევას.
- „უმოქმედობის“ სცენარის შემთხვევა უნდა განიხილებოდეს როგორც რეალური ალტერნატივა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმწიფო კანონმდებლობა ითხოვს მოქმედების ვალდებულებას.
- უნდა დაიცვათ „ნაკლები უფრო მეტია“ პრინციპი. თუ არსებული ღონისძიებები ვერ იძლევა სასურველ შედეგს, არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესება, გამარტივება ან გაუქმება კი უნდა განიხილებოდეს როგორც უკეთესი შედეგების მიღწევის შესაძლებლობა, ვიდრე ახალი მარეგულირებელი ღონისძიებების მიღების იდეა იქნება განხილული.
- როდესაც ინტერვენციის რომელიმე სფეროში უკვე მოქმედებს კანონი, სავალდებულოა არსებული კანონის აღსრულებისა და მისი დაცვის უკეთესი შესაძლებლობების შესწავლა.
- ისეთი ალტერნატივები, რომელსაც აქვს არსებითი მხარდაჭერა, შეუძლია დადებითი ზეგავლენის მოხდენა, მაგრამ ამავდროულად საკამათოა, ყურადღებით უნდა იყოს შესწავლილი. მხოლოდ საჯარო და პოლიტიკური მხარდაჭერა არ უნდა იყოს სხვადასხვა ალტერნატივის შერჩევისა და ანალიზის განმსაზღვრელი ფაქტორი.
- თუ პრაქტიკულად განუხორციელებადი ალტერნატივების საჯაროდ განხილვა მოხდა, ისინი მოცემული უნდა იყოს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშში. უნდა ახსნათ, რომ ასეთი ალტერნატივები განიხილებოდა სანყის ეტაპზე, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მოხდა მათი გამორიცხვა.

3.4.3. პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან

აღნიშნული ქვეთავი მომზადდა იმისათვის, რომ მკითხველს დაეხმაროს განხილული ცნებების კონსოლიდაციაში და მიეცეს საშუალება, გაიზიაროს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიტიკოსების გამოცდილება და მიდგომები, რაც მათ დააგრძელებს და შეიმუშავებს საქართველოს კონტექსტში რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის განხორციელების შედეგად.

საქართველოში მოსავლის დაზღვევის რეფორმის რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელებისას რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა შეარჩია პოლიტიკის ორი ალტერნატივა სამაგიდო კვლევის, მონაცემთა ანალიზის, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის, პრობლემის ბუნებისა და პოლიტიკის მიზნების საფუძველზე. თუმცა ამ ორი ალტერნატივის შერჩევამდე რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა განიხილა სხვა ალტერნატივები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ადრეულ ეტაპზე გამოირიცხა (მეტი დეტალები იხილეთ ქვემოთ). შერჩეული (და ასევე გამორიცხული) პოლიტიკის ალტერნატივები წარმოდგენილია 32-ე ჩანართში.

ჩანართი 32 – საქართველოში მოსავლის დაზღვევის რეფორმის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შერჩეული პოლიტიკის ალტერნატივები

პოლიტიკის შერჩეული ალტერნატივები

საქართველოში მოსავლის დაზღვევის რეფორმის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შეფასების გუნდმა შეარჩია პოლიტიკის ორი ალტერნატივა:

- 1. პოლიტიკის ალტერნატივა 0: მთავრობა არ ქმნის სოფლის მეურნეობის რისკების მართვის ეროვნულ სააგენტოს და აგრძელებს საპილოტე პროგრამით მუშაობას (საბაზისო სცენარი).**

აღნიშნული ალტერნატივა გულისხმობს, რომ საქართველოს მთავრობა გააგრძელებს არსებულ საპილოტე პროგრამას მომდევნო 10 წლის განმავლობაში. ეს კი ნიშნავს, რომ მთავრობა გააგრძელებს ფერმერთა დაზღვევის სუბსიდირებას და სუბსიდირების წილი არ შეიცვლება 2016-2025 წლებში (სუბსიდირების წილი რჩება 50-70%-ის ფარგლებში, რაც საშუალოდ 65%-ს წარმოადგენს). საპილოტე პროგრამის მიხედვით, დაზღვეულია შემდეგი რისკები: სეტყვა, ქარბი ნალექიანობა, ძლიერი ქარები და შემოდგომის ყინვა. ყურძენზე სუბსიდირება შეადგენს 40%-ს, ყველა სხვა კულტურაზე კი – 60%-ს. ასევე, განისაზღვრა მიწის ნაკვეთების მაქსიმალური ფართობი, რომელთა დაზღვევაც შეიძლება. ზოგადად, 5 ჰა-ზე მეტი ფართობის მქონე ფერმერები ვერ ღებულობენ მონაწილეობას პროექტში (ეს შეზღუდვა დაწესებულია იმიტომ, რომ პროგრამა კონცენტრირდეს დაბალი შემოსავლის მქონე ბენეფიციარებზე). პროგრამა უნდა განხორციელდებინა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს.

- 2. პოლიტიკის ალტერნატივა 1: მთავრობა ქმნის სოფლის მეურნეობის რისკების მართვის ეროვნული სააგენტოს მოდელს და იწყებს მის დანერგვას 2016 წელს (ალტერნატიული სცენარი)**

ეს ალტერნატივა გულისხმობდა, რომ მთავრობა და სადაზღვევო კომპანიები ერთად დააარსებდნენ სოფლის მეურნეობის რისკების მართვის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც

იქნებოდა საჯარო-კერძო პარტნიორობა საქართველოში სოფლის მეურნეობის დაზღვევის მართვისათვის. სააგენტო პასუხისმგებელი იქნებოდა სადაზღვევო პროდუქტების შემუშავებაზე, ზარალის მარეგულირებლების ტრენინგსა და სერტიფიცირებაზე, სადაზღვევო კანონის ინიცირებაზე, ფერმერებში სადაზღვევო კულტურის გავრცელებაზე, ა.შ. ამ სცენარში სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო აღარ უხელმძღვანელებდა სოფლის მეურნეობის დაზღვევას. ამ სცენარის მიხედვით, მოსალოდნელი იყოს სუბსიდიის დონეების ცვლილება და სუბსიდია განსხვავებული იქნებოდა მცირე და მსხვილი ფერმერებისათვის. სუბსიდირების დონე ეტაპობრივად დაიკლებდა 75%-დან 65%-მდე მცირე ფერმერებისათვის და 60%-დან 50%-მდე მსხვილი ფერმერებისათვის. სუბსიდირების დონის ცვლილება მოხდებოდა პირველი ოთხი წლის განმავლობაში. შემდგომ პერიოდში სუბსიდირების დონე ფიქსირებული იქნებოდა 65%-ზე მცირე ფერმერებისათვის და 50%-ზე მსხვილი ფერმერებისათვის ბოლო 6 წლის განმავლობაში. სოფლის მეურნეობის რისკების მართვის ეროვნული სააგენტო აქტიურად შეუწყობდა ხელს დაზღვევის კულტურას, ფერმერთა ცნობიერების გაზრდას სხვადასხვა მედიის საშუალებით.

გამორიცხული პოლიტიკის ალტერნატივები

ზემოხსენებული პოლიტიკის ალტერნატივების შემუშავებამდე (რომლებიც შეირჩა საბოლოო ალტერნატივების სახით) რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა განიხილა ორი სხვა ალტერნატივა, რომლებიც ადრეულ ეტაპზე გამოირიცხა.

1. გამორიცხული პოლიტიკის ალტერნატივა 1: მთავრობა არ ჩართავს პროგრამაში სადაზღვევო კომპანიებს სადაზღვევო ბაზრის განვითარებისათვის და ამის ნაცვლად შექმნის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სადაზღვევო კომპანიას სოფლის მეურნეობის დაზღვევის მართვისათვის.

ეს ალტერნატივა გამოირიცხა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის დროს, რადგან ამ ალტერნატივის განხორციელებას არსებითად მეტი ადამიანური და ფინანსური რესურსები დასჭირდებოდა, ვიდრე სხვა ალტერნატივებს; ასევე, აღნიშნული გამორიცხული ალტერნატივის განხორციელების შემთხვევაში უფრო მაღალი იქნებოდა კორუფციის რისკი და საერთო ჯამში დაბალი ეფექტიანობა ექნებოდა. მართალია, არსებობს სახელმწიფოს მიერ მართული დაზღვევის მოდელების წარმატებული მაგალითები საერთაშორისო დონეზე, მაგრამ დაინტერესებულ მხარეებს შორის მიღწეულ იქნა კონსენსუსი, რომ ამ ტიპის მოდელი ვერ განხორციელდებოდა საქართველოში სადაზღვევო ბაზრის არსებული განვითარების დონის გათვალისწინებით.

2. გამორიცხული პოლიტიკის ალტერნატივა 2: კერძო სადაზღვევო კომპანიები შეიმუშავებენ და მართავენ სოფლის მეურნეობის დაზღვევას მთავრობის მხარდაჭერის გარეშე (კერძოდ, სუბსიდიების გარეშე).

ამ ალტერნატივის გამორიცხვა გადაწყდა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების შედეგად მიღებული უკუკავშირისა და იმ ორი არგუმენტის საფუძველზე, რომელიც ვარაუდობდა, რომ სოფლის მეურნეობის დაზღვევის ბაზრის განვითარება სამთავრობო სუბსიდიის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა განვითარების ამ ეტაპზე. პირველი არგუმენტი ეხებოდა ორ ქართულ სადაზღვევო კომპანიას, რომლებიც ეცადნენ სოფლის მეურნეობის დაზღვევის დანერგვას სამთავრობო სუბსიდიის გარეშე (მსხვილი ფერმერებისაგან მოთხოვნის შემდეგ) 2004-2010

წლებში. დაზღვეული მიწების რაოდენობა ყოველთვის ძალიან დაბალი იყო და პირველ წლებში მცირე ზრდის შემდეგ რაოდენობამ კლება განაგრძო. მეორე არგუმენტი ეფუძნებოდა საპილოტე პროექტს, რომელიც განხორციელდა 2014-2015 წლებში. ბევრი ხელშემშლელი ფაქტორის მიუხედავად დაინტერესებული მხარეები თანხმდებოდნენ, რომ 2015 წელს პროექტის დაფარვის არეალის მნიშვნელოვანი შემცირება განპირობებული იყოს სამთავრობო სუბსიდიების შემცირებით (საშუალოდ სუბსიდიებმა იკლო სადაზღვევო პრემიის 94%-დან 55%-მდე).

33-ე ჩანართში მოცემულია ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში გამოვლენილი პოლიტიკის ალტერნატივები, რომლებიც განხილული იყო მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან (საქართველოს მელიორაცია და სოფლის მეურნეობის სამინისტრო).

ჩანართი 33 – ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შერჩეული პოლიტიკის ალტერნატივები

პოლიტიკის შერჩეული ალტერნატივები

ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის პროექტი ითვალისწინებდა მომსახურების ფასის დადგენის რამდენიმე მეთოდს. ამ მეთოდებიდან ორი შეირჩა რეგულირების ზეგავლენის შეფასების განსახორციელებლად. ამგვარად, კვლევამ მოიცვა პოლიტიკის სამი მთავარი ალტერნატივა:

- 1. პოლიტიკის ალტერნატივა 0: მთავრობა არ იღებს ტარიფის გამოთვლის ახალ მეთოდოლოგიას, ნაცვლად ამისა ძალაში ტოვებს დროებით დადგენილებას (საბაზისო სცენარი).**

სტატუსკვოს შენარჩუნება ცვლილებების გარეშე გულისხმობდა, რომ სატარიფო რეფორმა არ განხორციელდებოდა და ტარიფი უცვლელი დარჩებოდა (აღმოსავლეთ საქართველოში 75 ლარი ირიგაციისათვის, დასავლეთ საქართველოში – 45 ლარი ირიგაციისათვის და 40 ლარი დრენაჟისათვის). მთავრობა ფერმერებს არ უზრუნველყოფდა პირდაპირი სუბსიდიით და გააგრძელებდა საქართველოს მელიორაციის საოპერაციო ზარალის (მათ შორის, ცვეთის ხარჯების) ანაზღაურებას. მთავრობა არ განახორციელებდა ინვესტიციებს საქართველოს მელიორაციის დაფარვის არეალში მომსახურების სანდოობის გაზრდისათვის. ამ შემთხვევაში პრიორიტეტი მიენიჭებოდა დაფარვის არეალის (რაც ამ კვლევის ფარგლებს სცდება) გაზრდას არსებული წყლის რესურსების გამოყენებით.

- 2. პოლიტიკის ალტერნატივა 1: მთავრობა იღებს ფასის დაწესების ქვედა ზღვრის მოდელს ორკომპონენტური ტარიფის სახით, რომელიც ფარავს კომპანიის საოპერაციო და ექსპლუატაციის ხარჯებს. ამგვარად, კომპანია აღწევს ნულოვანი მოგების წერტილს, მაგრამ ვერ ნახულობს ეკონომიკურ მოგებას.**

ამ ალტერნატივის თანახმად, დაწესდება მინიმალური ზღვრის ტარიფი. საქართველოს მელიორაცია მიაღწევს ნულოვანი მოგების წერტილს, თუ დაკონტრაქტების ეფექტიანობა და მომხმარებელთა მიერ მომსახურების ტარიფის გადახდა მოხდება წინასწარ გათვალისწინებული სქემის მიხედვით. ამ პირობებში კომპანია დაფარავს თავის საოპერაციო ხარჯებს, მაგრამ ვერ ნახავს ეკონომიკურ მოგებას. ამ ალტერნატივის ფარგლებში კომპანიას არ დასჭირდება პირდაპირი სუბსიდია მთავრობისაგან რეგულარული საქმიანობების დასაფინანსებლად. საქართველოს მთავრობა, როგორც კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი, განახორციელებდა კაპიტალურ ინვესტიციას ინფრასტრუქტურის მშენებლობაში, როგორიცაა რეზერვუარები, სათავე ნაგებობები, სატუმბო სადგურები, ა.შ. თუმცა, თუ დაკონტრაქტების ეფექტიანობა და მომხმარებელთა მიერ ტარიფების გადახდის დონე იქნება უფრო ნაკლები, ვიდრე არის გათვალისწინებული, მთავრობას მოუწევს, უზრუნველყოს შემოსავლის შემცირებით გამოწვეული დანაკარგების კომპენსირება.

მინიმალური ზღვრის ტარიფი შედგება ორი კომპონენტისაგან: ერთ ჰექტარზე გაწეული ირიგაციის/დრენაჟის მომსახურების საფასური და ფიქსირებული ტარიფი ერთ ჰექტარზე, რომელსაც ყველა ფერმერი გადაიხდის დაფარვის არეალში არსებული ირიგაციის/დრენაჟის ინფრასტრუქტურის არსებობისათვის.

ტარიფი თითოეული დაფარვის არეალისათვის ცალ-ცალკე შემუშავდება. პირველი კომპონენტი (მომსახურების საფასური) დაერიცხება მომხმარებლებს, რომელთაც აქვთ ირიგაციის/დრენაჟის მომსახურების კონტრაქტი. მეორე კომპონენტი გადახდილი იქნება ყველას მიერ, ვისაც აქვს სასოფლო-სამეურნეო მიწა დაფარვის არეალში, მიუხედავად იმისა, ითხოვენ თუ არა ისინი კომპანიის მომსახურებებს.

3. პოლიტიკის ალტერნატივა 2: მთავრობა იღებს ფასის დაწესების მაქსიმალური ზედა ზღვრის მოდელს სამკომპონენტო ტარიფის სახით, რაც კომპანიას აძლევს საშუალებას, დაფაროს მომსახურების რეალური ხარჯები და მიიღოს კაპიტალზე უკუგება 8.1%-იანი ნომინალური განაკვეთით.

ამ ალტერნატივის თანახმად, დაწესდება მაქსიმალური ზედა ზღვრის ტარიფი. დაკონტრაქტების ეფექტურობისა და მომხმარებელთა მიერ ტარიფის გადახდის მოსალოდნელი დონის გათვალისწინებით, საქართველოს მელიორაცია დაფარავს თავის რეალურ ხარჯებს და, ასევე, მიიღებს უკუგებას კაპიტალზე. გრძელვადიან პერსპექტივაში (ამ ანგარიშის საპროგნოზო პერიოდის შემდეგ) კომპანიას არ დასჭირდება სუბსიდია მთავრობისაგან, მათ შორის, კაპიტალზე სუბსიდია. ეს შესაძლებელი იქნება კომპანიის მოგებების გათვალისწინებით. მაქსიმალური ზედა ზღვრის ტარიფზე წარმატებით გადასვლის შემდეგ შესაძლებელია კომპანიის პრივატიზაცია. თუმცა, თუ რეალური კონტრაქტირებისა და მომხმარებელთა მიერ ტარიფის გადახდის დონე სამიზნე დონეზე ნაკლები იქნება, მთავრობას მაინც მოუწევს სუბსიდირება შემოსავლის შემცირებით გამოწვეული დანაკარგების კომპენსირებისათვის და/ან კაპიტალური ინვესტიციის უზრუნველყოფისათვის. ამ კონტექსტში პრივატიზაცია შეიძლება პრობლემური იყოს. სანყის პერიოდში მთავრობას შეიძლება დასჭირდეს პირდაპირი სუბსიდირება, მაგრამ უფრო მცირე მასშტაბით, ვიდრე წინა ალტერნატივებშია გათვალისწინებული.

მაქსიმალური ზედა ზღვრის ტარიფი, როგორც სამკომპონენტო ტარიფი, შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. გადასახადი ერთ ჰექტარზე ირიგაციის/დრენაჟის მომსახურების საფასურისათვის;
2. ფიქსირებული ტარიფი ერთ ჰექტარზე, რომელსაც დაფარვის არეალში ყველა ფერმერი გადაიხდის ირიგაციის/დრენაჟის ინფრასტრუქტურის არსებობისათვის;
3. დამატებითი ფიქსირებული კომპონენტი ჰექტარზე, რაც უზრუნველყოფს კომპანიის მიერ ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციის ანაზღაურებას და ეფუძნება კაპიტალზე უკუგების „სამართლიან“ განაკვეთს (ჩვეულებრივ კომპანიის კაპიტალის შენონილი საშუალო ხარჯი (WACC)).

ტარიფი თითოეული დაფარვის არეალისათვის ცალ-ცალკე დაწესდება. პირველი კომპონენტი (მომსახურების საფასური) დაერიცხებათ მომხმარებლებს, რომლებიც სარგებლობენ ირიგაციის/დრენაჟის მომსახურებით. ტარიფის ფიქსირებულ კომპონენტს გადაიხდის ყველა, ვისაც აქვს სასოფლო-სამეურნეო მიწა დაფარვის არეალში, მიუხედავად იმისა, ითხოვენ თუ არა ისინი კომპანიის მომსახურებებს.

წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში რეგულირების შეფასების გუნდმა შეარჩია პოლიტიკის ორი მთავარი ალტერნატივა უმოქმედობის ალტერნატივასთან ერთად. ალტერნატივები შეთანხმდა მთავარ დაინტერესებულ მხარესთან – გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან. პოლიტიკის ალტერნატივების რეზიუმე მოცემულია 34-ე ჩანართში.

ჩანართი 34 – წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შერჩეული პოლიტიკის ალტერნატივები

პოლიტიკის შერჩეული ალტერნატივები

საქართველოში წყლის რესურსების მართვის მარეგულირებელი ჩარჩო დოკუმენტების განხილვის, საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, შეთანხმდა პოლიტიკის სამ ალტერნატივაზე:

1. **პოლიტიკის ალტერნატივა 0: არ იცვლება რეგულირება და არ ხდება ინსტიტუციონალური ცვლილებები (უმოქმედობის სცენარი).**

არსებული ალტერნატივით არ იცვლება წყლის მართვის კანონმდებლობა და არ ხორციელდება დამატებითი აქტივობები, რათა შეიცვალოს მოხმარების, ინფრასტრუქტურის განვითარების, წყლის ხარისხის მონიტორინგის, ა.შ. ტენდენციები და პრაქტიკები. სტატუსკვოს სცენარის შემთხვევაში არ შემუშავდება მდინარის აუზის მართვის სისტემები. შესაბამისად, არ იქნება საჭირო მონაცემთა გაცვლის სისტემა (დეტალები ქვემოთ) და ლიცენზიების გაცემის არსებული სისტემა უცვლელი იქნება (იმოქმედებს მიწისქვეშა წყლის რესურსებზე).

2. პოლიტიკის ალტერნატივა 1: შემოთავაზებული რეგულაციების სრულად მიღება, მონაცემთა გაცვლის ეფექტური სერვისების შემოღება და დონორთა მხარდაჭერა მდინარის აუზის მართვის დარჩენილი ორი გეგმის განხორციელებისათვის.

პოლიტიკის პირველი ალტერნატივა გულისხმობს წყლის მართვის კანონპროექტის სრულ მიღებას, რაც მიმართულია მდინართა აუზების ინტეგრირებული მართვის მიდგომის განხორციელებისა და ევროკავშირის წყლის დირექტივის პრინციპების დაცვით. ამ ალტერნატივით მთავრობას უნდა შეეძლოს მონაცემთა გაცვლის სერვისები, რაც გაამარტივებდა მონაცემთა და ინფორმაციის გაცვლას კერძო და საჯარო სუბიექტებსა და საჯარო უწყებებს შორის (სამინისტროები და სხვა ინსტიტუტები), გაზრდიდა პროცესის ეფექტიანობას და შეამცირებდა დამატებითი პერსონალის საჭიროებას. ამ ალტერნატივის ფარგლებში რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად) დაუშვა, რომ აუზების მართვის პირველი გეგმები დაფინანსდებოდა დონორების და არა სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ.

კანონმდებლობის მთავარი მიზანია წყლის ობიექტების კარგი ხარისხობრივი სტატუსის მიღწევა თანდათანობით, არსებული მდგომარეობის სრულყოფილი შეფასებისა და ეკოლოგიური და ქიმიური პირობების გაუმჯობესებისათვის დაგეგმილი ღონისძიებების საფუძველზე. შემოთავაზებული კანონმდებლობის ფარგლებში სამი ახალი ინსტიტუციონალური უწყება უნდა შეიქმნას:

1. წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სამთავრობო კომისია;
2. მდინარეთა სააუზო მართვის ორგანიზაციები;
3. მდინარეთა სააუზო მართვის საბჭო.

წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სამთავრობო კომისია იქნება სახელმწიფო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების 10-წლიანი სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებაზე.

ამ ალტერნატივის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მახასიათებლებია:

1. **მდინარეთა სააუზო მართვის სისტემის დანერგვა** – ქვეყნის ექვსი მდინარის აუზისათვის: ალაზან-იორი, მტკვარი, ხრამ-დებედა, ენგურ-რიონი, ქოროხ-აჭარისწყალი და ბზიფ-კოდორი. შეიქმნება მდინარეთა სააუზო მართვის ორგანიზაციები. თითოეული მდინარის აუზს ექნება თავისი მდინარის აუზის ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შემდეგზე:
 - ა. წყლის ობიექტების იდენტიფიკაცია და მათი საზღვრების დადგენა;
 - ბ. მდინარეთა აუზების მართვის ინტეგრირებული გეგმების შემუშავება (და ამ პროცესში მონაწილეობის მიღება);
 - გ. მდინარეთა აუზების მართვის ინტეგრირებული გეგმების შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა;
 - დ. წყლის გამოყენების სპეციალური ნებართვების გაცემა;
 - ე. აუზის ფარგლებში წყლის ყველა ტიპის მომხმარებლების გამოკვლევა;
 - ვ. მდინარეთა აუზების მართვის ინტეგრირებული გეგმების განხორციელების მონიტორინგი;

- ზ. დაბინძურების შემთხვევაში საზოგადოების შეტყობინება წყლის გამოყენების შეზღუდვების შესახებ.
2. **წყლის მართვის ახალი ეკონომიკური ინსტრუმენტების შემოღება** – ტარიფებისა და გადასახადების მოცულობის სათანადოდ განსაზღვრის მიზნით საჭიროა „**მომხმარებელი იხდის**“ და „**დამბინძურებელი იხდის**“ პრინციპების გამოყენება. ახალი კანონმდებლობის მიხედვით, ხელახლა დაწესდება ზედაპირული წყლის მოპოვების გადასახადები და დაწესდება წყალარინების გადასახადები.
 3. **ნებართვების გაცემის სისტემის ცვლილებები** – ახალი კანონმდებლობის მიხედვით, წყლის მოპოვებისათვის, წყალარინებისა და წყლის კომბინირებული გამოყენებისათვის დაინერგება ნებართვების სისტემა.
 4. **მონიტორინგის პრაქტიკისა და პროცედურების ცვლილებები** – წყლის რესურსების სათანადო მართვასა და წყლის ობიექტებისათვის კარგი ხარისხის მინიჭებას სჭირდება მონიტორინგისა და მონაცემთა შეგროვების აქტივობების გაფართოება, ასევე, არსებული პრაქტიკისა და პროცედურების ცვლილება. ეს, თავის მხრივ, მოითხოვს დამატებით ფინანსურ რესურსებს. მდინარის ობიექტების ჰიდრო-ქიმიური, ჰიდრო-ბიოლოგიური, ჰიდრო-მორფოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგი და მასზე მონიტორინგის პასუხისმგებლობა დარჩება გარემოს ეროვნული სააგენტოს პასუხისმგებლობის ქვეშ.
3. **პოლიტიკის ალტერნატივა 2: შემოთავაზებული რეგულაციების სრულად მიღება მონაცემთა გაცვლის ეფექტური სერვისის შემოღების გარეშე და მდინარეთა სააუზო მართვის დარჩენილი ორი გეგმის განხორციელებისათვის დონორთა მხარდაჭერის გარეშე.**

ეს ალტერნატივა შემუშავდა როგორც პირველი ალტერნატივის იდენტური ალტერნატივა შემდეგი გამონაკლისებით: მთავრობა არ შექმნის მონაცემთა მიმოცვლის სერვისს კერძო და საჯარო სუბიექტებსა და, ასევე, საჯარო სუბიექტებს შორის ინფორმაციისა და მონაცემების გაცვლისათვის. ეს გაზრდის კერძო კომპანიების მიერ ვალდებულებების შესრულებისა და საჯარო სექტორის ადმინისტრაციულ ხარჯებს.

ნათელია, რომ მდინარეთა აუზების მართვის ბოლო ორი გეგმის განხორციელებისათვის საერთაშორისო დონორების დახმარების არარსებობის შემთხვევაში რეფორმის განხორციელების საწყისი ხარჯები გაიზრდება.

35-ე ჩანართში შეჯამებულია ოჯახში დასაქმებულების კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესში შერჩეული პოლიტიკის ალტერნატივები.

ჩანართი 35 – ოჯახში დასაქმებულების კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შერჩეული პოლიტიკის ალტერნატივები

პოლიტიკის შერჩეული ალტერნატივები

ოჯახში დასაქმებულების კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში რეგულირების შეფასების გუნდმა შეარჩია პოლიტიკის ორი ალტერნატივა სტატუსკვოს სცენართან ერთად.

1. პოლიტიკის ალტერნატივა 0: არსებული შრომითი კანონმდებლობა ცხადად არ მოიცავს ოჯახში დასაქმებულების საქმიანობას (სტატუსკვოს სცენარი).

სტატუსკვოს სცენარის შემთხვევაში, არსებული შრომითი კოდექსი ცხადად არ მოიცავს ოჯახში დასაქმებულების საქმიანობას. შედეგად, მხოლოდ ის ოჯახში დასაქმებულები შეძლებენ მიმართონ შრომის ინსპექციას, რომელთაც აქვთ კონტრაქტი დასაქმების სააგენტოებთან. ოჯახში დასაქმებულებს შეეძლებათ მიმართონ სასამართლოებს და/ან სახალხო დამცველს მათი უფლებების დარღვევის (დისკრიმინაცია, ძალადობა, ექსპლუატაცია, შევიწროება, ა.შ.) შემთხვევაში, მაგრამ ექნებათ ძალიან შეზღუდული წვდომა იმ შემთხვევაში, როდესაც მათი შრომის უფლებები ირღვევა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, რთული იქნება ოჯახში დასაქმებულების საქმიანობის როგორც შრომითი ურთიერთობების განსაზღვრა შრომის კოდექსში არსებული ბუნდოვანების გამო. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ოჯახში დასაქმებულებს აქვთ მომსახურების კონტრაქტი, მტკიცების ტვირთი იქნება მათი. ოჯახში დასაქმებულებისა და ოჯახების ცნობიერების დონე მათი უფლებების შესახებ იქნება დაბალი. ამგვარად, შენარჩუნდება ის ტენდენცია, როდესაც ოჯახში დასაქმებულები არ მიმართავენ შრომის ინსპექციის სამსახურს, სახელმწიფო სასამართლოსა და სახალხო დამცველს. ოჯახში დასაქმებულების კავშირებისა და ასოციაციების შექმნის ინტერესი ოჯახში დასაქმებულების მოლაპარაკებების ძალაუფლების გაზრდის მიზნით იქნება დაბალი. ამგვარად, ოჯახში დასაქმებულების ასოციაციები არ შეიქმნება.

2. პოლიტიკის ალტერნატივა 1: მარეგულირებელი გადაჭრის გზა – ოჯახში დასაქმების შრომითი ურთიერთობის ფორმად აღიარება.

რეგულირებადი გადაჭრის გზა გულისხმობს ოჯახში დასაქმების შრომითი ურთიერთობის ფორმად აღიარებას. ამის მიღწევა შეიძლება კანონმდებლობაში შემდეგი ცვლილებით:

1. საქართველოს შრომის კოდექსმა უნდა მოიცავს ოჯახში დასაქმებულები – ოჯახში დასაქმება აღიარებული უნდა იყოს შრომითი ურთიერთობის ფორმად, შრომითი ურთიერთობები არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ორგანიზებული შრომის ფორმით (საჭირო იქნება შრომითი ურთიერთობების ფართო განმარტება, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დასაქმების ურთიერთობების № 198 რეკომენდაციის მიხედვით (2006));
2. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს შეეძლო გამოეცა ბრძანება, რომელიც აღწერს იმ საქმიანობებს, რომლებიც მოიცავს ოჯახში დასაქმებას, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, კოდექსის დებულებები ვრცელდება იმ საქმიანობაზე, რომელიც განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრძანებით.

რეგულირების ალტერნატივა აძლევს ოჯახში დასაქმებულებს სტიმულებს, რომ საკუთარი შრომა გახადონ ფორმალური და წარმოადგინონ მტკიცებულება (ფორმალური კონტრაქტი, რეგულარული

გადახდები მათ საბანკო ანგარიშებზე, ა.შ.), რაც საჭიროა მათი უფლებების დასაცავად. ასევე, შემოთავაზებულია, რომ ოჯახში დასაქმებულებისთვის დაკისრებული გადასახადები განისაზღვროს სხვაგვარად, რადგან ისინი წარმოადგენენ საზოგადოების ყველაზე მოწყვლად ჯგუფს. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მყარი მტკიცებულება, რომ ოჯახში დასაქმებულს აქვს არათანაბარი/უსამართლო სამუშაო პირობები, მაშინ შესაძლებელი იქნება, რომ მათთვის შემუშავდეს გადასახადების სხვა, უფრო დაბალი განაკვეთი. ოჯახში დასაქმებულებისთვის განსახვავებული გადასახადის დაწესება იძლევა რეფორმის უარყოფითი შედეგების შემცირების შესაძლებლობას.

3. პოლიტიკის ალტერნატივა 2: არამარეგულირებელი გადაჭრის გზა – ოჯახში დასაქმებულების სტიმულირება არაფორმალური/ფორმალური ასოციაციების შექმნის მიზნით და მათი ცნობიერების ამაღლება თავიანთი უფლებების შესახებ.

პოლიტიკის ალტერნატივა 2 მიზნად ისახავს ოჯახში დასაქმებულების მიერ არაფორმალური/ფორმალური ასოციაციების შექმნას, რაც მათი შრომითი უფლებებისა და სოციალური კეთილდღეობის გაძლიერების პირველი ეტაპია. ეს ოჯახში დასაქმებულებს, რომელთაც არ ჰყავთ საერთო დამსაქმებელი, არ აქვთ საერთო სამუშაო სივრცე და არ ჰყავთ კოლეგები, აძლევს საშუალებას, გაიუმჯობესონ უნარ-ჩვევები და დასახონ ეფექტიანი გზები მათი სამუშაო პრობლემების გადაჭრისათვის მათ ხელთ არსებული ინსტრუმენტების უფრო ეფექტიანი გამოყენებისა და უფრო ეფექტიანი ინსტრუმენტების მიღების ლობირების გზით. ასეთ ასოციაციებს შეუძლიათ გახდნენ მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების პარტნიორები ფინანსური რესურსების მიღებისათვის, რათა მათი კოლექტიური შესაძლებლობები გაფართოვდეს. ასეთ ორგანიზაციებს უნდა ჰყავდეთ იურიდიული ექსპერტები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონსულტაციას და გაუზიარებენ იურიდიულ რჩევას ოჯახში დასაქმებულებს მათი დასაქმების პირობებისა და კონტრაქტის ფორმულირების შესახებ. იურიდიული ექსპერტების როლი გაიზრდება ოჯახში დასაქმებულების უფლებების დარღვევის, ასევე მათი შევიწროების, დისკრიმინაციისა და ექსპლუატაციის შემთხვევებში. მთავრობის როლი ამ ალტერნატივის ფარგლებში მნიშვნელოვნად იქნება დაკავშირებული ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარებასთან, რაც მიმართული იქნება ოჯახში დასაქმებულებსა და მათ დამსაქმებლებზე. როგორც აღმოჩნდა, საზოგადოება დიდ ნდობას უცხადებს სახალხო დამცველის სამსახურს, მათი ჩართულობა მნიშვნელოვან შედეგებს მოიტანს. ამ ალტერნატივის განხორციელება გულისხმობს, რომ შრომის ინსპექცია ხელს შეუწყობს შრომის უსაფრთხოებისა და უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიას.

3.5. ზეგავლენის იდენტიფიცირება და ზეგავლენის ინდიკატორების შეჩვენება

შესადარებელი პოლიტიკის ალტერნატივების იდენტიფიცირების შედეგის შემდეგ უნდა დაინწყოს თითოეული ალტერნატივის განხორციელებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ზეგავლენის იდენტიფიცირება. ზეგავლენა, როგორც წესი, განეკუთვნება სამ ფართო კატეგორიას: **ეკონომიკური, სოციალური და გარემოზე ზეგავლენა.**

3.5.1. ზეგავლენის ტიპები

ზემოხსენებული სამი კატეგორია მოიცავს ზეგავლენის ფართო სპექტრს. ზოგიერთი მაგალითი მოცემულია მე-12 ცხრილში.

ცხრილი 12. ზეგავლენის ტიპები

ტიპი	აღწერა
ეკონომიკური ზეგავლენა	პოლიტიკის ცვლილებები ზეგავლენას ახდენს ცალკეული პირებისა და შინამეურნეობების კეთილდღეობაზე ფინანსური და არაფინანსური არხების მეშვეობით, ისევე როგორც ბიზნესებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებზე, თანამდები ფინანსური და არაფინანსური ხარჯებისა და შემოსავლების ცვლილებების გზით. ინდივიდები და შინამეურნეობები: • ხარჯები – ფინანსური (მაგ. გადასახადები, ჯარიმები, შემსუბუქებისა და შესრულების ხარჯები); – არაფინანსური (მაგ. შესრულებაზე დახარჯული დამატებითი დრო, ცხოვრების გაუარესებული ხარისხი). • სარგებელი – ფინანსური (მაგ. დანაზოგები, გაზრდილი შემოსავლები); – არაფინანსური (მაგ. დაზოგვილი დრო, ცხოვრების გაუმჯობესებული ხარისხი). ბიზნესები/სახელმწიფო ინსტიტუტები • ხარჯები – ფინანსური (მაგ. გადასახადები, ჯარიმები, შემსუბუქებისა და შესრულების ხარჯები); – არაფინანსური (მაგ. პერსონალის მიერ დახარჯული დამატებითი დრო). • სარგებელი – ფინანსური (მაგ. დანაზოგები, გაზრდილი შემოსავლები); – არაფინანსური (მაგ. პერსონალის მიერ დაზოგვილი დრო).
სოციალური ზეგავლენა	პოლიტიკის ცვლილების ზეგავლენა იმ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე, რომლის წინაშეც დგებიან საზოგადოების კონკრეტული ჯგუფები და რომელთა სრულად შეფასება შეუძლებელია მხოლოდ ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის მიდგომის გამოყენებით. ასეთი ზეგავლენის იდენტიფიცირებისთვის საჭიროა კონკრეტული სოციალური ინდიკატორების ცვლილებების განხილვა. მაგალითად: უთანასწორობის დონის ცვლილება, განათლების დონის ცვლილება, მოქალაქეების ჩართულობისა და სოციალური ინკლუზიის დონის ცვლილება, მოპყრობისა და შესაძლებლობების თანასწორობის ცვლილებები (გენდერის, ეთნიკურობის, ა.შ. წრილში).
გარემოზე ზეგავლენა	პოლიტიკის ცვლილებების ზეგავლენა საზოგადოების კეთილდღეობაზე გარემოზე ზემოქმედების გზით იმგვარად, რომ შეუძლებელია ასეთი ზემოქმედების მხოლოდ ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის საშუალებით შეფასება. ასეთი ზეგავლენის იდენტიფიცირებისთვის საჭიროა კონკრეტული გარემოსდაცვითი ინდიკატორების ცვლილებების განხილვა. მაგალითად, ცვლილებები ბიომრავალფეროვნებაში, ატმოსფეროში CO₂-ის კონცენტრაციის ცვლილება, ტყის საფარის შემცირება, მდინარეების მარილიანობის დონის, მიკროკლიმატური პირობების, ეკოლოგიური მიზეზების გამო სენსიტიურ ზონად გამოცხადებულ არეალში მიწათსარგებლობის ფართობების ცვლილება.

მე-13 ცხრილში მოყვანილია კითხვები, რომლებიც დაგეხმარებათ პოტენციური ზეგავლენის დადგენაში ზეგავლენის ტიპების მიხედვით.

ცხრილი 13. პოტენციური კითხვების მაგალითები

ეკონომიკური ზეგავლენა	კითხვები
საოპერაციო ხარჯები და ბიზნეს საქმიანობის განხორციელება	• პოლიტიკის ცვლილება გამოიწვევს დამატებითი რეგულირების, შესაბამისობისა თუ ტრანზაქციურ დანახარჯებს ბიზნესისთვის? • რა გავლენა აქვს შერჩეულ ალტერნატივას ძირითადი საწარმოო რესურსების (ნედლეული, ტექნიკა, სამუშაო ძალა, ელექტროენერგია, ა.შ.) ხარჯებზე ან მათ ხელმისაწვდომობაზე? • აქვს გავლენა ფინანსებზე წვდომაზე? • აქვს გავლენა საინვესტიციო ციკლზე? • გამოიწვევს ბაზრიდან გარკვეული პროდუქტის გაქრობას? პროდუქტის რეკლამირება შეზღუდულია თუ აკრძალული? • დაუწესებს კონკრეტულ ბიზნეს საქმიანობას მკაცრ რეგულაციებს? • გამოიწვევს ახალი ბიზნესის გაჩენას ან არსებულის დახურვას? • ეს ალტერნატივა გულისხმობს თუ არა განსხვავებულ მიდგომას ზოგიერთ პროდუქტსა თუ ბიზნესთან მიმართებით?
ადმინისტრაციული ტვირთი ბიზნესებზე	• აქვს თუ არ გავლენა ბიზნესების მიერ ინფორმაციის გაზიარების ვალდებულებაზე (მაგ. მოთხოვნილი ინფორმაცია, ანგარიშების სიხშირე, ინფორმაციის მიწოდების პროცესის კომპლექსურობა)?
ვაჭრობა და ინვესტიციები	• როგორ იმოქმედებს აღნიშნული ალტერნატივა საქართველოში/დან იმპორტსა და ექსპორტზე? იქნება თუ არა განსხვავებული მიდგომა იმპორტირებულ პროდუქტთან მიმართებით ადგილობრივთან შედარებით? • როგორ იმოქმედებს აღნიშნული ალტერნატივა ინვესტიციებსა და ვაჭრობაზე მომსახურების სფეროში? • წარმოშობს თუ არა ალტერნატივა სავაჭრო, საბაჟო და სხვა არასავაჭრო ბარიერებს? • იმოქმედებს ალტერნატივა რეგულირების ჩარჩოს თანხვედრაზე მესამე ქვეყნებთან? გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტები და საერთო მარეგულირებელი მიდგომები?
ბიზნესების კონკურენტუნარიანობა	• რა ზეგავლენა აქვს ალტერნატივას ბიზნესის წარმართვის ხარჯებზე, რაშიც შედის შუალედური ტიპის რესურსები (მაგ. ენერგია) და წარმოებასთან დაკავშირებული ფაქტორები, როგორიცაა მუშახელი და კაპიტალი? • რა ზეგავლენა აქვს ალტერნატივას ბიზნესის უნარზე, შექმნას ინოვაცია, ანუ უნარი აწარმოოს მეტი/მაღალი ხარისხის პროდუქცია და მომსახურებები, რაც კლიენტების მოლოდინებს აკმაყოფილებს? • რა ზეგავლენა აქვს ალტერნატივას ბიზნესის საბაზრო წილზე და კონკურენტულ უპირატესობაზე საერთაშორისო კონტექსტში (მაგ. იმპორტი, ექსპორტი, ინვესტიციის დინება, სავაჭრო ბარიერები, რეგულირებაზე თანხვედრა, ა.შ.)?
მცირე და საშუალო საწარმოების პოზიცია	• რა ზეგავლენა აქვს დამატებით ხარჯებსა და ვალდებულებებს მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობასა და კონკურენტუნარიანობაზე?
ადგილობრივი ბაზრების ფუნქციონირება და კონკურენცია	• რა ზეგავლენა (დადებითი თუ უარყოფითი) აქვს ალტერნატივას საქონლის, მომსახურებების, კაპიტალისა და მუშახელის თავისუფალ მოძრაობაზე? • ალტერნატივის განხორციელება გამოიწვევს მომხმარებლის არჩევანის შემცირებას, ფასების ზრდას შემცირებული კონკურენციის გამო, ახალი მომწოდებლებისათვის ბარიერების შექმნას, ხელს შეუწყობს ანტიკონკურენტულ ქცევას თუ წარმოქმნის მონოპოლიებს, გამოიწვევს ბაზრის სეგმენტაციას, ა.შ.?

ინოვაცია და კვლევა	• ალტერნატივის შემუშავება სტიმულებს უქმნის თუ აფერხებს კვლევასა და განვითარებას? • უწყობს ხელს წარმოების ახალი მეთოდების, ტექნოლოგიებისა და პროდუქტის შემოღებასა და გავრცელებას? • აქვს ზემოქმედება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასა და აღსრულებაზე (პატენტები, სავაჭრო ნიშანი, საავტორო უფლებები, სხვა ტექნიკურ მიღწევებზე უფლებები)? • ალტერნატივის შემუშავება სტიმულებს უქმნის თუ აფერხებს აკადემიურ ან ბაზრის კვლევას? • ხელს უწყობს პროდუქტიულობის ან რესურსების ეფექტიანობის ზრდას?
სახელმწიფო ინსტიტუციები	• აქვს ალტერნატივის განხორციელებას თანმდევი ეფექტები სახელმწიფო ბიუჯეტზე ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე (სახელმწიფო, რეგიონული, ადგილობრივი) შემოსავლებისა და ხარჯების კუთხით, როგორც ალტერნატივის შემოღებისთანავე, ისე გრძელვადიან პერიოდში? • იწვევს დამატებით სამთავრობო ადმინისტრაციულ ტვირთს? • ითხოვს ალტერნატივა ახალი სახელმწიფო ორგანოს შექმნას ან არსებულის რესტრუქტურიზაციას?
მომხმარებლები და შინამეურნეობები	• მოქმედებს ალტერნატივა მომხმარებლის მიერ გადახდილ ფასებზე საქონელსა და მომსახურებაში? • მოქმედებს ალტერნატივა მომხმარებლების მიერ მიღებული საქონლისა და მომსახურებების ხარისხსა და უსაფრთხოებაზე? • აქვს ალტერნატივას ზეგავლენა მომხმარებლის არჩევანზე, ნდობასა და უსაფრთხოებაზე? • აქვს ალტერნატივას ზეგავლენა მომხმარებლის მიერ ინფორმაციის ფლობის დონეზე? • აქვს ალტერნატივას ზეგავლენა სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურებების ხელმისაწვდომობასა და მდგრადობაზე?
კონკრეტული რეგიონები ან სექტორები	• აქვს ალტერნატივას ზეგავლენა ეკონომიკის კონკრეტულ სექტორებზე? • ექნება ალტერნატივას ზემოქმედება კონკრეტულ რეგიონებზე, მაგალითად, გამოიწვევს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ან მათ შემცირებას? • არსებობს რეგიონი ან სექტორი, რომელზეც ალტერნატივას განსხვავებული ზეგავლენა აქვს სხვა რეგიონებთან ან სექტორებთან შედარებით?
მესამე ქვეყნები და საერთაშორისო ურთიერთობები	• უწყობს თუ არა ალტერნატივის განხორციელება ხელს ისეთი ვალდებულებების შესრულებას, როგორებიცაა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებები, ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, DCFTA, ეკონომიკური პარტნიორობის შესახებ შეთანხმებები, ინვესტიციის დაცვის შეთანხმებები და სხვა მსგავსი მოლაპარაკებები?
მაკროეკონომიკური გარემო	• აქვს ალტერნატივას ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებაზე? • როგორ უწყობს ხელს ალტერნატივის განხორციელება საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასა და ბაზრების გამართულ ფუნქციონირებას? • აქვს ალტერნატივას პირდაპირი ზეგავლენა მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე?

სოციალური ზეგავლენა	კითხვები
დასაქმება და შრომის ბაზარი	- რა მასშტაბით იქმნება ან უქმდება ახალი სამუშაო ადგილები? - იქმნება თუ უქმდება სამუშაო ადგილები კონკრეტულ სექტორში, კონკრეტული პროფესიებისათვის, რეგიონისთვის ან კონკრეტული სოციალური ან ასაკობრივი ჯგუფისათვის? - არსებობს მნიშვნელოვანი არაპირდაპირი ზეგავლენა, რომელიც მოქმედებს დასაქმების დონეზე? - არსებობს ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ან აძლიერებს სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობას ან ხელს უშლის სამუშაო ადგილების დაკარგვას?
სამუშაო პირობები	- აქვს ალტერნატივა ზეგავლენა საათობრივ ანაზღაურებაზე ან საათობრივი ანაზღაურების დადგენის მექანიზმებზე ან სამუშაო ძალის ხარჯებზე? - აქვს ალტერნატივა ზეგავლენა სამუშაო კონტრაქტების ხარისხზე, არადეკლარირებულ სამუშაოს ან ყალბ თვითდასაქმებაზე? - ალტერნატივა ზეგავლენას ახდენს სამუშაოს ორგანიზებაზე? - ზემოქმედებს ალტერნატივა სამუშაო ადგილას ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, სამუშაო პირობების ან შრომის სტანდარტების ეფექტურ დაცვაზე? - მოქმედებს ალტერნატივა სოციალურ დიალოგზე? - მოქმედებს ალტერნატივა პროფესიულ ტრენინგზე ან კარიერული განვითარებაზე?
ზემოქმედება შემოსავლის განაწილებაზე და საზოგადოებრივ ჩართულობაზე	- ექნება ალტერნატივა ზეგავლენა უთანასწორო შემოსავალსა და შემოსავლის გადანაწილებაზე მთლიანად საქართველოში ან კონკრეტულ რეგიონში? - შეცვლის ალტერნატივის განხორციელება იმ დასაქმებულების რაოდენობას, რომელთაც არასაკმარისი შემოსავალი აქვთ? - ექნება ალტერნატივის განხორციელებას ზეგავლენა სიღარიბის დონეზე, მატერიალურ დანაკარგებზე და სოციალური დაცვის სქემების ხარისხსა და მათზე წვდომაზე? - ექნება გავლენა პირველადი საქონლისა და მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, განსაკუთრებით საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის?
მმართველობა, მონაწილეობა და კარგი ადმინისტრირება	- ალტერნატივა ზეგავლენას ახდენს დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე საკითხის გადაწყვეტაში? - ხდება თუ არა ყველა სუბიექტის და დაინტერესებული მხარის თანაბარი მოპყრობა მათი განსხვავებულობის პატივისცემით? მოქმედებს ალტერნატივა კულტურულ და ლინგვისტურ განსხვავებებზე? - ზემოქმედებს ალტერნატივა სოციალური პარტნიოების ავტონომიაზე იმ სფეროში, რომელშიც ისინი კომპეტენტურები არიან? მაგალითად, ზემოქმედებს კოლექტიური მოლაპარაკებების ძალაუფლებაზე ნებისმიერ დონეზე ან უფლებაზე განახორციელონ კოლექტიური ქმედება? - ზემოქმედებს შემოთავაზებული ღონისძიებები საჯარო ინსტიტუტებსა და ადმინისტრაციაზე, მაგალითად, მათ პასუხისმგებლობაზე? - ანვდის ალტერნატივა უფრო მეტ ინფორმაციას საზოგადოებას გარკვეულ საკითხზე? ახდენს ალტერნატივა ზეგავლენას ხალხის მიერ ინფორმაციაზე წვდომაზე? - ზემოქმედებს ალტერნატივა პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობაზე?

საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	• ზემოქმედებს ალტერნატივა ინდივიდების/მოსახლეობის ჯანმრთელობასა თუ უსაფრთხოებაზე, მათ შორის, სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, სიკვდილიანობასა და ავადმყოფობაზე სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზეგავლენით (სამუშაო გარემო, შემოსავალი, განათლება, მუშაობა, კვება)? • ალტერნატივის განხორციელება ზრდის თუ ამცირებს ჯანმრთელობის სავარაუდო რისკებს ბუნებრივ გარემოზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებით? • ზემოქმედებს ალტერნატივა ჯანმრთელობაზე ხმაურის, ჰაერის, წყლის ან მიწის რესურსების ხარისხის ცვლილებებით? • იმოქმედებს ალტერნატივა ჯანმრთელობაზე ენერგიის მოხმარების და/ან ნარჩენების განთავსების ცვლილებებით? • ზემოქმედებს ალტერნატივა ჯანმრთელობის განმსაზღვრელ ცხოვრებისეულ ფაქტორებზე, როგორიცაა კვების რაციონი, ფიზიკური აქტივობა, თამბაქოს, ალკოჰოლის ან ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება? • აქვს ალტერნატივას განსაკუთრებული ზეგავლენა კონკრეტულ რისკ ჯგუფებზე (განისაზღვრება ასაკით, სქესით, შეზღუდული შესაძლებლობით, სოციალური ჯგუფით, მობილობით, რეგიონით, ა.შ.)?
დანაშაული, ტერორიზმი და უსაფრთხოება	• ალტერნატივა აუმჯობესებს თუ ხელს უშლის უსაფრთხოების პირობების დაცვას, ზემოქმედებს დანაშაულის ჩადენისა და ტერორიზმის რისკებზე? • ზემოქმედებს ალტერნატივა დამნაშავის აღმოჩენის ან მისთვის დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მიცემაზე? • გაზრდის თუ არა ალტერნატივა დანაშაულის შემთხვევებს? აქვს თუ არა ალტერნატივას ზემოქმედება დანაშაულის კონკრეტულ ტიპებზე (ფულის გათეთრება, კორუფცია, უკანონო წარმოება და ტრეფიკინგი, კიბერდანაშაული, ა.შ.)? ალტერნატივის განხორციელება აღკვეთს დანაშაულს ან დაიცავს მოსახლეობას დანაშაულისგან? • ზემოქმედებს ალტერნატივა კანონის აღსრულების შესაძლებლობაზე, რათა აღიკვეთოს დანაშაულებრივი საქმიანობა? • ექნება ალტერნატივას ზეგავლენა უსაფრთხოების ინტერესებზე? • ზემოქმედებს ალტერნატივა დანაშაულის მსხვერპლზე და თვითმხილველზე ან მათ უფლებებზე?
სოციალური დაცვის, ჯანმრთელობისა და საგანმანათლებლო სისტემაზე წვდომა და მათზე ზემოქმედება	• აქვს ალტერნატივას ზეგავლენა სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის, განათლების სერვისების ხარისხზე ან მათ ხელმისაწვდომობაზე მთელი საზოგადოებისთვის? • აქვს ალტერნატივას ზეგავლენა ინდივიდების მიერ საჯარო/კერძო განათლებაზე, პროფესიულ სწავლებაზე ან ტრენინგზე წვდომაზე? • აქვს ალტერნატივას ზეგავლენა განათლების დონეზე ან ტრენინგის შედეგებზე? • ზემოქმედებს ალტერნატივა სოციალური დაცვის, ჯანმრთელობისა და განათლების სერვისების დაფინანსებაზე? • ახდენს ალტერნატივა ზეგავლენას უნივერსიტეტებზე, მათ აკადემიური თავისუფლებასა და თვითმმართველობაზე?
კულტურა	• აქვს შემოთავაზებულ ალტერნატივას ზეგავლენა კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე? • აქვს შემოთავაზებას ზეგავლენა კულტურულ მრავალფეროვნებაზე? • აქვს შემოთავაზებულ ალტერნატივას ზეგავლენა მოქალაქეების მონაწილეობაზე კულტურულ მანიფესტაციებში ან წვდომაზე კულტურულ რესურსებზე?

გარემოსდაცვითი ზეგავლენა	კითხვები
კლიმატი	• ზემოქმედებს ალტერნატივა სითბური გაზების გავრცელებაზე (მაგ. ნახშირორჟანგი, მეთანი, აზოტის ოქსიდები, ა.შ.) ატმოსფეროში? • ზემოქმედებს ალტერნატივა ოზონის შრის გამრღვევი ნივთიერებების გავრცელებაზე?
ჰაერის ხარისხი	• აქვს ალტერნატივას ზეგავლენა ჰაერის ისეთი დამბინძურებლების გავრცელებაზე, როგორიცაა მჟანგავი ნივთიერებები, წყალში ჩამდინარე მავნე ნივთიერებები, ფოტოქიმიური ან საფრთხის შემცველი ჰაერის დამბინძურებლები, რომლებიც ზემოქმედებენ ადამიანის ჯანმრთელობაზე, აზიანებენ კულტურულ მცენარეებს ან შენობებს და შედეგად უარესდება გარემოსდაცვითი მდგომარეობა (მინა, მდინარეები, ა.შ.)?
წყლის ხარისხი და რესურსები	• ალტერნატივა ზრდის თუ ამცირებს სუფთა და მიწისქვეშა წყლის ხარისხსა და რაოდენობას? • ალტერნატივა ზრდის თუ ამცირებს წყლის ხარისხს სანაპირო და საზღვაო ზონებში (მაგ. ნუტრიენტების, ნავთობის, მძიმე ლითონების ან სხვა დამბინძურებელი ნაწილაკების წყალჩაშვებით)? • ზემოქმედებს ალტერნატივა სასმელი წყლის რესურსებზე?
ბიომრავალფეროვნება, ფლორა, ფაუნა და ლანდშაფტები	• ალტერნატივა ამცირებს სახეობების/რასების მრავალფეროვნებასა და რაოდენობას არეალში (მაგ. ამცირებს ბიომრავალფეროვნებას) თუ ზრდის სახეობების რაოდენობას (მაგ. კონსერვაციის ხელშეწყობით)? • ზემოქმედებს ალტერნატივა დაცულ ან გადაშენების პირას მყოფ სახეობებზე, მათ საცხოვრებელ გარემოზე ან ეკოლოგიურად სენსიტიურ არეალზე? • ყოფს ალტერნატივა ლანდშაფტებს მცირე ზონებად თუ სხვა გზით ზემოქმედებს მიგრაციის მარშრუტებზე, ეკოლოგიურ დერეფნებზე ან ბუფერულ ზონებზე? • ზემოქმედებს ალტერნატივა დაცული ტერიტორიების ლანდშაფტზე?
ნიადაგის ხარისხი და ან რესურსები	• ზემოქმედებს ალტერნატივა ნიადაგის მჟავიანობაზე, დაბინძურებასა ან მარილიანობაზე, ასევე ნიადაგის ეროზიის შემთხვევებზე? • იწვევს ალტერნატივა არსებული ნიადაგების დაკარგვას (მაგ. მშენებლობით) თუ ზრდის გამოსაყენებელი ნიადაგის ფართობს (მაგ. მიწის გასუფთავებით)?
ნარჩენების წარმოება / წარმოქმნა / გადამუშავება	• ზემოქმედებს ალტერნატივა ნარჩენების წარმოქმნაზე (მყარი, ურბანული, სასოფლო-სამეურნეო, ინდუსტრიული, სამთო, რადიოაქტიური ან ტოქსიკური ნარჩენები) ან მათ განკარგვაზე, განთავსებასა და გადამუშავებაზე?
რესურსების ეფექტური გამოყენება (განახლება და არაგანახლებადი)	• მოქმედებს ალტერნატივა განახლებადი რესურსების (როგორიცაა თევზი და სხვ.) გამოყენებაზე და იწვევს მათი მოხმარების დონის აჩქარებას მათი წარმოების დონესთან შედარებით? • ალტერნატივა ამცირებს თუ ზრდის არაგანახლებადი რესურსების (მიწისქვეშა წყლები, მინერალები, ა.შ.) გამოყენებას?
მდგრადი მოხმარება და წარმოება	• უწყობს ხელს ალტერნატივის განხორციელება მდგრად წარმოებასა და მოხმარებას? • ცვლის ალტერნატივა ეკოლოგიურად სუფთა და არაეკოლოგიური პროდუქციის ფასებს? • ალტერნატივა ხელს უწყობს თუ ზღუდავს ეკოლოგიური/არაეკოლოგიური საქონლისა და მომსახურებების წარმოებას კაპიტალური ინვესტიციების, სესხების, დაზღვევის სერვისების წესების ცვლილებით? • გამოიწვევს ალტერნატივა იმას, რომ ბიზნესმა უფრო მეტად ან ნაკლებად დააბინძუროს გარემო მათი საქმიანობის ცვლილებებით?

ტრანსპორტი და ენერგიის გამოყენება	• ზემოქმედებს ალტერნატივა ეკონომიკის ენერგო ინტენსიურობაზე? • ზემოქმედებს ალტერნატივა ენერგიის წარმოებისას სხვადასხვა ტიპის საწვავის გამოყენებაზე (ქვანახშირი, გაზი, ბირთვული, განახლებადი რესურსები, ა.შ.)? • ალტერნატივა გაზრდის თუ შემცირებს ტრანსპორტზე მოთხოვნას (მგზავრთა გადაყვანა თუ ტვირთის გადაზიდვა) ან იმოქმედებს სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტის გამოყენებაზე? • ალტერნატივა ზრდის თუ ამცირებს ტრანსპორტის გამონახველქვს? • ალტერნატივა შეამცირებს თუ გაზრდის ენერგიისა და საწვავის მოხმარებას?
ცხოველების კეთილდღეობა	• ზემოქმედებს ალტერნატივა ცხოველების ჯანმრთელობაზე? • ზემოქმედებს ალტერნატივა ცხოველების კეთილდღეობაზე (მაგ. ცხოველებისადმი ჰუმანური მოპყრობა)? • ზემოქმედებს ალტერნატივა საკვებისა და კვების უსაფრთხოებაზე?
გარემოსდაცვითი რისკების ალბათობა და მასშტაბი	• ზემოქმედებს ალტერნატივა ხანძრების, აფეთქებების, ჩამონგრევის, უბედური შემთხვევებისა და შემთხვევითი გაფრქვევების ალბათობასა და მათ ალკვეთაზე?
მინათსარგებლობა	• ზემოქმედებს ალტერნატივა ახალი, აქამდე აუთვისებელი მიწების გამოყენებაზე? • ზემოქმედებს ალტერნატივა ეკოლოგიური მიზეზებით სენსიტიური სტატუსის მქონე მიწაზე? იწვევს ცვლილებებს მინათსარგებლობაში (მაგ. გაყოფა სასოფლო და ურბანულ ზონებად, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ტიპში ცვლილება)?

იმისათვის, რომ მოვლენა განვიხილოთ როგორც ზეგავლენა, საჭიროა, **გამოვლინდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი** დაგეგმილ რეგულირების ცვლილებასა და კონკრეტულ ფიზიკურ შედეგებს შორის, მათ შორის:

- იმ ადამიანების კეთილდღეობა, რომლებზეც რეგულირება ახდენს ზეგავლენას და რომელთა ხარჯები და სარგებელი აღირიცხება შედარებისთვის. ამ დროს ვგულისხმობთ ხარჯებს, როდესაც ზეგავლენა ამცირებს ადამიანთა კეთილდღეობას და ვგულისხმობთ სარგებელს, როდესაც ზეგავლენა ზრდის ადამიანთა კეთილდღეობას;
- სხვა შესაბამისი ინდიკატორები, რომლებიც არ შედის ზემოხსენებულ განმარტებაში; ასევე, ამ შემთხვევებშიც ზეგავლენა შეიძლება იყოს დადებითი (რაც აუმჯობესებს მოცემულ ინდიკატორს) ან უარყოფითი (როდესაც უარესდება მოცემული ინდიკატორი).

კეთილდღეობაზე ზეგავლენის მაგალითია პირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს სოციალური დანახარჯების (მაგ. უნივერსალური ჯანდაცვის დაფინანსება) შემცირებას მოსახლეობის ყველაზე ღარიბი სეგმენტის კეთილდღეობაზე. ზეგავლენის მეორე ტიპის მაგალითი უკავშირდება ქვეყნის სიღარიბისა და უთანასწორობის ინდიკატორების ზრდას. მართალია, მხოლოდ პირველი ტიპის ზეგავლენა არის აქტუალური ეფექტურობის ანალიზისათვის (მაგ. ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი), მაგრამ მეორე ტიპის ზეგავლენა აქტუალური ხდება, თუ სხვა მეთოდოლოგია გამოიყენება, როგორიცაა მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი, რადგან ეს უკანასკნელი არ განიხილავს პოლიტიკის ინტერვენციის მხოლოდ ეფექტურობის შედეგებს.

ზეგავლენა შეიძლება იყოს **პირდაპირი** (ანუ უშუალო შედეგი, რაც მოჰყვება პოტენციურ ინტერვენციას) ან **ირიბი** (მეორეული), რაც გამომდინარეობს პირდაპირი ზეგავლენით გამოწვეული ქცევის ცვლილებით. პირდაპირი ცვლილებებისა და ზეგავლენის მაგალითია შემოსავლის ცვლილება, რომელსაც გამოიწვევს ლუდზე დამატებითი ღირებულების გადასახადის (VAT) გაზრდა და, შესაბამისად, ლუდზე მოთხოვნის შემცირება. არაპირდაპირი ცვლილებებისა და ზეგავლენის მაგალითია საქართველოში შინამეურნეობების მოხმარების ქცევის ცვლილება და მისგან გამოწვეული ცვლილება დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულ შემოსავალში.

გახსოვდეთ, რომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის მიზანია, გამოავლინოს და შეაფასოს, თუ რას ცვლის ინტერვენციის ინსტრუმენტი სტატუსკვოსთან (უმოქმედობის სცენართან) შედარებით. შესაბამისად, **ყურადღება უნდა გაამახვილოთ ახალ/დამატებით ზეგავლენაზე**, რომელსაც ახალი ალტერნატივა წარმოქმნის.

ზეგავლენის გამოვლენა საჭიროებს შემდეგს:

1. იმ ინდივიდების/ჯგუფების გამოვლენა, რომლებზეც პროექტი ახდენს ზეგავლენას;
2. უკვე არსებული ინდივიდების/ჯგუფების გამოვლენა;
3. მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა პროექტის შედეგებსა და გამოცდილების მქონე პირების სარგებლიანობას, ან/და სხვა შესაბამისი ინდიკატორების მოსალოდნელ ზეგავლენას შორის.

წყაროები, რომლებიც დაგეხმარებათ შესაბამისი ინფორმაციის მოძიებაში, რათა განამტკიცოთ თქვენი ანალიზი და განსაზღვროთ, რა ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს რეგულირების ცვლილებას (მეტ-ნაკლებად სანდო წყაროები), არის შემდეგი:

- სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც აფასებს ქვეყანაში ანალოგიური რეგულირების ცვლილებების ზეგავლენას;
- სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც აფასებს სხვა ქვეყანაში ანალოგიური რეგულირების ცვლილებების ზეგავლენას;
- სამეცნიერო ლიტერატურა, რომელშიც მოცემულია ქვეყანაში და/ან სხვა ქვეყანაში ანალოგიური რეგულირების ცვლილებების ზეგავლენის სიმულირება/პროგნოზირება (ასევე, თეორიულ დონეზე);
- მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი კვლევითი და პოლიტიკის გამტარებელი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ზეგავლენის შეფასება ან სიმულაციები;
- საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ზეგავლენის შეფასებები ან სიმულაციები;
- სპეციალიზებული სამთავრობო ინსტიტუციების მიერ ჩატარებული ზეგავლენის შეფასებები და სიმულაციები;
- ექსპერტთა მოსაზრებები;
- კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან;
- სხვა პირების მიერ ჩატარებული ზეგავლენის შეფასებები ან სიმულაციები.

პოტენციურად მნიშვნელოვანი სხვადასხვა ზეგავლენის ტიპების გამოვლენა, ამგვარად, დამოკიდებულია სამეცნიერო და/ან სოციალური მეცნიერების ცოდნის დონეზე. როდესაც განიხილება რეგულირების ცვლილების მოსალოდნელი ზეგავლენა, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ერთმანეთის საწინააღმდეგო შედეგების მომცემი მრავალი წყარო, რაც უფრო ნაკლებ სანდოა წყარო, მით უფრო ნაკლები უნდა იყოს მისი წონა. წყაროების განსხვავებული სანდოობა და ანალიტიკოსის საბოლოო არჩევანი, რამდენად ენდოს სხვადასხვა წყაროს, უნდა იყოს დასაბუთებული და გამჭვირვალე.

ზეგავლენის კატეგორიები შეძლებისდაგვარად განსხვავებული უნდა იყოს იმიტომ, რომ ზოგიერთ შემდეგს შეუძლია სარგებლის მოტანა გარკვეული ჯგუფისათვის, ხოლო სხვებისათვის – ზარალის. მაგალითად, როდესაც ხდება მწარმოებლების გაფართოებული პასუხისმგებლობის შემოღება, ეს დამატებით ხარჯებს იწვევს მწარმოებლებისათვის, მაგრამ საზოგადოების სხვა ჯგუფები იღებენ დამატებით სარგებელს, მაგალითად, გარემოს მდგომარეობის ხარისხის გაზრდით ან შემცირებული ნარჩენების მართვის ხარჯების სახით. მართალია, საბოლოოდ მოგება და ზარალი ერთ ინდიკატორზე დაიყვანება (წმინდა მიმდინარე ღირებულება), მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია, რომ ეს ზეგავლენები ცალ-ცალკე იყოს წარმოდგენილი რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის თხრობით ნაწილში.

3.5.2. ინდიკატორები

საუკეთესო შემთხვევაში ზეგავლენის იდენტიფიცირების ფაზას თან უნდა ახლდეს **გაზომვის ინდიკატორების** იდენტიფიკაცია და შერჩევა. გაზომვის ინდიკატორების დაზუსტება ხდება ზეგავლენის კატეგორიების დაზუსტებასთან ერთად.

გაზომვის ინდიკატორის შერჩევა დამოკიდებულია არსებულ მონაცემებზე და, თუ ხარჯთსარგებლიანობის ანალიზიც (CBA) განხორციელებულია, მხედველობაში მიიღება მონეტიზაციის სიმარტივეც. გაზომვის ინდიკატორების დაზუსტება შეიძლება იყოს პროცესი, რადგანაც სხვადასხვა ინდიკატორის შერჩევა კონკრეტული ზეგავლენის შეფასებისთვის შეიძლება სხვადასხვა დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევდეს. მაგალითად, ისეთი პოლიტიკის შეფასებისას, რომელმაც უნდა გამოიწვიოს ცვლილებები ტრანსპორტის სახეობების გამოყენებაში (და, ამგვარად, გავლენა მოახდინოს დამაბინძურებელი ნაწილაკების ემისიებზეც), შეიძლება ყურადღება გავამახვილოთ ემისიების რაოდენობაზე და/ან რეგულირების ეფექტებზე ჯანმრთელობაზე. უფრო რომ გავართულოთ ჩვენი ამოცანა, საჭირო მონაცემების ვერმიღების შემთხვევაში, გამოიყენება შემცვლელი ინდიკატორები (მაგ. დამნაშავეთა დაკავების რაოდენობის ცვლილებების მონაცემების გამოყენება დანაშაულის დონის ცვლილებების მონაცემების ნაცვლად). თუმცა **ყველა შემცვლელი ინდიკატორის გამოყენება გულისხმობს გარკვეული ინფორმაციის დაკარგვას**. ყველა აღნიშნული ასპექტი კარგად უნდა იყოს გათვალისწინებული.

ამ ფაზის ბოლოს რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა უნდა შექმნას ზეგავლენის კატეგორიებისა და შერჩეული გაზომვის ინდიკატორების ცხრილი, რომელშიც მოცემული იქნება შესაბამისი კომენტარები. ეს ზეგავლენები დეტალურად განიხილება თხრობით სექციაშიც (იხ. ცხრილი 14).

ცხრილი 14. შერჩეული ზეგავლენის და გაზომვის ინდიკატორების შეჯამება

ზეგავლენები	სახე 1) პირდაპირი 2) არაპირდაპირი	ჯგუფ(ებ)ი, რომლებმაც განიცადეს ზეგავლენა და/ან სხვა შესაბამისი ინდიკატორები, რომლებმაც განიცადეს ზეგავლენა	მოსალოდნელი შედეგების შეფასება (დადებითი ან უარყოფითი)	შესაბამისი საზომი ინდიკატორ(ებ)ი	ალტერნატივები, რომლებიც ექვემდებარება აღნიშნულ ზეგავლენას
ეკონომიკური					
•					
•					
გარემოსდაცვითი					
•					
•					
სოციალური					
•					
•					

ჩანართი 36 – რეკომენდებული ტექნიკური სახელმძღვანელო

რეგულირების ზეგავლენების კლასიფიკაცია, ასევე, თითოეული ტიპისა და შეფასების მიდგომის ახსნა წარმოდგენილია სახელმძღვანელოში:

Renda A. et al (2014), *რეგულირების ხარჯებისა და სარგებლის შეფასება* CEPS.

ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://ec.europa.eu/smart-regulation/impact/commission_guidelines/docs/131210_cba_study_sg_final.pdf

3.5.3. პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან

აღნიშნული ქვეთავი მომზადდა იმისათვის, რომ მკითხველს დაეხმაროს განხილული ცნებების კონსოლიდაციაში და მიეცეს საშუალება, გაიზიაროს რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის ანალიტიკოსების გამოცდილება და მიდგომები, რაც მათ დააგროვებს და შეიმუშავებს საქართველოს კონტექსტში რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების შედეგად.

ოჯახში დასაქმებულების კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების დროს რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გამოავლინა 35-ე ჩანართში მოცემული პოლიტიკის ალტერნატივების განხორციელების ზეგავლენა. პოლიტიკის ალტერნატივების თვისობრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ შერჩეულ პოლიტიკის ალტერნატივებს ექნებოდა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ოჯახში დასაქმებულების შრომის ბაზარზე. გამოვლინდა ზეგავლენა სოციალურ, ეკონომიკურ და გენდერულ განზომილებებზე. პოლიტიკის ალტერნატივების ზეგავლენის მოკლე შეჯამება მოცემულია 37-ე ჩანართში.

ჩანართი 37 – ოჯახში დასაქმებულების კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის ფარგლებში შერჩეული ალტერნატივების ზეგავლენები

ოჯახში დასაქმებულების კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესში შერჩეულ ყველა პოლიტიკის ალტერნატივას ზეგავლენა ექნებოდა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, შრომის ბაზარზე, ოჯახში დასაქმებულების დამსაქმებლებზე, სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, გენდერულ თანასწორობასა და საჯარო ფინანსებზე. ქვემოთმოცემულ ცხრილში შეჯამებულია თითოეული ალტერნატივის ზეგავლენები (ყველა ზეგავლენა წარმოდგენილია როგორც ცვლილება სტატუსკვოსთან – პოლიტიკის ალტერნატივა 0-თან მიმართებით).

შერჩეული ალტერნატივების ზეგავლენების შეჯამება

ზეგავლენები	სახე 1) პირდაპირი 2) არაპირ- დაპირი	ჯგუფ(ებ)ი, რომლებმაც განიცადეს ზეგავლენა და/ან სხვა შესაბამისი ინდიკატორები, რომლებმაც განიცადეს ზეგავლენა	მოსალოდნელი შედეგების შეფასება (დადებითი ან უარყოფითი)	შესაბამისი საზომი ინდიკატორ(ებ)ი	ალტერნა- ტივები, რომლებიც ექვემდებ- არება აღნიშნულ ზეგავლენას
ეკონომიკური					
ცვლილება ოჯახში დასაქმებულების დასაქმებაში	პირდაპირი	ოჯახში დასაქმებულები	ბუნდოვანი	ოჯახში დასაქმებულების რაოდენობა	ალტერნატივა 1 (მეტი); ალტერნა- ტივა 2
ცვლილებები ზოგადად დასაქმებაში	არაპირდაპირი	ოჯახში დასაქმებულების დამსაქმებლები; დასაქმების სააგენტოებში დასაქმებული პირები; მოთხოვნა შრომის ინსპექტორებზე; მოთხოვნა იურისტებზე	ბუნდოვანი დადებითი დადებითი დადებითი	ოჯახში დასაქმებულების რაოდენობა; ოჯახში დასაქმებულების წილი, რომლებიც დაქირავებულები არიან დასაქმების სააგენტოების მეორე; შრომის ინსპექტორების რაოდენობა	ალტერნატივა 1 (მეტი); ალტერნა- ტივა 2
დასაქმების სააგენტოებისა და სხვა დამქირავებლების მოთხოვნა ოჯახში დასაქმებულებზე	პირდაპირი	დასაქმების სააგენტოები	დადებითი ბუნდოვანი	დასაქმების სააგენტოების მიერ დასაქმებული ოჯახში დასაქმებულების რაოდენობა	ალტერნატივა 1 (მეტი); ალტერნა- ტივა 2
შრომის ბაზრის ეფექტურობა: ანაზღაურება, მოლაპარაკებების ძალაუფლება; ინფორმირებული გადაწყვეტილება; კვლევის ხარჯები	პირდაპირი	დამსაქმებელი დასაქმებული	დადებითი დადებითი	ოჯახში დასაქმებულების საშუალო ხელფასი; ოჯახში დასაქმებულების პროფკავშირების რაოდენობა	ალტერნატივა 1; ალტერნა- ტივა 2 (მეტი)
ეკონომიკური განვითარება	არაპირდაპირი	შინამეურნე- ობები	დადებითი დადებითი	შინამეურნეობების საცხოვრებელი პირობების თვითშეფასება; სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსის თვითშეფასება	ალტერნატივა 1 (მეტი); ალტერნა- ტივა 2

გენდერული თანასწორობა					
ქალთა ეკონომიკური კეთილდღეობის გაძლიერება	არაპირდაპირი	დასაქმებელი; დასაქმებული	დადებითი დადებითი	დასაქმებულ ქალთა წილი	ალტერნატივა 1; ალტერნატივა 2 (მეტი)
სოციალური					
სიღარიბე	არაპირდაპირი	ოჯახში დასაქმებულები	ბუნდოვანი	ოჯახში დასაქმებულების საშუალო ხელფასი	ალტერნატივა 1 (მეტი); ალტერნატივა 2
კულტურული და სოციალური ბარიერები; ოჯახში დასაქმებულებთან დაკავშირებული სტიგმა	არაპირდაპირი	ოჯახში დასაქმებულები; დამსაქმებულები	ბუნდოვანი	იმ ადამიანთა წილი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ოჯახში დასაქმება „არასათანადო“ სამსახურია	ალტერნატივა 1; ალტერნატივა 2
ოჯახში დასაქმებულების ჯანდაცვის ხარჯები (ხარჯები და სტატუსი)	არაპირდაპირი	ოჯახში დასაქმებულები	დადებითი	ოჯახში დასაქმებულების მიერ ჯანდაცვაზე დახარჯული საშუალო თანხა	ალტერნატივა 1; ალტერნატივა 2
ექსპლუატაციის, დისკრიმინაციის, შევიწროების შემთხვევები	არაპირდაპირი	დასაქმებული; დამსაქმებელი	დადებითი დადებითი	ექსპლუატაციის, დისკრიმინაციის, შევიწროების შემთხვევების რაოდენობა; სასამართლოში მოგებული საქმეების რაოდენობა	ალტერნატივა 1 (მეტი); ალტერნატივა 2
საჯარო ფინანსები					
გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი (საშემოსავლო და მოგების გადასახადი)	პირდაპირი	დასაქმების სააგენტოები; ოჯახში დასაქმებულები	დადებითი დადებითი	ოჯახში დასაქმებულების მიერ პირდაპირ თუ ირიბად გადახდილი გადასახადები	ალტერნატივა 1 (მეტი); ალტერნატივა 2
სახელმწიფოს მიერ საპენსიო ფონდში შეტანილი თანხა	პირდაპირი	სახელმწიფო	უარყოფითი	ოჯახში დასაქმებულების საპენსიო ფონდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეტანილი თანხა	ალტერნატივა 1 (მეტი); ალტერნატივა 2

დედობის დაცვა	პირდაპირი	სახელმწიფო	უარყოფითი	იმ დედებისთვის მიცემული დეკრეტული შვებულების დღეების რაოდენობა, რომლებიც ოჯახში არიან დასაქმებულები; ოჯახში დასაქმებული დედის დეკრეტული ანაზღაურებადი შვებულება	ალტერნატივა 1 (მეტი); ალტერნატივა 2
იურიდიული დახმარების ხარჯები	არაპირდაპირი	სახელმწიფო	უარყოფითი	ოჯახში დასაქმებულებისთვის გაწეული იურიდიული დახმარების ხარჯები	ალტერნატივა 1 (მეტი); ალტერნატივა 2
ადმინისტრაციული და საბიუჯეტო ხარჯები	არაპირდაპირი	სახელმწიფო	უარყოფითი	დამატებითი საბიუჯეტო ხარჯები; საჯარო მოხელეების დამატებითი სამუშაო დატვირთვა	ალტერნატივა 1 (მეტი); ალტერნატივა 2
სახელმწიფო ჯანდაცვის ხარჯები	არაპირდაპირი გრძელვადიანი	სახელმწიფო	დადებითი	ოჯახში დასაქმებულების ჯანდაცვაზე დახარჯული თანხა	ალტერნატივა 1; ალტერნატივა 2
მიზნობრივი სოციალური დახმარების ხარჯები	არაპირდაპირი	სახელმწიფო	დადებითი	ოჯახში დასაქმებულების ოჯახებისთვის გაწეულ სოციალურ დახმარებაზე დახარჯული თანხა	ალტერნატივა 1 (მეტი); ალტერნატივა 2
მდგრადი განვითარების მიზნები (SDG)					
SDG 1. სიღარიბე SDG 3. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა SDG 5. გენდერული თანასწორობა SDG 8. ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა SDG 10. შემცირებული უთანასწორობა	პირდაპირი	საზოგადოება	დადებითი	ოჯახში დასაქმებულებისა და მათი ოჯახების საშუალო შემოსავალი; ოჯახში დასაქმებულებისა და მათი ოჯახების მიერ გაწეული ჯანდაცვის ხარჯები; ოჯახში დასაქმებულების სამუშაო პირობები	ალტერნატივა 1 (მეტი); ალტერნატივა 2

აღსანიშნავია, რომ მე-14 ცხრილში მოცემული ზეგავლენების შეჯამების შაბლონისაგან განსხვავებით, რეგულირების ზეგავლენის შეფასების ამ დოკუმენტში პოლიტიკის ალტერნატივის გარემოსდაცვითი ზეგავლენები არ იყო გათვალისწინებული, რადგან არცერთ შემოთავაზებულ ალტერნატივას არ ჰქონდა მნიშვნელოვანი პირდაპირი თუ ირიბი ზეგავლენა გარემოზე.

მოსალოდნელი იყო, რომ წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შერჩეულ პოლიტიკის ალტერნატივებს სხვადასხვაგვარი ზეგავლენა ექნებოდა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფზე (როგორცაა წყლით მოსარგებლე ეკონომიკური სუბიექტები, კომუნიკაციების ოპერატორი კომპანიები, ა.შ.). რეგულირების შეფასების გუნდმა გამოავლინა შერჩეული ალტერნატივების ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენები. ასევე, გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული ტვირთის ცვლილებაც. პოლიტიკის ალტერნატივების ზეგავლენის შეფასება მოცემულია 38-ე ჩანართში.

ჩანართი 38 – წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შერჩეული ალტერნატივების ზეგავლენები

შერჩეული პოლიტიკის ალტერნატივებს ზეგავლენა ექნებოდა დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრზე, მათ შორის, წყლის მიმწოდებელ კომპანიებზე, ენერგეტიკის სექტორზე, წყლით მოსარგებლე ეკონომიკურ სუბიექტებზე, რომლებიც სხვა სექტორში (მაგ., სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და მომსახურების სფერო) ოპერირებენ, ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობაზე, მოქალაქეებზე, ა.შ. ზეგავლენების ანალიზის ნაწილში რეგულირების შეფასების გუნდმა შეაფასა შემოთავაზებული ალტერნატივების ზეგავლენები სტატუსკვოსთან მიმართებით. ალტერნატივების მოსალოდნელი ზეგავლენები შეჯამებულია ქვემოთ ცხრილში.

შერჩეული ალტერნატივების ზეგავლენების შეჯამება

ზეგავლენები	სახე 1) პირდაპირი 2) არაპირდაპირი	ჯგუფ(ები), რომლებმაც განიცადეს ზეგავლენა და/ან სხვა შესაბამისი ინდიკატორები, რომლებმაც განიცადეს ზეგავლენა	მოსალოდნელი შედეგების შეფასება (დადებითი ან უარყოფითი)	შესაბამისი საზომი ინდიკატორ(ებ)ი	ალტერნატივები, რომლებიც ექვემდებრება აღნიშნულ ზეგავლენას
ეკონომიკური					
წყლის რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ გაურკვევლობის შემცირება	პირდაპირი	წყლით მოსარგებლე ეკონომიკური სუბიექტები	დადებითი	წყლით მოსარგებლე ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა	ალტერნატივა 1 (მეტი) ალტერნატივა 2
წარმოებისათვის უკეთესი ხარისხის წყალზე წვდომა	პირდაპირი	წყლით მოსარგებლე ეკონომიკური სუბიექტები	დადებითი	ეკონომიკური სუბიექტების წარმოების საშუალო ხარჯები	ალტერნატივა 1 (მეტი) ალტერნატივა 2
ალტერნატიულ მომხმარებლებს შორის წყლის რესურსების ეფექტური გადანაწილება	პირდაპირი	წყლით მოსარგებლე ეკონომიკური სუბიექტები; მოქალაქეები	დადებითი	სუფთა წყალზე წვდომის მქონე პირების, შინამეურნეობების, ორგანიზაციებისა და ბიზნესების რაოდენობა; მრეწველობის წილი მშპ-ში, რომელთაც აქვთ წვდომა სუფთა წყალზე	ალტერნატივა 1 (მეტი) ალტერნატივა 2

წყლის სერვისების მიწოდების ხარჯების ზრდა	პირდაპირი	წყლით მოსარგებლე ეკონომიკური სუბიექტები; მოქალაქეები; წყლის მიმწოდებელი კომპანიები	უარყოფითი	წყლის რესურსებით სარგებლობისათვის გადახდილი ტარიფების/ გადასახადების საერთო რაოდენობა	ალტერნა-ტივა 1 ალტერნა-ტივა 2
სოციალური					
წყლის რესურსებით სარგებლობის ხარჯების ზრდა	პირდაპირი	მოქალაქეები (სოფლად და ქალაქად); წყლის მიმწოდებელი კომპანიები	უარყოფითი	წყლით სარგებლობის საფასური; წყლის სერვისებზე გადახდილი განკარგვადი შემოსავლის წილი	ალტერნა-ტივა 1 ალტერნა-ტივა 2
წყლის ხარისხის გაუმჯობესების შედეგად ჯანდაცვაზე დახარჯული ხარჯების შემცირება	პირდაპირი	მოქალაქეები (ქალად და სოფლად)	დადებითი	საზოგადოების დანახარჯები ჯანდაცვაზე	ალტერნა-ტივა 1 ალტერნა-ტივა 2
გარემოს დაცვა					
წყლის ობიექტების გაუმჯობესებული ეკოლოგიური სტატუსი	პირდაპირი	მოქალაქეები, წყლით მოსარგებლე ეკონომიკური სუბიექტები	დადებითი	წყლის ობიექტებში მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია	ალტერნა-ტივა 1 ალტერნა-ტივა 2
ბუნებრივი კატასტროფების მოვლენების უკეთესი მართვა	პირდაპირი	მოქალაქეები, წყლით მოსარგებლე ეკონომიკური სუბიექტები; მთავრობა	დადებითი	იმ ბუნებრივი კატასტროფების რაოდენობა, რომელთა უარყოფითი ზეგავლენის შემცირებაც მოხდა; ბუნებრივი კატასტროფების შედეგად მიყენებული ზარალი	ალტერნა-ტივა 1 ალტერნა-ტივა 2
ადმინისტრაციული					
დამატებითი ნებართვების გაცემა	დადებითი	მთავრობა	უარყოფითი	დამატებითი ნებართვების გაცემაზე დახარჯული დრო	ალტერნა-ტივა 1 ალტერნა-ტივა 2 (მეტი)

მონიტორინგი და ზედამხედველობა	დადებითი	მთავრობა	უარყოფითი	მონიტორინგსა და ზედამხედველობაზე დახარჯული დრო	ალტერნა- ტივა 1 ალტერნა- ტივა 2 (მეტი)
საჯარო ფინანსები					
გაზრდილი სამუშაოს მოცულობისათვის ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება	პირდაპირი	მთავრობა	უარყოფითი	პერსონალისათვის გადახდილი ხელფასი	ალტერნა- ტივა 1 ალტერნა- ტივა 2 (მეტი)
წყლის გაზრდილი ტარიფისა და გადასახადებისგან მიღებული შემოსავალი	პირდაპირი	მთავრობა	დადებითი	ტარიფებისა და გადასახადებისაგან მიღებული მთლიანი შემოსავალი	ალტერნა- ტივა 1 ალტერნა- ტივა 2

ირიგაციის სექტორის რეფორმის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მთავარ დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენდნენ საქართველოს მელიორაცია, ფერმერები და პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები. ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა გააანალიზა, რა შედეგი მოჰყვებოდა რომელიმე შემოთავაზებული პოლიტიკის ალტერნატივის მიღებას. შერჩეული ალტერნატივების ზეგავლენები მოცემულია 39-ე ჩანართში.

**ჩანართი 39 – ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის
რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შერჩეული ალტერნატივების
ზეგავლენები**

შემოთავაზებულ ალტერნატივებს ზემოქმედება ექნებოდა ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებზე. რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა, ასევე, შეაფასა საჯარო ფინანსებში ცვლილებები და დამატებითი ადმინისტრაციული ტვირთი სტატუსკვოსთან მიმართებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საქართველოს მელიორაციაზე, ფერმერებსა და სამთავრობო უწყებებზე პოლიტიკის ალტერნატივების პოტენციური ზეგავლენები.

შერჩეული ალტერნატივების ზეგავლენების შეჯამება

ზეგავლენები	სახე 1) პირდაპირი 2) არაპირ- დაპირი	ჯგუფ(ებ)ი, რომლებმაც განიცადეს ზეგავლენა და/ან სხვა შესაბამისი ინდიკატორები, რომლებმაც განიცადეს ზეგავლენა	მოსალო- დნელი შედეგების შეფასება (დადებითი ან უარყოფითი)	შესაბამისი საზომი ინდიკა- ტორ(ებ)ი	ალტერნა- ტივები, რომლებიც ექვემდებ- რება აღნიშნულ ზეგავლენას
ეკონომიკური					
სხვადასხვა კულტურებისათვის ოპტიმალური ირიგაციის ტექნოლოგიების შემოღება	პირდაპირი	ფერმერები	დადებითი	ფერმერთა წილი, რომლებიც იყენებენ ირიგაციის ეფექტურ ტექნოლოგიებს	ალტერნა- ტივა 1 ალტერნა- ტივა 2
სოფლის მეურნეობის სხვა სექტორებში გაზრდილი წარმოება	პირდაპირი	ფერმერები	დადებითი	წარმოების გაზრდილი მოცულობა და ღირებულება	ალტერნა- ტივა 1 ალტერნა- ტივა 2
ტარიფის ფიქსირებული კომპონენტით გამოწვეული არაეფექტიანობა სისტემაში (გადახდა ხდება არმორწყვის შემთხვევაშიც)	პირდაპირი	ფერმერები, საქართველოს მელიორაცია	უარყოფითი	ირიგაციის მიზნებისათვის წყლის პოტენციურად არაეფექტიანად გამოყენება	ალტერნა- ტივა 1 ალტერნა- ტივა 2
საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის გაუარესებული კონკურენტუნარიანობა	პირდაპირი	ფერმერები	უარყოფითი	ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე გაყიდული სოფლის მეურნეობის ნაწარმი	ალტერნა- ტივა 1 ალტერნა- ტივა 2 (მეტი)
სოციალური					
ფერმერთა შემცირებული განკარგვადი შემოსავალი	პირდაპირი	ფერმერები	უარყოფითი	ირიგაციისა და დრენაჟის მომსახურებების გადასახადები; მომსახურებების გადასახადების გადახდის შემდეგ ფერმერთა საშუალო განკარგვადი შემოსავალი	ალტერნა- ტივა 1 ალტერნა- ტივა 2 (მეტი)

გამოუყენებელი მიწების ალტერნატიული დანახარჯი (აისახება ტარიფის ფიქსირებულ კომპონენტში)	პირდაპირი	ფერმერები	უარყოფითი	გამოუყენებელი მიწის ალტერნატიული დანახარჯი	ალტერნა- ტივა 1 ალტერნა- ტივა 2 (მეტი)
გარემოს დაცვა					
მდინარეების გაუმჯობესებული ჰიდროლოგიური მდგომარეობა	პირდაპირი	ფერმერები, საქართველოს მელიორაცია, მთავრობა, მოსახლეობა	დადებითი	მდინარეში წყალარინების დონეები; წყლის ხარისხის ინდიკატორები	ალტერნა- ტივა 1 ალტერნა- ტივა 2 (მეტი)
ადმინისტრაციული					
გაზრდილი ადმინისტრაციული ტვირთი გამჭვირვალობის სტანდარტების უზრუნველყო- ფისათვის	პირდაპირი	საქართველოს მელიორაცია	უარყოფითი	საქართველოს მელიორაციის ადმინისტრაციის თანამშრომლების ხელფასები/ სამუშაო დატვირთვა	ალტერნა- ტივა 1 ალტერნა- ტივა 2
საქართველოს მელიორაციის მიერ მონიტორინგის სისტემებში განხორციელებული გაზრდილი ინვესტიცია	პირდაპირი	საქართველოს მელიორაცია	უარყოფითი	საქართველოს მელიორაციის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლების ხელფასები/ სამუშაო დატვირთვა	ალტერნა- ტივა 1 ალტერნა- ტივა 2 (მეტი)
ტარიფის დაწესებით გამოწვეული გაზრდილი ადმინისტრაციული ტვირთი	პირდაპირი	საქართველოს მელიორაცია	უარყოფითი	საქართველოს მელიორაციის ადმინისტრაციის თანამშრომლების ხელფასები / სამუშაო დატვირთვა	ალტერნა- ტივა 1 ალტერნა- ტივა 2
საჯარო ფინანსები					
საქართველოს მელიორაციის მიერ მონიტორინგის სისტემებში განხორციელებული გაზრდილი ინვესტიცია	პირდაპირი	საქართველოს მელიორაცია	უარყოფითი	საინვესტიციო ხარჯები	ალტერნა- ტივა 1 ალტერნა- ტივა 2

საქართველოს მელიორაციის შემცირებული შემოსავალი რეგისტრაციის შენელებული პროცესის გამო (ტარიფის დაწესების მეთოდოლოგიის ადრეულ ეტაპზე გამოცხადების შედეგად)	პირდაპირი	საქართველოს მელიორაცია	უარყოფითი	საქართველოს მელიორაციის შემოსავალი	ალტერნატივა 1 ალტერნატივა 2 (მეტი)
ფერმერების დამატებითი სუბსიდირება ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის	პირდაპირი	საქართველოს მთავრობა, ფერმერები	უარყოფითი დადებითი	სუბსიდიის მოცულობა	ალტერნატივა 1 ალტერნატივა 2
საქართველოს მელიორაციის საქმიანობის მონიტორინგის ხარჯები	პირდაპირი	საქართველოს მთავრობა, საქართველოს მელიორაცია	უარყოფითი	მონიტორინგის ხარჯები	ალტერნატივა 1 ალტერნატივა 2
სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სხვა სასოფლო-სამეურნეო პროგრამების გაზრდილი ეფექტიანობა	არაპირდაპირი	საქართველოს მთავრობა, ფერმერები	დადებითი	სოფლის მეურნეობის სხვა პროგრამების მომგებიანობა; სოფლის მეურნეობის სხვა პროგრამების დაფინანსების მოცულობა	ალტერნატივა 1 ალტერნატივა 2

3.6. ჩაოქონოზრირი ზეგავლენის შეფასება, მონეშიზაზი და დისკონსიზება

ზეგავლენების გამოვლენისა და შესაბამისი ინდიკატორების შერჩევის შემდეგ რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის შემდეგი ეტაპია (განსაკუთრებით სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელებისას) ზეგავლენების რაოდენობრივი შეფასება.

დადგენილების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სტანდარტული რეგულირების ზეგავლენის შეფასების მინიმალური მოთხოვნაა თითოეული ალტერნატივის **პირდაპირი შესაბამისობის ხარჯებისა და საჯარო ფინანსებზე ზეგავლენის განსაზღვრა** რაოდენობრივი ინდიკატორით საბაზისო/უმოქმედობის სცენართან მიმართებით. დადგენილების მეორე დანართის ცხრილი, რომელშიც აღწერილია სტანდარტულ და სიღრმისეულ რეგულირების ზეგავლენის შეფასებებს შორის განსხვავება, ამბობს, რომ, თუ რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტში არ არის მოცემული პირდაპირი შესაბამისობის ხარჯები და საჯარო ფინანსებზე ზეგავლენები, საჭიროა დასაბუთება, რატომ არ არის ეს ზეგავლენები აღწერილი. ცხრილი, ასევე, ამბობს, რომ ყველა სხვა პირდაპირი და არაპირდაპირი

ზეგავლენა (ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და სექტორის კონკრეტული ქვეკატეგორიები) თვისობრივად უნდა შეფასდეს.

დადგენილების იმავე მუხლის მეორე პუნქტში გაწერილია, რომ *სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის მომზადებისას ხდება ალტერნატივების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ზეგავლენების კვანტიფიკაცია საბაზისო/უმოქმედობის სცენართან მიმართებით. როგორც სტანდარტული რეგულირების ზეგავლენის შეფასების შემთხვევაში, ისე ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება ზეგავლენების რაოდენობრივი შეფასება, ამის მიზეზები ნათლად უნდა იყოს ნაჩვენები, ხოლო ზეგავლენები უნდა შეფასდეს ალტერნატიული თვისებრივი მეთოდებით.*

ზეგავლენების რაოდენობრივად განსაზღვრისა და მონეტიზაციის გამოწვევების განხილვამდე მნიშვნელოვანია, დავაკონკრეტოთ, რომ დადგენილების ტექსტში კვანტიფიკაცია და მონეტიზაცია ერთმანეთის სინონიმია. პრაქტიკაში ზეგავლენების კვანტიფიკაცია წინ უსწრებს მონეტიზაციას, როგორც ეს ქვემოთაა განხილული.

3.6.1. რაოდენობრივი ზეგავლენის შეფასება

რაოდენობრივი ზეგავლენის შეფასება რთული სამუშაოა, რადგან თითქმის ყველა შემთხვევაში **ზეგავლენები იზრდება დროთა განმავლობაში**, ეს კი გულისხმობს, რომ წინასწარ უნდა განსაზღვროთ სხვადასხვა ალტერნატივის შესაბამისი ზეგავლენები თითოეული პერიოდისთვის. წინასწარ განსაზღვრა განსაკუთრებით რთული ხდება, როდესაც პროგნოზები უნიკალურია (არ არსებობს წარსული გამოცდილება), არის გრძელვადიანი ან ცვლადებს შორის კავშირი კომპლექსურია.

პროგნოზირება რთულია შემდეგი მიზეზების გამო:

- ცალკეული პირების ქცევის შეცვლაზე მიმართულ საჯარო პოლიტიკასა თუ პროგრამებს შეიძლება მოჰყვეს **მოულოდნელი ცვლილებები** (მაგ. ქცევის კომპენსირება – მორალური საფრთხე – სავალდებულო უსაფრთხოების მძღოლებს მაღალი სიჩქარით მოძრაობის სტიმულს აძლევს);
- **პოლიტიკას შეიძლება ზემოქმედება ჰქონდეს მესამე მხარეების ქცევაზე** იმგვარად, რომ ამან შესაძლოა გაზარდოს ან შეამციროს პოლიტიკის განხორციელების ხარჯები ან სარგებელი (მაგ. საქონლის გარკვეული კატეგორიების დღგ-ისგან გათავისუფლებამ მათი მოხმარების გაზრდის მიზნით შეიძლება გამოიწვიოს კონკურენტი საქონლის ფასების უფრო დიდი შემცირება ბაზარზე, რის შედეგადაც ამ კონკრეტულ საქონელზე მოთხოვნა უმნიშვნელოდ გაიზრდება, ხოლო მისგან მიღებული დღგ-ის შემოსავალი მნიშვნელოვნად შემცირდება იმ ბაზრებთან შედარებით, რომლებზეც დღგ-ის გადასახადის ცვლილება არ მომხდარა);
- პროგნოზირებას შეიძლება დასჭირდეს **სამეცნიერო ცოდნა**, რაც ბუნდოვანია (მაგ. ახალი თაობის მობილური ტელეფონების ანტენებით გამოწვეული ელექტრომაგნიტური ველებით დასხივების გრძელვადიანი ზეგავლენა ჯანმრთელობაზე).

თითოეული გამოვლენილი ზეგავლენისათვის, თუ რელევანტურია, უნდა განსაზღვროთ შემდეგი:

- ალტერნატივის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული პირების/საწარმოების/საგნების რაოდენობა უმოქმედობის ალტერნატივასთან შედარებით;
- მოსალოდნელი ზეგავლენა ერთ გაზომვის ერთეულზე (პირზე, საწარმოზე, საგანზე, ა.შ.).

ამ ყველაფერს შედეგად მოჰყვება რაოდენობრივად შესაფასებელი ზეგავლენების რაოდენობის ზრდა. მაგალითად, უსაფრთხოების სავალდებულო ღვედების შემოღების განხილვისას, როგორც ზემოთაა მოცემული, რაოდენობრივად უნდა შევაფასოთ სულ მცირე შემდეგი ზეგავლენები ყველა სცენარისათვის (მათ შორის, სტატუსკვოს სცენარისათვის):

- მოსალოდნელი ავარიების რაოდენობა (რომელიც შეგვიძლია გამოვსახოთ როგორც მოსალოდნელი სიჩქარის ფუნქცია);
- ავარიების შედეგები (დაზარალებული ინდივიდების/მანქანების რაოდენობა და საკუთრებასა და ინდივიდებზე მიყენებული ზიანის მოცულობა);
- აღმასრულებელი უწყება და აღსრულების მექანიზმები;
- ადმინისტრაციულ და აღსრულების აქტივობებზე სახელმწიფო უწყებების მიერ დახარჯული დრო;
- ადმინისტრაციული და აღსრულების აქტივობების გამო საზოგადოების მიერ დაკარგული დრო;
- საჭირო ინტერვენციების რაოდენობა (მაგ. უსაფრთხოების ღვედების განთავსება).

აღნიშნული ინფორმაცია დაგეხმარებათ, რაოდენობრივად შეაფასოთ ზეგავლენები მათი კატეგორიების მიხედვით (მაგალითად, გადარჩენილი სიცოცხლის რაოდენობა, გადარჩენილი სიცოცხლის წლები ხარისხის გათვალისწინებით, ინტერვენციის შედეგად ავტომობილის შეკეთებაზე დახარჯული დრო და სხვა რესურსები, აღსრულების აქტივობებზე სახელმწიფო უწყებების მიერ დახარჯული დამატებითი საათების რაოდენობა, ადმინისტრაციული და აღსრულების აქტივობების გამო საზოგადოების მიერ დახარჯული საათების რაოდენობა).

3.6.2. მონეტიზაცია

თუ გაინტერესებთ ასეთი ზეგავლენებისათვის მონეტარული ღირებულების მინიჭება, პოლიტიკის ცვლილებასთან დაკავშირებული ხარჯისა და სარგებლის გამოთვლა, კიდევ ერთი ეტაპია საჭირო: **მონეტიზაცია**.

მონეტიზაცია გულისხმობს საერთო ზეგავლენების გამრავლებას ზეგავლენის სავარაუდო ერთეულ ფასზე. **ბაზრების არსებობისა და მათი გამართულად მუშაობის პირობებში** შესაძლებელია, მონეტარულად შევაფასოთ პოლიტიკის უარყოფითი ზეგავლენა, ასევე, დადებითი ზეგავლენის შემთხვევაში, განვსაზღვროთ საზოგადოების გადახდისთვის მზადყოფნა, ამ დადებითი ცვლილების მისაღებად. მაგალითად, თუ არსებობს ბაზარი უსაფრთხოების ღვედების დამონტაჟებისათვის სტანდარტული ტარიფებით, მაშინ მარტივი იქნება საზოგადოებასა და სახელმწიფო ბიუჯეტზე დაკისრებული ტვირთის მონეტიზაცია, უსაფრთხოების ღვედის საშუალო ფასის გამრავლებით დამონტაჟებული ღვედების რაოდენობაზე (სუბსიდიის არსებობის შემთხვევაში, მონეტიზაციისას ის უნდა იყოს გათვალისწინებული).

პრობლემა წამოიჭრება, როდესაც **არ არსებობს ბაზრები ან ისინი გამართულად ვერ ფუნქციონირებს**, რადგან ან არ არსებობს ფასი – იმ შემთხვევებშიც, სადაც შეიძლება გარკვეული ფასის დადგენა მაინც – ან ფასი სრულად ვერ ასახავს ზეგავლენების მონეტარულ ღირებულებას. ასეთ შემთხვევებში ანალიტიკოსმა უნდა იპოვოს მეთოდი, რომელიც დაეხმარება ზეგავლენის დაახლოებითი (სწორი) ღირებულების პოვნაში (ე.წ. „ჩრდილოვანი ფასი“). ზეგავლენის ღირებულება შეიძლება შეფასდეს როგორც პირდაპირ (მაგალითად, „ჩრდილოვანი ფასის“ შეფასების ერთი ან რამდენიმე ფართოდ გამოყენებული მეთოდოლოგიის საშუალებით) ან არაპირდაპირ (ლიტერატურის ანალიზის შედეგების გამოყენებით).

მაგალითად, როდესაც ხდება იმ პოლიტიკის ცვლილების **სარგებლის მონეტიზაცია**, რასაც შედეგად მოაქვს გზებზე სიკვდილიანობის შემცირება ან ქალაქში ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება (ან პირიქით, ქალაქში ჰაერის ხარისხის გაუარესებასთან დაკავშირებული ხარჯები), ხარჯთეფექტიანობის ანალიტიკოსების უმეტესობა იყენებს საშუალოსტატისტიკური სიცოცხლის ღირებულების მეთოდს (VSL), რაც ითვალისწინებს „ფასს“, რისი გადახდის სურვილიც აქვთ ადამიანებს, რათა აიცილონ სიკვდილიანობის რისკი, ან კომპენსაციას, რისი მიღების სურვილიც აქვთ გაზრდილი სიკვდილიანობის რისკის შემთხვევაში. ასევე, ხარჯთეფექტიანობის ანალიზისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონცეპტუალურად მსგავსი ინდიკატორები, როგორიცაა ცხოვრების წლების ღირებულება (VLY), სიცოცხლის წლები ხარისხის გათვალისწინებით (ან სიცოცხლის წლები დაკორექტირებული შეზღუდული ქმედუნარიანობის პერიოდით), ა.შ., რაც გამომდინარეობს წინა კვლევებიდან. როგორც წესი, ასეთი შეფასების მეთოდების გამოყენება საჭირო ხდება მაშინ, როდესაც ანალიტიკოსებმა უნდა დაადგინონ ზეგავლენის ჩრდილოვანი ფასი, რაც მისი ბუნებიდან გამომდინარე რთულად განსაზოციელებელია და დიდ დროს მოითხოვს.

3.6.2.1. პირდაპირი შესაბამისობის ხარჯებისა და სახელმწიფო ფინანსებზე ზეგავლენის მონეტიზაცია

ფართო გაგებით პირდაპირი შესაბამისობის ხარჯები მოიცავს ყველა (დამატებით) ხარჯს, რომელსაც კომპანია გაიღებს იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს ახალი რეგულაციის პირობები:

ასეთი ხარჯები მოიცავს:

1. საჯარო ადმინისტრაციისათვის გადახდილ ახალ/უფრო მაღალ გადასახადებს;
2. შესაბამისობაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების და/ან გარე კონსულტანტების საქმიანობის ანაზღაურების ხარჯებს (მაგ. ახალი დავალებების შესრულებაზე დახარჯულ დამატებით საათებს);
3. რეგულირების ანგარიშგების ხარჯებს (მაგ. მასთან დაკავშირებული ტრანსპორტირების ხარჯებს);
4. საქმიანობის რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანისთვის საჭირო სისტემებს (მაგ. კომპიუტერულ პროგრამას, ტექნიკას, დაბინძურების საწინააღმდეგო ფილტრებს, ა.შ.);
5. სხვა გრძელვადიან სტრუქტურულ ცვლილებებს (მაგ. ცვლილებს საქმიანობის ოპტიმალურ მასშტაბებში).

ყველა ზემოაღნიშნული პუნქტის მონეტიზაცია მოითხოვს ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ კომპანიებსა და სექტორის ექსპერტებთან მრავალჯერად კონსულტაციას, რომლის განმავლობაში დეტალურად უნდა ახსნათ თითოეული ალტერნატივის ახალი მოთხოვნები იმისათვის, რომ სანდოდ მოხდეს ზეგავლენის მონეტიზაცია.

აღსრულების ხარჯების მონეტიზაციისათვის შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ პირდაპირი მეთოდოლოგიით, რომელიც ცნობილია როგორც **ხარჯების სტანდარტული მოდელი (SCM)**. როგორც მე-40 ჩანართშია მოცემული, ხარჯების სტანდარტული მოდელი გულისხმობს თითოეული ეკონომიკური აგენტის მიერ (ინდივიდები და საწარმოები) შესასრულებელი აქტივობების მოსალოდნელი რაოდენობის ნამრავლს შემდეგ ცვლადებზე: თითოეულ აქტივობაზე დახარჯული საშუალო დრო, ასეთი დროის ალტერნატიული დანახარჯები (მაგ. ქვეყანაში საშუალო საათობრივი ანაზღაურება, თუ კონკრეტული პირი საშუალოსტატისტიკური მოქალაქეა) და ზემოხსენებული აქტივობების შესრულებისათვის საჭირო რესურსების საშუალო ხარჯები.

ჩანართი 40 – ხარჯების სტანდარტული მოდელი

ხარჯების სტანდარტული მოდელი დღეს ყველაზე გავრცელებული მეთოდოლოგიაა ადმინისტრაციული ხარჯების (AC) გასაზომად, რაც გამომდინარეობს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებებისაგან. მოქმედებაზე დაფუძნებული ამ მეთოდის ალტერნატივები გამოიყენება რეგულირებასთან შესაბამისობის პირდაპირი ხარჯების გამოსათვლელადაც, ანუ იმ ხარჯების გამოსათვლელად, რაც საჭიროა, რომ შესრულდეს რეგულირების მოთხოვნები. ამავდროულად, ხარჯების სტანდარტული მოდელის შედეგების გამოყენება შესაძლებელია სახელმწიფო უწყებების სამუშაოს გამარტივების მიზნით, რადგან შედეგები საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ კონკრეტული რეგულაციის ის დეტალები, რომლებიც განსაკუთრებით დიდ ტვირთს წარმოქმნის ბიზნესებისთვის.

ხარჯების სტანდარტული მოდელის ტიპური ფორმულა შემდეგია:

ადმინისტრაციული ხარჯები = დრო x ტარიფი x მოსახლეობა x სიხშირე

მაგალითისათვის ავიღოთ რეგულაცია, რომელიც მოითხოვს, რომ ტაქსის მძღოლებმა შეიძინონ მრიცხველები და საგადასახადო უწყებებს წარუდგინონ მათი შემოსავალი შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

- დრო: 0.5 დღე/ტაქსი;
- ტარიფი: 10\$;
- ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ტაქსების რაოდენობა: 10,000;
- წელიწადში განხორციელებული საქმიანობის რაოდენობა: 4

ამგვარად, საგადასახადო უწყებებისთვის დოკუმენტების მომზადებისა და წარდგენის ადმინისტრაციული ხარჯები შემდეგია:

$$\rightarrow (0.5 \times 10) \times (4 \times 10,000) = \$200,000$$

ხარჯების სტანდარტული მოდელის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ: <https://www.oecd.org/regreform/regulatory-policy/34227698.pdf>.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან განუღი ხარჯები მოიცავს ყველა დამატებით ხარჯს, რომელიც სახელმწიფო ადმინისტრაციამ უნდა გაწიოს ახალი რეგულაციის მიღების, დანერგვისა და აღსრულებისათვის. ეს ხარჯები მოიცავს:

1. ახალი რეგულაციის მართვასა და/ან აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების და/ან გარე კონსულტანტების ხარჯებს (მაგ. ახალი დავალებების შესრულებისათვის დახარჯულ დამატებით საათებს);
2. რეგულაციის განხორციელებისთვის საჭირო სისტემებს (მაგ. კომპიუტერულ პროგრამას, ტექნიკას, ა.შ.);
3. საჯარო ადმინისტრაციის სხვა გრძელვადიან სტრუქტურულ ცვლილებას (მაგ. ახალი დეპარტამენტების და/ან სააგენტოების შექმნას).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მოიცავს ყველა დამატებით შემოსავალს, რომელსაც საჯარო ადმინისტრაცია იღებს ახალი რეგულაციის შემოღებით (მაგ. გადასახადები, ტარიფები, ა.შ.);

ხარჯების სტანდარტული მოდელის მიდგომა შეიძლება გამოიყენოთ, რათა გამოთვალოთ სახელმწიფო უწყებების საქმიანობის გამარტივებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი სარგებელი ან გამოთვალოთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან განეული დამატებითი ხარჯები.

3.6.3. დისკონტირება

სხვადასხვა ალტერნატივის შემუშავების დროს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ალტერნატივის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები და სარგებელი შეიძლება დროის სხვადასხვა მონაკვეთში დადგეს. ამიტომ ხშირად საჭირო ხდება ხარჯებისა და სარგებლის ერთმანეთთან შედარება დროის სხვადასხვა პერიოდში. ამის გადაჭრა, ჩვეულებრივ, შესაძლებელია დისკონტირების მეთოდის გამოყენებით, რომელსაც ამ დოკუმენტში მოგვინახავთ განვიხილავთ ხარჯთეფექტიანობის ანალიზის ნაწილში.

3.6.4. კონკრეტული ან სექტორული ზეგავლენის შეფასება

სასურველია, რაც შეიძლება ხშირად და ზუსტად ჩატარდეს **კონკრეტული ან სექტორული ზეგავლენის შეფასება**, რაც კონკრეტულად აფასებს ზეგავლენას სხვადასხვა ეკონომიკურ ჯგუფზე, სოციალურ ჯგუფზე და ა.შ. იმისთვის, რომ განვსაზღვროთ, საჭიროა თუ არა კონკრეტული/სექტორული ზეგავლენის შეფასება, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:

- სოციალური პრობლემები (გენდერული თანასწორობა, სამართლიანი გადანაწილება, სოციალური ინკლუზია, ახალგაზრდების განათლება, ა.შ.);
- შრომის ბაზართან დაკავშირებული პრობლემები (დასაქმება, სამუშაო პირობები, ა.შ.);
- ეკონომიკური პრობლემები (კონკრეტულ დარგში კონკურენტუნარიანობა, კვლევები და ინოვაციები, ა.შ.);
- ტერიტორიული ზეგავლენა (მაგ. რეგიონული ზეგავლენის შეფასება), ზეგავლენა ვაჭრობასა და მესამე ქვეყნებზე, ა.შ.;

41-ე და 42-ე ჩანართებში მოცემულია ხარჯების სტანდარტული მოდელის ტესტი და კონკურენციის შეფასება.

ჩანართი 41 – ხარჯების სტანდარტული მოდელის ტესტი

მცირე და საშუალო საწარმოებზე, მათი ზომებისა და შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით, რეგულირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს შეიძლება უფრო მეტი ზეგავლენა ჰქონდეს, ვიდრე მათ მსხვილ კონკურენტებზე. ამავდროულად, რეგულაციას შესაძლოა უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეეძლოს მსხვილი კომპანიებისათვის და გაზარდოს მათი კონკურენტული უპირატესობა. მცირე და საშუალო საწარმოებს შეიძლება ნაკლები მოტივაცია ჰქონდეთ, რომ მიიღონ სარგებელი მასშტაბის ეკონომიისაგან. ზოგადად, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შედარებით რთულია კაპიტალზე წვდომა, რადგან კაპიტალის ხარჯები მათთვის უფრო მეტია, ვიდრე მსხვილი ბიზნესებისათვის.

როგორც წესი, მცირე და საშუალო საწარმოების ტიპებს შორის განსხვავება ხდება მათ მიერ დაქირავებული თანამშრომლების რაოდენობის მიხედვით. **მიკრო საწარმოები** ასაქმებს 9-მდე თანამშრომელს; **მცირე საწარმოები** ასაქმებს 10-დან 49 თანამშრომლამდე; ხოლო **საშუალო საწარმოები** ასაქმებს 249 თანამშრომლამდე; სხვაგვარი კლასიფიკაცია ხდება წლიური ბრუნვის მიხედვით.

ამ მიზეზებისა და საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, კონკრეტულად იყოს განხილული ამ ტიპის ბიზნესები ზეგავლენის იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცესში. ხარჯების სტანდარტული მოდელის ტესტის ჩატარების დროს არსებობს ხუთი ეტაპი:

- **რეგულირებას აქვს ზეგავლენა მცირე და საშუალო საწარმოებზე? რომელი ტიპის მცირე და საშუალო საწარმო ექცევა ზემოქმედების ქვეშ?** რამდენი საწარმო ექცევა ზეგავლენის ქვეშ? – ამრიგად, საჭიროა მტკიცებულების შეგროვება, მაგალითად, იმის შესახებ, თუ რამდენი დასაქმებული ექცევა ზეგავლენის ქვეშ, ზეგავლენის ქვეშ მოქცეული საწარმოების სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით; სექტორ(ებ)ში საშუალო და მცირე საწარმოების სხვადასხვა ტიპი (მიკრო, მცირე და საშუალო); და კავშირი სხვა სექტორებთან და შესაძლო ზეგავლენა ქვეკონტრაქტორებზე.
- **რა არის მცირე და საშუალო საწარმოების ხარჯები და სარგებელი?** – ეს ეტაპი უნდა განხორციელდეს ხარჯების სტანდარტული მოდელისა და პირდაპირი შესაბამისობის ხარჯების შეფასების მიდგომის შესაბამისად და განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს მცირე და საშუალო საწარმოებზე. ამ შემთხვევაში მცირე და საშუალო საწარმოების სარგებელი იქნება ნებისმიერი ამჟამად არსებული ხარჯის შემცირება.
- **რა განსხვავებაა მცირე და საშუალო საწარმოების ხარჯებსა (კომპანიის ტიპების მიხედვით: მიკრო, მცირე და საშუალო) და მსხვილი ბიზნესის ხარჯებს შორის?** – ამ შედარების დროს რელევანტურია, შეფასდეს, არსებობს თუ არა განსხვავება ხარჯებსა და სარგებელს შორის მცირე და საშუალო საწარმოების ტიპების მიხედვით, ანუ მიკრო საწარმოებზე ზეგავლენა განსხვავდება მცირე საწარმოებზე ზეგავლენისგან? ამ მიზნით შეგიძლიათ შეადაროთ ერთ თანამშრომელზე საშუალოდ დახარჯული თანხები ერთმანეთს, რომელსაც მიიღებთ კომპანიის მთლიანი ხარჯების შეფარდებით დაქირავებული თანამშრომლების რაოდენობასთან. ალტერნატიული მიდგომით, შეგიძლიათ შეადაროთ გამოვლენილი ხარჯები საერთო ზედნაღებ ხარჯებს ან კომპანიის ბრუნვას.
- **აქვს თუ არა გამოყენებული რეგულირების ინსტრუმენტს მეორეული ზეგავლენები,** რომლებიც კონკრეტულად ზეგავლენას ახდენენ მცირე და საშუალო საწარმოებზე? ასეთი მეორეული ზეგავლენა შეიძლება ეხებოდეს კონკურენციას ან საწარმოების თანამშრომლების სამუშაო გარემოს ცვლილებებს ან საწარმოების ინოვაციის/ექსპორტის განხორციელების შესაძლებლობას, ა.შ.
- **არსებობს ალტერნატიული გადაჭრის გზები ან უარყოფითი ზეგავლენის შემცირების გზები, თუ მცირე და საშუალო საწარმოებზე ხდება არათანაბარი ზეგავლენა?** მცირე და საშუალო საწარმოებზე არათანაბარი ზეგავლენის თავიდან ასარიდებლად უნდა გაითვალისწინოთ, შეიძლება თუ არა კონკრეტული დებულებების გაწერა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის – მაგალითად, უფრო დიდხნიანი გარდამავალი ეტაპები, ანგარიშგებისა და სხვა ტიპის ინსპექტირებისაგან (დროებითი/მუდმივი; ნაწილობრივი/სრული) გათავი-

სუფლებს; ანაზღაურების ან სხვა ეკონომიკური სტიმულირების სქემების შემოღება, როგორცაა სუბსიდია. ასეთი შემამსუბუქებელი ალტერნატივების მართებულობა და განხორციელებადობა დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევასა და პრობლემაზე, თქვენს მიზანსა და კონტექსტზე (მაგ. საბიუჯეტო შეზღუდვები).

ჩანართი 42 – კონკურენციისა და სახელმწიფო დახმარების შეფასება

რადგანაც ალტერნატივებს შესაძლოა ზემოქმედება ჰქონდეს კონკურენციაზე, პირველ რიგში, უნდა დაადგინოთ, ალტერნატივები მოიცავს თუ არა ბაზრის ლიბერალიზაციას ან ღონისძიებებს, რომლებიც ფირმებისათვის ბაზარზე შესვლის ან ბაზრიდან გამოსვლის ბარიერებს სწევს ან ამცირებს.

ქვემოთ მოცემულია კითხვები ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემუშავებული კონკურენციის ტესტიდან. ეს კითხვები უნდა დაისვას თითოეული ალტერნატივის განხილვისას. როდესაც რომელიმე კითხვაზე გაიცემა დადებითი პასუხი, აუცილებელია კონკურენციის ასეთი შეზღუდვის საჭიროებისა და მართებულობის დასაბუთება. ისიც უნდა აღნიშნოთ, თუ შეზღუდვა ვერ საბუთდება.

	ტესტი	აღბათობა: თუ ალტერნატივა...
1	ზღუდავს ალტერნატივა ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობას ან სპექტრს?	- აძლევს ექსკლუზიურ უფლებებს ეკონომიკურ სუბიექტს; - საქმიანობის განხორციელებისათვის მოთხოვნის სახით აწესებს ლიცენზიის, ნებართვის ან უფლების გაცემის პროცესს; - ზღუდავს ეკონომიკური სუბიექტის გარკვეული ტიპის შესაძლებლობას, აწარმოოს საქონელი ან მომსახურება; - მნიშვნელოვნად ზრდის ბაზარზე ეკონომიკური სუბიექტის შესვლისა და გამოსვლის ხარჯებს; - ქმნის ბარიერებს საქონლის, მომსახურებების, კაპიტალისა თუ მუშახელის თავისუფლად მოძრაობისათვის.
2	ზღუდავს ალტერნატივა ეკონომიკური სუბიექტების კონკურენტუნარიანობას?	- ზღუდავს სუბიექტის შესაძლებლობას ან თავისუფლებას, დაადგინოს თავისი პროდუქციის ფასი; - ზღუდავს სუბიექტის შესაძლებლობას ან თავისუფლებას, უზრუნველყოს თავისი პროდუქციის რეკლამირება ან მარკეტინგი; - ითხოვს ტექნიკურ ან ხარისხობრივ სტანდარტებს, რაც ზოგიერთ ეკონომიკურ სუბიექტს სხვებთან შედარებით უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ან ეს მოთხოვნა უფრო მაღალია, ვიდრე საჭიროა იმისთვის, რომ კარგად ინფორმირებულმა მომხმარებელმა არჩევანი ამ კომპანიის პროდუქციაზე შეაჩეროს; - ბაზარზე უკვე არსებულ ეკონომიკურ სუბიექტებთან ურთიერთობა განსხვავდება ბაზრის ახალ მონაწილეებთან ურთიერთობისაგან.
3	ამცირებს ალტერნატივა ეკონომიკური სუბიექტების მოტივაციას, რომ ერთმანეთს კონკურენცია გაუწიონ?	- ქმნის თვითრეგულირებად ან თანარეგულირებად რეჟიმს; - ითხოვს ან ხელს უწყობს სუბიექტის რესურსების, ფასების, გაყიდვებისა თუ ხარჯების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას; - კონკრეტული მრეწველობის ან ჯგუფის სუბიექტების საქმიანობას ათავისუფლებს კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის მოქმედების სფეროსაგან.
4	ზღუდავს ალტერნატივა მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას ან არჩევანს?	- ზღუდავს მომხმარებლების უნარს, აირჩიონ, ვისგან იყიდონ; - ზღუდავს მომხმარებლების უნარს, ჰყავდეთ მომსახურებებისა და საქონლის სხვადასხვა მომწოდებელი მომწოდებლების ცვლილებასთან დაკავშირებული პირდაპირი თუ არაპირდაპირი ხარჯების გაზრდის გზით.

OECD-მ გამოსცა სახელმძღვანელო ინსტრუქცია კონკურენტუნარიანობის ტესტის ჩასატარებლად. სახელმძღვანელო შეგიძლიათ იხილოთ აქ: <http://www.oecd.org/competition/assessment-tool-kit.htm>

ჩანართი 43 – ტექნიკური სახელმძღვანელოს ბმულები

სხვადასხვა კონკრეტული თუ სექტორული ტესტის მიმოხილვისათვის იხ. **ევროკომისიის ინსტრუმენტები #19 – #35** შემდეგ ბმულზე: https://ec.europa.eu/info/law/law-making-process/planning-and-proposing-law/better-regulation-why-and-how/better-regulation-guidelines-and-toolbox/better-regulation-toolbox_en

პირდაპირი შესაბამისობის ხარჯების რაოდენობრივად განსაზღვრისათვის იხილეთ:

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის რეგულირებასთან შესაბამისობის ხარჯების შეფასების სახელმძღვანელო ინსტრუქცია (2014) აქ: <https://www.nor-menkontrollrat.bund.de/resource/blob/244032/444040/bb5c3d481212a08f42ccd07e0edc471e/oecd-regulatory-compliance-cost-guidance-data.pdf>;

რისკების რეგულირების ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის სარგებლის რაოდენობრივი განსაზღვრისათვის იხილეთ:

აშშ-ის გარემოს დაცვის სააგენტოს ეკონომიკური ანალიზის მომზადების სახელმძღვანელო ინსტრუქციები (2014) აქ: <https://www.epa.gov/environmental-economics/guidelines-preparing-economic-analyses>;

ჩრდილოვანი ფასების (მათ შორის მათი შეფასებების მიმოხილვა) გამოთვლისათვის, VSL, VLY და QALY შორის ურთიერთდამოკიდებულების დადგენისათვის იხილეთ ბორდმანის, ანტონი ე. დავიდ ჰ. გრინგერის, აიდან რ. ვინინგისა და დეივიდ ლ. ვაიმერის წიგნი: ხარჯთეფექტიანობის ანალიზი: ცნებები და პრაქტიკა, მეხუთე გამოცემა (Cambridge University Press; მე-5 გამოცემა, 2018 წ. 19 ივლისი).

3.6.5. პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან

აღნიშნული ქვეთავი მომზადდა იმისათვის, რომ მკითხველს დაეხმაროს განხილული ცნებების კონსოლიდაციაში და მიეცეს საშუალება, გაიზიაროს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიტიკოსების გამოცდილება და მიდგომები, რაც მათ დააგროვებს და შეიმუშავებს საქართველოს კონტექსტში რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების შედეგად.

წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის მაგალითია, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა ზეგავლენა როგორც კერძო სექტორზე, ისე სახელმწიფო ფინანსებზე. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ მოხდა ხარჯებისა და სარგებლის რაოდენობრივი შეფასება, მომზადდა სხვადასხვა ალტერნატივის ხარჯებისა და სარგებლის ცვლილების თვისებრივი შეფასება საბაზისო სცენართან მიმართებით. ზეგავლენების რაოდენობრივი ანალიზის მოკლე მიმოხილვა მოცემულია 44-ე ჩანართში.

ჩანართი 44 – წყლის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში პოლიტიკის ალტერნატივების ზეგავლენის შეფასება

ზოგადი მეთოდოლოგია

ანალიზის საპროგნოზო პერიოდად განისაზღვრა 13 წელი, რათა სრულად განხორციელებულიყო მდინარის აუზების მართვის სულ მცირე ერთი გეგმა მაინც თითოეული მდინარის აუზში (ორი ქოროხ-აჭარისწყლის მდინარეთა აუზში). დისკონტირების განაკვეთი – 7.37% (უკუგება 10-წლიან სამთავრობო ობლიგაციაზე); თუმცა სენსიტიურობის ანალიზი შესრულდა 4.76% და 9.98%-ებისთვის (ცენტრალური სიდიდე ± 1.96 სტანდარტული გადახრა, რაც შეესაბამება 95%-იან ნდობის ინტერვალს).

რადგანაც შერჩეული ორი პოლიტიკის ალტერნატივის ზეგავლენის რაოდენობრივი შეფასება ერთმანეთის მსგავსი შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით განხორციელდა, ამ ჩანართში მხოლოდ პირველი ალტერნატივის ზეგავლენის შეფასებაა წარმოდგენილი. დეტალური ინფორმაცია ზეგავლენის შეფასებაზე შეგიძლიათ იხილოთ რეგულირების ზეგავლენის შეფასების სრულ დოკუმენტში.

ალტერნატივა 1

კერძო სექტორი

ხარჯების რაოდენობრივი შეფასება

პირველი ალტერნატივის განხორციელების შემთხვევაში კერძო სექტორის ხარჯების შეფასებისთვის გათვალისწინებულია შემდეგი ხარჯები:

- **ნებართვის/ლიცენზიის გადასახადები:** ყველა კომპანია, რომელიც მოიპოვებს ზედაპირულ წყალს და/ან ახორციელებს წყალარინებას ზედაპირული წყლის ობიექტებში, აიღებს ლიცენზიას/ნებართვას, რომლის ღირებულებაც 100 ლარია.
- **ნებართვის/ლიცენზიის დოკუმენტაცია:** წყლის მოპოვების დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება შეადგენს 1500 ლარს, ხოლო ზედაპირული წყლის ობიექტებში წყალარინების დოკუმენტების მომზადების – 800 ლარს. ეს ხარჯები გამოითვალა ასეთი მომსახურებების მიმწოდებელი საქართველოში უმსხვილესი კომპანიის ხარჯებზე დაყრდნობით. და კიდევ, კომპანიის შიდა ალტერნატიული დანახარჯი შეადგენდა 24 ლარს თითო ნებართვაზე/ლიცენზიაზე.
- **მომხმარებლების გადასახადები (ზედაპირული წყალაღება):** მიმართულია იმისკენ, რომ მომხმარებლებმა გადაიხადონ მოსაკრებელი ზედაპირულ წყალაღებაზე. გადასახადები განსხვავდება სხვადასხვა აუზისა და მიზნობრიობის მიხედვით (კასპიის ზღვის აუზი – 0,001 ლ 1 კუბურ მეტრზე, შავი ზღვის აუზი – 0,005 ლ 1 კუბურ მეტრზე, შავი ზღვის წყალი – 0,003 ლ 1 კუბურ მეტრზე).

სარგებლის რაოდენობრივი შეფასება

კერძო სექტორი მიიღებდა სარგებელს ორი მთავარი მიმართულებით:

- **მოგება საკონსულტაციო საქმიანობიდან:** საკონსულტაციო კომპანიები, რომლებიც ეხმარებიან ეკონომიკურ სუბიექტებს ნებართვების/ლიცენზიის მიღებაში, მიიღებდნენ გაზრდილ მოგებას (ეს არის არა რეალური ხარჯი, არამედ თანხების ალოკაცია ბიზნესებს შორის). საშუალო მოსალოდნელი მთლიანი მოგება იქნებოდა მიღებული კომპენსაციის 16%;
- **მთლიანი ეკონომიკური ღირებულება (TEV):** მთლიანი ეკონომიკური ღირებულება შეფასდა როგორც თითოეული შინამეურნეობის საშუალო გადახდისათვის მზადყოფნა წელიწადში (დეტალური აღწერა, როგორ განხორციელდა შეფასება, მოცემულია მე-16 ჩანართში – მონაცემთა შეგროვების მეთოდები, რომლებიც გამოყენებული იყო წყლის რესურსების მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელებისას).

საჯარო სექტორი**ხარჯების რაოდენობრივი შეფასება**

პირველი ალტერნატივის განხორციელების შემთხვევაში საჯარო სექტორს ექნებოდა მნიშვნელოვანი ხარჯები დამატებითი პერსონალისა და ახალი აღჭურვილობის საჭიროების გამო. დამატებითი პერსონალის საჭიროება განისაზღვრა დეპარტამენტების უფროსებთან კონსულტაციის შედეგად და რაოდენობრივად განისაზღვრა შემდეგნაირად:

- მდინართა აუზების სამსახურები – 11 დამატებითი თანამშრომელი 2018 წლიდან;
- ნებართვების სისტემა – 1 დამატებითი თანამშრომელი 2018 წელს, 1 დამატებითი თანამშრომელი 2019 წელს და 1 დამატებითი თანამშრომელი 2024 წელს;
- მონიტორინგი – 9 დამატებითი თანამშრომელი წყლის ხარისხის მონიტორინგისათვის 2018 წლიდან, 4 დამატებითი თანამშრომელი მიწისქვეშა წყლის მონიტორინგისათვის (რეფორმის პირველი 5 წლის განმავლობაში);
- ზედამხედველობა – 40 დამატებითი ინსპექტორი.

თითოეული თანამშრომლის მოსალოდნელი ხელფასი (შესასრულებელი საქმიანობიდან გამომდინარე) კონსულტაციის შედეგად განისაზღვრა.

პერსონალის ხარჯების გარდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და მდინართა სააუზო მართვის ორგანიზაციებს უნდა შეეძინათ აღჭურვილობა. აღჭურვილობის ხარჯები განისაზღვრა შესაბამის საჯარო მოხელეებთან კონსულტაციის შედეგად. მართალია, დაგეგმილია, რომ მდინარეთა სააუზო მართვის პირველი გეგმები დაფინანსდეს დონორთა მიერ, მაგრამ შემდგომი გეგმები უნდა დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რაც პირველი გეგმების ხარჯის დაახლოებით 25%-ს წარმოადგენს.

არსებული რაოდენობრივი შეფასებების მიუხედავად, იყო რამდენიმე საკითხი, რომელთა ზუსტი რაოდენობრივი შეფასება არ იყო შესაძლებელი:

- **წყლის ხარისხის ცვლილება:** გამომდინარე იქიდან, რომ შეუძლებელი იყო იმის შეფასება, თუ როგორ შეიცვლებოდა წყლის ხარისხი, რამდენიმე ალტერნატიული განვითარების შემთხვევა იქნა განხილული. თუ წყლის ხარისხი გაუარესდებოდა ისე, როგორც ეს საბაზისო სცენარში იყო განხილული, ამ შემთხვევაში შეფასების გუნდი ვარაუდობდა, რომ საზოგადოების გადახდისთვის მზადყოფნა გაიზრდებოდა, იმისთვის, რომ მათ მიეღოთ უკეთესი ხარისხის წყალი. აქედან გამომდინარე, რეფორმის განხორციელების სარგებელი იქნებოდა უფრო დიდი. იმავე ეფექტს მივიღებდით, თუ წყლის ხარისხის გაუმჯობესება მოხდებოდა უფრო ნელა, ვიდრე გათვალისწინებული იყო რეფორმის დაგეგმვისას.
- **წყლის რესურსების ხელმისაწვდომობის შეფასება:** შეფასების გუნდის დაშვების თანახმად, დროთა განმავლობაში წყლის მიწოდება დარჩებოდა მუდმივი და ერთადერთი ფაქტორი, რომელიც შეიცვლებოდა, იქნებოდა წყალზე მოთხოვნა. წყლის რესურსების სიმწირის ზრდა გამოიწვევს წყლის რესურსების უკეთ მართვასთან დაკავშირებული სარგებლის ზრდასაც.
- **წყალარინების საფასური:** შეფასების გუნდმა ვერ შეაფასა, რა შეიძლება იყოს მომავალში წყალარინების საფასური, შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციის არარსებობის გამო.
- **პოტენციური ეფექტიანობის ზრდა:** მოსალოდნელი იყო, რომ რეფორმას დადებითი შედეგი ექნებოდა ეფექტიანობის ზრდის კუთხით, მაგრამ შეზღუდული ინფორმაციის გამო ვერ მოხერხდა მისი რაოდენობრივი შეფასება.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, განისაზღვრა შემდეგი თვისებრივი ზეგავლენები (როცა რაოდენობრივი ზეგავლენის განსაზღვრა შეუძლებელი იყო):

სარგებელი:

- წყლის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გაურკვევლობების შემცირება (წყლის რესურსების უკეთ მართვა);
- წარმოებისთვის უკეთესი ხარისხის წყალზე წვდომა;
- ალტერნატიულ მომხმარებლებს შორის წყლის რესურსების უფრო ეფექტიანი განაწილება;
- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯების შემცირება;
- წყალდიდობით მიყენებული ზარალის პოტენციური შემცირება.

ხარჯები:

- ახალი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი აღჭურვილობის შეძენის ხარჯები.

დრენაჟის/ირიგაციის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების დროს რეგულირების შეფასების გუნდმა განახორციელა მთავარი დაინტერესებული მხარეების – ფერმერების, საქართველოს მელიორაციისა და მთავრობის – ხარჯებისა და სარგებლის მონეტიზაცია შერჩეული პოლიტიკის ალტერნატივების განხორციელების შემთხვევაში. ის ზეგავლენები, რომელთა მონეტიზაცია ვერ მოხერხდა, შეფასდა თვისობრივად. ზეგავლენის რაოდენობრივი შეფასების მიმოხილვა მოცემულია 45-ე ჩანართში.

**ჩანართი 45 – ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის
პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში პოლიტიკის
ალტერნატივების ზეგავლენის შეფასება**

ზოგადი მეთოდოლოგია

ზეგავლენის რაოდენობრივი შეფასების დროს რეგულირების შეფასების გუნდმა შეაფასა ფერმერების, საქართველოს მელიორაციისა და მთავრობის ხარჯები და სარგებელი. ანალიზი ჩატარდა ხუთწლიანი საპროგნოზო პერიოდისათვის. გამოყენებული იყო დისკონტირების განაკვეთი 8.7% (რეალური დისკონტირების განაკვეთი მთავრობის 5-წლიან ობლიგაციებზე). სენსიტიურობის ანალიზი შესრულდა 6.7 და 10.7%-ზე.

აღსანიშნავია, რომ რეგულირების შეფასების მიზანი იყო ზეგავლენის რაოდენობრივი ანალიზი მხოლოდ ფერმერებისა და საქართველოს მელიორაციისათვის.

ზოგადი დაშვებები დრენაჟისა და ირიგაციის მომსახურების დაფარვის არეალის, მცირე და მსხვილი ფერმერების გადანაწილების, პირდაპირი შესაბამისობის ხარჯების და ა.შ. შესახებ საბაზისო სცენარში გამოყენებული დაშვებების მსგავსი იყო (იხ. ჩანართი 24). თუმცა თითოეულ შერჩეულ ალტერნატივას ჰქონდა კონკრეტული დაშვებაც. ამ ჩანართში მოცემულია მხოლოდ ერთი ალტერნატივის ზეგავლენის რაოდენობრივი შეფასება. დეტალური ინფორმაცია ზეგავლენის რაოდენობრივი შეფასების შესახებ მოცემულია რეგულირების ზეგავლენის შეფასების სრულ დოკუმენტში.

პოლიტიკის ალტერნატივა 1-ის განხორციელებასთან დაკავშირებული სპეციფიკური დაშვებები განისაზღვრა შემდეგნაირად:

- გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდეგ საქართველოს მელიორაცია აღარ ფინანსდება პირდაპირ სახელმწიფოს მიერ (იხ. ქვემოთ).
- ფერმერები მიიღებდნენ სუბსიდიას ტარიფის ფიქსირებულ კომპონენტებზე და ეს სუბსიდიები ყოველწლიურად 5% -ით შემცირდება.
- ფერმერებს არეკნებათ სუბსიდირება სარწყავი/სადრენაჟო მომსახურების საფასურისთვის (ანუ ტარიფის პირველ კომპონენტზე).
- ფერმერები მიიღებენ ფასდაკლებას ტარიფზე, რაც დამოკიდებულია გამოყენებული სარწყავი ტექნოლოგიის ტიპსა და ნათეს კულტურაზე.
- **მთავრობის ინვესტიციები:** ხუთი წლის განმავლობაში მთავრობა 25 მილიონი ლარის ინვესტიციას განახორციელებს არსებული დაფარვის არეალში მომსახურების სანდოობის ასამაღლებლად. ინვესტიციები გადანაწილდება სისტემებს შორის, დაფარვის მთლიან არეალში მათი წილის მიხედვით.
- **ხელშეკრულების გაფორმების ეფექტიანობა:** დაშვების თანახმად, წლების განმავლობაში ხელშეკრულების გაფორმების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, რადგან განხორციელდებოდა ინვესტიციები მომსახურების სანდოობის გაზრდაში და საქართველოს მელიორაციას უფრო მეტი მოტივაცია ექნებოდა მეტი მომხმარებლის მოსაზიდად. ხელშეკრულების გაფორმების ეფექტიანობის მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ დაშვებები ეფუძნებოდა გარე ექსპერტთან და ფერმერებთან კონსულტაციებს. პირველი ალტერნატივის განხორციელებასთან დაკავშირებული შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ხელშეკრულების გაფორმების ეფექტიანობა პირველი ალტერნატივის ფარგლებში

ხელშეკრულების გაფორმების ეფექტიანობა	2016	2017	2018	2019	2020
მტკვარი – ჯანდარა	78%	78%	79%	79%	80%
ტაშისკარი – სალთვისი	55%	60%	67%	70%	75%
ქვემო ალაბანი	69%	70%	72%	73%	75%
ქვემო სამგორი	69%	70%	72%	73%	75%
ყვირილა – ცხენისწყალი	21%	24%	28%	31%	35%
ხობი-ენგური	100%	100%	100%	100%	100%

წყარო: ავტორის გამოთვლები დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებულ კონსულტაციებზე დაყრდნობით

- ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა მიიჩნია, რომ ფერმერების გადანაცვეტილება ირიგაციის ოპტიმალურ ტექნოლოგიებზე გადასვლის შესახებ ძირითადად დამოკიდებულია მოსავლის ფასებსა და მოსალოდნელ შემოსავალზე, ასევე, სარწყავი სერვისების სანდოობაზე. თუ საიმედოობა გაიზარდა და სხვა ფაქტორებიც უცვლელად შენარჩუნდება, ფერმერებს მეტი სტიმული ექნებათ, გადავიდნენ ირიგაციის ოპტიმალურ მეთოდებზე.

ზემოქმედების ანალიზი განხორციელდა შემდეგი თანმიმდევრობით:

- ფერმერების მოთხოვნა დრენირებაზე დამოკიდებულია იმ ზღვრულ სარგებელზე, რასაც ისინი მიიღებენ დრენირების სერვისის მიღების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით. თუ ამით მათი სარგებელი გადააჭარბებს იმ საფასურს, რომლის გადახდაც მათ მოუწევთ დრენირებაში, ფერმერები გადანაცვეტენ მომსახურების შეძენას.
- ირიგაციის სერვისის მიღების შესახებ გადანაცვეტილება დამოკიდებულია იმ სარგებელზე, რასაც ფერმერები მიიღებენ ირიგაციიდან. თუ მთლიანი მარჟა (შემოსავლებს გამოკლებული წარმოების დანახარჯები, გარდა ირიგაციის ტარიფებისა) უფრო მაღალი იქნებოდა, ვიდრე ირიგაციის ტარიფი, ფერმერები გადანაცვეტდნენ ირიგაციის სერვისით სარგებლობას. ასევე, შეფასებისას გაკეთდა დაშვება, რომ ფერმერები გადანაცვეტილების მიღებისას გაითვალისწინებდნენ იმ ფასდაკლებას, რომელსაც ისინი მიიღებდნენ დატბორვის მეთოდით მორწყვიდან თანამედროვე სარწყავ ტექნოლოგიებზე გადასვლისას.
- ფერმერები სხვადასხვა კულტურებს დაყოფენ კატეგორიებად, ირიგაციიდან მიღებული ზღვრული სარგებლიანობის მიხედვით (ირიგაციის ხარჯების ჩათვლით) და პირველ რიგში მორწყვენ ყველაზე მომგებიან კულტურას. მას შემდეგ, რაც ყველაზე მომგებიანი კულტურები მოიწევენ, ფერმერები მორწყავენ მეორე ყველაზე მომგებიან კულტურას და ა.შ.
- ფერმერების მოთხოვნა ირიგაციის სერვისების მიღებაზე, თავის მხრივ, ნიშნავს საქართველოს მელიორაციის შემოსავლების ზრდას (ტარიფი გამრავლებული მორწყულ ჰექტრებზე). თუ კომპანია მოგებას მიიღებს, მოგების გადასახადის გადახდა მოუწევს. ამასთან, დანაკარგების შემთხვევაში, სახელმწიფო მაინც განაგრძობს კომპანიის პირდაპირ სუბსიდირებას.

ზემოთ წარმოდგენილი დაშვებებისა და ანალიზის საფუძველზე, რეგულირების ზეგავლენის ჯგუფმა შეაფასა ძირითადი დაინტერესებული მხარეებისთვის შერჩეული პოლიტიკის ალტერნატივების განხორციელებასთან დაკავშირებული პოტენციური ხარჯები და სარგებელი. ქვემოთ მოცემულია ძირითადი ინფორმაცია 1-ლი ალტერნატივის რაოდენობრივი შეფასების ანალიზიდან (ქვედა ზღვრის ტარიფების შემოღება).

ალტერნატივა 1

ფერმერები

ხარჯების რაოდენობრივი შეფასება

ფერმერებისთვის ირიგაციის ხარჯები მოიცავდა შემდეგს:

- **ახალი რეგულაციის თანახმად, ორკომპონენტური ტარიფი:** ცვლადი კომპონენტი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ წყალს მოიხმარენ ფერმერები. ტარიფის მეორე (ფიქსირებული) კომპონენტი იდენტური იყო მოცემული დაფარვის არეალში მყოფი ყველა ფერმერისთვის და იყო სუბსიდირებული (სუბსიდიის გამოქვითვა).
- **საინვესტიციო ხარჯები:** საირიგაციო საინვესტიციო ხარჯები შეადგენდა ინვესტიციის ხარჯების წილს, რომელიც განხორციელდა წარმოების წელს, დამატებული რეალური საპროცენტო გადასახადი, რომელიც გადახდილია ირიგაციაში ინვესტიციის განხორციელების მიზნით აღებულ სესხში. აღსანიშნავია, რომ დიდი და მცირე ფერმერებისთვის სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთები იქნა არჩეული სამაგიდო კვლევისა და კონსულტაციების საფუძველზე.
- **ცვლადი დანახარჯები:** წყლის მოხმარების ღირებულება, რომელიც დამოკიდებულია დათესილ კულტურასა და გამოყენებულ სარწყავ ტექნოლოგიაზე.
- **ამორტიზაცია:** ერიცხება ტექნიკას მისი ყოველწლიური ცვეთისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გათვალისწინებით (განხილული იყო დარგის ექსპერტთან).

რაც შეეხება, სადრენაჟე სისტემის ხარჯებს, ამ შემთხვევაში მხოლოდ ტარიფის ხარჯები იყო განხილული, რადგან ამ მიმართულებით არანაირი ინვესტიცია არ ხორციელდებოდა.

სარგებლის რაოდენობრივი შეფასება

პირველი ალტერნატივის ფარგლებში ფერმერების სარგებლის შეფასებისთვის გათვალისწინებული იქნა დათესილი კულტურის ტიპი და არჩეული ირიგაციის მეთოდი (ირიგაციის გარეშე მოსავლის მიღება, დატბორვის მეთოდით მორწყვა და მორწყვა ნათესი კულტურის შესაბამისი ოპტიმალური ტექნოლოგიის გამოყენებით). გარდა ამისა, ანალიზის ფარგლებში გაკეთდა დაშვება, რომ საქართველოს მელიორაციის სერვისების გაზრდილი სანდოობა დადებითად აისახებოდა ფერმერების მომგებიანობაზე. უფრო მეტიც, გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობისა და ტარიფების დროულად გადახდის მაჩვენებლების ზრდა მნიშვნელოვნად გაზრდიდა მორწყული/დრენირებული მიწის ფართობებს (შეფასების თანახმად, 2020 წლისთვის მორწყული მიწების ფართობი 15,164 ჰა-ს მიაღწევდა, ხოლო დრენირებული მიწის ფართობი – 12,225 ჰა-ს). რაც შეეხება დრენაჟს, დრენაჟიდან საშუალო უკუგება შეფასდა როგორც ირიგაცია/დრენაჟის სერვისების გამოყენების შემთხვევაში, ისე მის გარეშე. იმისთვის, რომ დაახლოებით გამოეთვალათ სხვაობა მორწყულ/დრენირებულ და მორწყვა/დრენირების გარეშე მიწიდან მიღებულ სარგებლებს შორის, რეგულირების ზეგავლენის ჯგუფმა შეაფასა მოგება ზღვრული და მცირე ფერმერებისთვის (0.8 ჰა) და საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის (30 ჰა). შეფასების

თანახმად, იმ ფერმერების მოგება, რომლებიც იყენებენ მორწყვისა და დრენირების სერვისებს, გაიზარდა. ირიგაციის ფიქსირებული ტარიფების რეალური სიდიდე დროთა განმავლობაში შემცირდება. ზღვრული და მცირე ფერმერებისათვის ირიგაცია/დრენაჟის გარეშე მიწიდან მიღებული მოგება შეფასდა, რომ იქნებოდა 1,883 ლარი, ხოლო ირიგაცია/დრენაჟის გამოყენების შემთხვევაში, შეფასების თანახმად, 2020 წლისთვის მათი მოგება შეადგენდა 3,042 ლარს (მსხვილი ფერმერებისათვის იგივე მაჩვენებლები იყო 70, 608 და 144,086 ლარი, შესაბამისად). ეს თანხები განხილული მოდელის გამოყენებით შეფასდა და გადამოწმდა სოფლის მეურნეობის სექტორის ექსპერტთან. ამ ანალიზის საფუძველზე, 2020 წლისთვის ფერმერების მთლიანი სარგებლის წმინდა მიმდინარე ღირებულება 132,731,494 ლარს შეადგენს.

საქართველოს მელიორაცია

ხარჯების რაოდენობრივი შეფასება

საქართველოს მელიორაციის ხარჯები მოიცავს შემდეგს: ოპერაციული, მოვლა-პატრონობის (ე.ი. მიმდინარე, პერიოდული, ზედაპირული და ინფრასტრუქტურის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები), ადმინისტრაციული (ე.ი. ხარჯები სათავო ოფისისა და რეგიონული ფილიალების საქმიანობისთვის), ცვეთა და მოგების გადასახადი. ყველა ხარჯის (ცვეთის ხარჯების გარდა) რეალური ღირებულება არის მუდმივი. ცვეთის ხარჯი გაიზარდა დროთა განმავლობაში, რადგან რეგულაციის ცვლილების გამო გაიზარდა აქტივის საბაზისო ღირებულება. გარდა ამისა, ყველა ხარჯი, გარდა ცვეთის ხარჯისა, გაიყო ორ თანაბარ ნაწილად და მათი დარიცხვა მოხდება პერიოდის დასაწყისში და ბოლოს (რათა მომხდარიყო რეალურ სურათთან მიახლოება, რადგან ხარჯების დარიცხვა ხდება მთელი წლის განმავლობაში). შეფასების თანახმად, 2020 წლისთვის საქართველოს მელიორაციის ხარჯები 11,836,209 ლარს შეადგენს.

სარგებლის რაოდენობრივი შეფასება

საქართველოს მელიორაციის სარგებელი მოიცავდა საოპერაციო შემოსავლებს ფერმერებისთვის ირიგაციის სერვისების მიწოდებიდან. ეს შემოსავალი მოიცავს სახელმწიფო სუბსიდიას, რომელიც გათვალისწინებულია ტარიფის მეორე კომპონენტის დასაფარად და რომელსაც სახელმწიფო პირდაპირ გადაუხდის საქართველოს მელიორაციას მთლიან დაფარვის არეალში. საქართველოს მელიორაცია დამატებით შემოსავალს მიიღებს ფერმერებისგანაც, რომლებიც იხდიდნენ ტარიფის პირველ კომპონენტს (რომელიც დამოკიდებულია შეფასებულ წყლის მოხმარების მოცულობაზე). გარდა ამისა, სანამ საქართველოს მელიორაცია შეძლებს მიაღწიოს ნულოვანი მოგების წერტილს, მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო კვლავ განაგრძობს კომპანიის პირდაპირ სუბსიდირებას. ასეთ შემთხვევაში, მთავრობის მიერ გაცემული პირდაპირი სუბსიდია გაზრდის საქართველოს მელიორაციის სარგებელს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მელიორაციის შემოსავლები (აგრეთვე ხარჯები) გამოითვლება თითოეული დაფარვის არეალისათვის ცალკე. შესაბამისად, მთლიანი ხარჯებისა და სარგებლის შეფასება წარმოადგენს ანალიზის შედეგების მარტივ ჯამს თითოეული დაფარვის არეალისთვის. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ საქართველოს მელიორაცია მიიღებს დამატებით სარგებელს, სახელმწიფოს მიერ საქართველოს მელიორაციის სანდოობის გაზრდაში განხორციელებული ინვესტიციებისგან. შედეგად, შეფასების თანახმად, 2020 წლისთვის კომპანიის სარგებლის წმინდა მიმდინარე ღირებულება შეადგენს 22,985,435 ლარს.

ამასთან, პოლიტიკის ალტერნატივის ზოგიერთი ზეგავლენა რაოდენობრივად არ შეფასდა, მათ შორის:

სარგებელი:

- ადგილობრივი სოფლის მეურნეობის ღირებულებითი ჯაჭვის პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა (პირველი ალტერნატივის განხორციელებისას მოსალოდნელი ზრდა ყველაზე მაღალი იყო სხვა ალტერნატივებთან შედარებით);
- მიწისა და წყლის რესურსების განაწილების შესაძლო მცირე გაუმჯობესება;
- საქართველოს მელიორაციის გაზრდილი სტიმულები, გაუმჯობესოს საოპერაციო საქმიანობის ეფექტიანობა (1-ლი ალტერნატივის განხორციელების შემთხვევაში სტიმულირების ზრდა იქნებოდა ყველაზე დიდი დანარჩენ ორთან შედარებით).

ხარჯები:

- ირიგაციის ტარიფების ზრდის გამოსოფლის მეურნეობის სექტორში კონკურენტუნარიანობის დაკარგვის რისკი (მაგრამ ამის რისკი შედარებით ნაკლებია დანარჩენ ორ ალტერნატივასთან შედარებით);
- მიწის ბაზარზე მდგომარეობის გაუარესების მცირე რისკი.

შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში კონკურენტუნარიანობის შემცირებასთან დაკავშირებული ხარჯების ზუსტი შეფასება არ მომხდარა, რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა მეზობელ ქვეყნებში დაწესებული ირიგაციის ტარიფები შეადარა იმ ტარიფებს, რომლებიც საქართველოში შესაძლოა დაწესდეს პოლიტიკის 1-ლი ალტერნატივის განხორციელების შემთხვევაში. ეს შედარება საკმარისია იმის დასაანახად, რომ ახალ ტარიფს მნიშვნელოვანი და უკიდურესად უარყოფითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობაზე.

ზემოხსენებული ორი რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშთან შედარებით, ოჯახში დასაქმებულების კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასება წარმოადგენს სტანდარტული რეგულირების ზეგავლენის შეფასების მაგალითს, რომლის ფარგლებშიც რაოდენობრივად შეფასდა სახელმწიფოს ხარჯები და სარგებელი, ხოლო ყველა სხვა ზეგავლენა თვისობრივად შეფასდა. 46-ე ჩანართში წარმოდგენილია რეგულირების ზეგავლენის ფარგლებში განხორციელებული რაოდენობრივი შეფასების ნაწილი.

ჩანართი 46 – ოჯახში დასაქმებულების კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში პოლიტიკის ალტერნატივების ზეგავლენის შეფასება

ზოგადი მეთოდოლოგია

მოსალოდნელი იყო, რომ შერჩეულ პოლიტიკის ალტერნატივებს გავლენა ექნებოდა ყველა დაინტერესებულ მხარეზე: ოჯახში დასაქმებულებზე, სააგენტოებზე და შინამეურნეობებზე, რომლებიც ქირაობენ ოჯახში დასაქმებულებს, და სახელმწიფოზე. ამასთან, არსებული დროის, რესურსებისა და მონაცემთა შეზღუდვების გათვალისწინებით, რაოდენობრივი ანალიზი ფოკუსირებული იყო სახელმწიფო ხარჯებისა და სარგებლის რაოდენობრივ შეფასებაზე. სახელმწიფო, როგორც მთავარი დაინტერესებული მხარე, პასუხისმგებელი იყო პოლიტიკის ალტერნატივების განხორციელებასა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფაზე, რათა ხელი შეეწყოს ოჯახში დასაქმებულების ცუდი და საფრთხის შემცველი სამუშაო პირობების გაუმჯობესებისთვის. ამ ჩანართში წარმოდგენილია 1-ლი პოლიტიკის ალტერნატივის ზეგავლენის შეფასების მოკლე მიმოხილვა.

რაოდენობრივი შეფასება განხორციელდა ხუთწლიანი პერიოდისათვის. რაოდენობრივი მოდელების დროს გაკეთდა რამდენიმე დაშვება ძირითადი ცვლადების მოსალოდნელი განვითარების შესახებ:

- **საშემოსავლო გადასახადი:** საშემოსავლო გადასახადის ცენტრალურ ღირებულებად მისი სტანდარტული განაკვეთი იქნა მიღებული – 20%. ამასთან, რადგან ოჯახში დასაქმებულები წარმოადგენენ დასაქმებულთა ყველაზე მონყვლად ჯგუფს, მათთვის შესაძლოა განისაზღვროს სტანდარტულ საშემოსავლო გადასახადის განაკვეთზე ნაკლები განაკვეთი. ამან შეიძლება ხელი შეუწყოს ოჯახში დასაქმებულთა შრომის ბაზარზე არაკონკურენტული ბაზრის მახასიათებლებისა და ამ სექტორში სამუშაო ადგილების შექმნაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას. იმისთვის, რომ შეფასებულიყო სახელმწიფოს ხარჯებსა და შემოსავლებში განსხვავება დაბალი საშემოსავლო გადასახადის დაწესების შემთხვევაში, გაანალიზდა სხვადასხვა ალტერნატიული შემთხვევა. რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა წმინდა სარგებელი შეაფასა 1%-იანი და 5%-იანი შემოსავალი გადასახადის განაკვეთის შემთხვევაში.
- **სოციალური დისკონტირების განაკვეთი:** სოციალური დისკონტირების განაკვეთად შეირჩა 2020 წლის აპრილის მდგომარეობით 10-წლიანი სახელმწიფო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი (ხელმისაწვდომი ბოლო აუქციონის მონაცემების შესაბამისად) – 10.235% (ნომინალური განაკვეთი ლარში).
- **ინფლაციის მაჩვენებელი:** გამოყენებულ იქნა ეროვნული ბანკის სამიზნე ინფლაციის მაჩვენებელი – 3%.
- **ოჯახში დასაქმებულების წილი, რომლებსაც აქვთ წერილობითი ხელშეკრულება:** შეფასებისას გაკეთდა დაშვება, რომ ასეთი დასაქმებულების წილი ყოველწლიურად 10%-ით გაიზრდებოდა, შესაბამისად, 2025 წლისთვის ეს მაჩვენებელი 54%-ს მიაღწევდა. შეფასება გაკეთდა 2017-2019 წლების სამუშაო ძალის გამოკითხვის მონაცემების საფუძველზე.
- **სხვადასხვა ტიპის კონტრაქტის მქონე ოჯახში დასაქმებულების რაოდენობა:** სამუშაო ძალის გამოკითხვის მონაცემების საფუძველზე, რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჯგუფმა შეაფასა, რომ 2025 წლისთვის (იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდებოდა პოლიტიკის ალტერნატივა 1), ოჯახში დასაქმებულების რაოდენობა, რომლებსაც აქვთ წერილობითი ხელშეკრულება, მიაღწევდა 9,265-ს, ხოლო ოჯახში დასაქმებულების რაოდენობა, რომლებსაც აქვთ ვერბალური კონტაქტები – 7,892-ს.
- **ქალი ოჯახში დასაქმებულების რაოდენობა, რომლებსაც აქვთ დეკრეტული შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა:** ვინაიდან შობადობის მაჩვენებლები სწრაფად არ იცვლება და 2017-2019 წლებში დიდი მერყეობით არ ხასიათდებოდა, რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჯგუფმა ასაკის მიხედვით შობადობის დონის ბოლო სამი წლის საშუალო მაჩვენებლის ექსტრაპოლაცია მოახდინა 2021-2015 წლებისათვის, იმ დაშვებით, რომ ასაკის მიხედვით შობადობის მაჩვენებლები არ შეიცვლებოდა მითითებული პერიოდის განმავლობაში. ამ მონაცემსა და ქალი ოჯახში დასაქმებულების რაოდენობაზე დაყრდნობით, შესაძლებელი გახდა, შეფასებულიყო იმ ქალი ოჯახში დასაქმებულების რაოდენობა, რომლებიც მითითებულ პერიოდში გააჩენენ ბავშვს და ექნებათ დეკრეტული შვებულებით სარგებლობის უფლება. შეფასების თანახმად, ქალი ოჯახში დასაქმებულების მხოლოდ 2% გააჩენს ბავშვს 2021-2025 წლების განმავლობაში.
- სხვა დაშვებები, რომლებიც ეხება სახელმწიფოს მიერ დეკრეტული შვებულების ანაზღაურებას, ასევე შრომის ინსპექტორების პოტენციურ რაოდენობას და სხვა, მსგავსია საბაზისო სცენარის შემუშავებისათვის გაკეთებული დაშვებებისა (როგორც ეს მოცემულია 26-ე ჩანართში).

ამ დაშვებებზე დაყრდნობით, რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა რაოდენობრივად შეაფასა სახელმწიფოს ყველა პირდაპირი ხარჯი და სარგებელი.

საჯარო ფინანსები

ხარჯების რაოდენობრივი შეფასება

პოლიტიკის პირველი ალტერნატივის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, განიოს ოჯახში დასაქმებულების დეკრეტული შვებულებისა და მათი საპენსიო ფონდში შენატანების ხარჯები. ამ ალტერნატივის მიხედვით შეფასდა, რომ შეფასების პერიოდში მთავრობის დამატებითი ხარჯები 462,781 ლარს შეადგენს.

სარგებლის რაოდენობრივი შეფასება

პოლიტიკის პირველი ალტერნატივის განხორციელების შემთხვევაში, მთავრობა მიიღებდა შემოსავალს საშემოსავლო გადასახადებიდან. ეს იყო ერთადერთი მონეტიზებული სარგებელი, რომელსაც მთავრობა მიიღებდა ამ შემთხვევაში. შეფასების თანახმად, შეფასების განმავლობაში მთავრობის მიერ მიღებული სარგებელი 2,908,529 ლარს შეადგენს.

რაოდენობრივად შეფასებული დანახარჯებისა და სარგებლის გარდა, რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა განსაზღვრა ხარჯების რამდენიმე დამატებითი ცვლილებაც, რომელთა გაწვევაც მოუწევს სახელმწიფოს. თუმცა მათი რაოდენობრივი შეფასება შეუძლებელი იყო დროის, რესურსებისა და მონაცემთა შეზღუდვების გამო.

სახელმწიფო ხარჯები, რომლებიც რაოდენობრივად არ შეფასდა:

- პოლიტიკის პირველი ალტერნატივის თანახმად, მიზნობრივ სოციალურ დახმარებაზე განეული ხარჯების შემცირება სტატუსკვოსთან მიმართებით მოსალოდნელი იყო ორი მიმართულებით:
 - ✓ გაუმჯობესებული მოლაპარაკების ძალაუფლების და გაზრდილი ხელფასების გამო ოჯახში დასაქმებულებს შესაძლოა აღარ დასჭირდეთ სახელმწიფოსგან სოციალური დახმარების მიღება;
 - ✓ იმის გამო, რომ ოჯახში დასაქმებულების შემოსავლის აღრიცხვა მოხდება ოფიციალურად, შეიძლება დასაქმებულთა ოჯახებმა ვეღარ დააკმაყოფილონ სოციალური დახმარების მიღების კრიტერიუმები.
- სახელმწიფოს მიერ საპენსიო ფონდში გაზრდილი შენატანები, ვინაიდან სახელმწიფოს მოუწევს ოჯახში დასაქმებულების ხელფასების 2%-ის შეტანა საპენსიო ფონდში.
- დამატებითი საბიუჯეტო და ადმინისტრაციული ხარჯები საქალაქო სასამართლოების, უფასო იურიდიული დახმარების ცენტრის, სახალხო დამცველისა და შემოსავლების სამსახურის დამატებითი დატვირთვით მუშაობის გამო. ამასთან, ოჯახში დასაქმებულების შედარებით მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ ეს დამატებითი ხარჯები არ იქნება მნიშვნელოვნად მაღალი.

3.7. ალტერნატივის შერჩევა და რეკომენდაცია

თითოეული ალტერნატივის ზეგავლენის დახასიათებისა და შეფასების შემდეგ თანმიმდევრულად, ობიექტურად და გამჭვირვალედ უნდა შეადაროთ ალტერნატივები ერთმანეთს.

რატომ არის ეს ეტაპი მნიშვნელოვანი?

ზეგავლენის შეფასების ერთ-ერთი მთავარი მიზანია მთავრობისათვის ინფორმირებული მითითებების მიწოდება მოქმედების ყველაზე შესაფერისი კურსის შესახებ – კონტექსტის, ხელმისაწვდომი ინფორმაციისა და ძირითადი პოლიტიკის მიზნების გათვალისწინებით. ყველა ეს ასპექტი გაანალიზდება და განიხილება ზეგავლენის შეფასების ანგარიშში ამ ნაბიჯის განხორციელებამდე. ანალიზის საბოლოო ეტაპზე უნდა გამოავლინოთ რეკომენდირებული ალტერნატივა.

ამ ეტაპის მიზანია, შეაფასოს თითოეული ალტერნატივის ძლიერი და სუსტი მხარეები, შეფასების შედეგად გამოვიტანოთ დასკვნები, თუ რომელი ალტერნატივა გვეხმარება მიზნების ეფექტურად და ეფექტიანად მიღწევაში და რომელ ალტერნატივას აქვს ყველაზე უმნიშვნელო უარყოფითი მხარეები. ეფექტურობისა და ეფექტიანობის გარდა, რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიზის საკითხიდან გამომდინარე, სხვა ასპექტები შეიძლება იყოს აქტუალური. რეგულირების ზეგავლენის შეფასების ამ ეტაპზე ყველა შესაბამისი კრიტერიუმი უნდა გაითვალისწინოთ.

ალტერნატივების შედარებისას გაანალიზებთ, რომ არ არსებობს სრულყოფილი ალტერნატივა და ყველა მათგანს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. როდესაც შეადარებთ თითოეული ალტერნატივის დადებით და უარყოფით მხარეებს, თქვენ შეძლებთ გააკეთოთ დასკვნები იმის შესახებ, თუ რომელი ალტერნატივაა სხვებზე უპირატესი (თუ ასეთი არსებობს). ეს არის მთავრობისთვის რეკომენდაციის მიცემის საფუძველი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თქვენ არ უწევთ რეკომენდაციას რომელიმე ალტერნატივას, თუ ნამდვილად არ ჩანს, რომ ერთი ალტერნატივა აშკარად სჯობს სხვას, ობიექტური ანალიზის საფუძველზე. თანაბრად მისაღებია, ნებისმიერი ალტერნატივის რეკომენდაციისგან თავის შეკავება, თუ არცერთი ალტერნატივის განხორციელება არ არის სასურველი. თუ ასეა, ეს უნდა მიუთითოთ თქვენს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშში. თქვენ უნდა ახსნათ, თუ რატომ არ გაქვთ შესაძლებლობა, გამოიტანოთ მკაფიო დასკვნები, და აჩვენოთ, რომელი ალტერნატივაა უკეთესი, წინასწარ შერჩეულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ეს, თავისთავად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

3.7.1. სათანადო მეთოდოლოგიის შერჩევა

ამ ეტაპზე მიზნად უნდა ისახავდეთ შემდეგს:

- განიხილეთ თითოეული ალტერნატივის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე, სტატუსკვოსთან მიმართებით, იმისდა მიუხედავად, ისინი შეფასებულია თვისობრივად თუ რაოდენობრივად.
- გააკეთეთ შედარება ალტერნატივებს შორის მთლიან მოსალოდნელ სარგებელსა და ხარჯებთან დაკავშირებით, მაგრამ, მაგალითად, განიხილეთ არამონეტარული ასპექტებიც (ფარდობითი ეფექტიანობა და განხორციელებადობა). მაგალითად, ერთი ალტერნატივის განხორციელება შეიძლება ნაკლები ღირდეს, მაგრამ შედარებით არაეფექტიანი იყოს; სხვა ალტერნატივას შეიძლება ჰქონდეს საზოგადოების მხრიდან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, მიუხედავად მისი განხორციელების მაღალი დანახარჯებისა და შედარებით დაბალი ეფექტიანობისა; და მესამე

ალტერნატივას შეიძლება ჰქონდეს უდიდესი ეფექტი მინიმალური დანახარჯით, მაგრამ საზოგადოებისთვის ნაკლებად მისაღები და განსახორციელებლად უფრო რთული იყოს.

- შეაჯამეთ ძირითადი დასკვნები თითოეული ალტერნატივის შესახებ, რომლის შეფასებაც განხორციელდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში.

თქვენს ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთებისას უნდა დარწმუნდეთ, რომ გაქვთ შესაძარებელი ელემენტები თითოეული მათგანისთვის. არსებობს რამდენიმე შესაძლო მიდგომა და მეთოდოლოგია, რომლებიც საშუალებას გაძლევთ, შეადაროთ თქვენ მიერ გამოვლენილი ალტერნატივები ერთმანეთს.

ოცდამეთხუთმეტე დადგენილების თანახმად, სავალდებულოა, რომ ალტერნატივების შედარების მიზნით ყოველთვის ჩაატაროთ **მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი (MCA)**, რომელიც რეკომენდაციის გაცემის საფუძველი უნდა გახდეს. მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი საუკეთესო მიდგომაა, როდესაც უნდა შეაფასოთ ერთი ალტერნატივის უპირატესობა მრავალ განზომილებაში. ასეთი ტიპის შეფასება უნდა განხორციელდეს არამხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გაქვთ ალტერნატივის ზეგავლენის მხოლოდ თვისებრივი შეფასება ან გაქვთ შერეული მონაცემები, არამედ მაშინაც, როდესაც განხორციელებულია ხარჯთსარგებლიანობის ანალიზიც. მაშინაც კი, როდესაც ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი სრულყოფილად ხორციელდება და როდესაც ყველა სარგებლისა და ხარჯის რაოდენობრივი შეფასება ხდება, ასეთი ანალიზი პასუხს გვცემს მხოლოდ ეფექტიანობაზე და არა სხვა კრიტერიუმებზე (და პოტენციურ მიზნებზე), როგორცაა სამართლიანობა, გენდერული თანასწორობა და ა.შ., რომლებიც ასევე მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია, როდესაც განსახორციელებელი ალტერნატივის შესახებ მიიღება გადაწყვეტილება.

მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის კომპლექსურობა, ასევე მათი შედარებისთვის გამოყენებული ინფორმაცია, დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის, იმ მეთოდოლოგიაზე, რომელსაც გამოიყენებთ ასეთი ინფორმაციის მისაღებად. შესაბამისი მეთოდოლოგი(ებ)ის არჩევა გადამწყვეტ როლს თამაშობს და ამ არჩევანის გაკეთება შესაძლებელია მას შემდეგ, რაც პასუხს გაცემთ ორ ძირითად კითხვას:

- **რა უნდა იყოს შედეგი?** – შესაფერისი მეთოდოლოგიის შერჩევა დიდწილად დამოკიდებულია დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში მანევრირების შესაძლებლობაზე. 35-ე განკარგულებაში ცხადადაა მითითებული, რომ რაოდენობრივად აუცილებლად უნდა შეფასდეს სულ მცირე, ბიზნესის ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება რეგულაციის მოთხოვნების შესასრულებლად, და ზეგავლენა საჯარო ფინანსებზე. სტანდარტულ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშშიც კი, თუ ეს ორი ფაქტორი რაოდენობრივად არ არის შეფასებული, ეს მიიჩნევა გამონაკლისად და საჭიროა მკაფიო და მყარი დასაბუთება, რატომ ვერ მოხდა ამ ზეგავლენების რაოდენობრივი შეფასება. სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის განხორციელების შემთხვევაში უფრო მეტი ანალიზის ჩატარებაა საჭირო. სულ მცირე, უნდა მომზადდეს თვისებრივი ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი და დეტალურად აიხსნას, რატომ ვერ მოხდა კონკრეტული ზეგავლენების რაოდენობრივი შეფასება.
- **რა მონაცემებს ვყურდნობ?** – ეს ეხება არსებულ მონაცემებს. მნიშვნელოვანია, ცხადად აჩვენოთ, თუ არ გაქვთ სათანადო მონაცემები, რომლებიც საჭიროა ზეგავლენის შეფასებისთვის (მაგალითად, თუ ზოგიერთი ზემოქმედების რაოდენობრივი განსაზღვრა ან მონეტიზაცია შეუძლებელია. მონაცემთა არარსებობა ან არაშესაბამისობა ზოგადად წარმოადგენს გარკვეული ზეგავლენების რაოდენობრივი შეფასების შეუძლებლობის გონივრულ დასაბუთებას (მონაცემთა შეგროვებაზე, იხ. ქვემოთ.)

რომ შევაჯამოთ, გაითვალისწინეთ შემდეგი ემპირიული წესები:

- **გამოიყენეთ თვისებრივი ანალიზი** მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ხარჯების და სარგებლის რაოდენობრივი შეფასება.
- **გამოიყენეთ ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი (CBA)**, თუ შეგიძლიათ უზრუნველყოთ როგორც სარგებლის, ისე დანახარჯების მონეტიზაცია და გჭირდებათ ალტერნატივების ზეგავლენების შეფასება ეფექტიანობის მხრივ. ეფექტიანობის კუთხით, ჩვეულებრივ, პოლიტიკის ალტერნატივა მიიჩნევა მისაღებ ალტერნატივად, თუ მისი განხორციელების სარგებელი აღემატება ან მინიმუმ ამართლებს ხარჯებს.
- **გამოიყენეთ ხარჯთეფექტიანობის ანალიზი (CEA)**, თუ თქვენ გაქვთ რაოდენობრივად შეფასებული და მონეტიზებული ხარჯები და შეგიძლიათ დაუშვათ, რომ ამ ალტერნატივების განხორციელებას ექნება ეკვივალენტური (თვისებრივი) სარგებელი; ან თუ თქვენ გაქვთ მონეტიზებული ხარჯები და მხოლოდ რაოდენობრივი სარგებელი (ან გაქვთ ეფექტიანობის საზომი, რომელიც მოიცავს სარგებელის უმეტეს ნაწილს – მაგალითად, ღარიბი მოსახლეობის უფასო სამედიცინო მომსახურებაზე წვდომას), ან შეუძლებელია ან არ არის ნებადართული სარგებლის მონეტიზაცია (მაგ. გადარჩენილი სიცოცხლის ღირებულება). ხარჯთეფექტიანობის ანალიზი შეიძლება იყოს შესაფერისი არჩევანი მაშინაც, როდესაც საქმე გაქვთ შუალედურ საქონელთან, ვიდრე განუღო „საბოლოო“ მომსახურებასთან და გაურკვეველია ზუსტი კავშირი (მაგ. კონკრეტული შეიარაღებული სისტემის წვლილი ეროვნულ თავდაცვაში).

ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად უნდა აირჩიოთ ამ მეთოდოლოგიიდან მხოლოდ ერთი და გამო-რიცხოთ მეორე. სინამდვილეში, შესაძლებელია, რამდენიმე მეთოდოლოგიის, როგორც ურთიერთ-შემავსებლების, გამოყენება, რაც საშუალებას მისცემს როგორც რეგულირების ზეგავლენის შეფასების განმახორციელებლს, ისე მკითხველებს, უკეთ გაეცნონ პრობლემას და შეფასებული ალტერნატივის უპირატესობებს. მიუხედავად იმისა, რომ ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი შესანიშნავი საშუალებაა, პრაქტიკაში ხშირად შეუძლებელია (და არც კი არის სასურველი, თუ მოსალოდნელია მცირე ზემოქმედება და საჭირო ინფორმაციის მიღება ძვირი და შრომატევადია, ან თუ არსებობს წინააღმდეგობა ზოგიერთი ზემოქმედების მონეტიზაციაზე, მაგალითად, როგორიც არის სტატისტიკური ცხოვრების ღირებულების შეფასება) ყველა ზემოქმედების მონეტიზაცია. მეორე მხრივ, თვისებრივი ანალიზი, მართალია, შეიძლება საკმაოდ ინფორმაციული იყოს, მაგრამ არც ისე გამოსადეგია, როდესაც ჩვენ დაინტერესებული ვართ, შევაფასოთ შემოთავაზებული ინტერვენციების ეფექტიანობა.

აქედან გამომდინარე, **თვისებრივი ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი** შესაძლოა უფრო შედეგიანი მეთოდი იყოს რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელებისას.

თვისებრივი ხარჯთსარგებლიანობის (CBA) \ ხარჯთეფექტიანობის (CEA) ანალიზი შეიძლება განსაკუთრებით სასარგებლო იყოს, როდესაც შესაძლებელია ზოგიერთი (მაგრამ არა ყველა) სარგებლისა და ხარჯის მონეტიზაცია და როცა შეფასებისას ძირითადი ყურადღება ეთმობა ეფექტიანობის განსაზღვრას. ამ შემთხვევაში, თქვენ აერთიანებთ ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის დასკვნებსა და ზემოქმედების თვისობრივ ანალიზს, რომლის რაოდენობრივი განსაზღვრა შეუძლებელია და, პოტენციურად, ხარჯთეფექტიანობის ანალიზის ასპექტებს, რომელთა კვანტიფიკაცია შესაძლებელია, მაგრამ არა მონეტიზაცია. იმ ზეგავლენების თვისებრივი ანალიზის განხორციელებისას, რომელთა მონეტიზაციაც შეუძლებელია, უნდა შეეცადოთ, განსაზღვროთ ამ ზეგავლენის მასშტაბები მონეტიზირებულ ზეგავლენებთან შედარებით. ზეგავლენის ასეთი შეფასების შემთხვევაში, მათზე დაყრდნობით შესაძლებელია მყარი დასკვნებისა და რეკომენდაციების გაკეთება.

3.7.2. თვისებრივი ანალიზი

თვისებრივი ანალიზის ფარგლებში, თქვენ უნდა განიხილოთ ალტერნატივის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენები და მათი სავარაუდო მასშტაბი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შეუძლებელია (მონაცემთა, დროის ან რესურსების ნაკლებობის გამო) უფრო ზუსტი რაოდენობრივი შეფასების განხორციელება.

თქვენ უნდა დაეყრდნოთ ზუსტად იმ წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, რომლებიც გამოყენებული იქნა ზემოქმედების იდენტიფიკაციის ეტაპზე; ანალიზი უნდა დაიწყოთ ყველაზე სანდო წყაროზე დაყრდნობით. იმის ჩვენებაც კი, თუ როგორია სხვადასხვა ზეგავლენის მოსალოდნელი მასშტაბი (შესაბამის ლიტერატურასა და ექსპერტთა მოსაზრებებზე დაყრდნობით), ალტერნატივების ერთმანეთთან შედარების, შესაძლოა მათი რანგირების საშუალებას მოგცემთ და შეგეძლებათ პოლიტიკის განმახორციელებლესა და დაინტერესებულ მხარეებს გაუზიაროთ ალტერნატივების შედარების პროცესში გამოკვეთილი საინტერესო მიგნებები.

3.7.3. ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი⁸

ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი (CBA) განსხვავდება წმინდა თვისებრივი ანალიზისგან, რადგან ზემოქმედების იდენტიფიცირებისა და პოტენციური შეფასების ინდიკატორების შერჩევის შემდეგ, ანალიტიკოსი ახდენს ალტერნატივებთან დაკავშირებული პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯებისა და სარგებელის მონეტიზაციას და აფასებს თითოეული ალტერნატივის წმინდა მიმდინარე ღირებულებას. ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:

1. ყველა ზეგავლენის მონეტიზაცია (მათთვის მონეტარული ღირებულების მინიჭება) – პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები და სარგებელი.
2. სარგებელისა და ხარჯების დისკონტირება მიმდინარე ღირებულების დასადგენად.
3. თითოეული ალტერნატივის წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) შეფასება.
4. სენსიტიურობის ანალიზის ჩატარება.

ამ ნაბიჯების გათვალისწინებით, ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი, თუ ის სწორადაა შესრულებული, საშუალებას იძლევა, სწორად შეირჩეს ალტერნატივა, ალტერნატივების ფარდობითი ეფექტიანობის გათვალისწინებით, საერთო შეფასების ინდიკატორზე დაყრდნობით (რადგან ყველა შედეგი გამოხატულია მონეტარულ ერთეულებში). ამის მიღწევა შეუძლებელია, როდესაც შესრულებულია მხოლოდ წმინდა თვისებრივი ანალიზი.

ხარჯთეფექტიანობის ანალიზის მესამე ნაბიჯის მთავარი ინტუიცია, ანუ დისკონტირების საჭიროება, არის ის, რომ ლარის ღირებულება დღეს განსხვავებულია (დაბალია) ლარის ხვალისდელი ღირებულებისგან; შედეგად, საჭიროა ყველა იმ ხარჯისა და სარგებლის დისკონტირება, რომელიც მომავალში მოხდება (მომავალი ღირებულების კონვერტაცია დღევანდელ ღირებულებაში – ან მიმდინარე ღირებულება (PV)), იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მათი შედარება.

ხარჯებისა და სარგებლის დისკონტირებისათვის, პირველ რიგში, უნდა აირჩიოთ შესაბამისი სოციალური დისკონტირების განაკვეთი (SDR). SDR ზომავს „საზოგადოების დღევანდელი მოხმარების

⁸ CBA-ის დამატებითი განხილვისათვის შეგიძლიათ იხილოთ წიგნი: ხარჯთეფექტიანობის ანალიზი – ცნებები და პრაქტიკა, მე-5 გამოცემა, Boardman et. al (2018).

დამოშობის დონეს ხვალინდელი მოხმარების სანაცვლოდ⁹. სოციალური დისკონტირების განაკვეთის მთავარი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ის ასახავს რესურსების ამჟამინდელი მოხმარებიდან (ან ინვესტიციიდან) მათი მომავალ ინტერვენციაში გადატანის ალტერნატიულ ღირებულებას. შესაბამისი სოციალური დისკონტირების განაკვეთის არჩევისთანავე, მარტივად შეგვიძლია გამოვთვალოთ მიმდინარე ღირებულება (PV): t წელს დამდგარი ხარჯის ან სარგებლის მიმდინარე ღირებულების საპოვნელად საჭიროა ის (ხარჯი ან სარგებელი) გავყოთ $(1 + s)^t$ -ზე, სადაც s არის სოციალური დისკონტირების განაკვეთი.

შესაბამისი სოციალური დისკონტირების განაკვეთის არჩევა ერთ-ერთი ყველაზე რთული (და საინტერესო) საკითხია, რომლის წინაშეც დგანან ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის განმახორციელებლები. რამდენიმე ქვეყანაში მთავრობა ადგენს დისკონტირების განაკვეთს, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული პროექტებისა და პროგრამების ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის შესრულებისას. სხვა ქვეყნებში ანალიტიკოსებს შეუძლიათ განსაზღვრონ ყველაზე შესაფერისი SDR, ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის შესახებ არსებულ ლიტერატურაში გამოვლენილი საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. ნებისმიერ შემთხვევაში, გამჭვირვალობას იმის შესახებ, თუ რატომ აირჩიეთ კონკრეტული სოციალური დისკონტირების განაკვეთი, ასევე ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის შედეგების სენსიტიურობა დისკონტირების განაკვეთის ცვლილებისას, აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში სხვადასხვა სოციალური დისკონტირების განაკვეთის არჩევამ შესაძლოა მკვეთრად განსხვავებულ შედეგებამდე მიგვიყვანოს.

ალტერნატივის წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) გამოთვლა მიიღება, თუ სარგებლის მიმდინარე ღირებულებას გამოვაკლებთ ხარჯების მიმდინარე ღირებულებას: $NPV = PV(B) - PV(C)$. წმინდა მიმდინარე ღირებულებაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღების ძირითადი წესი (როდესაც სტატუსკვოს გარდა არსებობს სხვა ალტერნატივებიც და ყველა მათგანი ურთიერთგამომრიცხავია) არის შემდეგი: *აირჩიეთ ის ალტერნატივა, რომელსაც აქვს ყველაზე მაღალი წმინდა მიმდინარე ღირებულება, იმ დაშვებით, რომ მინიმუმ ერთ ალტერნატივას აქვს დადებითი წმინდა მიმდინარე ღირებულება.*

ის ფაქტი, რომ წმინდა მიმდინარე ღირებულება არის ნულზე მეტი, ნიშნავს, რომ ერთი ალტერნატივის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულება უფრო დაბალია, ვიდრე მისი სარგებელი საზოგადოებისთვის (იზომება საზოგადოების გადახდისთვის მზადყოფნით (WTP) ამ ალტერნატივის განხორციელებისთვის). შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ის ალტერნატივა, რომელსაც აქვს ყველაზე მაღალი წმინდა მიმდინარე ღირებულება, ყველაზე მეტად გაზრდის საზოგადოების კეთილდღეობას.

⁹ <http://documents1.worldbank.org/curated/pt/135541468266716605/pdf/wps4639.pdf>

ჩანართი 47 – ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის მაგალითი

ამ ჩანართში განვიხილავთ ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის მაგალითს, რომელიც ეფუძნება წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასებას, თუმცა მაგალითში წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია არ არის რეალური და შეცვლილია მაგალითის მიზნებიდან გამომდინარე. ანალიზი ემყარება პოლიტიკის ორ შერჩეულ ალტერნატივას, რომლებიც წარმოდგენილია 34-ე ჩანართში. სიმარტივისთვის, ამ მაგალითის ფარგლებში, ანალიზი უნდა შესრულდეს მომდევნო 3 პერიოდისთვის (წელი) და მხოლოდ რამდენიმე ასპექტი (ქვემოთ ჩამოთვლილი) განიხილება.

ხარჯთსარგებლიანობის ანალიზისთვის მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

პოლიტიკის ალტერნატივა 1

- დონორები აფინანსებენ სააუზო მართვის გეგმის ყველა ხარჯს და სხვა დანარჩენი ხარჯების ნახევარს;
- მოსალოდნელია, რომ მონაცემთა გაცვლის სერვისის შემოღების ღირებულება შეადგენს 1,000,000 ლარს და ეს თანხა მთლიანად დაიხარჯება პირველი პერიოდის ბოლოსთვის;
- საჭირო იქნება ახალი პერსონალის დაქირავება დოკუმენტებისა და ინფორმაციის გაზრდილი ნაკადის, ნებართვების განაწილების, მონიტორინგის, აღსრულებისა და ა.შ. მართვისათვის;
- შემდეგი 3 წლის განმავლობაში 40 ახალი თანამშრომლის დაქირავებაა მოსალოდნელი:
 - ✓ 20 პირველი წლის განმავლობაში
 - ✓ 10 მეორე წლის განმავლობაში
 - ✓ 10 მესამე წლის განმავლობაში;
- ერთი დამატებითი თანამშრომლის დაქირავების წლიური ხარჯი სახელმწიფო ბიუჯეტისთვის 12,000 ლარს შეადგენს;
- ასევე, საჭიროა დამატებითი აღჭურვილობის შეძენა, რომლის ხარჯიც პირველი პერიოდის ბოლოსთვის 200,000 ლარს შეადგენს;
- შემუშავდება 3 სააუზო მართვის გეგმა – სამივე მათგანი დასრულდება პირველი პერიოდის ბოლოსთვის; სააუზო მართვის თითოეული გეგმის შემუშავების ღირებულება დაახლოებით 70,000 ლარს შეადგენს;
- სხვა ხარჯები – ყოველწლიურად 50,000 ლარი.

შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში:

- მოსალოდნელი ახალი შემოსავლები გადასახადიდან: 3,000,000 ლარი – ყოველწლიურად;
- დამატებითი შემოსავალი ნებართვის გაცემის მოსაკრებლებიდან: 400,000 ლარი პირველ წელს.

კერძო სექტორის ხარჯები:

- ზემოქმედების ქვეშ მოქცეული კომპანიების რაოდენობა: 2000;
- წყალაღების ნებართვის ღირებულება: 100 ლარი;
- წყალარინების ნებართვის ღირებულება: 100 ლარი;
- წყალაღების/წყალარინების გადასახადები, თითოეული კომპანიის მიერ: 1,500 ლარი;
- წყალაღების/წყალარინების დოკუმენტების მომზადების ღირებულება (მხოლოდ პირველ წელს): 1,000 ლარი;

- ადმინისტრაციული პერსონალის მიერ დახარჯული საათების რაოდენობა ახალი ინფორმაციის მოთხოვნაზე თითოეული კომპანიისთვის: 20 საათი წელიწადში; საათობრივი შრომის ანაზღაურება – 10 ლარი;
- ახალი პროგრამული უზრუნველყოფა (პირველ წელს): 2,000 ლარი.

პოლიტიკის ალტერნატივა 2

- დონორები აფინანსებენ სააუზო მართვის გეგმის ყველა ხარჯს და სხვა დანარჩენი ხარჯების ნახევარს;
- საჭირო იქნება ახალი კადრების დაქირავება დოკუმენტებისა და ინფორმაციის გაზრდილი ნაკადის, ნებართვების განაწილების, მონიტორინგის, აღსრულებისა და ა.შ. მართვისათვის;
- შემდეგი 3 წლის განმავლობაში მოსალოდნელია 80 ახალი თანამშრომლის დაქირავება:
 - ✓ 40 პირველი წლის განმავლობაში
 - ✓ 20 მეორე წლის განმავლობაში
 - ✓ 20 მესამე წლის განმავლობაში;
- ერთი დამატებითი თანამშრომლის დაქირავების წლიური ხარჯი სახელმწიფო ბიუჯეტისთვის 12,000 ლარს შეადგენს;
- ასევე, საჭიროა დამატებითი აღჭურვილობის შეძენა, რომლის ხარჯიც პირველი პერიოდის ბოლოსთვის 350,000 ლარს შეადგენს;
- შემუშავდება 3 სააუზო მართვის გეგმა – სამივე მათგანი დასრულდება პირველი პერიოდის ბოლოსთვის. სააუზო მართვის თითოეული გეგმის შემუშავების ღირებულება დაახლოებით 70,000 ლარს შეადგენს;
- სხვა ხარჯები – ყოველწლიურად: 50,000 ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები:

- მოსალოდნელი ახალი შემოსავლები გადასახადიდან: 3 000 000 ლარი – ყოველწლიურად;
- დამატებითი შემოსავალი ნებართვის გაცემის მოსაკრებლებიდან: 400,000 პირველი წელი.

კერძო სექტორის ხარჯები

- ზეგავლენის ქვეშ მოქცეული კომპანიების რაოდენობა: 2000;
- წყალაღების ნებართვის ღირებულება: 100 ლარი;
- წყალარინების ნებართვის ღირებულება: 100 ლარი;
- წყალაღების/წყალარინების გადასახადები, თითოეული კომპანიის მიერ: 1,500 ლარი;
- წყალაღების/წყალარინების დოკუმენტების მომზადების ღირებულება (მხოლოდ პირველ წელს): 1,000 ლარი;
- ადმინისტრაციული პერსონალის მიერ დახარჯული საათების რაოდენობა ახალი ინფორმაციის მოთხოვნაზე თითოეული კომპანიისთვის: 30 საათი წელიწადში; საათობრივი შრომის ანაზღაურება – 10 ლარი;
- ახალი პროგრამული უზრუნველყოფა (პირველი წელი): 2,000 ლარი.

პოლიტიკის ორივე ალტერნატივისთვის:

- სახაზინო ობლიგაციებზე ნომინალური, ურისკო უკუგებაა 10%;
- სახელმწიფო ხარჯები ფინანსდება ბიუჯეტიდან;
- მოსალოდნელი ინფლაციის დონე 5%-ს შეადგენს.

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, რაოდენობრივად შეფასდა შემდეგი ზეგავლენები პოლიტიკის ორივე ალტერნატივისათვის:

- მთლიანი მოსალოდნელი გავლენა საჯარო ფინანსებზე;
- რეფორმის განხორციელების სავარაუდო ხარჯი;
- მოცემული ნომინალური საპროცენტო განაკვეთისა და ინფლაციის მაჩვენებლის საფუძველზე გაანგარიშდა რეალური დისკონტირების განაკვეთი;
- რეალური დისკონტირების განაკვეთის მიღების შემდეგ შესაძლებელი გახდა საზოგადოებრივი ხარჯების საზოგადოებრივი შემოსავლებისა და კერძო სექტორის ხარჯების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა.

(ზეგავლენების მონეტიზაციის დეტალური ანალიზი მოცემულია **ონლაინ ექსელის ფაილში**).

როგორც უკვე ცხადი უნდა იყოს, ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის შედეგები ასახავს „საუკეთესო ვარაუდებს“, რომლებიც ანალიტიკოსებს შეეძლოთ მიეღოთ ალტერნატივების სავარაუდო ზეგავლენის შესახებ, ანალიზისა და შესაბამისი მონეტარული შეფასების შედეგად. ვინაიდან ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი მრავალ დაშვებას ემყარება, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორ მოქმედებს მოდელის სხვადასხვა ცვლადი შედეგებზე და რამდენად საიმედო და სტაბილურია შეფასებები. ამიტომ სენსიტიურობის ანალიზის გამოყენება გადამწყვეტად მიიჩნევა ყველა კარგად შესრულებული ხარჯთსარგებლიანობის ანალიზისთვის. სენსიტიურობის ანალიზი აჩვენებს, სხვადასხვა ცვლადთან დაკავშირებული გაურკვევლობები როგორ ზეგავლენას ახდენს მოდელის საბოლოო შედეგების ცვლილებებზე.

სენსიტიურობის ანალიზის დროს ანალიტიკოსი ატარებს ტესტების სერიას ყველაზე კრიტიკული დაშვებების იდენტიფიცირებისთვის და ამოწმებს სტატისტიკურად რამდენად სტაბილური რჩება მოდელის შედეგები, მაშინ როდესაც იცვლება ყველაზე კრიტიკული ცვლადის მოსალოდნელი მნიშვნელობა.

3.7.4. ხარჯთეფექტიანობის ანალიზი¹⁰

ხარჯთეფექტიანობის ანალიზი (CEA) განსხვავდება წმინდა თვისებრივი ანალიზისა და ხარჯთსარგებლიანობის ანალიზისგან, რადგან ზემოქმედების იდენტიფიკაციისა და პოტენციური შეფასების ინდიკატორების შერჩევის შემდეგ ანალიტიკოსი ასრულებს შემდეგ ნაბიჯებს:

1. **ხარჯების მონეტიზაცია** (მონეტარული მნიშვნელობების მინიჭება);
2. ხარჯების დისკონტირება მათი ამჟამინდელი ღირებულების დასადგენად (მეთოდოლოგია და საფუძვლები იდენტურია ხარჯთსარგებლიანობის ანალიზისას შესრულებული დისკონტირებისა);
3. თითოეული ალტერნატივის ხარჯთეფექტიანობა/ეფექტიანობა-ხარჯის (CE/EC) კოეფიციენტების გამოთვლა;
4. სენსიტიურობის ანალიზის ჩატარება (მეთოდოლოგია და საფუძვლები იდენტურია, ხარჯთსარგებლიანობის ანალიზისას შესრულებული სენსიტიურობის ანალიზის).

¹⁰ CEA-ს უფრო დეტალური განხილვისათვის იხ. წიგნი: ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი – ცნებები და პრაქტიკა, მეხუთე გამოცემა, Boardman et. al (2018).

ხარჯთეფექტიანობის ანალიზი, თუ სწორად შესრულდა, გვაძლევს შედარებული ალტერნატივების ობიექტური რანგირების საშუალებასაც. ამ შემთხვევაში, რანგირება ეფუძნება არა ეფექტიანობას, არამედ ხარჯთეფექტიანობას. ანალიზის დროს შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ ურთიერთგამომრიცხავი ალტერნატივების ხარჯ-ეფექტიანობის (CE) ან ეფექტიანობა-ხარჯის (EC) კოეფიციენტები, ყველაზე ეფექტიანი ალტერნატივის გამოსავლენად. ხარჯები და ეფექტიანობა ყოველთვის ინკრემენტალურად იზომება (მაგალითად, სტატუსკვოსთან მიმართებით).

$$CE_{is} = \frac{C_i - C_s}{E_i - E_s}$$

ზემოთ მოცემულ ფორმულაში, i ალტერნატივის ხარჯთეფექტიანობა (CE) ფასდება s ალტერნატივასთან მიმართებით (სტატუსკვო). კოეფიციენტის მისაღებად ხარჯებს შორის სხვაობა უნდა შევადაროთ ეფექტიანობებს შორის სხვაობას. როდესაც ალტერნატივებს სტატუსკვოს ვადარებთ, უნდა შეირჩეს ის ალტერნატივა, რომელსაც აქვს ყველაზე დაბალი CE-ს კოეფიციენტი.

პირველი გამოწვევა, რომელსაც წააწყდებით ხარჯთეფექტიანობის ანალიზის შესრულების დროს, არის შესაბამისი ხარჯების არჩევა, რომელთა მონეტიზაციაც ხდება. როგორც წესი, სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბიუჯეტო ხარჯები. ამასთან, ეფექტიანობის თვალსაზრისით, ხარჯები უნდა მოიცავდეს ფირმების მიერ რეგულაციების შესრულების ხარჯებსაც. დანახარჯების ორივე კატეგორიისთვის სწორი შეფასება უნდა ასახავდეს მათ რეალურ ალტერნატიულ დანახარჯებს.

48-ე ჩანართში მოკლედ განვიხილავთ ხარჯთეფექტიანობის მეთოდოლოგიის გამოყენების მარტივ მაგალითს, რომელიც სტანდარტული რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელებისას გამოიყენება (მოცემული მაგალითი არ არის რეალურად განხორციელებული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის მაგალითი), რეგულირების მოთხოვნების შესრულების ხარჯებისა და საჯარო ფინანსებზე ზემოქმედების რაოდენობრივი შეფასების მიზნით.

ჩანართი 48 – ხარჯთეფექტიანობის ანალიზის მაგალითი

ამ ჩანართში განვიხილავთ მოდიფიცირებულ ხარჯთეფექტიანობის ანალიზის მაგალითს, რომელიც ეფუძნება წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასებას. ანალიზი ემყარება პოლიტიკის ორ შერჩეულ ალტერნატივას, რომლებიც წარმოდგენილია 34-ე ჩანართში. ხარჯთსარგებლიანობის ანალიზისთვის საჭირო ინფორმაცია შეჯამებულია 47-ე ჩანართში.

ხარჯთეფექტიანობის ანალიზისთვის საჭიროა დამატებითი ინფორმაცია, რაც საერთოა ორივე პოლიტიკის ალტერნატივისათვის:

- დავუშვათ, რომ დამატებითი ადამიანების რიცხვი, რომლებსაც აქვთ მაღალი ხარისხის წყალი, 1,500,000-დან 2,000,000-მდე იზრდება

რეფორმის ხარჯთეფექტიანობის შესაფასებლად, პირველ რიგში შეფასდა წმინდა ფინანსური ხარჯების მიმდინარე ღირებულება (ორივე ალტერნატივისთვის). ამის შემდეგ, აქ მოცემული დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე, შეფასდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც დამატებით მიიღებდნენ მაღალი ხარისხის წყალს ($2,000,000 - 1,500,000 = 500,000$). ხარჯთეფექტიანობის კოეფიციენტი (CE) წარმოადგენს ამ ორი რიცხვის თანაფარდობას.

დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შესრულდა ხარჯთეფექტიანობის ანალიზი, მოცემულია ამ [ექსელის ფაილში](#).

სხვადასხვა ალტერნატივის რანგირება ხარჯთეფექტიანობის კოეფიციენტების გამოყენებით შეიძლება მეტ-ნაკლებად პრობლემური იყოს, რაც დამოკიდებულია შემდეგ მახასიათებლებზე:

- იდენტური ღირებულების მასშტაბების მქონე ალტერნატივების რანგირება;
- სხვადასხვა ხარჯების მასშტაბის მქონე ალტერნატივების რანგირება.

მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის მსგავსი მასშტაბების მქონე ალტერნატივების რანგირება შედარებით მარტივია, სხვადასხვა მასშტაბების მქონე ალტერნატივების რანგირება შეიძლება პრობლემური იყოს და არაერთგვაროვან რანგირებამდე მიგვიყვანოს.

3.7.5. მრავალკრიტერიუმული ანალიზი

მრავალკრიტერიუმული ანალიზი (MCA) შეიძლება ჩაითვალოს, როგორც საბოლოო ნაბიჯი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა კრიტერიუმს (CBA, CEA და თვისებრივი ანალიზი) და ყველა შერჩეულ პოლიტიკის ალტერნატივას ადარებს ერთმანეთს ყველა შესაბამისი მიზნის გათვალისწინებით. მრავალკრიტერიუმული ანალიზი ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რადგან ის წარმოადგენს პოლიტიკის სხვადასხვა ალტერნატივის შედარების მკაფიო გზას, არის თანმიმდევრული, გამჭვირვალე და მარტივი. მრავალკრიტერიუმული ანალიზი ეფუძნება შესრულების ან შედეგების მატრიცას, რომელშიც ალტერნატივების მიერ მიზნების მიღწევის დონე იზომება სხვადასხვა კრიტერიუმით. მრავალკრიტერიუმული ანალიზი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი ყველაზე სასურველი ალტერნატივის ასარჩევად, ალტერნატივების რანგირებისთვის, შემდგომი დეტალური შეფასების შეზღუდული რაოდენობის ალტერნატივების დასადგენად ან, უბრალოდ, მისაღები და მიუღებელი ალტერნატივების იდენტიფიცირებისთვის. **მრავალკრიტერიუმული ანალიზის ჩატარება სავალდებულოა ყველა ტიპის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიზისთვის, რათა აჩვენოთ, თითოეული ალტერნატივის განხორციელების შემთხვევაში როგორ მოხდება პოლიტიკის მიზნების მიღწევა და რამდენად ეფექტიანია თითოეული მათგანი.**

მრავალკრიტერიუმული ანალიზის უპირატესობები

მრავალკრიტერიუმული ანალიზი შეიძლება იყოს ეფექტიანი ტექნიკა, ვინაიდან ის საშუალებას იძლევა, გამოიყენოთ ხარჯთსარგებლიანობის ლოგიკა იმ შემთხვევებზე, როდესაც საჭიროა ზეგავლენის **თვისებრივი, რაოდენობრივი და მონეტარული მახასიათებლების წარმოდგენა**, როდესაც არსებობს სხვადასხვა ხარისხის განსაზღვრულობა.

მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი საკმაოდ სასარგებლო ტექნიკაა მაშინაც კი, როდესაც შესაძლებელია ხარჯების და სარგებელის სრულად მონეტიზაცია (და, შესაბამისად, სათანადო ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის შესრულება), იმის თვალსაჩინოდ წარმოსადგენად, რომ შესაძლოა ეფექტიანობის (ხარჯთსარგებლიანობის ანალიზში მოცული განზომილება) მისაღწევად მოგვიწიოს კომპრომისებზე წასვლა, როდესაც სხვა კონკურენტული მიზნები (მაგ. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა ან შემოსავლისა და დოვლათის განაწილების უთანასწორობის შემცირება) თავისი ბუნებით ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანობის მოთხოვნებს.

ხარჯთეფექტიანობის ანალიზს გააჩნია დამატებითი უპირატესობები, მათ შორის:

- მიზნები და კრიტერიუმები, რომლებიც გამოყენებულია ალტერნატივების შესაფასებლად, განმარტებულია ღიადა და მკაფიოდ;
- სათანადო ანგარიშგების შემთხვევაში, ყველა დაშვების, რომელიც საფუძვლად უდევს ანალიზს, მონიტორინგი და გაუმჯობესება არის შესაძლებელი განხორციელების შემდეგ (ex-ante);
- შედარებით მარტივია, თუ ქულების მინიჭებისა და შეწონვის პროცესი არის მკაფიო, გადამოწმებადი და შესაძლებელია მათი სხვა წყაროებში იდენტიფიცირებაც;
- შესაძლებელია მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი ჩაატაროს გარე ექსპერტმა, რაც მიკერძოების რისკის თავიდან არიდების შესაძლებლობას იძლევა;
- ეს არის მოსახერხებელი, მარტივი საკომუნიკაციო საშუალება როგორც დაინტერესებული მხარეებისთვის, ისე პოლიტიკის შემქმნელებისთვის.

მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის შეზღუდვები

მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის ერთ-ერთი შეზღუდვა ის არის, რომ სათანადო ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის არარსებობის შემთხვევაში, ის ვერ გვიჩვენებს, ინტერვენცია საზოგადოების კეთილდღეობას ზრდის თუ ამცირებს. ამრიგად, ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი, ისევე, როგორც ხარჯთეფექტიანობის ანალიზის შედეგად გამოვლენილი „საუკეთესო“ ალტერნატივა, შესაძლოა არ ზრდიდეს საზოგადოების კეთილდღეობას (ეკონომიკური ეფექტიანობის კუთხით), რაც, თავის მხრივ, არ არის საკმარისი ინტერვენციის გასამართლებლად (არაფრის გაკეთება შეიძლება დარჩეს სასურველ სცენარად). ეს საკითხი კიდევ უფრო აშკარა ხდება, როდესაც საჭიროა ალტერნატივების შედარება, რომელთა ხარჯები და სარგებელი სხვადასხვა დროს დგება.

როგორც ხშირად აღიქმება, მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის კიდევ ერთი ნაკლი არის მისი გადაჭარბებული სუბიექტურობა. მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის რამდენიმე მახასიათებელი დამოკიდებულია ექსპერტთა ან მთავარ დაინტერესებულ მხარეთა შეფასებაზე, რომლებსაც შეუძლიათ ისე მიანიჭონ კრიტერიუმებს ქულები და წონები, რომ მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის მატრიცამ მათთვის სასურველ შედეგებამდე მიგვიყვანოს. აქედან გამომდინარე, ფუნდამენტურია, რომ მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის პროცესის ფორმირება და ანგარიშგება მოხდეს გამჭვირვალედ და რაც შეიძლება მეტი ჩართულობით, მისი განხორციელების ყველა ეტაპზე. ამ სახელმძღვანელოს მე-6 დანართში წარმოდგენილია მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის განხორციელების პროცედურული ასპექტები და რეკომენდაციები ფოკუს მეთოდის ჯგუფების გამოყენებაზე, რათა ანალიტიკოსს დაშვებებისა და მონაცემების შემოწმების შესაძლებლობას მისცემს.

3.7.6. მრავალკრიტერიუმის ანალიზის შესრულების მატრიცის შედგენა

მრავალკრიტერიუმის ანალიზის სტანდარტული მახასიათებელია ე.წ. „შესრულების მატრიცა“, რომელშიც თითოეული სვეტი აღწერს ალტერნატივას და თითოეული ჰორიზონტალური რიგი აღწერს ალტერნატივის მიერ თითოეული კრიტერიუმის შესრულების დონეს სტატუსკვოსთან მიმართებით. როგორც წესი, მატრიცის შედგენა შემდეგი ნაბიჯებიდან გამომდინარეობს:

- **ნაბიჯი 1: განსაზღვრეთ შესრულების კრიტერიუმები** – კრიტერიუმები არის ის ძირითადი ასპექტები (შესრულების საზომები), რომელთა საფუძველზეც ფასდება რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შემუშავებული ალტერნატივები. კრიტერიუმების მაგალითებია: ეფექტურობა, ეფექტიანობა, განხორციელების სიმარტივე და ა.შ. მრავალკრიტერიუმის ანალიზის განხორციელებით მიღებული მთავარი დამატებითი სარგებელი არის ის, რომ პროცესი ეფუძნება მკაცრად შემუშავებულ ოპერაციულ (შესრულების) კრიტერიუმებსა და ალტერნატივების რანგირების ცხად და გამჭვირვალე წესებს. კრიტერიუმები უნდა იყოს S.M.A.R.T. და შესაბამისობაში იყოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებსა და პრიორიტეტებთან, როგორცაა დღის წესრიგი 2030-ის მიზნების მიღწევა.
- **ნაბიჯი 2: შესრულების კრიტერიუმებისთვის პრიორიტეტების მინიჭება (კრიტერიუმებისთვის წონის მინიჭება)** – ამ ნაბიჯს უწოდებენ შეწონვას: თითოეულ კრიტერიუმს ენიჭება რიცხვითი კოეფიციენტები, რათა განისაზღვროს მათი შედარებითი მნიშვნელობა. კრიტერიუმები, რომლებიც უფრო მნიშვნელოვნად ითვლება, მიიღებენ უფრო მაღალ წონებს. წონის არარსებობა (ან ყველა კრიტერიუმისთვის ერთი და იგივე წონის მინიჭება) მიუთითებს იმაზე, რომ ანალიტიკოსი ყველა კრიტერიუმს ერთნაირად მნიშვნელოვნად თვლის.
- **ნაბიჯი 3: თითოეული ალტერნატივის შესრულების შეფასება** – ამ ნაბიჯს უწოდებენ ქულის მინიჭების ნაბიჯს: თითოეული ალტერნატივის მოსალოდნელ შედეგებს ენიჭება რიცხვითი ქულა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით. ქულა მით უფრო მაღალი იქნება, რაც უფრო მეტ გაუმჯობესებას გამოიწვევს სხვადასხვა ასპექტში (კრიტერიუმი) ალტერნატივა სტატუსკვოსთან მიმართებით. ხოლო დაბალი ქულა მიუთითებს ამ კრიტერიუმების მიხედვით მდგომარეობის გაუარესებაზე. სასურველ ალტერნატივებს შკალაზე უფრო მეტი ქულა ენიჭება, ხოლო ნაკლებ სასურველს – უფრო დაბალი ქულა.
- **ნაბიჯი 4: შეადგინეთ შესრულების მატრიცა (შეადარეთ ალტერნატივები)** – მატრიცა ვიზუალურად აერთიანებს თითოეული ალტერნატივის მიერ მიზნების შესრულების შეფასების კომბინაციას, გამოსატყობი რიცხვითი მნიშვნელობებით, თითოეული შეწონილი კრიტერიუმის შესაბამისად. საუკეთესო ალტერნატივა (კრიტერიუმების მიხედვით მინიჭებული ქულების ჯამის შესაბამისად) არის ის, რომელსაც რეკომენდაცია უნდა გაუწიოთ.

როგორც არსებული ლიტერატურა ცხადყოფს, მრავალკრიტერიუმის ანალიზის განხორციელების მრავალი ტექნიკა არსებობს და მათი რიცხვი კვლავ იზრდება. 35-ე დადგენილების 23-ე მუხლი მიუთითებს, როგორ უნდა იყოს გამოყენებული მრავალკრიტერიუმის ანალიზი ალტერნატივების შეფასებისათვის და განიხილავს, როგორ უნდა მოხდეს ქულის მინიჭება და შეწონვა. 23-ე მუხლის ტექსტი მოცემულია 49-ე ჩანართში.

მე-6 დანართში წარმოდგენილია ერთ-ერთი შედარებით სტანდარტული მიდგომა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთავრობის მიერ სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღებისას და შესაბამემა 35-ე დადგენილებაში მითითებულ მოთხოვნებს. ეს კეთდება საილუსტრაციო (გამოგონილი) მაგალითის საფუძველზე. დანართში მითითებულია დამატებითი ლიტერატურაც, რომელიც დაგეხმარებათ მრავალკრიტერიუმის ანალიზის განხორციელებისას.

ჩანართი 49 – მრავალკრიტერიუმის ანალიზი 35-ე დადგენილებაში

35-ე დადგენილების 23-ე მუხლი აკონკრეტებს, როგორ უნდა შეფასდეს ალტერნატივები მრავალკრიტერიუმის ანალიზის საშუალებით. ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის შესაბამისად, 23-ე მუხლში ნათქვამია, რომ:

1. მრავალკრიტერიუმის ანალიზი აერთიანებს ალტერნატივის ზეგავლენის რაოდენობრივ და თვისობრივ შეფასებას.
2. მრავალკრიტერიუმის ანალიზის დროს უნდა მოხდეს ზეგავლენის შეფასების შედეგების შედარება საბაზისო/უმოქმედობის სცენართან მიმართებით.
3. მრავალკრიტერიუმის ანალიზის კრიტერიუმები მოიცავს:
 - ა) რაოდენობრივი ანალიზის შედეგებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რაც მოიცავს:
 - ა.ა) ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის შეჯამებულ შედეგებს, როგორც წმინდა მიმდინარე ღირებულება;
 - ა.ბ) ხარჯთეფექტიანობის ანალიზის შეჯამებულ შედეგებს, როგორც ხარჯთეფექტიანობის კოეფიციენტი;
 - ბ) თვისებრივი ანალიზის შედეგებს, რაც მოიცავს:
 - ბ.ა) თითოეული ალტერნატივის შეფასებას რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული მიზნების მისაღწევად;
 - ბ.ბ) თითოეული ალტერნატივის პრაქტიკაში განხორციელებადობას, მათ შორის, რამდენად არის პოლიტიკურად, სოციალურად, საზოგადოებრივი კუთხით და ა.შ. მისაღები ალტერნატივა;
 - ბ.გ) თითოეულ ალტერნატივასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ კონკრეტულ რისკებს;
 - ბ.დ) თითოეული ალტერნატივის კონკრეტულ მოსალოდნელ სარგებელს;
 - ბ.ე) ნებისმიერ სხვა კრიტერიუმს, რომელიც ეხება ალტერნატივების შედარებას და იძლევა შედარების მეთოდით საუკეთესო ვარიანტის შერჩევის უკეთეს შესაძლებლობებს.
4. მრავალკრიტერიუმის ანალიზის დროს, თვისებრივი კრიტერიუმების შესადარებლად თითოეულ ალტერნატივას ენიჭება ქულა.
5. მრავალკრიტერიუმის ანალიზის თვისებრივი შედეგებისათვის მინიჭებული ქულა შესაძლოა, მერყეობდეს (-5)-დან (5)-მდე. ამ შუალედში ქულები (-5)-დან (-1)-მდე აღნიშნავს უმოქმედობის სცენართან მიმართებით მდგომარეობის გაუარესებას, სადაც (-5) მნიშვნელოვან, ხოლო (-1) მცირედ გაუარესებაზე მიუთითებს. (0) აღნიშნავს უმოქმედობის სცენართან მიმართებით მდგომარეობის უცვლელად დატოვებას. ქულები (1)-დან (5)-მდე აღნიშნავს მდგომარეობის გაუმჯობესებას, სადაც (1) აღნიშნავს მცირე უკეთესობას, ხოლო 5 – მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.
6. პრიორიტეტულობის განსაზღვრის მიზნით, ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის კრიტერიუმებს შეიძლება მიეკუთვნოს წონის კოეფიციენტი, მათი პრიორიტეტულობის დადგენის მიზნით. აღნიშნული კოეფიციენტი შეიძლება მერყეობდეს 0-დან 1-მდე შუალედში და იგი განისაზღვრება რეგულირების ზეგავლენის შეფასების ავტორი უწყების უფლებამოსილი პირის მიერ. თუ უფლებამოსილი პირი გამოყოფილ კოეფიციენტს არ განსაზღვრავს, გამოყოფილ კოეფიციენტად გამოყენებული უნდა იყოს 1. ნებისმიერი შეფასება უნდა იყოს დასაბუთებული და დაზუსტებული, რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის, მრავალკრიტერიუმის ანალიზის აღწერილობაში.

7. თითოეული თვისებრივი კრიტერიუმის წონითი კოეფიციენტი უნდა გამრავლდეს თითოეული ალტერნატივისთვის ამ კრიტერიუმში მინიჭებულ ქულაზე. აღნიშნული ნამრავლი იქნება ალტერნატივის შეფასება კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით.
8. მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის თვისებრივი შედეგები შეიძლება შეჯამდეს როგორც ყველა კრიტერიუმში მოცემული პოლიტიკის ალტერნატივების მიერ მიღებული ქულების არითმეტიკული ჯამი.
9. მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი უნდა განხორციელდეს ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა რაოდენობრივი ზეგავლენის შეფასება ხარჯთსარგებლიანობის ან/და ხარჯთეფექტიანობის ანალიზის საფუძველზე.
10. მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის შედეგების შეჯამება უნდა მოხდეს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის ნიმუშში მოცემული ცხრილის შესაბამისად (მოცემულია ქვემოთ).
11. რეგულირების ზეგავლენის შეფასების ავტორმა შეიძლება მოამზადოს შეფასების კრიტერიუმების ალტერნატიული სია, მიზნების შესაბამისად. კრიტერიუმების ჩამონათვალის შემუშავება უნდა მოხდეს მათი შეფასების მომზადებამდე.

მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის შესრულების მატრიცა (სავალდებულო)

შეფასების კრიტერიუმი	ალტერნატივა 1	ალტერნატივა 2	ალტერნატივა 3
სარგებელი – ხარჯები (წმინდა მიმდინარე ღირებულება)	xxx ლარი	xxx ლარი	xxx ლარი
კონკრეტული მიზანი 1	(ქულა (ქ) *წონითი კოეფიციენტი (წ.კ.) 1)	(ქ 2*წ.კ. 1)	(ქ 3*წ.კ. 1)
კონკრეტული მიზანი 2	(ქ 4*წ.კ. 2)	(ქ 5*წ.კ. 2)	(ქ 6 *წ.კ. 2)
ზეგავლენა გარკვეულ ჯგუფებზე/ მცირე და მსხვილ საწარმოებზე			
.....			
განხორციელებადობა/ შესრულების სიმართლე	(ქ 7* წ.კ. 3)	(ქ 7 * წ.კ. 3)	(ქ 7 *წ.კ. 3)
რისკი	(ქ 8* წ.კ. 4)	(ქ 9 * წ.კ. 4)	(ქ 10 *წ.კ. 4)
სხვა	(ქ 11 * წ.კ. 5)	(ქ 12* წ.კ. 5)	(ქ 13* წ.კ. 5)
შეჯამება	ჯამი	ჯამი	ჯამი

3.7.7 პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან

აღნიშნული ქვეთავი მომზადდა იმისათვის, რომ მკითხველს დაეხმაროს განხილული ცნებების კონსოლიდაციაში და მიეცეს საშუალება, გაიზიაროს რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის ანალიტიკოსების გამოცდილება და მიდგომები, რაც მათ დააგროვებს და შეიმუშავებს საქართველოს კონტექსტში რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების შედეგად.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ამ ქვეთავში მითითებული რეგულირების ზეგავლენის შეფასებების უმეტესობა შესრულებულია მეთოდოლოგიის შემუშავებამდე. ამ მიზეზით, მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის შესრულების მატრიცის ფორმატი დამისიშინაარსი ყოველთვის არ მიჰყვება დაერთსადაიმავე ლოგიკას. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში ალტერნატივისთვის ქულის მინიჭება დამოკიდებული

იყო ანალიზის დროზე, სხვა შემთხვევაში კი მათი შედარება ხდებოდა იმ მდგომარეობასთან, თუ როგორ მოხდებოდა მათი განვითარება ჩარევის გარეშე (დამოკიდებულია ძირითადი დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტებზე). გარდა ამისა, მართალია, უმეტეს შემთხვევაში, ნაჩვენები იყო მხოლოდ ალტერნატივის დამატებითი წმინდა მიმდინარე ღირებულება (განსხვავება საბაზისო სცენართან მიმართებით), მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეები ითხოვდნენ თითოეული ალტერნატივის განხორციელებასთან დაკავშირებული აბსოლუტური წმინდა მიმდინარე ღირებულების ჩვენებას, საბაზისო სცენარის ჩათვლით. ზოგადად, არ ვანიჭებდით წონებს სხვადასხვა კრიტერიუმს და არც საბოლოო შემაჯამებელ ქულას ვანიჭებდით ალტერნატივებს, რადგან გვინდოდა წონის არჩევა და საბოლოო ქულის მინიჭება (წონის მიხედვით) პოლიტიკის შემქმნელებისათვის დაგვეთმო.

წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების დროს გუნდმა გამოავლინა რამდენიმე კრიტერიუმი პოლიტიკის ალტერნატივების მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის მეთოდით შედარებისთვის. კრიტერიუმები მოიცავდა შემდეგს: წმინდა მიმდინარე ღირებულება, ეფექტიანობა, განხორციელებადობა, პოტენციური რისკების შემცირება და პოტენციური სარგებლის მაქსიმიზაცია. ყველა კრიტერიუმს მიენიჭა ერთი და იგივე წონა. შემაჯამებელი ცხრილი არ შედგენილა. 50-ე ჩანართში მოცემულია რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შესრულებული მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი.

ჩანართი 50 – წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შესრულებული მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი

პირველი კრიტერიუმი, რომელიც გამოყენებული იქნა შერჩეული პოლიტიკის ალტერნატივების შედარებისთვის (რომლებიც წარმოდგენილია 34-ე ჩანართში), იყო წმინდა მიმდინარე ღირებულება, რომელიც შეფასდა თითოეული პოლიტიკის ალტერნატივისთვის და რომელიც შეფასდა ანგარიშის რაოდენობრივი შეფასების ნაწილში. დეტალური ინფორმაცია თითოეული ალტერნატივის წმინდა მიმდინარე ღირებულების შეფასების შესახებ შეგიძლიათ ნახოთ ორიგინალი დოკუმენტის სრულ ტექსტში. წმინდა მიმდინარე ღირებულების გარდა, გამოყენებულია კიდევ რამდენიმე კრიტერიუმი. ესენია:

- **ეფექტიანობა:** სასურველი შედეგის მიღწევის შესაძლებლობა. ამ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში ეს შედეგები მოიცავდა შემდეგს:
 - ✓ უზრუნველყოს ყველა წყლის ობიექტისათვის კარგი ხარისხის სტატუსთან მიახლოება;
 - ✓ უზრუნველყოს სასმელი წყლის მუდმივი ხელმისაწვდომობა და მოსახლეობისთვის სანიტარულ სისტემებზე წვდომა;
 - ✓ უზრუნველყოს წყლის ხელმისაწვდომობა ყველა პოტენციური მომხმარებლისთვის;
 - ✓ უზრუნველყოს წყლის რესურსების ეფექტიანი გადანაწილება ალტერნატიულ მომხმარებლებს შორის;
 - ✓ უზრუნველყოს ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივასთან შესაბამისობა.
- **განხორციელებადობა:** განხორციელების სიმარტივე.
- **რეფორმასთან დაკავშირებული რისკების შემცირება:**
 - ✓ მონიტორინგი, შეფასება და გადაწყვეტილების მიღება კვლავ კონცენტრირებულია ცენტრალურ დონეზე;
 - ✓ იმ წინაპირობის თანახმად, რომ „ევროკავშირის დირექტივების ჰარმონიზაცია აუცილებელია“, ზოგიერთი საკანონმდებლო ცვლილება – თუნდაც ქვეყნისთვის პოტენციურად საზიანო – შეიძლება შემოღებულ იქნეს შეზღუდული მსჯელობის საფუძველზე და ევროკავშირის დირექტივის სრული მოთხოვნების გარეშე;

- ✓ შეცდომების არსებობა ეკონომიკური ინსტრუმენტების შემუშავებაში, რაც ხელს უშლის ინტეგრირებული სააუზო მართვის გეგმების ძირითადი მიზნების მიღწევას და ქვეყნის განვითარებას; ბუნდოვანება კანონის ინტერპრეტაციაში და/ან ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის მის ყველაზე ეფექტიან გამოყენებას;
- ✓ წყლის მონაცემების არასაკმარისი ხელმისაწვდომობა;
- ✓ უარყოფითი გავლენა სოციალურად დაუცველ ჯგუფებსა და მცირე საწარმოებზე.
- **რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებული დამატებითი სარგებლის მაქსიმიზაცია:**
 - ✓ გარემოსდაცვით გამოწვევებსა და კატასტროფულ მოვლენებზე სწრაფად და ეფექტიანად რეაგირების შესაძლებლობა;
 - ✓ მეტი პროგნოზირების შესაძლებლობა და საიმედოობა;
 - ✓ როდესაც არჩევანის წინაშე დგავართ, ოპტიმალური (უფრო ეფექტიანი) ალტერნატივის უფრო სწრაფი იდენტიფიცირება.

ქვემოთმოცემულ ცხრილში მოცემულია RIA-ის ფარგლებში შესრულებული მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი.

ალტერნატივების შეფასება მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის გამოყენებით

შეფასების კრიტერიუმები	ალტერნატივა 0	ალტერნატივა 1	ალტერნატივა 2
ინკრემენტული სარგებელი – ინკრემენტული ხარჯები (წმინდა მიმდინარე ღირებულება [ალტერნატივა 0-თან შედარებით])	არ არის ხელმისაწვდომი	114.7	110.6
ეფექტიანობა 1 – კარგი ხარისხობრივი სტატუსი	-	+++	+++
ეფექტიანობა 2 – წვდომა სასმელ წყალსა და წყალარინების სისტემებზე	+	+	+
ეფექტიანობა 3 – ყველა პოტენციური მომხმარებლისთვის წვდომა წყალზე	0	++	++
ეფექტიანობა 4 – ეფექტიანი გადანაწილება ალტერნატიულ მომხმარებლებს შორის	-	+++	+++
ეფექტიანობა 5 – შესაბამისობა ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივასთან	---	++	++
განხორციელებადობა/შესრულების სიმარტივე	0	+++	++
პოტენციური რისკების შემცირება	--	+++	++
პოტენციური სარგებლის მაქსიმიზაცია	---	+++	++

შენიშვნები:

1. ალტერნატივა 0 წარმოადგენს საბაზისო სცენარის განვითარების შეფასებას, რაც შედარებულია ანალიზის დროს არსებულ მდგომარეობას. ნულის მნიშვნელობა ამ შემთხვევაში გულისხმობს არავითარ ცვლილებას, „+“ ნიშნავს დადებით ცვლილებას, ხოლო „-“ – უარყოფით ცვლილებას.
2. პირველი და მეორე ალტერნატივის შემთხვევაში ქულები მიუთითებს ალტერნატივების ზეგავლენას საბაზისო სცენართან შედარებით (ალტერნატივა 0). ნულის მნიშვნელობა ამ შემთხვევაში გულისხმობს არავითარ ცვლილებას, „+“ ნიშნავს დადებით ცვლილებას, ხოლო „-“ – უარყოფით ცვლილებას.

51-ე ჩანართში მოცემულია ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში განხორციელებული მრავალკრიტერიუმული ანალიზის მიმოხილვა.

**ჩანართი 51 – ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის
პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შესრულებული
მრავალკრიტერიუმული ანალიზი**

პოლიტიკის ალტერნატივების მრავალკრიტერიუმული ანალიზის შესასრულებლად (წარმოდგენილია 33-ე ჩანართში), რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჯგუფმა წმინდა მიმდინარე ღირებულებასთან ერთად გამოიყენა შემდეგი კრიტერიუმები:

- **ეფექტიანობა 1:** ინფრასტრუქტურის განახლებისა და რეაბილიტაციის გზით საიმედო წყალმომარაგების განვითარების ხელშეწყობა.
- **ეფექტიანობა 2:** სამელიორაციო მომსახურების მიმწოდებლების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა.
- **ეფექტიანობა 3:** წყლის ეფექტიანი გადანაწილების უზრუნველყოფა ალტერნატიულ მომხმარებლებს შორის.
- **ეფექტიანობა 4:** საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება საიმედო სარწყავი და სადრენაჟე მომსახურების გონივრულ ფასად მიწოდების უზრუნველყოფით.
- **განხორციელებადობა/განხორციელების სიმარტივე:** რამდენად ადვილია პოლიტიკის ალტერნატივის განხორციელება.
- რეფორმასთან დაკავშირებული რისკების შემცირება:
 - ✓ ფასდაკლების სქემის განხორციელება ტარიფის მეორე კომპონენტზე შეიძლება პრობლემატური იყოს ადმინისტრაციული თვალსაზრისით;
 - ✓ კომპანიამ შეიძლება კვლავ განიცადოს ზარალი გადასახადების აკრეფის დაბალი დონის გამო;
 - ✓ ტარიფი შეიძლება დამატებითი ტვირთი გახდეს ფერმერებისთვის მთავრობის სუბსიდირების გაუქმების შემდეგ;
 - ✓ შესაძლოა ვერ მოხდეს კომპანიის პრივატიზება, თუნდაც ტარიფის ზედა ზღვრის დაწესების შემთხვევაში.
- რეფორმასთან დაკავშირებული **პოტენციური სარგებლის მაქსიმიზაცია:**
 - ✓ ფერმერების ინფორმირებულობის გაზრდა მორწყვის თანამედროვე ტექნოლოგიების სარგებლიანობის შესახებ;
 - ✓ სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდა;
 - ✓ ქვეყნის სურსათზე დამოკიდებულების შემცირება და მისი სურსათის უსაფრთხოების გაუმჯობესება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შესრულებული მრავალკრიტერიუმული ანალიზი.

ალტერნატივების შეფასება მრავალკრიტერიუმული ანალიზის გამოყენებით

შეფასების კრიტერიუმები	ალტერნატივა 0	ალტერნატივა 1	ალტერნატივა 2
წმინდა მიმდინარე ღირებულება ფერმერებისთვის (ლარი) [აბსოლუტური, არაინკრემენტული მნიშვნელობა]	1,489,382,661	1,579,314,282	1,563,609,721
წმინდა მიმდინარე ღირებულება საქართველოს მელიორაციისთვის (ლარი) [აბსოლუტური, არაინკრემენტული მნიშვნელობა]	0 [ზარალს ანაზღაურებს მთავრობა]	97,934,823	241,002,026
წმინდა მიმდინარე ღირებულება სახელმწიფოსთვის (ლარი) [აბსოლუტური, არაინკრემენტული მნიშვნელობა]	-114,464,298	-189,471,860	-316,834,502
ეფექტიანობა 1	-	++	+
ეფექტიანობა 2	---	++	+++
ეფექტიანობა 3	---	++	++
ეფექტიანობა 4	-	+++	+
განხორციელებადობა / განხორციელების სიმარტივე	0	-	-
რეფორმასთან დაკავშირებული რისკების შემცირება	0	++	+
რეფორმასთან დაკავშირებული პოტენციური სარგებლის მაქსიმიზაცია	0	++	+

შენიშვნები:

1. ალტერნატივა 0 წარმოადგენს საბაზისო სცენარის განვითარების შეფასებას, რაც **შედარებულია ანალიზის დროს არსებულ მდგომარეობას**. ნულის მნიშვნელობა ამ შემთხვევაში გულისხმობს არავითარ ცვლილებას, „+“ ნიშნავს დადებით ცვლილებას, ხოლო „-“ – უარყოფით ცვლილებას.
2. პირველი და მეორე ალტერნატივის შემთხვევაში ქულები მიუთითებს ალტერნატივების ზემოქმედებას **საბაზისო სცენართან შედარებით** (ალტერნატივა 0). ნულის მნიშვნელობა ამ შემთხვევაში გულისხმობს არავითარ ცვლილებას, „+“ ნიშნავს დადებით ცვლილებას, ხოლო „-“ – უარყოფით ცვლილებას.

ოჯახში დასაქმებულების შესახებ კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შესრულებული მრავალკრიტერიუმული ანალიზის მიმოხილვა მოცემულია 52-ე ჩანართში. აღნიშნული რეგულირების ზეგავლენის შეფასება მოხდა 35-ე დადგენილების მიღების შემდეგ.

**ჩანართი 52 – ოჯახში დასაქმებულების შესახებ კონვენციის
რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შესრულებული
მრავალკრიტერიუმანი ანალიზი**

რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა შერჩეული პოლიტიკის ალტერნატივების (წარმოდგენილია 35-ე ჩანართში) შედარების მიზნით გაითვალისწინა შემდეგი კრიტერიუმები:

- ხარჯთსარგებლოანობის ანალიზი: მთავრობის ხარჯებისა და სარგებლის მიმდინარე ღირებულების შეფასება და წმინდა მიმდინარე ღირებულების შეფასება ყველა ალტერნატივისთვის;
- ეფექტიანობა: სასურველი შედეგის მიღებისა და პოლიტიკის ზოგადი მიზნის მისაღწევად ამ შემთხვევაში:
 - ✓ ოჯახში დასაქმებულების მოლაპარაკების ძალაუფლების გაზრდა;
 - ✓ ოჯახში დასაქმებულების დამცირებისა და ექსპლუატაციის რისკის შემცირება;
 - ✓ ოჯახში დასაქმებულებისთვის სოციალური შეღავათებითა და სოციალური დაცვის სერვისებით სარგებლობის უფლების უზრუნველყოფა;
 - ✓ ოჯახში დასაქმებულების ცნობიერების დონის ამაღლება მათი უფლებების შესახებ.
- განხორციელებადობა: თითოეული ალტერნატივის განხორციელების სიმარტივე:
 - ✓ ოჯახში დასაქმების სპეციფიკის გამო ალტერნატივების აღსრულებასა და მონიტორინგთან დაკავშირებული სირთულეები – რადგან ასეთი სამუშაოს შესრულება ხდება შინამეურნეობის სახლში და თანამშრომლისა და დამსაქმებლის ურთიერთობა უფრო პირადია;
 - ✓ საშემოსავლო გადასახადის გადახდის აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები.
- შეთავაზებული პოლიტიკის ყველა ალტერნატივასთან დაკავშირებული რისკების შემცირება:
 - ✓ საგადასახადო ტვირთის გამო ოჯახში დასაქმებულთა შემოსავლის შემცირება;
 - ✓ გაზრდილი ტვირთი დამსაქმებულებისთვის, ფაქტობრივად მათთვის მუშაობის შესაძლებლობების შემცირება;
 - ✓ გადასვლა (ან მათი არსებობა) არაფორმალური დასაქმების შეთანხმებებისაკენ: შინამეურნეობების წახალისება არაფორმალურ ეკონომიკაში გადასასვლელად, სადაც ოჯახში დასაქმება უფრო იაფია და/ან ოჯახში დასაქმებულების წახალისება, რომ დარჩნენ არაფორმალურად დასაქმებულებად, რათა თავი აარიდონ საშემოსავლო გადასახადის გადახდას;
 - ✓ რისკი იმისა, რომ ოჯახში დასაქმებულები არ მიმართავენ სასამართლო სისტემას, შრომის ინსპექციასა და სახალხო დამცველს.
- პოტენციური სარგებლის მაქსიმიზაცია:
 - ✓ შრომითი უფლებებისა და შესაძლებლობების პოპულარიზაცია ოჯახში დასაქმებულებს შორის;
 - ✓ ოჯახში დასაქმებულების ცნობიერების ამაღლება სამომავლო რისკებზე, რომელიც უკავშირდება არაფორმალურ დასაქმებაში ჩართულობის რისკებს;
 - ✓ ოჯახში დასაქმებულების მიდგომებისა და დამოკიდებულების შეცვლა – ოჯახში დასაქმება სხვა ტიპის სამუშაოს ეკვივალენტური და იმავე ღირებულების სამუშაოა;
 - ✓ ოჯახში დასაქმებულებისთვის საკუთარი უფლებების დასაცავად შეზღუდვების მოხსნა;
 - ✓ ოჯახში დასაქმებულებისთვის უფრო ძლიერი კავშირების შექმნის ხელშეწყობა;
 - ✓ ოჯახში დასაქმებულების თვითრწმენის ზრდა.

შედეგების შეჯამებისას, მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის დროს, ქულები მიენიჭა თითოეულ პოლიტიკის ალტერნატივას. ქულები იცვლება -5-დან 5-მდე. უარყოფითი ქულა წარმოადგენს ეფექტიანობის შემცირებას სტატუსკვოსთან შედარებით, ხოლო დადებითი ქულა წარმოადგენს ეფექტიანობის ზრდას.

ალტერნატივების შეფასება მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის გამოყენებით

შეფასების კრიტერიუმები	ალტერნატივა 1	ალტერნატივა 2
სარგებელი – ხარჯები (NPV)	2,445,748 GEL	1,483,373 GEL
ეფექტიანობა 1 – ოჯახში დასაქმებულების მოლაპარაკების ძალაუფლების გაზრდა	3	2
ეფექტიანობა 2 – ოჯახში დასაქმებულების დამცირებისა და ექსპლუატაციის რისკის შემცირება	2	1
ეფექტიანობა 3 – ოჯახში დასაქმებულებისთვის სოციალური შეღავათებითა და სოციალური დაცვის სერვისებით სარგებლობის უფლების უზრუნველყოფა	2	1
განხორციელებადობა/განხორციელების სიმარტივე	-4	-1
პოტენციური რისკების შემცირება	1	3
პოტენციური სარგებლის მაქსიმიზაცია	3	4

შენიშვნა:

ამ შემთხვევაში, 35-ე დადგენილების შესაბამისად, ალტერნატივა 0 არ არის ნაჩვენები და წმინდა მიმდინარე ღირებულება და ხარისხობრივი ქულები გამოხატული იყო საბაზისო სცენართან შედარებით (მაგ. პარამეტრების ევოლუცია პოლიტიკის შეცვლის არარსებობის შემთხვევაში), და არა იმ ვითარებასთან შედარებით, რომელიც იყო რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების მომენტში. ჩვენ არ გამოვიყენეთ ბოლო ჰორიზონტალური რიგი (შეჯამება), რადგან დაინტერესებულ მხარეებს დავუტოვეთ წონის მინიჭებისა და შემაჯამებელი ქულის გამოთვლის საშუალება.

3.8. განხორციელების მექანიზმები

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ამ ეტაპზე უნდა იფიქროთ იმაზე, თუ როგორ განხორციელდება და აღსრულება თქვენი სასურველი ალტერნატივა და როგორ მოხდება მისი შესრულების მონიტორინგი და საბოლოო შეფასება. აქედან გამომდინარე, თქვენ უნდა:

- იმსჯელოთ განხორციელების ნებისმიერ გამოწვევაზე, რომელიც შეიძლება წინასწარ გაითვალისწინოთ თქვენი ალტერნატივის განხორციელებამდე;
- შეაფასოთ განხორციელების რისკები: მათი მოხდენის ალბათობა, შედეგები და მათი მართვის მექანიზმები;
- სასურველი შედეგების მისაღწევად გარდამავალი მექანიზმების შექმნა;
- აღწეროთ, თუ როგორ შეფასდება რეკომენდებული ინტერვენციის შესრულება მისი მიზნების შესაბამისად, განხორციელების დროს და შემდეგ.

რატომ არის ეს ეტაპი მნიშვნელოვანი?

მთავრობის გადაწყვეტილებების განხორციელება შეიძლება მოითხოვდეს მნიშვნელოვან ცვლილებებსა და ზემოქმედების შეფასებას, რის შესახებაც რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის მკითხველები უნდა იყვნენ ინფორმირებული. განხორციელების ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შეფასდეს და მათი გათვალისწინება უნდა მოხდეს ალტერნატივის ეკონომიური ეფექტიანობის შეფასებისას. შეფასების შედეგებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს თქვენს არჩევანზე ალტერნატივის რეკომენდირებასთან დაკავშირებით.

3.8.1. პოლიტიკური, ეკონომიკური და პროცედურული გარემოებები

როდესაც რეკომენდებული ინტერვენციის განხორციელებაზე, აღსრულებაზე, მონიტორინგსა და სამომავლოდ შეფასებაზე ფიქრობთ, შეიძლება გაითვალისწინოთ მათთან პოლიტიკური, ეკონომიკური და პროცედურული გარემოებები. მე-15 ცხრილი ასახავს ერთ-ერთ შესაძლო მიდგომას.

ცხრილი 15. პოლიტიკის ციკლის წინასწარი განჭვრეტა

ეტაპები	პოლიტიკური გარემოებები	ეკონომიკური გარემოებები	პროცედურული გარემოებები
წინადადების მიღება	რა მითითებები მივიღე ხელმძღვანელობისგან/ მთავრობისაგან და რამდენად აკმაყოფილებს შეთავაზებული წინადადება მათ მოთხოვნებს მოხდება ამ წინადადებაზე პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა მთავრობაში/ პარლამენტში?	გათვალისწინებულია რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში	წინადადების ოფიციალურად წარდგენამდე რა ეტაპები უნდა გავიარო კიდევ? სავარაუდოდ, რა დრო დასჭირდება მთავრობას/ პარლამენტს ამ წინადადების განხილვისათვის/ მიღებისათვის?
ღონისძიების განხორციელება	როგორ რეაგირებენ მასზე შესაბამისი დაინტერესებული მხარეები/ პირები, რომლებიც უშუალოდ მოხვდნენ ღონისძიების ზეგავლენის ქვეშ? ისინი მზად არიან, თუ საჭიროა საინფორმაციო კამპანია/ გარდამავალი პერიოდი?	რა სახის წინააღმდეგობის სავარაუდო ტიპებს უნდა ველოდოთ (მაგალითად, დაუმორჩილებლობის სტიმულები; სხვის ხარჯზე ყოფნა, ბოიკოტი და ა.შ.)?	როდის უნდა დაიწყოს განხორციელება? არის გათვალისწინებული გარდამავალი პერიოდები? როდის უნდა იყოს უზრუნველყოფილი სრული განხორციელება? არსებობს საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს/ დაეხმარება განხორციელებას?
აღსრულება	ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი ამ ღონისძიების აღსრულებაზე? ეს უნდა იყოს სახელმწიფო ადმინისტრაციის ძირითადი ამოცანა თუ ის შეიძლება გადაეცეს კერძო აგენტებს?	რა არის სხვადასხვა ტიპის აღსრულების სავარაუდო ხარჯები? შეგვიძლია დავეყრდნოთ არსებულ პრაქტიკას?	როგორ უნდა მოხდეს აღსრულება? სტანდარტიზებული ინსპექტირების საშუალებით, ან პრიორიტეტებისა და კრიტერიუმების დაცვით (რისკზე დაფუძნებული მიდგომა)?

განხორციელების შემდგომი (Ex post) შეფასება	როდის უნდა დაიწყოს მონიტორინგი და ex post შეფასება? ეს უნდა იყოს ავტომატური თუ პოლიტიკური გადაწყვეტილების საფუძველზე? ვის მიერ? ვის უნდა ეცნობოს დასკვნები (მაგ. პარლამენტს, ფართო საზოგადოებას, დაზარალებულ დაინტერესებულ მხარეებს და ა.შ.)? მოხსენებებით, სემინარებით, პრესკონფერენციებით და ა.შ.	რა არის სავარაუდო ხარჯები მონიტორინგისა და შეფასების ღონისძიებებზე? მონაცემთა შეგროვებისა და ვალიდაციის სისტემა უკვე შექმნილია თუ ის უნდა აშენდეს ex novo?	როგორ უნდა იყოს ორგანიზებული მონიტორინგი და შეფასება, შეფასების დიზაინის, მონაცემთა შეგროვების, ვალიდაციისა და დამუშავების, ინტერპრეტაციისა და კომუნიკაციის თვალსაზრისით? როგორ შეიძლება მიკერძოების შემცირება?
--	---	--	---

3.8.2. მონიტორინგისა და შეფასების აქტივობების წინასწარ განსაზღვრა

მონიტორინგისა და შეფასების (M&E) საქმიანობის დეტალური მონახაზის საუკეთესოდ შესრულება, როგორც წესი, შესაძლებელია ღონისძიების ოფიციალურად არჩევის შემდეგ. აშკარაა, აზრი არ აქვს დეტალური მონიტორინგისა და შეფასების გეგმის მიწოდებას პოლიტიკის იმ ალტერნატივის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ არ არის არჩეული. რეგულირების ზეგავლენის შეფასების ამ ეტაპზე, თქვენ მოგთხოვენ, შეადგინოთ მონიტორინგისა და შეფასების გეგმის ძირითადი ინდიკატორები, რადგან:

- რესურსები შეზღუდულია და ასევე მონიტორინგისა და შეფასების გეგმის განხორციელება შეიძლება ძვირადღირებული იყოს. მნიშვნელოვანია, შევავსოთ გეგმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების რაოდენობა (მაგ. პერსონალის რაოდენობა (დაქირავებული გარე კონსულტანტი), კვლევები, საჯარო კონსულტაციები და ა.შ.), რომელიც პროპორციულია შემოთავაზებული ღონისძიების მოცულობისა და მათი პოტენციური გავლენის. როგორც ზოგადი წესი, მონაცემთა შეგროვება არ უნდა იყოს უფრო ძვირი, ვიდრე ამ მონაცემებიდან მიღებული ინფორმაციის ღირებულება;
- მთავრობის გადაწყვეტილებები პოლიტიკის ციკლის ნაწილია და მნიშვნელოვანია თითოეული ეტაპის ერთმანეთთან დასაკავშირებლად – წინასწარი ანალიზიდან ზემოქმედების შეფასებამდე – რათა შესაძლებელი გახდეს შესაძლო სამომავლო ინტერვენციისთვის საფუძვლის შექმნა.

მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორების საშუალებით შესაძლებელია შეფასდეს, რამდენად სწორად განხორციელდა მთავრობის ინტერვენცია და მიღწეულია თუ არა მისი მიზნები. ცხადია, ეს ინდიკატორები უნდა უკავშირდებოდეს ზოგადი და კონკრეტული მიზნების ადრე შემუშავებულ ინდიკატორებს (იხ. 2.3. ქვეთავი).

მონიტორინგისა და შეფასების გეგმის შემუშავებისას უნდა დასვათ შემდეგი კითხვები:

- **ძირითადი არსი:**
 - ✓ როგორ შეიძლება შეფასდეს ეს ალტერნატივა, რათა გავიგოთ, რამდენად კარგად მუშაობს ის?
 - ✓ არსებობს თუ არა მონიტორინგისა და შეფასებისთვის საჭირო სტრუქტურები? საჭიროა ახალი სტრუქტურის შექმნა?
 - ✓ ვინ იღებს მონიტორინგისა და შეფასების სტრუქტურის შედგენის ხარჯებს?

- **ვადები:**
 - ✓ როდის უნდა მივიღოთ და გამოვიყენოთ მიგნებები?
- **მონაცემები:**
 - ✓ უკვე არსებობს ინფორმაცია, რაც მჭირდება პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასებისათვის?
 - ✓ არის საბაზისო ინფორმაცია, რაც იძლევა ალტერნატივის განხორციელებამდე და განხორციელების შემდეგ მდგომარეობის შედარების საშუალებას?
 - ✓ რა ტიპის ხარვეზებია მონაცემებში და სად? შეიძლება მათი ახლა გადაჭრა?
 - ✓ როგორ შემიძლია მივიღო საბოლოო მომხმარებლისგან უკუკავშირი?
- **სუბიექტები:**
 - ✓ ვინ არიან მთავარი სუბიექტები ასეთი ინფორმაციის მოწოდებისა და გამოყენების პროცესში?
 - ✓ რა იქნება ამ სუბიექტების როლი? ვინ რაზეა პასუხისმგებელი?
- **გამოყენება:**
 - ✓ ვის და როგორ უნდა ეცნობოს მონიტორინგისა და შეფასების მიგნებები?

3.8.3. განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების გეგმის შედგენა

აუცილებელია, გქონდეთ მკაფიო განხორციელების გეგმა თქვენი რეკომენდებული ინტერვენციის განსახორციელებლად. განხორციელების გეგმა აყალიბებს საერთო შეხედულებებს ორივე მხარისთვის – ვისზეც ინტერვენცია ზეგავლენას მოახდენს – და მოვუწოდებთ, რომ დაემორჩილონ რეგულირების მითითებებს და ვინც ვალდებულია, უზრუნველყოს ინტერვენციის დროული და სრული აღსრულება.

გეგმაში უნდა იყოს გათვალისწინებული შემდეგი:

- განხორციელების გამოწვევების, ვადებისა და პროექტის ფაზების იდენტიფიცირება. ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც რეკომენდებულ ინტერვენციას საერთო აქვს სხვა რეგულაციებთან, პოლიტიკასთან ან მთავრობის მიერ უკვე განხორციელებულ ან დაგეგმილ პროექტებთან;
- მკაფიოდ აღწეროს როლები და პასუხისმგებლობა რესურსების მიღებაში, ინტერვენციის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, რათა ყველამ იცოდეს, რომელი გადაწყვეტილებების მიღება ვის მიერ არის შესაძლებელი;
- განისაზღვროს ორგანიზაციული შესაძლებლობები ინტერვენციის განხორციელების, აღსრულების, მონიტორინგის, შეფასებისთვის – მენეჯმენტის უნარების, ტექნიკური კომპეტენციის, მონაცემთა ბაზების, ტექნოლოგიური უზრუნველყოფის თვალსაზრისით;
- შეიმუშავეთ მკაფიო გეგმა, როგორ შეძლებთ იმის მიღწევას, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა შეასრულონ ინტერვენციის მოთხოვნები;
- პოლიტიკური რისკების, პროცედურული/ორგანიზაციული გამოწვევების იდენტიფიცირება, მათი წარმოქმნის ალბათობის შეფასება და მასთან დაკავშირებული შედეგები და მენეჯმენტის გადაწყვეტილებების გათვალისწინება.

გეგმა არ უნდა იყოს ძალიან გრძელი და მას საბოლოოდ შეადგენენ ალტერნატივის შერჩევის შემდეგ. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ თქვენ დაუთმოთ საკმარისი დრო და რესურსი გეგმის განსაზღვრას, რათა თავიდან აიცილოთ გადამწყვეტი ფაქტორების უგულებელყოფა, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს რეკომენდებული ინტერვენციის განხორციელებას.

53-ე ჩანართში მოცემულია ჩამონათვალი, რომელიც დაგეხმარებათ ლოგიკური განხორციელების გეგმის ჩამოყალიბებაში.

ჩანართი 53 – კარგი განხორციელების პროცესის გაუმჯობესება: ძირითადი ჩამონათვალი

გაწერეთ თქვენი დაგეგმილი პოლიტიკის შედეგები?

- როგორ გამოიყურება წარმატება და როგორ მიაღწევთ მას?
- რა კრიტერიუმებით შეფასდება თქვენი პოლიტიკის შედეგების მიღწევა?
- შეაგროვეთ საკმარისი ეტალონური მონაცემები იმის შესაფასებლად, ჰქონდა თუ არა თქვენს პოლიტიკას სასურველი ეფექტი დროთა განმავლობაში?

ვინ არიან გადაწყვეტილების მიმღები პირები და რა არის მათი პასუხისმგებლობა?

- სათანადოდ გაითვალისწინეთ მმართველობა?
- ნათლად არის განსაზღვრული და დოკუმენტირებული თითოეული ადამიანის, ჯგუფის ან სააგენტოს როლი და პასუხისმგებლობა?
- ყველა ჩართული მხარე თანხმდება, თუ ვინ არის პასუხისმგებელი თითოეულ გადაწყვეტილებაზე?
- შემუშავებულია ანგარიშგებისა და განხილვის ღონისძიებები?
- ინარჩუნებთ სიმარტივეს? არ დაუშვათ, რომ პროექტის მენეჯმენტის პროცესები თვითმიზანი გახდეს.
- შეძლებთ თუ არა პრობლემების პროაქტიულ მართვას და პრობლემების, რისკებისა და დავების სწორად მიწოდებას სწორი ადამიანისთვის?

დაინტერესებული მხარეები სათანადოდ მონაწილეობენ პროცესში და ინფორმირებულნი არიან პროგრესის შესახებ?

- გაქვთ დაინტერესებული მხარეების სწორი რაოდენობა და ტიპი? არც თუ ისე ბევრი, არამედ საკმარისი იმისათვის, რომ სასარგებლო უკუკავშირი მოგცეთ და იყოთ მუდამ მზადყოფნაში?
- როგორ აწვდით მათ ინფორმაციას პროგრესის შესახებ?
- უსმენთ დაინტერესებულ მხარეებს და ესაუბრებით მათ? ჰკითხეთ მათ აზრი ალტერნატივის განხორციელების ან რისკებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ; თუ დაინტერესებული მხარე სწორად შეარჩიეთ, მათ შესაძლოა შემოგთავაზონ სასარგებლო მიდგომები, რომლებიც აქამდე არ გქონდათ გათვალისწინებული.

აკვირდებით თუ არა წარმატებაზე მოქმედ რისკებსა და საფრთხეებს?

- დაიმახსოვრეთ: მიზანი არის არა რისკის აღმოფხვრა, არამედ მისი იდენტიფიცირება, შეფასება და მართვა. აქტიურად ეცადეთ ცნობილი რისკების თავიდან აცილება და ფხიზლად იყავით ახლის დადგენისას.
- შეიმუშავეთ და იქონიეთ თქვენი რისკის მართვის სტრატეგია დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

როგორ შეაფასებთ თქვენს პოლიტიკას განხორციელების პერიოდში და მის შემდეგ?

- თავიდანვე დაგეგმეთ, რა იზომება, როგორ იზომება, რატომ და ვის შეატყობინებთ ამას.
- შეფასების კარგი კითხვები მოიცავს: სწორად ვიქცევით? ჩვენ ამას სწორად ვაკეთებთ? არსებობს უკეთესი გზები იმავე შედეგის მისაღწევად?
- შეფასებისას პასიურად არ უნდა განიხილებოდეს პოლიტიკის შესრულება, მაგრამ აქტიურად უნდა დასვათ კითხვები მიმდინარე პოლიტიკის საჭიროებებზე. ჰკითხეთ საკუთარ თავს, ემსახურება თუ არა პოლიტიკა სასარგებლო მიზანს. ჯერ კიდევ საჭიროა ამ პოლიტიკის განხორციელება თუ უნდა შეჩერდეს ის?

გაქვთ სწორი რაოდენობისა და ტიპის რესურსები თქვენი პოლიტიკის განსახორციელებლად?

- შეაფასეთ ადამიანური, ფინანსური და მიწოდების სერვისები პროექტის მთელი განხორციელების პერიოდის განმავლობაში და არ კონცენტრირდეთ მხოლოდ იმ რესურსებზე, რომლებიც საჭიროა პროექტის საწყისი ეტაპის განხორციელებისთვის.
- განსაზღვრული გაქვთ შედეგის მისაღებად სხვადასხვა მექანიზმების გამოყენების ხარჯები? გააკეთეთ ინფორმირებული არჩევანი, თუ რა რესურსი იქნება საჭირო თქვენი სასურველი შედეგის მისაღწევად.

35-ე დადგენილების 24-ე მუხლი აქცენტს აკეთებს უშუალოდ განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე. მუხლის ტექსტი მოცემულია 54-ე ჩანართში.

ჩანართი 54 – 35-ე დადგენილება, 24-ე მუხლი – განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

1. შერჩეული ალტერნატივის განხორციელების მიზნით, რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშში მკაფიოდ უნდა გაიწეროს განხორციელების დროში გაწერილი ნაბიჯები, საფეხურები, პასუხისმგებელი უწყებები და შესრულების ინდიკატორები. აღნიშნული მოიცავს:
 - ა) განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოსალოდნელი სირთულის აღწერას;
 - ბ) შერჩეული ალტერნატივის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებს, კერძოდ, მათი დადგომის ალბათობის, მოსალოდნელი შედეგებისა და რისკების გადასაჭრელად საჭირო ღონისძიებების შეფასებას;
 - გ) შერჩეული ალტერნატივის განხორციელებისთვის საჭირო გარდამავალი ღონისძიების ჩამონათვალსა (საჭიროების შემთხვევაში) და მათ აღწერას;
 - დ) აღწერას, თუ როგორ განხორციელდება დასახულ მიზნებთან მიმართებით შერჩეული ალტერნატივის შეფასება მისი განხორციელების პერიოდში, ისევე როგორც დანერგვის განხორციელების შემდეგ.
2. როდესაც შერჩეული ალტერნატივის დანერგვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო განსხვავდება იმ ორგანოსგან, ვინც შეიმუშავა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში, შერჩეული ალტერნატივის განხორციელების უფლებამოსილების დაკისრების შესახებ შეთანხმება ხდება წინასწარ, რომელიც მკაფიოდ უნდა აისახოს შემუშავებულ ანგარიშში.

3. რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შერჩეული ალტერნატივის მონიტორინგისა და საბოლოო შეფასების განხორციელების შესახებ.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს რეგულირების ზეგავლენის ანგარიშში „მონიტორინგისა და შეფასების გეგმის“ ფორმით, უნდა ასახავდეს კანონის აღსრულების მნიშვნელოვან ნაბიჯებს და მისი შესრულების შესაფასებლად საჭირო მთავარ ცხრილებს.
5. მონიტორინგისა და შეფასების გეგმა ჯამდება რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის ნიმუშში (დანართი №3) მოცემული №6 ცხრილის მიხედვით [ცხრილი მოცემულია ქვემოთ].

მონიტორინგისა და შეფასების გეგმის შეჯამების ცხრილი

ინდიკატორი	შეფასების დრო და სიხშირე	მონიტორინგზე პასუხისმგებლობა
ინდიკატორი 1	შეფასების ადრეული თარიღი (წლიური, კვარტალური, ყოველთვიური)	დანესებულება 1 დანესებულება 2 დანესებულება 3
ინდიკატორი 2	შეფასების ადრეული თარიღი (წლიური, კვარტალური, ყოველთვიური)	დანესებულება 1 დანესებულება 2 დანესებულება 3
ინდიკატორი 3	შეფასების ადრეული თარიღი (წლიური, კვარტალური, ყოველთვიური)	დანესებულება 1 დანესებულება 2 დანესებულება 3

3.8.4. პრაქტიკული მაგალითები და გაკვეთილები საქართველოს გამოცდილებიდან

აღნიშნული ქვეთავი მომზადდა იმისათვის, რომ მკითხველს დაეხმაროს განხილული ცნებების კონსოლიდაციაში და მიეცეს საშუალება, გაიზიაროს რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის ანალიტიკოსების გამოცდილება და მიდგომები, რაც მათ დააგროვებს და შეიმუშავებს საქართველოს კონტექსტში რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების შედეგად.

წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების დროს რეგულირების შეფასების გუნდმა შეიმუშავა მონიტორინგისა და შეფასების გეგმა, რათა რეფორმის შემდეგ მომხდარიყო წყლის მართვის სისტემის ფუნქციონირების მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების მიმოხილვა მოცემულია 55-ე ჩანართში.

**ჩანართი 55 – წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის
შეფასების ფარგლებში შემუშავებული მონიტორინგისა და შეფასების გეგმა**

იმისათვის, რომ შეფასდეს, როგორ პასუხობს შერჩეული პოლიტიკის ალტერნატივა რეფორმის მიზნებს (იხ. 30-ე ჩანართი), რეგულირების შეფასების გუნდმა შეიმუშავა მონიტორინგისა და შეფასების შემდეგი გეგმა:

მონიტორინგისა და შეფასების გეგმა

ინდიკატორი	შეფასების სიხშირე	მონიტორინგზე პასუხისმგებლობა
წყლის ყველა ობიექტის მიერ კარგი ხარისხის სტატუსის მიღწევა		
წყლის ობიექტების წილი (%), სადაც არის სრული და სრულყოფილად ფუნქციონირების მონიტორინგის სისტემა.	წლიური	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; სააუზო მართვის ორგანიზაციები; გარემოს ეროვნული სააგენტო
მდინარის აუზების წილი (%), სადაც სათანადოდ არის გათვლილი გარემოსდაცვითი (დაბინძურებასთან დაკავშირებული) გადასახადი / მოსაკრებელი და / ან არსებობს დაბინძურების ბაზარი.	წლიური	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; წყლის მართვის დეპარტამენტი; სააუზო მართვის ორგანიზაციები; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
იმ შემთხვევების წილი (%), როდესაც ჯარიმები დადგენილია სტანდარტიზებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელიც ასახავს გარემოზე მიყენებულ ზიანს.	წლიური	გარემოსა და ბუნებრივი რესურსებს დაცვის სამინისტრო; გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
ხარჯების ანაზღაურების დონე (%), რომლებიც დაკავშირებულია წყლის გამწმენდი ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და ოპერირებასთან.	წლიური	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; სემეკი; ადგილობრივი თვითმმართველობები; წყლის ადგილობრივი მიმწოდებლები
იმ წყლის ობიექტების წილი (%), რომელთაც აქვთ დაბალი ხარისხის სტატუსით (ბოლო შეფასებით) და აქვთ გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი მაჩვენებლებით.	წლიური	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; სააუზო მართვის ორგანიზაცია; გარემოს ეროვნული სააგენტო
წყლის ობიექტების წილი (%), რომლებიც კარგ სტატუსს მიაღწევენ.	წლიური	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; სააუზო მართვის ორგანიზაციები; გარემოს ეროვნული სააგენტო
მოსახლეობისათვის სასმელი წყლის უწყვეტი მიწოდება და წვდომა წყალარინების სისტემებზე		
ერთ სულ მოსახლეზე არსებული წყალი საკმარისია მინიმალური გამოვლენილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.	ყოველთვიური	სააუზო მართვის ორგანიზაციები, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ადგილობრივი თვითმმართველობები; წყლის ადგილობრივი მიმწოდებლები
მდინარის აუზების წილი(%) სრულად განვითარებული სანიტარული ქსელით.	წლიური	სააუზო მართვის ორგანიზაციები; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ადგილობრივი თვითმმართველობები; წყლის ადგილობრივი მიმწოდებლები

ინდიკატორი იმის შესაფასებლად, რომ ყველა პოტენციურ მომხმარებელს აქვს წვდომა წყალზე		
ინდივიდების ან კომპანიების წილი (%), რომლებიც ითხოვენ წყლის გამოყენებას და მზად არიან, გადაიხადონ დაწესებული ტარიფი/საფასური და დაიცვან შესაბამისი რეგულაციები.	წლიური	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; სემეკი; ადგილობრივი თვითმმართველობები; წყლის ადგილობრივი მიმწოდებლები
საშუალო დრო, რომელიც საჭიროა წყლის რესურსების გამოყენების უფლებაზე მოთხოვნის განცხადებიდან წყალზე წვდომამდე.	წლიური	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; სემეკი; ადგილობრივი თვითმმართველობები; წყლის ადგილობრივი მიმწოდებლები
წყლის რესურსების ეფექტიანი გადანაწილება ალტერნატიულ მომხმარებლებს შორის		
წყლის გამოყენების და წყალაღების ტარიფების წილი (%), რომელიც გამოითვლება ეფექტიანობაზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.	წლიური	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; სააუზო მართვის ორგანიზაციები; სემეკი
შინამეურნეობების წილი (%), რომელთაც აქვთ წყლის მრიცხველი მიწოდების ადგილზე; წყლის ძირითადი მომხმარებლების წილი (%), რომელთაც აქვთ წყლის მრიცხველი მიწოდების ადგილზე.	წლიური	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; სააუზო მართვის ორგანიზაციები; სემეკი; ადგილობრივი თვითმმართველობები; წყლის ადგილობრივი მიმწოდებლები
შინამეურნეობების წილი (%), რომელთაც აქვთ წყლის მრიცხველი წყალაღების ადგილას; წყლის ძირითადი მომხმარებლების წილი (%), რომელთაც აქვთ წყლის მრიცხველი წყალაღების ადგილას.	წლიური	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; სააუზო მართვის ორგანიზაციები; სემეკი; ადგილობრივი თვითმმართველობები; წყლის ადგილობრივი მიმწოდებლები
შესაბამისობა ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივასთან		
სააუზო მართვის აქტიური ორგანიზაციების რაოდენობა.	წლიური	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; საქართველოს მთავრობა
განახლებული ინტეგრირებული სააუზო მართვის გეგმების რაოდენობა (IRBMP).	წლიური	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; სააუზო მართვის ორგანიზაციები; მდინარეთა აუზის საბჭო; საქართველოს მთავრობა
დაინტერესებული მხარეების კატეგორიების რაოდენობა, რომლებიც ჩართულნი არიან ინტეგრირებული სააუზო მართვის გეგმების კონსულტაციის პროცესში.	წლიური	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; სააუზო მართვის ორგანიზაციები; საქართველოს მთავრობა
გაფორმებული ტრანსსასაზღვრო შეთანხმებები აზერბაიჯანთან, თურქეთთან, რუსეთსა და სომხეთთან.	წლიური	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; საქართველოს მთავრობა; საგარეო საქმეთა სამინისტრო

56-ე ჩანართში მოცემულია ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შემუშავებული მონიტორინგისა და შეფასების გეგმა.

ჩანართი 56 – ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შემუშავებული მონიტორინგისა და შეფასების გეგმა

საქართველოში სოფლის მეურნეობის მელიორაციის სისტემის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა შეიმუშავა შემდეგი გეგმა:

მონიტორინგისა და შეფასების გეგმა

ინდიკატორი	შეფასების სიხშირე	მონიტორინგზე პასუხისმგებლობა
სარწყავი/დრენირებული მიწის რაოდენობა (ჰა); ფერმერების წილი, რომლებიც იყენებენ ირიგაციას/დრენაჟს (%); ხელმონერილი ხელშეკრულებების რაოდენობა; შესაბამისობის/გადახდის მაჩვენებელი (%).	წლიური	საქართველოს მელიორაცია; სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სუბსიდიის დონე (%); სარწყავი ტარიფის განაკვეთი; სადრენაჟზე ტარიფის განაკვეთი.	წლიური	საქართველოს მელიორაცია; სოფლის მეურნეობის სამინისტრო
კომპანიების/ფერმერების მოგების ცვლილება უფრო სანდო ირიგაციის/დრენაჟის სისტემებიდან(%); კომპანიების/ფერმერების მოგების ცვლილება, რომელიც მომდინარეობს სარწყავი ოპტიმალური სისტემების დანერგვიდან (%); ირიგაციაზე/დრენაჟზე გაწეული ხარჯების საშუალო წილი ჰექტარზე მთლიან ხარჯებში (%).	ფერმერთა გამოკითხვა ყოველ 5 წელიწადში	საქსტატი ფერმერთა ასოციაციების დახმარებით (მაგალითად, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია)
მონაცემთა შეგროვება ყველა კულტურაზე ყველა რეგიონიდან/მუნიციპალიტეტიდან ცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზაში.	წლიური	საქსტატი; საქართველოს მელიორაცია; სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მორწყულ/დრენირებულ მიწაზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა (%); მორწყულ/დრენირებულ მიწაზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო ღირებულების ზრდა (%); მორწყულ/დრენირებულ ერთ ჰექტარ მიწაზე მოსავლიანობის ზრდა (%).	წლიური	საქსტატი; ფერმერთა ასოციაცია; აგრობიზნესი
ინვესტიციების რაოდენობა ირიგაციის ოპტიმალურ ტექნოლოგიებში.	წლიური	საქართველოს მელიორაცია; სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ფერმერთა ასოციაცია; აგრობიზნესები
მიწის ფართობი, რომელიც განსაზღვრულია საბანკო უზრუნველყოფისთვის (ჰა); მიწის გაზრდილი ფასი უკეთესი სარწყავი/დრენაჟის სისტემის გამო, როგორც გირაოს უზრუნველყოფა.	წლიური	ბანკები; მიკროსაფინანსო ორგანიზაციები
შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების რაოდენობა; აგრონომთა/ფერმერთა რაოდენობა, რომლებსაც ჩაუტარდათ ტრენინგები ოპტიმალური სარწყავი ტექნოლოგიებისა და უფრო მომგებიანი კულტურების ზრდის შესაძლებლობის შესახებ.	წლიური	საქართველოს მელიორაცია

რეფორმის განხორციელებისა და მისი შედეგების მონიტორინგისათვის, ასევე, რეფორმის პროცესში ცვლილებების შეტანის მიზნით, იმ შეთხვევაში, თუ ვერ შესრულდა რეფორმის მიზნები (რომლებიც წარმოდგენილია 27-ე ჩანართში), რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდმა შეიმუშავა მონიტორინგისა და შეფასების გეგმა ოჯახში დასაქმებულების კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში. შეფასებისა და მონიტორინგის მიმოხილვა მოცემულია 57-ე ჩანართში.

ჩანართი 57 – ოჯახში დასაქმებულების კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შემუშავებული მონიტორინგისა და შეფასების გეგმა

სისტემის მუშაობის შესაფასებლად შემოთავაზებული ინდიკატორები იყოფა ოთხ მთავარ კატეგორიად: ოჯახში დასაქმებულების მოლაპარაკების ძალაუფლება, ოჯახში დასაქმებულების დამცირებისა და ექსპლუატაციის რისკი, ოჯახში დასაქმებულების სოციალური შეღავათები და სოციალური დაცვა და ოჯახში დასაქმებულების ინფორმირებულობის დონე მათი უფლებების შესახებ. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში შემუშავებული მონიტორინგისა და შეფასების გეგმა.

მონიტორინგისა და შეფასების გეგმა

ინდიკატორი	შეფასების სიხშირე	მონიტორინგზე პასუხისმგებლობა
ოჯახში დასაქმებულების მოლაპარაკების ძალაუფლება		
შესაბამისი ცვლილებები შრომის კანონმდებლობაში – განმარტებები, ოჯახში დასაქმების შრომითი ურთიერთობებზე აღიარება	ერთჯერად	საქართველოს პარლამენტი; საქართველოს მთავრობა
შრომის ინსპექტორების რაოდენობა 1000 ოჯახში დასაქმებულზე	წლიურად	შრომის ინსპექციის სამსახური
ოფიცრების/ინდივიდების რაოდენობა სახელმწიფო იურიდიულ სამსახურში 1000 ოჯახში დასაქმებულზე	წლიურად	იურიდიული დახმარების სერვის ცენტრი
შრომის ინსპექციაში შეტანილი საჩივრების რაოდენობა და მათი შედეგები	წლიურად	შრომის ინსპექციის სამსახური
ოჯახში დასაქმებულების მიერ სახელმწიფო იურიდიულ სამსახურში შეტანილი საჩივრების რაოდენობა და მათი შედეგები	წლიურად	იურიდიული დახმარების სერვის ცენტრი
ოჯახში დასაქმებულების საქმეების რაოდენობა სასამართლოში	წლიურად	საქალაქო სასამართლოები
ოჯახში დასაქმებულების მიერ სასამართლოში მოგებული საქმეების რაოდენობა	წლიურად	საქალაქო სასამართლოები
ოჯახში დასაქმებულების პროფკავშირების რაოდენობა	წლიურად	საქსტატი
ოჯახში დასაქმებულების არაფორმალური ასოციაციების რაოდენობა	წლიურად	საქსტატი
ოჯახში დასაქმებულების არაფორმალური ასოციაციების სიმჭიდროვე (ოჯახში დასაქმებულების წილი, რომლებიც გაერთიანებულები არიან არაფორმალურ ასოციაციებში)	წლიურად	საქსტატი

კოლექტიური მოლაპარაკებების შედეგიანობის მაჩვენებელი (ოჯახში დასაქმებულების წილი, რომელთა ანაზღაურება და პირობები განისაზღვრება კოლექტიური ხელშეკრულებებით)	წლიურად	საქსტატი
ოჯახში დასაქმებულების დამცირებისა და ექსპლუატაციის რისკი		
შესაბამისი ცვლილებები შრომის კოდექსში – ყოველკვირეული დასვენების და ანაზღაურებადი ზეგანაკვეთური სამუშაოს გარანტია, ყოველწლიური შვებულება, პირადი ცხოვრების დაცვა	ერთჯერადად	საქართველოს პარლამენტი; საქართველოს მთავრობა
ოჯახში დასაქმებულების წილი, რომლებიც აცხადებენ რომ მუშაობენ ზეგანაკვეთურად (კვირაში 40 საათზე მეტი, %)	კვარტალურად	საქსტატი
ოჯახში დასაქმებულების წილი და რაოდენობა, რომლებიც იღებენ ანაზღაურებას ზეგანაკვეთური სამუშაოსთვის	კვარტალურად	საქსტატი
ოჯახში დასაქმებულების მიერ შრომის ინსპექციაში შეტანილი საჩივრების რაოდენობა	კვარტალურად	საქსტატი
შრომის ინსპექციაში შეტანილი საჩივრების წილი, რომლებზე დაკვირვებაც გაგრძელდა	წლიურად	შრომის ინსპექციის სამსახური
ოჯახში დასაქმებულების მიერ აღძრული სასამართლო საქმეების რაოდენობა შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებით (შევიწროების ჩათვლით)	წლიურად	შრომის ინსპექციის სამსახური
ოჯახში დასაქმებულთა სოციალური შეღავათები და სოციალური დაცვა		
საქართველოს საპენსიო ფონდში დარეგისტრირებული ოჯახში დასაქმებულთა წილი და რაოდენობა	წლიურად	საპენსიო ფონდი; საქსტატი
საპენსიო ასაკის ოჯახში დასაქმებულების წილი, რომელთა პენსიის ჩანაცვლება 60%-ზე მეტია/ნაკლებია	წლიურად	საპენსიო ფონდი; საქსტატი
ოჯახში დასაქმებულების წილი, რომლებიც იღებენ სახელმწიფო დახმარებას	წლიურად	საქსტატი
ოჯახში დასაქმებულ ქალთა წილი, რომლებსაც აქვთ დეკრეტული შვებულებით სარგებლობის უფლება	წლიურად	საქსტატი
ოჯახში დასაქმებულების ცნობიერების დონე მათი უფლებების შესახებ		
სოციალური რეკლამების რაოდენობა და სიხშირე	წლიურად	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
სატელევიზიო გადაცემების რაოდენობა და მათი ხანგრძლივობა ოჯახში დასაქმებულების პრობლემების შესახებ	წლიურად	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ოჯახში დასაქმებულებთან ჩატარებული შეხვედრებისა და კონსულტაციების რაოდენობა პასუხისმგებელი სამინისტროების მიერ, რეგიონების მიხედვით	წლიურად	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ოჯახში დასაქმებულების წილი და რაოდენობა, რომლებიც ამჟღავნებენ, რომ იცნობენ თავიანთ უფლებებს (გამოკითხვა)	წლიურად	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ოჯახში დასაქმებულების შორის შეხვედრების რაოდენობა (ეროვნულ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე)	წლიურად	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; პროფკავშირები
ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა ოჯახში დასაქმებულებსა და ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის (როგორცაა არასამთავრობო ორგანიზაციები და ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციები)	წლიურად	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; პროფკავშირები



4. ანგარიშება

რეგულირების ზეგავლენის შეფასება ეყრდნობა ანალიზის სიზუსტესა და სისწორეს. პირველი ბენეფიციარები არიან გადაწყვეტილების მიმღები პირები, რომელთათვისაც ალტერნატივების დაბალანსებული შეფასება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. შემდეგ არიან დაინტერესებული მხარეები, რომლებსაც აქვთ უფლება, ზუსტი, დროული, ხელმისაწვდომი ინფორმაცია მიიღონ მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც ახდენს მათზე ზეგავლენას.

4.1. ზოგადი შენიშვნები

ამრიგად, როგორ მოახდენთ მიგნებების კონსოლიდაციასა და წარმოდგენას, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ის მიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს იმაზე, თუ რამდენად გაითვალისწინებენ თქვენს მიგნებებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

58-ე ჩანართში წარმოდგენილია რამდენიმე „რჩევა“, რომლებიც უნდა გაითვალისწინოთ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის დასრულებისას.

ჩანართი 58 – გახადეთ თქვენი მიგნებები მნიშვნელოვანი: ანგარიშება

ანგარიშის დასრულებისას შეეცადეთ:

- არ გამოიყენოთ ზედმეტად ადმინისტრაციული ტერმინები, აუხსნელი აკრონიმები და უსარგებლოდ რთული ენა;
- იყავით ზუსტი და ლაკონიური, წარმოადგინეთ მხოლოდ შესაბამისი ინფორმაცია, დარწმუნდით, რომ თქვენი ანალიზის სიღრმე შესაბამისობაშია იმ საკითხის მნიშვნელობასთან, რომელსაც აანალიზებთ;
- მოზომილი დაწინადადებული იყავით თქვენს არგუმენტებსა და მტკიცებებში, მაქსიმალურად ეძებეთ ფაქტობრივი და დამოწმებული დასაბუთება;
- მოსაზრებები არ წარმოადგინოთ ფაქტებად; შეამოწმეთ ყოველი მტკიცებულების სისწორე და, თუ ფაქტები არის არასარწმუნო, ეს აუცილებლად აღნიშნეთ;
- დოკუმენტში ნავიგაცია უნდა იყოს ადვილი, რისი მიღწევაც შესაძლებელია თავების/ქვეთავების მკაფიოდ გამოყოფითა და ანგარიშის თანმიმდევრული, ლოგიკური ჯაჭვით.

4.2. ჩაბუღიების ზეგავლენის შეფასების ანგარიში

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში შედგენილია 35-ე დადგენილებით გაწერილი მოთხოვნების შესაბამისად. 35-ე დადგენილების მე-3 დანართი წარმოადგენს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის რეკომენდებულ შაბლონს. კანონპროექტის ინიცირებისთვის მომზადების პროცესში შესაბამისმა ორგანომ შეიძლება გამოიყენოს სხვა ფორმა, თუ იგი შედგენილია განკარგულების მოთხოვნების შესაბამისად.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში შემუშავებულია სტანდარტული ფორმატით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

ნაწილი 1 – ზოგადი ინფორმაცია ინიციატივასა და პასუხისმგებელ სამინისტროზე (მოიცავს მოკლე შეჯამებას სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შემთხვევაში)

ზოგადი ინფორმაცია იმაზე, თუ ვინ მოახდინა პროცესის ინიცირება და რომელია პასუხისმგებელი უწყება.

მოკლე შეჯამება უნდა იყოს ერთ ან ორგვერდიანი. მან უნდა მოიცავს შემდეგი თემები (თითოეულ თემაზე თითო მოკლე პარაგრაფი):

- ინიციატივის კონტექსტი;
- შესაბამისი მხარეები/ჯგუფები, რომლებზეც ინიციატივა ახდენს ზეგავლენას, და კონსულტაციის პროცესის მიმოხილვა;
- პრობლემის/საკითხის და მისი დაწყების შესახებ განცხადება;
- ინტერვენციის საჭიროების დასაბუთება და მისი მიზნები;
- გათვალისწინებული და დეტალურად გაანალიზებული ალტერნატივები;
- თითოეული ალტერნატივის ზემოქმედება (შეჯამებულია ქვემოთ მოცემულის მსგავს ცხრილში).

ცხრილი 16. ალტერნატივების შედარება

შეფასების კრიტერიუმი	ალტერნატივა 1	ალტერნატივა 2	ალტერნატივა 3
სარგებელი – ხარჯები (წმინდა მიმდინარე ღირებულება)	xxx ლარი	xxx ლარი	xxx ლარი
კონკრეტული მიზანი 1	(ქულა (ქ) 1)X(წონითი კოეფიციენტი (წ.კ.) 1)	(ქ 2) X (წ.კ.1)	(ქ 3) X (წ.კ.1)
კონკრეტული მიზანი 2	(ქ 4) X (წ.კ.2)	(ქ 5) X (წ.კ.2)	(ქ 6) X (წ.კ.2)
.....			
განხორციელებადობა / შესრულების სიმართლე	(ქ 7) X (წ.კ.3)	(ქ 7) X (წ.კ.3)	(ქ 7) X (წ.კ.3)
რისკი	(ქ 8) X (წ.კ.4)	(ქ 9) X (წ.კ.4)	(ქ 10) X (წ.კ.4)
სხვა	(ქ 11) X (წ.კ.5)	(ქ 11) X (წ.კ.5)	(ქ 11) X (წ.კ.5)
შეჯამება	ჯამი	ჯამი	ჯამი

ცხრილის შევსებისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

- შერჩეული ალტერნატივის თაობაზე გადანაცვეტილება;
- მონიტორინგის მექანიზმების მოკლე აღწერა (ნებაყოფლობითი).

ნაწილი 2 – პრობლემის განსაზღვრა

ა. პრობლემის/საკითხის გარშემო არსებული კონტექსტი

- ამჟამინდელი სიტუაციისა და არსებული სამართლებრივი ჩარჩოს ზოგადი აღწერილობა;
- სამთავრობო გეგმები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ბ. პრობლემის განსაზღვრა

- პრობლემის/საკითხის არსი;
- პრობლემის მიზეზები/პრობლემის განმაპირობებელი ფაქტორები;
- საზოგადოების ჯგუფები, რომლებზეც ხდება ზეგავლენა, და თითოეული ჯგუფის ზომა;
- თითოეული ჯგუფზე ზეგავლენის ხასიათისა და მასშტაბის შეფასება;
- მთავრობის ინტერვენციის საფუძვლები.

გ. პრობლემის მონაცემების ანალიზი: არსებული ტენდენციები

- პრობლემის ტენდენციები;
- მოკლე განხილვა იმის შესახებ, თუ რა გავლენას მოახდენს ტენდენციები ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში;
- სხვა პოლიტიკასა და რეგულაციებში შესაძლო ცვლილებების აღნიშვნა.

საბაზისო სცენარის შემუშავება

საბაზისო სცენარის შემუშავება მიუთითებს პრობლემის მიმდინარე მოსალოდნელ განვითარებაზე, არსებული კონტექსტის გათვალისწინებით.

შეგროვებული მტკიცებულებებისა და წარსული ტენდენციების გაანალიზების საფუძველზე უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს:

- მოსალოდნელია პრობლემის მოწესრიგება ინტერვენციისგან თავის შეკავების შემთხვევაში. რამდენად მოსალოდნელია პრობლემის გამწვავება, მისი მასშტაბის გაზრდა, ასევე, ასეთი ვარაუდის წინაპირობები?
- რამდენად მაღალია მოცემული სცენარის მიხედვით მოვლენათა განვითარების ალბათობა (მოსალოდნელი ყველაზე ნეგატიური და პოზიტიური შემთხვევა)?
- რა ფაქტორები ახდენენ გავლენას პრობლემის განვითარებასა და მის შედეგებზე?
- რა რისკი ახლავს ინტერვენციისგან თავის შეკავებას?
- რამდენად არსებობს შეუქცევადი უარყოფითი შედეგების დადგომის ალბათობა, რომელიც არსებულ პრობლემას/საკითხს განსაკუთრებით სერიოზულს ან გადაუდებელს ხდის?
- ჰქონდა თუ არა მთავრობას მოცემული პრობლემის/საკითხის გადაწყვეტის მცდელობა, რა შედეგი იქონია ასეთმა მცდელობამ და რა დასკვნების გაკეთება შეიძლება ამ გამოცდილებიდან?

მიზნები

ა. ზოგადი მიზნები

- ზოგადი მიზნების აღწერა.

ბ. კონკრეტული და ოპერაციული მიზნები

- კონკრეტული და ოპერაციული მიზნების აღწერა

ცხრილი 17. ინტერვენციის მიზნების ცხრილის ნიმუში

მიზანი	ინდიკატორი	პასუხისმგებლობა	დრო
კონკრეტული მიზანი 1 - ...			
ოპერაციული მიზანი 1.1. ...			
ოპერაციული მიზანი 1.2. ...			
კონკრეტული მიზანი 2 - ...			
ოპერაციული მიზანი 2.1. ...			
ოპერაციული მიზანი 2.2. ...			

ალტერნატივების შემუშავება

- აღწერა იმისა, მოხდა თუ არა რომელიმე ალტერნატივის უარყოფა ადრეულ ეტაპზე და ამის ახსნა (ხარჯი, ეფექტიანობა, მიზნებთან შეუსაბამობა, განხორციელებადობა და ა.შ.);
- ალტერნატივების მთავარი განსხვავებების აღწერა.

ალტერნატივა 1

მარეგულირებელი ინტერვენცია (შემოთავაზებული რეგულაციის აღწერა)

- სცენარისა და ძირითადი ვარაუდების აღწერა;
- დაინტერესებულ მხარეებზე პოტენციური ზეგავლენა;
- სცენარის დადებითი და უარყოფითი მხარეები, მიზნების გათვალისწინებით;
- პოტენციური რისკები.

ალტერნატივა 2

სხვა ალტერნატივა (შესაძლოა არამარეგულირებელი)

- სცენარისა და ძირითადი ვარაუდების აღწერა;
- დაინტერესებულ მხარეებზე პოტენციური ზეგავლენა;
- სცენარის დადებითი და უარყოფითი მხარეები, მიზნების გათვალისწინებით;
- პოტენციური რისკები.

ალტერნატივა 3

სხვა ალტერნატივა

- სცენარისა და ძირითადი ვარაუდების აღწერა;
- დაინტერესებულ მხარეებზე პოტენციური ზეგავლენა;
- სცენარის დადებითი და უარყოფითი მხარეები, მიზნების გათვალისწინებით;
- პოტენციური რისკები.

ზეგავლენების ანალიზი

ა. მეთოდოლოგიური მიდგომა

- მოკლედ აღწერეთ თქვენი მეთოდოლოგიური მიდგომა: თვისებრივი ანალიზი, რაოდენობრივი ანალიზი, შერეული;
- რაოდენობრივის ან შერეულის შემთხვევაში, აღნიშნეთ ის მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც გამოყენებულ იქნა კვანტიფიკაციისათვის (ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი ან ხარჯთეფექტიანობა);
- წმინდა მიმდინარე ღირებულების გამოთვლის მეთოდის მოკლე აღწერა;
- დროის ჰორიზონტი (ჩვეულებრივ, 10 წელი ან მეტი);
- გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი;
- რაოდენობრივი ანალიზისთვის გამოყენებული მონაცემთა წყაროებისა და ძირითადი ვარაუდების მოკლე აღწერა;
- სენსიტიურობის ანალიზის მოკლე აღწერა (თუ გამოყენებულია).

ბ. შესაძლო ზემოქმედების დადგენა

ზემოქმედების ანალიზმა უნდა წარმოადგინოს როგორც შესაძლო ზემოქმედება, ისე განაწილების შედეგები (მიუხედავად იმისა, რომ არ მომხდარა მათი გამოთვლა).

მე-18 ცხრილი უნდა დაერთოს თითოეულ ალტერნატივას ცალკე, თან უნდა ახლდეს ნარატივი, რომელიც დეტალურად აღწერს ცხრილის შევსების ძირითად მიზეზებს.

ცხრილი 18. ალტერნატივების ზეგავლენის შეჯამება (თითო ცხრილი უნდა შეავსოთ თითოეული ალტერნატივისათვის)

ზეგავლენები	სახე 3) პირდაპირი 4) არაპირ- დაპირი	ჯგუფ(ებ)ი, რომლებმაც განიცადეს ზეგავლენა და/ან სხვა შესაბამისი ინდიკატორები, რომლებმაც განიცადეს ზეგავლენა	მოსალო- დნელი შედეგების შეფასება (დადებითი ან უარყოფითი)	შესაბამისი საზომი ინდიკა- ტორ(ებ)ი	ალტერნა- ტივები, რომლებიც ექვემდებარება აღნიშნულ ზეგავლენას
ეკონომიკური					
•					
•					
გარემოსდაცვითი					
•					
•					
სოციალური					
•					
•					
საჯარო ფინანსები					
•					
•					
დარგისთვის სპეციფიკური ქვეკატეგორიები					
•					
•					

ზეგავლენების ანალიზი

ალტერნატივა 1 (მარეგულირებელი)

- დამატებითი ხარჯების ანალიზი (საბაზისო სცენართან მიმართებით);
 - ხარჯების ჩამონათვალი;
 - დაინტერესებულ მხარეებზე ხარჯების ზეგავლენა;
 - ხარჯების თვისებრივი ანალიზი (მინიმუმ: მაღალი/საშუალო/დაბალი ხარჯები);
 - ხარჯების რაოდენობრივი ანალიზი.
- ✓ საჯარო ფინანსების ხარჯები (მაღალი ხარჯებისთვის მოიცავს ხარჯების დაანგარიშების აღწერილობას, მაგ.: იმ შემთხვევაში, თუ ალტერნატივა მოითხოვს ახალი მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბებას, ყოველი წლის ხარჯების გაანგარიშება იქნება საჯარო სექტორში საშუალო ხელფასის (რაც არის xxx დაფუძნებული ეროვნულ სტატისტიკაზე) გამრავლება თანამშრომლების რაოდენობაზე (რაც არის დაახლოებით 20 ადამიანი) დამატებული შენობის ქირავნობის ხარჯები (რაც საშუალოდ არის xxx));
- ✓ ყველა სხვა პირდაპირი ხარჯი და სარგებელი (სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შემთხვევაში);
- ✓ ყველა არაპირდაპირი ხარჯი და სარგებელი (სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შემთხვევაში);
- სარგებლის ანალიზი (თუ განხორციელდება ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი)
 - სარგებლის ჩამონათვალი;
 - დაინტერესებულ მხარეებზე სარგებლის ზემოქმედება;
 - სარგებლის თვისებრივი ანალიზი (მინიმუმ: მაღალი/საშუალო/დაბალი სარგებელი);
 - სარგებლის რაოდენობრივი ანალიზი (მაღალი სარგებლისათვის მოიცავს სარგებლის დაანგარიშების აღწერას, მაგ.: თუ ალტერნატივის სარგებელი არის ახალი სამუშაო ადგილები, ყოველი წლის სარგებლის გაანგარიშება იქნება ახალი სამუშაო ადგილები (სავარაუდო) გამრავლებული საშუალო უმუშევრობის შემწეობაზე (რაც არის xxx დაფუძნებული ეროვნულ მონაცემებზე)) (სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შემთხვევაში);
 - დააზუსტეთ გაურკვევლობები და რა გავლენა შეიძლება იქონიოს პარამეტრების ცვლილებამ ზეგავლენაზე.

ალტერნატივა 2

- დამატებითი ხარჯების ანალიზი (საბაზისო სცენართან მიმართებით);
 - ხარჯების ჩამონათვალი;
 - დაინტერესებულ მხარეებზე ხარჯების ზეგავლენა;
 - ხარჯების თვისებრივი ანალიზი (მინიმუმ: მაღალი/საშუალო/დაბალი ხარჯები);
 - ხარჯების რაოდენობრივი ანალიზი.
- ✓ პირდაპირი შესაბამისობის ხარჯები და საჯარო ფინანსების ხარჯები;

- ✓ ყველა სხვა პირდაპირი ხარჯი და სარგებელი (სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შემთხვევაში);
- ყველა არაპირდაპირი ხარჯი და სარგებელი (სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შემთხვევაში);
- სარგებლის ანალიზი (თუ განხორციელდება ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი);
- სარგებლის ჩამონათვალი;
- დაინტერესებულ მხარეებზე სარგებლის ზემოქმედება;
- სარგებლის თვისებრივი ანალიზი (მინიმუმ: მაღალი/საშუალო/დაბალი სარგებელი);
- სარგებლის რაოდენობრივი ანალიზი (სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შემთხვევაში);
- დააზუსტეთ გაურკვევლობები და რა გავლენა შეიძლება იქონიოს პარამეტრების ცვლილებამ ზეგავლენაზე.

ალტერნატივა 3

- დამატებითი ხარჯების ანალიზი (საბაზისო სცენართან მიმართებით);
 - ხარჯების ჩამონათვალი;
 - დაინტერესებულ მხარეებზე ხარჯების ზეგავლენა;
 - ხარჯების თვისებრივი ანალიზი (მინიმუმ: მაღალი/საშუალო/დაბალი ხარჯები);
 - ხარჯების რაოდენობრივი ანალიზი.
- ✓ პირდაპირი შესაბამისობის ხარჯები და საჯარო ფინანსების ხარჯები;
 - ✓ ყველა სხვა პირდაპირი ხარჯი და სარგებელი (სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შემთხვევაში);
 - ✓ ყველა არაპირდაპირი ხარჯი და სარგებელი (სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შემთხვევაში);
 - სარგებლის ანალიზი (თუ განხორციელდება ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი);
 - სარგებლის ჩამონათვალი;
 - დაინტერესებულ მხარეებზე სარგებლის ზემოქმედება;
 - სარგებლის თვისებრივი ანალიზი (მინიმუმ: მაღალი/საშუალო/დაბალი სარგებელი);
 - სარგებლის რაოდენობრივი ანალიზი (სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შემთხვევაში);
 - დააზუსტეთ გაურკვევლობები და რა გავლენა შეიძლება იქონიოს პარამეტრების ცვლილებამ ზეგავლენაზე.


შეჯამება

ქვემოთ მოცემულ ორ ცხრილში აისახება ყველა გაანალიზებული ალტერნატივის დამატებითი ხარჯებისა და სარგებლის შედარება. პირველ შემთხვევაში, ეს ხდება ცხრილის სახით, ხოლო მეორეში მოცემულია გრაფიკული შედარება. აღნიშნული ცხრილები უადვილებს მკითხველს თითოეული ალტერნატივის ხარჯებისა და სარგებლის აღქმას.

ცხრილი 19. დამატებითი ხარჯებისა და სარგებლის შეჯამება (სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შემთხვევაში)

	ალტერნატივა 1	ალტერნატივა 2	ალტერნატივა 3
სარგებელი (წმინდა მიმდინარე ღირებულება)	XXX ლარი	XXX ლარი	XXX ლარი
ხარჯები (წმინდა მიმდინარე ღირებულება)	XXX ლარი	XXX ლარი	XXX ლარი
სარგებელი – ხარჯები (წმინდა მიმდინარე ღირებულება)	XXX ლარი	XXX ლარი	XXX გლარი
რაოდენობრივი, მაგრამ არა მონეტიზებული ზეგავლენები ¹¹	ძირითადი ტექსტი	ძირითადი ტექსტი	ძირითადი ტექსტი
თვისებრივი ზეგავლენები (თუ რაოდენობრივი არ არის შესაძლებელი) ¹²	ძირითადი ტექსტი	ძირითადი ტექსტი	ძირითადი ტექსტი

გრაფიკი 3. პოლიტიკის ალტერნატივების დამატებითი ხარჯებისა და სარგებლის შედარება (წმინდა მიმდინარე ღირებულება, ლარი) (სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შემთხვევაში)



ალტერნატივების შედარება

- აღწერეთ, რომელი სხვა კრიტერიუმების გამოყენება უნდა მოხდეს (გარდა ხარჯისა და სარგებლისა) და რატომ;
- აღწერეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს კრიტერიუმები (რა არის მათი წონა).

¹¹ პოზიციების შემთხვევაში, როდესაც სარგებლისა და ხარჯების მონეტიზაცია ვერ ხერხდება, მაგრამ შეიძლება მათი რაოდენობრივად გამოსახვა, ისინი ჩამოთვლილი უნდა იყოს ფიზიკურ ერთეულებში (მაგ. გარდაცვლილთა რაოდენობა X ალტერნატივის შედეგად).

¹² პოზიციების ჩამონათვალი გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მნიშვნელოვანი ზეგავლენით, მაგრამ არ შეიძლება მათი რაოდენობრივად გამოსახვა.

ა. ალტერნატივების შეჯამება

ცხრილი 20. ალტერნატივების შეჯამება მრავალკრიტერიუმის ანალიზის გამოყენებით

შეფასების კრიტერიუმი	ალტერნატივა 1	ალტერნატივა 2	ალტერნატივა 3
სარგებელი – ხარჯები (წმინდა მიმდინარე ღირებულება)	xxx ლარი	xxx ლარი	xxx ლარი
კონკრეტული მიზანი 1	(ქულა (ქ) 1)X(წონითი კოეფიციენტი (წ.კ.) 1)	(ქ 2) X (წ.კ.1)	(ქ 3) X (წ.კ.1)
კონკრეტული მიზანი 2	(ქ 4) X (წ.კ.2)	(ქ 5) X (წ.კ.2)	(ქ 6) X (წ.კ.2)
....			
განხორციელებადობა / შესრულების სიმართლე	(ქ 7) X (წ.კ.3)	(ქ 7) X (წ.კ.3)	(ქ 7) X (წ.კ.3)
რისკი	(ქ 8) X (წ.კ.4)	(ქ 9) X (წ.კ.4)	(ქ 10) X (წ.კ.4)
სხვა	(ქ 11) X (წ.კ.5)	(ქ 11) X (წ.კ.5)	(ქ 11) X (წ.კ.5)
შეჯამება	ჯამი	ჯამი	ჯამი

ბ. სასურველი ალტერნატივა

- ალტერნატივების რანგირების წარმოდგენა;
- სასურველი ალტერნატივის განსაზღვრა;
- აღწერა, თუ მოცემული ალტერნატივა რატომ გამოიწვევს დიდ საერთო სარგებელს და როგორ დააკმაყოფილებს მიზნებს;
- საჭიროების შემთხვევაში: აღწერა, თუ როგორ შემცირდა უარყოფითი ზემოქმედება;
- განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების გეგმა (სასურველი ალტერნატივისათვის);
- მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის მოკლე აღწერა;
- პოლიტიკის მიზნების დაკმაყოფილების შესაბამისობისა და პროგრესირების საზომი შესრულების ინდიკატორების აღწერა;
- აღწერა, თუ როგორ და როდის მოხდება ინფორმაციის შეჯამება, მოხსენება და მისი გამოყენება მარეგულირებელი ქმედებების გასაუმჯობესებლად (თუ შესაძლებელია).

ცხრილი 21. მონიტორინგისა და შეფასების გეგმის შეჯამების ცხრილის ნიმუში:

ინდიკატორი	შეფასების დრო და სიხშირე	მონიტორინგზე პასუხისმგებლობა
ინდიკატორი 1	შეფასების ადრეული თარიღი (წლიური, კვარტალური, ყოველთვიური)	დანეშეულება 1 დანეშეულება 2 დანეშეულება 3
ინდიკატორი 2	შეფასების ადრეული თარიღი (წლიური, კვარტალური, ყოველთვიური)	დანეშეულება 1 დანეშეულება 2 დანეშეულება 3
ინდიკატორი 3	შეფასების ადრეული თარიღი (წლიური, კვარტალური, ყოველთვიური)	დანეშეულება 1 დანეშეულება 2 დანეშეულება 3

ნაწილი 3 – საჯარო კონსულტაციის პროცესი

ა. პროცესის აღწერა

- რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების ზოგადი ქრონოლოგია;
- სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და პასუხისმგებლობები, აგრეთვე, გარე ექსპერტიზის გამოყენება;
- სამუშაო ჯგუფში გადაწყვეტილების მიღების მიდგომა;
- კონსულტაციისა და მონაცემების შეგროვების ტექნიკის მიმოხილვა;
- პერიოდი;
- რეგულირების ზეგავლენის შეფასების სხვადასხვა ეტაპის დროს გამოყენებული კონსულტაციისა და მონაცემების შეგროვების ტექნიკა;
- მონაცემთა წყაროები (ისევე როგორც მონაცემების ხარისხი ან მონაცემების ხარისხის გასაუმჯობესებელი მეთოდები);
- დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები, რომელთაგანაც მოხდა კონსულტაციის გავლა;
- დაინტერესებული მხარეების შერჩევისა და კატეგორიზაციის დროს გამოყენებული კრიტერიუმები (გავლენის წარდგენის შესაძლებლობა – ინტერესის მატრიცა).

ცხრილი 22. დაინტერესებულ მხარეთა მატრიცა/გავლენა-დაინტერესების ცხრილი
დაინტერესებულ მხარეთა გავლენისა და ინტერესის იდენტიფიცირების ცხრილი

ინტერესი / გავლენა	დაბალი გავლენა	მაღალი გავლენა
დაბალი ინტერესი	დაინტერესებული მხარის / დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის სახელწოდება	დაინტერესებული მხარის / დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის სახელწოდება
მაღალი ინტერესი	დაინტერესებული მხარის / დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის სახელწოდება	დაინტერესებული მხარის / დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის სახელწოდება

ბ. მიღებული ინფორმაციისა და მათი გათვალისწინების შეჯამება

ცხრილი 23. კონსულტაციის პროცესის შეჯამება

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის შაბლონი

დაინტერესებული მხარე	კონსულტაციის მეთოდი	პასუხების შეჯამება	კომენტარი
დაინტერესებული მხარის/ დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფის სახელწოდება და ზომა	მაგ.: ინტერვიუები (და როდის); საკონსულტაციო დოკუმენტების მიმოხილვა; გამოკითხვა	მონაცემების/ კონსულტაციის პროცესში შეგროვილი ალტერნატივების მოკლე აღწერა	იყო თუ არა პასუხი გათვალისწინებული/ არ იყო გათვალისწინებული; რატომ? და ა.შ.
...			
...			

- განხილვა იმისა, თუ როგორ იქნა გათვალისწინებული მოპოვებული მონაცემები.

ნაწილი 4 – ინიციატორი უწყების კომპეტენტური პირის ხელმოწერა

ხელმოწერით დასტურდება რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში, მათ შორის, მისი შინაარსი და რეკომენდაცია(ები).

შენიშვნა: რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესის სანდოობა გაძლიერდება, თუ შესაბამისი მინისტრი (ან რეგულირების ზეგავლენის შემფასებელი რელევანტური დაწესებულების ხელმძღვანელი) ხელმოწერით დაადასტურებს რეგულირების ზეგავლენის შეფასებას და იქნება პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსსა და რეკომენდაციებზე.

ნაწილი 5 – ტექნიკური დანართები

მოცემულ ნაწილში უნდა დაემატოს ყველა შესაბამისი დოკუმენტი და დამატებითი ინფორმაცია (როგორიცაა მეთოდოლოგიის არჩევის დეტალური განხილვა), რომელიც, ავტორების მოსაზრებით, საჭიროა ანგარიშის მკითხველისათვის, მის სრულად გასაგებად.



დანართი

დანართი 1 – იმ საკანონმდებლო აქტების ნუსხა, რომლებშიც ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის მომზადებისას სავალდებულოა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის მომზადება

1. საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ;
2. საქართველოს კანონი სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ;
3. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;
4. საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“;
5. საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“;
6. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“;
7. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;
8. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
9. საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“;
10. საქართველოს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“;
11. საქართველოს კანონი „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“;
12. საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“;
13. საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“;
14. საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“;
15. საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“;
16. საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“;
17. საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“;
18. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“;
19. საქართველოს კანონი „რეგულირების საფასურის შესახებ“;
20. საქართველოს კანონი „გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ“.

დანართი 2 – ირიგაციის/დრენაჟის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგიის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში ფერმერთა სატელეფონო გამოკითხვის კითხვარი

1. რომელ მუნიციპალიტეტშია თქვენი მიწის ნაკვეთი?
2. უმთავრესად რომელი კულტურა მოგყავთ?
 - a. ბოსტნეული
 - b. ხეხილი
 - c. ვაზი
 - d. კენკრა
 - e. კარტოფილი
3. რამდენ ჰექტარ მიწას ფლობთ?
4. გჭირდებათ ირიგაციის/დრენაჟის მომსახურებები?
 - a. ირიგაცია
 - b. დრენაჟი
 - c. ირიგაცია და დრენაჟი
 - d. არცერთი
5. გაქვთ კონტრაქტი საქართველოს მელიორაციასთან ირიგაციის/დრენაჟის მომსახურებებისათვის?
 - a. კი
 - b. არა
6. საქართველოს მელიორაციასთან კონტრაქტის არქონის შემთხვევაში, რა არის ამის მიზეზი?
 - a. წარსულში ცუდი ხარისხის ირიგაციის/დრენაჟის მომსახურებები
 - b. მიწის ნაკვეთთან ახლოს მდებარე ინფრასტრუქტურა ამორტიზებულია
 - c. მიწის ნაკვეთთან ახლოს არ მდებარეობს ინფრასტრუქტურა
7. იყენებთ ირიგაციის ალტერნატიულ მეთოდებს?
 - a. ჭაბურღილი
 - b. მდინარიდან წყლის ამოტუმბვა
 - c. სასმელი წყალი
 - d. სხვა
 - e. არ ვიყენებ
8. გააფორმებდით კონტრაქტის საქართველოს მელიორაციასთან, თუ მომსახურებები სანდო იქნებოდა?
 - a. კი
 - b. არა
9. რას ფიქრობთ ირიგაციის/დრენაჟის ამჟამინდელ ტარიფზე? (აღმოსავლეთ საქართველოში – 75 ლარი, ხოლო დასავლეთში – 45 ლარი ირიგაციისათვის და 40 ლარი დრენაჟისათვის).
 - a. ძალიან მაღალია
 - b. მაღალია
 - c. მისაღებია
 - d. დაბალია
 - e. ძალიან დაბალია
10. შეგიძლიათ გვითხრათ, თქვენი შემოსავლის რა ნაწილს კარგავთ არასანდო ირიგაციის/დრენაჟის მომსახურებებით გამოწვეული წყალმოვარდნის ან გვალვის შედეგად?
 - a. 25%-ზე ნაკლები
 - b. 25-50%

- c. 50-75%
 - d. 75-100%
 - e. არ მქონია მსგავსი პრობლემა.
11. აღმოსავლეთ საქართველო: რამდენს გადაიხდიდით სანდო ირიგაციის მომსახურებებში?
- a. 100-200 ლ/ჰა
 - b. 200-300 ლ/ჰა
 - c. 300-400 ლ/ჰა
 - d. 400-500 ლ/ჰა
 - e. 500-600 ლ/ჰა
12. დასავლეთ საქართველო: რამდენს გადაიხდიდით სანდო ირიგაციის მომსახურებებში?
- a. 50-100 ლ/ჰა
 - b. 100-150 ლ/ჰა
 - c. 200-250 ლ/ჰა
 - d. 250 – 300 ლ/ჰა
 - e. 300-350 ლ/ჰა
13. რამდენს გადაიხდიდით სანდო დრენაჟის მომსახურებებში?
- a. 80-120 ლ/ჰა
 - b. 120-160 ლ/ჰა
 - c. 160-200 ლ/ჰა
14. შეცვლიდით თქვენ მიერ ამჟამად დამუშავებულ კულტურას, სანდო ირიგაციის/დრენაჟის მომსახურებები რომ ყოფილიყო?
- a. კი
 - b. კი, უფრო ძვირადღირებული კულტურით
 - c. არა
 - d. არა, უკვე მომყავს ყველაზე ძვირადღირებული კულტურა
15. რა არის ფერმერული საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავალი? (ლარი)
16. რა არის დაახლოებით თქვენი უკუგება ერთ ჰექტარზე? (ლარი)
17. რა არის დაახლოებით თქვენი მთლიანი ირიგაციის ხარჯები? (ლარი)
18. რა არის დაახლოებით თქვენი მთლიანი ირიგაციის ხარჯი ერთ ჰექტარზე? (ლარი)
19. რა არის დაახლოებით თქვენი მთლიანი მოსავლის მოყვანის ხარჯები? (ლარი)
20. თუ თქვენი უკუგება ფერმერული საქმიანობიდან გაიზრდებოდა 1,000 ლარით ჰექტარზე, როგორ დახარჯავდით ამ შემოსავალს?
- a. პირადი მოხმარების ნივთებზე (საოჯახო ტექნიკა, მაქანა, ტანსაცმელი, ა.შ.)
 - b. ირიგაციის ტექნოლოგიის გაუმჯობესება
 - c. მიწის რეგისტრაცია

დანართი 3 – წყლის ხარისხის ჯაჭვური სქემა და ზედაპირული წყლის ხარისხის შეფასება ექსპერტების მიერ წყლის მართვის კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში

წყლის ხარისხის ჯაჭვური სქემა წყლის ხარისხის სხვადასხვა დონესა და ხარისხის ცვლილებას აკავშირებს იმ აქტივობებთან, რისთვისაც შეგვიძლია გამოვიყენოთ ამ ხარისხის წყალი. სქემაში მოძრაობა ნიშნავს, რომ საზოგადოების წევრები იღებენ გაზრდილ სარგებელს უფრო მაღალი ხარისხის წყლისგან ან გაზრდილ ხარჯებს წყლის ცუდი ხარისხისგან.

ცხრილი A3.1 წყლის ხარისხის ჯაჭვური სქემა

ქულა	წყლის ხარისხობრივი სტატუსი
10 – წყლის საუკეთესო ხარისხი	არ არის დაბინძურებული
9	შეიძლება სასმელად გამოყენება, ადამიანების მიერ გამოყენებადი
8	
7	შეიძლება ცურვა
6	გაუმჯობესებული თევზჭერა და თევზის დაჭერის უკეთესი შესაძლებლობა
5	შეიძლება თევზჭერა
4	შეიძლება თევზჭერა, მაგრამ მოსალოდნელია ხარისხის გაუარესება
3	მძიმე ლიონების კონცენტრაცია
2	შეიძლება ნაოსნობა
1	უკიდურესად დაბინძურებული
0 – წყლის ყველაზე უარესი ხარისხი	არ არის უსაფრთხო რეკრეაციისათვის და ადამიანების მიერ მოხმარებისათვის

არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, წყლის ექსპერტებმა წყლის საწყისი საშუალო ხარისხი შემდეგნაირად შეაფასეს:

ცხრილი A3.2 წყლის საწყისი ხარისხის ქულა აუზების მიხედვით

მდინარის აუზი	საწყისი ქულები 2018 წელს
ჭოროხი	7.0
ალაზან-იორი	7.0
ხრამ-დებედა	5.0
მტკვარი	6.0
ენგურ-რიონი	6.0

დანართი 4 – ოჯახში დასაქმებულების კონვენციის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში ოჯახში დასაქმებულების ონლაინ გამოკითხვისას გამოყენებული კითხვარი

მოგესალმებით, გმადლობთ კვლევაში მონაწილეობისთვის. გთხოვთ, შეავსოთ კითხვარი, თუ მუშაობთ საქართველოში, სხვის ოჯახში ან გაქვთ მსგავსი სამუშაო გამოცდილება (ოჯახის დამხმარე, ძიძა, პაციენტის მომვლელი, ოჯახის მზარეული ან პირადი მძღოლი). კვლევას ატარებს ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი და მიზნად ისახავს ოჯახში დასაქმებულთა სამუშაო პირობების შესწავლას და მათი გაუმჯობესების გზების ძიებას. თქვენი აზრი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გამოკითხვა ანონიმურია.

* აუცილებელია

- a. თქვენი სქესი *
 - კაცი
 - ქალი
 - b. გთხოვთ მიუთითოთ თქვენი ასაკი *
 - 2.1. დასაქმებულთა შემდეგი კატეგორიებიდან რომელ კატეგორიას მიეკუთვნებით? (თუ თქვენ გაქვთ სამუშაო გამოცდილება ერთზე მეტ კატეგორიაში, მონიშნეთ თქვენი უახლესი სამუშაო გამოცდილება) *
 - ძიძა
 - ოჯახში დამხმარე
 - ოჯახის მზარეული
 - პირადი მძღოლი
 - პაციენტის მომვლელი
 - სხვა _____
 3. თქვენი სამუშაო გამოცდილება *
 - ამჟამად ვმუშაობ
 - ამჟამად არ ვმუშაობ, მაგრამ მაქვს გამოცდილება ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიაში
- გთხოვთ, უპასუხოთ შემდეგ კითხვებს ზემოთ მოცემულ სამსახურში თქვენი გამოცდილების საფუძველზე. ყველა კითხვა ეხება თქვენს ამჟამინდელ ან უახლეს სამუშაო გამოცდილებას.
4. რატომ გადაწყვიტეთ ამ სფეროში მუშაობა? გთხოვთ შემოხაზოთ ყველა შესაბამისი მიზეზი *
 - ხელფასის გამო
 - ოჯახში დამატებითი შემოსავლის მისაღებად
 - მოქნილი სამუშაო გრაფიკის გამო
 - სამუშაო მდებარეობის ჩემს სახლთან
 - ვმუშაობ ნათესავთან, ნაცნობთან
 - სხვა სამუშაო ვერ ვიპოვე
 - სხვა _____

5. როგორ იპოვეთ ეს სამსახური?

- დასაქმების სააგენტოს საშუალებით, ინტერნეტით ან განაცხადის საფუძველზე
- მეგობრების, ნათესავების რეკომენდაციისა და რჩევის საფუძველზე
- ჩემით, სოციალური ქსელის მეშვეობით (Facebook ან სხვა სოციალური ქსელი)
- Facebook ჯგუფის საშუალებით
- დასაქმებული ვარ დასაქმების სააგენტოში
- სხვა _____

6. რა ტიპის ხელშეკრულება გაქვთ ამ სამსახურში? *

- წერილობითი
- ბეპირი (სიტყვიერი შეთანხმება მიღწეულია)
- შეთანხმება არ გვაქვს

6.1. დაარღვია თუ არა დამსაქმებელმა თქვენი ხელშეკრულების/შეთანხმების პირობები? *

- დიახ
- არა

6.2. კონკრეტულად რა დაარღვიეს მათ? შეგიძლიათ შემოხაზოთ ერთი ან მეტი დარღვევა.

- გვიან გადამიხადეს
- გადამიხადეს შეთანხმებულ თანხაზე ნაკლები
- არ გადამიხადეს
- დაპირებული დასვენების დღეები არ მომცეს
- მე ვმუშაობ ან ვმუშაობდი უფრო მეტ საათს, ვიდრე შევთანხმდით, დამატებითი ანაზღაურების გარეშე
- მე ვაკეთებ ან ვაკეთებდი უფრო მეტ საქმეს, ვიდრე შეთანხმებული ვიყავით დამატებითი ანაზღაურების გარეშე
- სხვა __

გთხოვთ, შეაფასოთ ქვემოთ მოყვანილი ფაქტორები 5-ქულიანი სკალის გამოყენებით

7. როგორ შეაფასებდით თქვენი ხელფასით კმაყოფილების დონეს? *

სრულიად უკმაყოფილო ვარ 1-2-3-4-5 სრულიად კმაყოფილი ვარ

8. როგორ შეაფასებთ თქვენი სამუშაო პირობებით კმაყოფილების დონეს? *

სრულიად უკმაყოფილო ვარ 1-2-3-4-5 სრულიად კმაყოფილი ვარ

9. როგორ შეაფასებდით თქვენი კმაყოფილების დონეს თქვენი სამუშაო გრაფიკით? *

სრულიად უკმაყოფილო ვარ 1-2-3-4-5 სრულიად კმაყოფილი ვარ

10. როგორ შეაფასებდით კვირაში დასვენების დღეების რაოდენობით კმაყოფილების დონეს? *

სრულიად უკმაყოფილო ვარ 1-2-3-4-5 სრულიად კმაყოფილი ვარ

11. როგორ შეაფასებდით თქვენს კმაყოფილების დონეს თქვენი შვებულების ხანგრძლივობით? *

სრულიად უკმაყოფილო ვარ 1-2-3-4-5 სრულიად კმაყოფილი ვარ

12. როგორ შეაფასებთ დამსაქმებლის დამოკიდებულებას თქვენს მიმართ?*
- ძალიან უარყოფითი 1-2-3-4-5 ძალიან პოზიტიური
13. რამდენად ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: „მე ჩემი დამქირავებლისთვის ოჯახის წევრით ვარ“?*
- სრულიად არ ვეთანხმები 1-2-3-4-5 სრულიად ვეთანხმები
14. რამდენად გეხმარებათ დამსაქმებელი პირადი პრობლემების (ავადმყოფობის ან სხვა) შემთხვევაში?*
- ის საერთოდ არ მეხმარება 1-2-3-4-5 ის სულ მეხმარება
15. რა დამატებითი სარგებელი მიიღეთ თქვენი სამუშაოსგან? მიუთითეთ ყველა შესაძლო სარგებელი.*
- მივყავარ დასასვენებლად
 - ტრანსპორტირების უზრუნველყოფა
 - უზრუნველყოფს საკვებით
 - ზოგჯერ მეტ ხელფასს მაძლევენ
 - ეხმარებიან ჩემი ოჯახის წევრებს
 - არანაირი დამატებითი სარგებელი არ მაქვს
 - სხვა _____

შემდეგი კითხვები ეხება თქვენს ზოგად შეხედულებებს დასაქმების შესახებ

16. რამდენად მისაღებია თქვენთვის შემდეგი სიტუაცია: „მე შემიძლია კვირაში 40 საათზე მეტი ვიმუშაო დამატებითი ანაზღაურების გარეშე, თუ დამსაქმებელი მთხოვს“?*
- ეს სრულიად მიუღებელია 1-2-3-4-5 აბსოლუტურად მისაღებია
17. რამდენად მისაღებია თქვენთვის შემდეგი სიტუაცია: „შემიძლია გავაკეთო სხვა საოჯახო საქმეები, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე წინასწარი შეთანხმება არ არსებობდა“?*
- ეს სრულიად მიუღებელია 1-2-3-4-5 აბსოლუტურად მისაღებია
18. როგორ ფიქრობთ, რამდენად იცით თქვენი, როგორც ოჯახში დასაქმებული პირის, უფლებების შესახებ?*
- მე საერთოდ არ ვიცი 1-2-3-4-5 მე კარგად ვიცი

გთხოვთ, უპასუხოთ შემდეგ კითხვებს ძიად მუშაობის გამოცდილების საფუძველზე. ყველა კითხვა ეხება თქვენს ამაჟამინდელ ან უახლეს სამუშაო გამოცდილებას.

19. თავს უხერხულად და/ან არასასიამოვნოდ გრძნობთ სამსახურში? შემოხაზეთ ყველა შესაძლო პასუხი*
- მსგავსი შემთხვევა არ მქონია
 - უხეშად მომმართავენ
 - დამსაქმებელი სამსახურიდან გათავისუფლებით მემუქრება
 - დამსაქმებელმა დამადანაშაულა იმაში, რაც არასდროს ჩამიდენია (მაგალითად, საყოფაცხოვრებო ნივთის დაზიანება)
 - ჩემმა დამსაქმებელმა დაამონტაჟა ვიდეოკამერები, რომ ეთვალთვალა ჩემი ყოველი ნაბიჯისათვის

- დამსაქმებელმა მომაცენა სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა
- დამსაქმებელმა სცადა სექსუალური შევიწროება
- სხვა ____

20. გქონიათ რაიმე დავა ან უთანხმოება თქვენს დამსაქმებელთან ოჯახში დაქირავებულად მუშაობის დროს?

- დიახ ☐ განაგრძეთ კითხვები 20.1 და 20.2
- არა ☐ განაგრძეთ კითხვები 20.3 და 20.4

20.1 როგორ დასრულდა ეს დავა?

- ვესაუბრეთ ერთმანეთს, მოვავარეთ საკითხი და გავაგრძელე მუშაობა
- ჩვენ ჩავრთეთ დავაში ოჯახის სხვა წევრებიც, ერთად მოვავარეთ საკითხი და გავაგრძელეთ მუშაობა
- პოლიციას მივმართე ჩემი უფლებების დასაცავად, მაგრამ სამსახურის დატოვება მომიწია
- ჩემი უფლებების დასაცავად მივმართე სახალხო დამცველს, მაგრამ სამსახურის დატოვება მომიწია
- ჩემი უფლებების დასაცავად სასამართლოს მივმართე, მაგრამ სამსახურის დატოვება მომიწია
- სამსახური დავტოვე
- სხვა _____

20.2 მომავალში დამსაქმებელთან უთანხმოების შემთხვევაში, მიმართავდით სასამართლოს/სახალხო დამცველს ან შრომის ინსპექციას და რატომ?*

- დიახ, მე მათ მივმართავდი, რადგან ისინი უკეთესად იცავენ ჩემს უფლებებს
- არა, რადგან ამ შემთხვევაში სამსახურის დატოვება მომიწევს და შესაძლებელია დავრჩე უმუშევარი
- არა, რადგან სასამართლოში გასაჩივრების პროცესი დაკავშირებულია დიდ ფინანსურ და დროით რესურსებთან
- არა, რადგან ჩემი სამსახური არ არის ოფიციალური დასაქმების ნაწილი, ამ პირობებში უთანხმოებისა და დავების დამტკიცება რთულია
- არა, რადგან სასამართლოში პრეტენზია რეალურ შედეგს არ მომცემს
- არა, რადგან თუ სახელმწიფოსთვის ცნობილი გახდა, რომ მე ვმუშაობ, შეიძლება სოციალური დახმარება დავკარგო
- არა, რადგან ზუსტად არ ვიცი რამდენად მაქვს ამის უფლება, როგორც არაფორმალურად დასაქმებულს
- არა, რადგან მსმენია მსგავსი შემთხვევების შესახებ, რომლებიც კარგად არ დასრულებულა
- სხვა _____

20.3 დავის შემთხვევაში როგორ მოიქცეოდით?

- ჩვენ ვესაუბრებოთ ერთმანეთს, მოვავარებთ პრობლემას და მე ვაგრძელებ მუშაობას
